არა, რომ იესო ქრისტე ახალი სტილით 25 დეკემბერს დაიბადა, 85%-მა უარყოფითად უპასუხა. რესპონდენტთა უმრავლესობამ ასევე განაცხადა, რომ სანტა კლაუსი გამოგონილია. 11%-მა თქვა, რომ იესო ქრისტეს შობის თარიღი ტრადიციას შეესაბამება.

საიტი, რომელიც თავის დამთვალიერებელს სთავაზობს, ონლაინ რეჟიმში წაიკითხოს ბიბლია, აცხადებს, რომ მისი მომხმარებლების 63% აშშ-ში ცხოვრობს. გამოკითხვის მონაწილეთა 96%-მა განაცხადა, რომ ისინი ქრისტიანები არიან.

საინტერესოა, რომ მათი დიდი ნაწილი არ მიიჩნევს, რომ ქრისტე 25 დეკემბერს დაიბადა. 71%-მა თქვა, რომ ქრისტიანებს მართებთ შობის აღნიშვნა, დანარჩენი კი თვლის, რომ ამის საჭიროება არ არსებობს.

კითხვაზე — დადებითად თვლით, რომ ბავშვებს დავაჯეროთ სანტა კლაუსის არსებობა — უმეტესობამ (64%) განაცხადა: „რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა". 28%-მა კი თქვა, რომ „ეს უბრალოდ მხიარულებაა", 6%-ს კი არ აქვს ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი აცხადებს (82%), რომ ისინი 10 წელზე მეტია ქრისტიანები არიან, ხოლო 79%-მა ბრძანა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც აქვთ წაკითხული ბიბლია. ქალები ამ ჯგუფში 60%-ზე მეტს შეადგენენ.

თურქეთი სანტა კლაუსის სამშობლოს სახელის „დაბრუნებას" ითხოვს

თურქეთმა ვატიკანს მოსთხოვა, „დააბრუნოს" სანტა კლაუსის სახელი. შობის წინ თურქმა მეცნიერებმა მსოფლიოს შეახსენეს, რომ სანტას სამშობლო არა ლაპლანდია, არამედ თურქეთის ქალაქი მირონ-ლუკიაა. იქ დაიბადა წმინდა ნიკოლოზი, რომელიც უპოვრებს ეხმარებოდა, მათ სახლში საკვამურიდან ოქროს მონეტებს ყრიდა და სწორედ ის გახდა სანტა კლაუსის პროტოტიპი.

წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილები ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში გადაასვენეს იტალიელებმა ქალაქ ბარიში. თურქი მეცნიერები კათოლიკური ეკლესიისაგან ითხოვენ წმინდანის ნეშტის დაბრუნებას ქალაქ დემრეში, უწინდელ მირონ-ლუკიაში.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

სადმელელი შარაბიძეების სამღვდელო ოჯახი

II ნაწილი

ჩამა პეტრე შარაბიძის მეორე ვაჟი გახლდათ **მღვდელი ეფრემი**, რომელიც 1842 წელს დაიბადა. მან დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამი კლასი. 1869 წლის 7 სექტემბერს იგი სადმელის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. თავისი უფროსი ძმის მსგავსად, ეფრემიც აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცხოვრებაში. ეგზარქოსების მმართველობის პერიოდში მოსახლეობის აღრიცხვა ხდებოდა საეკლესიო მეტრიკული წიგნებით. ეს წიგნები ყველა მოქმედი შტატის ეკლესიებში არსებობდა და მისი შევსება ტაძრის წინამძღვარს ჰქონდა დავალებული. იგი იყოფოდა სამ ნაწილად, ნათელღებულთა, ქორწინებულთა და გარდაცვლილთა. 1870/1871 წლების სადმელის ოლქის საეკლესიო მეტრიკულ ჩანაწერებში მოძღვართა დაუდევრობით გამოტოვებული იყო 466 ადამიანი. ეფრემმა მოახერხა მათი მოძიება და სიებში შეყვანა, რის გამოც 1871 წლის 17 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მადლობა გამოუცხადა, პირად საქმეში შეტანით. 1874 წელს ეფრემი დაქორწინდა ნინო იოანეს ასულ ჩაჩხიანზე (დაბ. 1854წ.), რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა: ვიქტორი (დაბ. 1875წ., მან 1899 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კომუნისტების შემოსვლამდე მუშაობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად) და მღვდელი იასონი (დაბ. 1879წ.).

პროტოდიაკონი იოსეგ შარაბიძე ნიფის გვირაბის კურთხევაზე. უკანა პლანზე იმერეთის ეპისკოპოსი წმ. გაბრიელი (ქიქოძე)

1877 წლის 21 მაისს ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ეფრემი დიაკვნად აკურთხა. ამავე წლის 10 ივლისს მღვდლად დაასხა ხელი და სადმელის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. მღვდელი ეფრემი ხშირად ბეჭდავდა თავის კორესპონდენციებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

იყო კარგი მქადაგებელი და პატიოსანი მოძღვარი. 1911 წლის 25 დეკემბერს მამა ეფრემი მოხუცებულობის გამო შტატიდან გავიდა და ეკლესიაში 42-წლიანი ერთგული სამსახურისთვის 300 მანეთი პენსია დაენიშნა. იგი ცოცხალი ჩანს 1915 წელსაც. მისი გარდაცვალების წელი უცნობია.

მღვდელი ვასილ შარაბიძე მეუღლესთან

მამა ეფრემის პენსიაზე გასვლის შემდეგ წინამძღვრის ადგილი დაიკავა მისმა უმცროსმა ვაჟმა — **მღვდელმა იასონმა**, რომელიც 1879 წელს დაიბადა. 1895 წელს იასონმა დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი მეორე ხარისხის დიპლომით და ამავე წელს თბილისის „მიხეილის" რემესლენის სასწავლებელში ჩააბარა. 1901 წლის 10 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) უშგულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დანიშნა. 1901 წლის 9 დეკემბერს ქვედრიშის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში გადაიყვანეს. 1904 წლის 5 ნოემბერს პირველი ტოლის მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში დაადგინეს.

1905 წელს იასონი დაქორწინდა. ჰყავდა ორი შვილი: ვახტანგი (დაბ. 1906 წლის 28 სექტემბერი) და ანასტასია (დაბ. 1910 წლის 22 სექტემბერი. გათხოვილი ბათუმში ვინმე ნოღაიდელზე). სამწუხაროდ, იგი ადრე დაქვრივდა და პატარების გაზრდა მარტოს მოუხდა. 1908 წლის 16 თებერვალს იასონი ძირაგეულის მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში განამწესეს. 1911 წლის 18 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) იგი დიაკვნად აკურთხა, ამავე წლის 25 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და სადმელის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა, სადაც XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე მსახურობდა. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ მან ანაფორა გაიხადა და საერო სამსახურში ჩადგა.

მღვდელ პეტრეს შუათანა ვაჟი გახლდათ **პროტოდიაკონი იოსებ შარაბიძე**, რომელიც 1846 წელს დაიბადა. მანაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. 1863 წელს იოსებმა თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, რომელიც 1869 წლის 28 ივნისს წარჩინებით დაასრულა. 1869 წლის 15 სექტემბერს იოსები სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მეორე კლასების მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ამავე წლის 12 ოქტომბერს დამტკიცდა ამ თანამდებობაზე. 1869 წლის 12 ოქტომბრიდან 1872 წლამდე ამავე სასწავლებელში იგი ასწავლიდა სლავურ საეკლესიო გალობას და უსასყიდლოდ მუშაობდა ფოსტალიონად. 1870 წლიდან 1871 წლის 15 აპრილამდე პარალელურად უფასოდ ასწავლიდა მოსამზადებელ კლასებში სლავურ საეკლესიო გალობას. 1872 წლის 18 ივნისს სამეგრელოს საეპარქიო მმართველობამ სასწავლებელში ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მადლობა გამოუცხადა. 1874 წლის 12 ოქტომბრიდან ასწავლიდა არითმეტიკას II და III კლასებში.

1870 წელს იოსები დაქორწინდა მაკრინე ნიკოლოზის ასულზე (დაბ. 1853წ.). მათ ხუთი შვილი ჰყავდათ: მიხეილი (დაბ. 1871წ., დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია), ნიკოლოზი (დაბ. 1887წ. ცნობილი კომპოზიტორი), გიორგი (დაბ. 1879წ.), ეკატერინე (დაბ. 1882წ.) და ოლღა (დაბ. 1882წ.).

1875 წლის 2 მარტს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იოსები დიაკვნად აკურთხა და ქუთაისის საკათედრო ტაძარში დაადგინა. 1875 წლის 25 მარტს პროტოდიაკონის წოდება მიენიჭა. 1879 წლის 1 ოქტომბრიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სლავური საეკლესიო გალობის მასწავლებლად დაინიშნა. მამა იოსები დიდ დროს უთმობდა ქართული მუსიკისა და ხალხური სიმღერების შესწავლას. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა საუკეთესო ქართველ ლოტბარებთან და ხალხური სიმღერის მცოდნეებთან. ქართველი მწერალი, დრამატურგი, საქართველოს სახალხო არტისტი შალვა დადიანი ხოტბით იხსენებდა ჭარმაგ, მწყაზარი სახის პროტოდიაკონ იოსებს და მის მოღუღუნე ხმას.

1880 წლიდან მამა იოსები იმერეთის ეპარქიალური სარევიზიო კომიტეტის წევრია. 1890 წლის 30 ნოემბერს იგი თავს ანებებს სასულიერო სასწავლებელში მუშაობას. ამავე წელს გამოიცა მისი წიგნი „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა, ანუ ნოტების პირველი დაწყებითი ანბანი". 1893 წლის 15 მაისს მამა იოსებს წმინდა სინოდმა მადლობის ფურცელი უბოძა. პროტოდიაკონი იოსები 1898 წლის 30 ივნისს გარდაიცვალა. გაზეთი „ცნობის ფურცელი" მისი გარდაცვალების შესახებ წერდა: **„ქუთაისში გარდაიცვალა საკრებულო ტაძრის მთავართ-მთავარი მამა იოსებ შარაბიძე, რომელმაც პირველად გადაიღო ჩვენში საეკლესიო გალობა ნოტებზე".** მამა იოსები დასაფლავებულია ქუთაისში, მწყვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მამა პეტრეს ერთ-ერთი ვაჟი **თეოდორე** სოფლის მწერალი და პედაგოგი გახლდათ. იგი ყველაზე ხელმოკლედ ცხოვრობდა. მამა ალექსიმ, რომელსაც შვილები არ ჰყავდა, მას თავისი მამული აჩუქა. სამწუხაროდ, თევდორე ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მისი შვილების აღზრდა მღვდელმა ალექსიმ ითავა. **მომა-**

მღვდელი ვასილ შარაბიძე ნათესავებთან ერთად. მარჯვნივ ზის მისი დის ქმარი, ჯვარისას ეკლესიის მღვდელი გაბრიელ გოჭორიშვილი

ვალი მოძღვარი, ვასილ თეოდორეს ძე შარაბიძე 1868 წელს დაიბადა. დაქვრივებულმა დედამ, მართა კერესელიძემ მაზლის დახმარებით შეძლო, მისთვის ღირსეული განათლება მიეცა. ვასილმა დაამთავრა თბილისის „მიხეილის" სახელობის საფერშლო სასწავლებელი. 1885 წლის 20 ნოემბერს იგი სენაკის მაზრაში ფერშლად განამწესეს. 1886 წლის 11 სექტემბერს ვასილი თბილისის „მიხეილის" საავადმყოფოში უმცროს ფერშალად გადაიყვანეს. 1888 წლის 8 თებერვალს ორი თვით გააგზავნეს ყუბანის ოლქში სამუშაოდ. ამავე წლის 30 მარტიდან იგი უფროსი ფერშალია. 1891 წლის 1 მარტს — ქუთაისის გუბერნიის სოფელ ჭკადუაშის აფთიაქის უფროსი ფერშალი. 1892 წლის 1 მაისს კი სოფელ ლაილაშში გადაიყვანეს.

1893 წლის 8 აპრილს გათავისუფლდა სამედიცინო სამსახურიდან და სოფელ ბოსტანის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა. თავისი ბიძის დახმარებით ვასილმა რიცეულაზე აფთიაქი გახსნა და ხალხს უსასყიდლოდ მკურნალობდა. შემდგომში მის კეთილ საქმეებს ტკბილად იგონებდნენ რაჭველი მოხუცები. ამავე პერიოდში იგი დაქორწინდა მღვდელ ანტონ ჩაჩხიანის ასულ ელპიდეზე (დაბ. 1878წ.), რომელთანაც შვიდი შვილი ჰყავდა: ლუდმილა (1895წ.), პანტელეიმონი (1897 წლის 26 აგვისტოს), ნუცა, აკაკი (1904 წლის 14 მარტი), მარიამი (1901 წლის 20 აპრილი), თეოდორე (1907 წლის 1 აგვისტო) და შოთა (ეს ბოლო ორი დაიღუპა სამამულო ომში).

მამა ალექსის ლოცვა-კურთხევით ვასილმა ქუთაისის საკათედრო ტაძარში გაიარა მომზადება სამღვდელო ხარისხის მისაღებად. აქ იგი წმინდა წერილსა და საეკლესიო ტიპიკონში განისწავლა. 1897 წლის 9 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) ვასილი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 25 აპრილს მღვდლად დაასხა ხელი და ბოსტანის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1911 წელს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა. ამავე წელს მამა ვასილი ბოსტანის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა.

XX საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოში დაწყებული რეპრესიების დროს, მოძღვარი იძულებული გახდა მიეტოვებინა საეკლესიო მსახურება და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. იგი სოფელში ცხოვრობდა და იქვე აღესრულა 1936 წელს.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchate_georgian@yahoo.com, patriarchatepresscenter@gmail.com მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაურცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

მხოლოდ ის იწვევდა ზიზღს თავისი საშინელი დრტვინვით. რაც უფრო მეტად ბრწყინავდა მართალთა სიწმინდე, მით უფრო ცხადი იყო ცოდვილის სიბილწე. ამიტომ მეფის მსახურებმა შეუკრეს მას ხელ-ფეხი და „განაგდეს ბნელსა გარესკნელსა", და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცოდვილი იყო, არამედ იმიტომ, რომ მიითვისა მართალთათვის განკუთვნილი ჯილდო: „ხოლო შე-რაი-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინახეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი დუმნა. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თვისთა: შეუკრენით მაგას ხელნი და ფერხნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთა. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი" (მათ. 22. 11-14).

ამგვარად, ვჭვრეტთ რა, შობის დღეს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, განვიწმინდოთ თავი ყოველგვარი მომაკვდინებელი ცოდვისგან, აღვავსოთ უფლის საჭურჭლე მრავალგვარი ძღვენით — ამ ბრწყინვალე დღეს შევიკედლოთ მოგზაურნი, შევამსუბუქოთ ქვრივთა მწუხარება და შევმოსოთ, დავაპუროთ უპოვარნი. განა კარგი იქნება, რომ ერთსა და იმავე სახლში ერთი ბატონის მსახურთა შორის ისინი, ვისაც აბრეშუმის სამოსი აცვია, ხარობდნენ, ხოლო მეორენი — დაკონკილნი და უძლურნი — გლოვობდნენ, ერთი ჭამით ძღებოდეს, მეორე კი — სიცივესა და შიმშილს ითმენს? განა უსარგებლო არ იქნება ჩვენი ლოცვის ძალა, როცა ბოროტისაგან ხსნას ვითხოვთ, თავად კი არ გვსურს ჩვენი ძმებისთვის ლოცვა? მივბაძოთ უფალსა ჩვენსა. თუკი მისთვის თანაბრად სათნო იყო, რათა უძლურსა და უპოვარს ჩვენთან ერთად მიეღო ზეციური მადლი, მაშ, რატომ არ უნდა მონაწილეობდნენ ისინი ჩვენთან ერთად მიწიერ სიმდიდრესა და დღესასწაულებში? უფლის საიდუმლოებებით გაერთიანებული ძმები ქონებამ არ უნდა განასხვავოს: სწორედ მათი უფლის წინაშე შუამდგომლობით მოვიპოვებთ ჩვენთვის ღვთის საუნჯეს, როცა ვაპურებთ, ვეხმარებით მათ. სანაცვლოდ კი ისინი მადლობას სწირავენ უფალს ჩვენთვის. უპოვარი, რომელიც ადიდებს უფალს, ეხმარება მას უფლის წინაშე, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა. რამეთუ როგორც წმინდა წერილი გვასწავლის: ვაი, მას კაცს, ვის გამოც შეირყვნება უფლის სახელი. მშვიდობა მას კაცს, ვისი გამოც იდიდება მაცხოვარი ჩვენი. ქველისმოქმედის ხვედრი ასეთია: იგი თავის სახლში აღასრულებს ერთ მოწყალებას, ხოლო ეკლესიაში მისთვის მრავალი ბაგე შესთხოვს უფალს იმას, რასაც თავად ვერც კი გაბედავდა ეთხოვა... და ბევრის შუამდგომლობითა და ლოცვით მოულოდნელად იღებს სათანადო ჯილდოს, რამეთუ მოციქული გვასწავლის: „თანაშეწევნითა ლოცვათა თქუენთაითა ჩუენთვის, რაითა მრავლითა პირითა ჩუენდა მომართი იგი მადლი მრავალთა მიერ სამადლობელ იქმნას თქუენთვის" (2 კორ. 1, 11), „რაითა იყოს მსხუერპლი იგი წარმართთა შეწირულ და განწმედილ სულითა წმიდითა" (რომ 15,16).

წმინდა ამბროსი მედიოლანელის
ქადაგების მიხედვით

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი სვიმონ კახეთელიძე
1856-1942

დეკანოზი სვიმონ იოსების ძე კახეთელიძე 1856 წელს იმერეთის გუბერნიაში, რაჭის მაზრის სოფელ ბარში დაიბადა. სასულიერო პირები იყვნენ მამა სვიმონის წინაპრებიც, რომლებიც მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თავდადებით და ერთგულად ემსახურებოდნენ ქართულ ეკლესიას. მისი ბაბუა, მღვდელი **ნიკოლოზ ბერის ძე კახეთელიძე** 1782 წელს რაჭაში, სოფელ ბარში, საბატონო ყმის ოჯახში დაიბადა. ნიკოლოზმა წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი თავის ნათესავთან, მღვდელ დავით კახეთელიძესთან ისწავლა. დაოჯახების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, ნიკორწმინდელმა მთავარეპისკოპოსმა სოფრონმა (წულუკიძე) ნიკოლოზი დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1810 წელს მღვდლად დაასხა ხელი და სამთისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1812 წელს იგი ბრინჯაოს ჯვრით დაჯილდოვდა. მღვდელი ნიკოლოზი ადრე დაქვრივდა. დარჩა ორი ვაჟი: ზურაბი (დაბ. 1810წ.) და მღვდელი იოსები (1817წ.). 1854 წელს იგი პენსიაზე გავიდა. მისი გარდაცვალების წელი უცნობია.

სასულიერო გზა გააგრძელა მისმა უმცროსმა ვაჟმა **იოსებმა**, რომელიც 1817 წელს დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი მან თავის მამასთან ისწავლა, რომელსაც პატარაობიდანვე ეხმარებოდა ტაძარში ღვთისმსახურების აღსრულებაში. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) იოსები დიაკვნად აკურთხა. 1854 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (წულუკიძე) მღვდლად დაასხა ხელი და სამთისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლე-

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება 1917 წელი. მეოთხე რიგში მარჯვნიდან მეშვიდე დგას დეკანოზი სვიმონი

სიის წინამძღვრად დაადგინა, სადაც 1881 წლამდე მსახურობდა.

მამა-პაპის მსგავსად, მოძღვრის ტკბილი უღელი აირჩია სვიმონმაც. მან პირველდაწყებითი განათლება სოფელ ბარის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო. შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩააბარა, სადაც მხოლოდ ორი კლასი დახურა. ქართულ და რუსულ ენაზე წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში ისწავლა. 1878 წლის 21 სექტემბერს იგი ქუთაისის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დაადგინეს.

1883 წელს იოსები დაქორწინდა დაფინე ვასილის ასულზე (დაბ. 1863 წელს), რომელთანაც ოთხი შვილი ჰყავდათ: ნიკოლოზი (დაბ. 1884წ.), ალექსანდრა, ლუბა და მარიამი.

1883 წლის 14 მარტს სვიმონი ქუთაისის საკათედრო ტაძრის უმცროს პონომარად (მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი) დაინიშნა. 1885 წლის 11 დეკემბრიდან უფროსი პონომარია. 1885 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე და მეოთხე კლასებში წმინდა წერილისა და სხვა საგნების მასწავლებლად დაადგინეს. 1887 წლის 19 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) სვიმონი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 2 აგვისტოს მღვდლად დაასხა ხელი და რაჭაში, სოფელ კაჩაეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

1894 წელს მამა სვიმონი გუმათის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა, ამავდროულად ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში მეორე მღვდლად მსახურობდა. 1905-1906 წლებში ხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია, ხოლო 1906 წელს ფუთის წმინდა გიორგის სახელობის წინამძღვრად დაინიშნა.

1910 წელს იგი კაცხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში გადაიყვანეს, სადაც XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისამდე მსახურობდა. 1912 წლის 27 ივლისს მამა სვიმონის უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა მეუღლე დაფინე, რომელიც 31 ივლისს ქუთაისის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალეს.

1917 წლის 8-17 სექტემბერს მამა სვიმონი, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას.

XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში მამა სვიმონი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და კასპის რაიონის სოფელ ბარნაბიანთკარში დასახლდა. ბარნაბიანთკარი ურბნისის ეპარქიაში შედიოდა. იმჟამად ურბნისის ეპარქიას თავისი მღვდელმთავარი არ ჰყავდა, ამიტომ სამწყსოს წილკნელი ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) განაგებდა. მისი ლოცვა-კურთხევით, მამა სვიმონი ახლომახლო სოფლებში ატარებდა წირვა-ლოცვებს და მორწმუნეებს საეკლესიო წესებს უსრულებდა. ეს ის პერიოდია, როდესაც უამრავი სასულიერო პირი აღესრულა მოწამეობრივად კომუნისტური იდეოლოგიით მოწამლული ახალგაზრდების ხელით. უღმერთო ხელისუფლებისგან დევნა და ტკივილი მამა სვიმონმაც გამოსცადა თავის თავზე. საპატრიარქოს არქივში შემორჩენილია ერთი წერილი, რომელშიც აღწერილია მამა სვიმონის ამბავი, წერილი დათარიღებულია 1933 წლის 1 ოქტომბრით. **„მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს კალისტრატეს — წილკნელ ეპისკოპოსის, ურბნისის ეპარქიის მმართველის ალექსისაგან მოხსენება; მორწმუნეთა თხოვნით, 26 სექტემბერს ა/წ. მე გავაგზავნე სოფელ ბარნაბიანთკარიდან სასირეთში მღვდელი სიმონ კახეთელიძე, რათა ეწირა 27-ში სასირეთის ეკლესიაში და მორწ-**

მუნეთათვის შეესრულებინა მოთხოვნისამებრ წესები. დაბრუნდა 29-ში, დილით და განმიცხადა შემდეგი: 27-ში სწირა სასირეთის ეკლესიაში და რამდენიმე ბავშვიც მონათლა, მაგრამ მორწმუნეთა თხოვნით, დარჩა მეორე დღესაც და ზოგს პანაშვიდი და ზოგსაც სხვა მოთხოვნები შეუსრულა მორწმუნეთ და საღამოს, ორი თუ სამი მორწმუნე ქალის თანხლებით ბრუნდებოდა ბარნაბიანთკარში. ბინა იქ ქონდა, მაგრამ რადგან წყალი მომატებული იყო და ფეხით გასვლა ძნელი იყო, უთხრეს ურემს მოგიყვანთ წყალში გასასვლელადაო და უცდიდა ურემს. ამ დროს ჩამოიარეს სამმა კაცმა, ორი წყალ-გაღმა გავიდა და ერთი კი მობრუნდა და მოვიდა მღვდელთან და კითხა, საიდან მოსულა და რა საქმეზე. მან უპასუხა და მანდატიც მისცა, ჩემგან მიცემული. მანდატს გადახედა მხოლოდ და ამ დროს მოვარდა იქაური მილიციონერი სარიშვილი და დაუწყო ყვირილი: „ადექი, დაიკარგე აქედანო; როცა შეეხვეწა, მაცადე ურემი მოვა და გამიყვანსო, იმან უმატა ყვირილს და აიძულებდა, ფეხით გასულიყო წყალში. მღვდელი წავიდა და როცა წყალთან მივიდა და მარჯვე ადგილს ეძებდა გასასვლელად, მილიციონერმა კრა უკანიდან ხელი და გადააგდო წყალში, ძლივს გადარჩა დახრჩობას. როცა გავიდა გაღმა დასველებული, ოთხმოცი წლის მოხუცი, გაცივდა და დღესაც ავად არის.

მოვახსენებ რა ზემო აღნიშნულს თქვენს უწმინდესობას, ვითხოვ, ინებოთ რაიმე განკარგულება, რათა დაფარულ ვიქნეთ ასეთი უპასუხისმგებელ პიროვნებებისგან. მთავრობა არ გვიშლის ვემსახუროთ ხალხს მოთხოვნილების დროს, მაგრამ ზოგიერთ ადგილობრივ მოხელეთა წევრნი არ გვაძლევენ ამის საშუალებას. ის პირი, რომელმაც მოსთხოვა მანდატი მღვდელ კახეთელიძეს, ყოფილა ადგილობრივი სოფლის საბჭოს თავჯდომარე და აქედან, ცხადია, მისის ნებართვით ჩაუდენია ის საქციელი მილიციონერ სარიშვილს. ეპისკოპოსი ალექსი წილკნელი“.

ამ ამბიდან მალევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ (ცინცაძე) მამა სვიმონი სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად გადაიყვანა და ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული სამსახურისათვის დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1941 წლის 12 აპრილს, 85 წლის ასაკში, დეკანოზი სვიმონი მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო, თავისი თხოვნის საფუძველზე, გათავისუფლდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სამსახურიდან და პენსიაზე გავიდა.

1942 წლის 4 მარტს წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი) წერდა მენჯის მთავარანგელოზთა

დეკანოზი სვიმონი ოჯახის წევრებთან ერთად

სახელობის შუშანიების სავანის წინამძღვარს, იღუმენია ფავსტოს (შუშანია): **„იღუმენია ბატონო, გეცნობებოდათ, აქ რომ კახეთელიძე იყო, 93 წლისა, გაიკრიჭა, ტანისამოსი გაიხადა, მღვდლობას დაანება თავი და „სტოროჟად“ დადგა. ჩემი აწეწ-დაწეწვა სულ იმის ბრალი იყო, არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ცდილობდა, რომ გავეციმბირებინეთ. დღედაღამ ჩემს მტრობაში იყო. ვენაცვალე უფლის სახელს!** — დამიფარა. **მთავრობა ჩემს დევნას შეეშვა და ნება დამრთეს, ტაძარში დავბრუნებულიყავი. ყველანი მოხარულნი არიან ამისა, მაგრამ მაინც მაწუხებს კითხვა: ნეტა, რა დავუშავე ამ 90 წლის კაცს ან ვინ შეასმინა, ეწერა ჩემზე „დანოსები“. ისე მოულოდნელად გარდაიცვალა, ვერც დავეკითხე და ვერც ვერაფერი გავიგე დანამდვილებით. რა სასწაულები მოხდა აქ, ვერ მოგწერთ, თუ ოდესმე განახავთ, გიამბობთ“.**

როგორც ამ წერილის შინაარსიდან ირკვევა, დეკანოზი სვიმონი 1942 წლის დასაწყისში მოულოდნელად გარდაიცვლილა. ჩვენთვის უცნობია, თუ რა დაპირისპირება ჰქონდა მას წილკნელ ეპისკოპოს ტარასისთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტები ყველანაირად ცდილობდნენ ეკლესიისთვის ჩირქი მიეცხოთ, არ თაკილობდნენ არანაირ უმსგავსო საქციელებს და უზნეო გამოხტომებს. მათი პოლიტიკის — „გათიშე და იბატონეს“ წყალობით, მრავალი ადამიანი მტრობდა ერთმანეთს. უმძიმესი დრო იყო. ღმერთმა ყველას შეუნდოს თავისი საქციელი.

ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა მამა სვიმონი თბილისში, კუკიის წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოზე დაკრძალეს.

მოამზადა
გიორგი მაჩურიშვილმა

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchate_georgian@yahoo.com,
patriarchatepresscenter@gmail.com მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

გადაგვეტანა, ისინი კი მხატვრული ფასეულობებია და პროცესი შეფერხდა. მართალია, ჩვენ ოდნავ შევყოვნდით, მაგრამ ყველაფერი მზადაა სიწმინდეების გადასაბრძანებლად", — განაცხადა დირექტორმა. თავის მხრივ, ალექსანდრე ნეველის ლავრის წინამძღვარმა, ეპისკოპოსმა ნაზარმა აღნიშნა, რომ ჩამორთმეული ქონება აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ეკლესიას. მუზეუმის დირექტორის აზრით, პირველ რიგში, ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს სასწაულთმოქმედი ხატები და წმინდა ნაწილები, „მით უმეტეს, როცა მუზეუმში წმინდა ნაწილები სადღაც დამალულ კარადებში ინახება... ასევე ევქარისტიული ჭურჭელი, რადგან მასში ევქარისტიის საიდუმლო აღესრულება".

თურქეთი ხალკის სემინარიას მიწას უბრუნებს

თურქეთის მთავრობასთან არსებული ვაკუფთა გენერალური დირექტორატის ვაკუფთა საბჭომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კუნძულ ხალკზე სასულიერო სემინარიის კუთვნილი მიწა დაუბრუნა.

1971 წელს თურქეთის ხელისუფლებამ სემინარია დახურა ეროვნულ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, რომელიც განსაზღვრავდა, რომ „მხოლოდ თურქულ შეიარაღებულ ძალებს და პოლიციას შეეძლო კერძო კოლეჯების გახსნა". პარადოქსულია, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მიწა მესაკუთრეს დაუბრუნდა, სემინარია კვლავ დახურულია.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა სემინარს მუშაობის აღსადგენად. 1844 წლიდან 1971 წლამდე იქ სასულიერო განათლება დაახლოებით 1000-მდე ღვთისმსახურმა მიიღო, მათ შორის, ამჟამინდელმა პატრიარქმა ბართლომეოს I-მა.

ხალკის სემინარია (იგივე საღვთისმეტყველო სკოლა) 1844 წელს დაარსდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანე IV-ის ინიციატივით, ხოლო პატრიარქ კონსტანტინე I-ის მატერიალური ძალისხმევით ყოვლადწმინდა სამების მონასტრის ტერიტორიაზე აიგო. 1894 წელს, მიწისძვრის შემდეგ, მონასტრისა და სემინარიის შენობები დაინგრა (ტაძრის გარდა), სემინარია ხელახლა 1896 წელს გაიხსნა. იგი ცნობილია თავისი მდიდარი ბიბლიოთეკით, რომელიც 120 ათასზე მეტ წიგნს ითვლის.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი ხარლამპი (ხომასურიძე) 1874-1960

არქიმანდრიტი ხარლამპი, ერისკაცობაში — ხარება ზაქარიას ძე ხომასურიძე 1874 წელს, საჩხერის მაზრის სოფელ სპეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება პატარა ხარებამ სოფლის სკოლაში მიიღო. XIX საუკუნის მიწურულს ბერად აღკვეცის სურვილით იგი დავით გარეჯის მონასტერში მივიდა, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. 1902 წლის 11 თებერვალს ამავე მონასტერში საბერო მორჩილად განამწესეს. 1907 წლის 17 მაისს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა დოსითეოსმა (ბერძნიშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად ხარლამპი უწოდა. 1910 წლის 10 აპრილს მამა ხარლამპი წერილს უგზავნის აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესს და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ანტონს (გიორგაძე) — **„თქვენო მაღალღირსებავ, მაღალღირსო მამაო არხიმანდრიტო. ვერ ვიტან ადგილობრივ ჰაერსა, ხშირათ ავათ ვხთები რევმატიზმით და სხვა ავათყოფობით ნესტიან სენაკში და ვინაიდან ნათლისმცემლის მონასტერში უფრო მშრალი ალაგია, უმორჩილესად გთხოვთ, მაღალღირსო მამაო, გადამიყვანოთ თქვენს მიერ მარწმუნებელ მონასტერში და შემრაცხოთ ძმათ რიცხვში შტატზე".** საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებით, მამა ხარლამპის უარი ეთქვა ამ თხოვნაზე და იგი კვლავ გარეჯის მონასტერში დატოვეს. 1910 წლის 25 ივლისს ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ვახნინი) დიაკვნად აკურთხა. 1912 წლის 26 თებერვალს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) ბერ-დიაკონ ხარლამპეს მღვდლად დაასხა ხელი. 1913 წლის 11 თებერვალს შიომღვიმის მონასტერში გადაიყვანეს და მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა. 1915 წლის მარტში გათავისუფლდა ხაზინადრის თანამდებობიდან. ამავე წლის 3 ნოემბერს იგი თბილისის მაცხოვრის ფერისცვ-

წმინდა ანტონ მარტოყოფელის კოშკი

ვალების სახელობის მამათა მონასტერში გადაიყვანეს. 1918 წლის მიწურულს, გარდაცვალებამდე, მამა ხარლამპი მარტყოფის წმინდა ანტონის სახელობის მონასტერში მოღვაწეობს.

1923 წლის მარტში ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაარბია მარტყოფის ღვთაების მონასტერი და ბერებს ქონება და ძვირფასეულობა ჩამოართვეს. ერთი პერიოდი ტაძარიც დაკეტილი გახლდათ. თუმცა, მონასტერი მაინც აგრძელებდა ფუნქციონირებას. 1926 წლის 19 ივლისს სოფელ მარტყოფის მოაგარაკენი ითხოვენ ტაძრის ამოქმედებას. **„ჩვენ, როგორც აღზრდილნი ქრისტიანული წესით და მასთან, მამა-პაპით მლოცველნი წმინდა ანტონი მარტომყოფელის ეკლესიისა, გთხოვთ პატივისცემით ყველა მოაგარაკენი განურჩევლად ეროვნებისა, გაგვიხსნათ დაბეჭდილი ეკლესიები წმინდა ანტონის მარტომყოფელისა, დასაკმაყოფილებლად ჩვენის სარწმუნოებრივი სურვილისა, რაზედაც ხელსა ვაწერთ“.** განცხადებაზე 32 ადამიანი აწერს ხელს. როგორც ჩანს, მთავრობამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ტაძარი გაიხსნა, რადგან ამის შემდეგ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით იქ აღესრულებოდა წირვა-ლოცვა. მაგ: 1932 წლის 9 აგვისტოს ურბნელ-მაწყვერელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (სიდამონიძე) მარტყოფის მონასტრის ტაძარში ჩაატარა წირვა და ლიტურგიაზე შეასრულა ხელდასხმის საიდუმლო. ბერ-დიაკონი იოაკიმე (რამაზაშვილი) მღვდლად აკურთხა, ხოლო მწირმონაზონი ანდრია (კობლიშვილი) — დიაკვნად. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მარტყოფის სავანე რამდენჯერმე დაარბიეს ყაჩაღებმა და კომუნისტებისგან მიგზავნილმა ავაზაკებმა. 1941 წელს მამა ხარლამპი, სხვა ბერებთან ერთად, იძულებული გახდა სოფელ ნორიოში გადასულიყო საცხოვრებლად, ხოლო მამა გერმანეს გარდაცვალების შემდეგ კი იქვე მთაზე მდებარე წმინდა ანტონ მარტყოფელის კოშკში განმარტოვებულიყო სამოღვაწეოდ.

როგორც მონახსოვრე პირები გადმოგვცემენ, მამა ხარლამპის წმინდა ცხოვრებით უცხოვრია. მისი ასკეტური ცხოვრება იქიდანაც ჩანს, რომ ღვთაებაში მკაცრი კლიმატური პირობებია, განსაკუთრებით სვეტზე, სადაც ზამთარ-ზაფხულ ცივი ქარები იცის. სწორედ სვეტზე ჰქონდა მოწყობილი პატარა სენაკი წმინდა ბერს. XX საუკუნის 30-იან წლებში ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო, ილუმენის წოდება მიენიჭა. 1947 წელს, მონასტრის ყოფილი წინამძღვრის, არქიმანდრიტ გერმანეს (იაშვილი) გარდაცვალების შემდეგ, მამა ხარლამპი მარტო განაგრძობდა მოღვაწეობას. XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნატერსმა კალისტრატემ (ცინცაძე) მას არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა.

მარტყოფის მონასტრის საძმო. XX ს-ის 20-იანი წლების ბოლო. მარჯვნივ ზის ილუმენი ხარლამპი

XX საუკუნის 50-60-იან წლებში ღვთაების მონასტერში უპატრონო ბავშვთა სახლი გაუხსნიათ. ღირსი მამა სიყვარულით ლოცულობდა მათთვის და შეძლებისდაგვარად ღმრთის სიყვარულს უნერგავდა, ხშირად ასაჩუქრებდა კიდეც მათ თავისი დანაზოგიდან. მამა ხარლამპის, მიუხედავად ათეისტური მთავრობის ცინიკური დამოკიდებულებისა, თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა. 1955 წლის 24 მარტს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) არქიმანდრიტი ხარლამპი კახეთში, ალავერდის ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ გადაიყვანა. 1956 წელს, თავისი თხოვნით, ისევ მარტყოფის მონასტერში დააბრუნეს. მიუხედავად ხანდაზმულობისა (როგორც გადმოგვცემენ), მამა ხარლამპის სიცოცხლე მოუსწრაფეს. მისი სახით კიდევ ერთი მოწამე შეემატა ქართულ ეკლესიას. თავისი ანდერძისამებრ, მარტყოფელმა და ნორიოელმა მორწმუნეებმა არქიმანდრიტი ხარლამპი სვეტთან ახლოს დაკრძალეს.

ათეული წლები მისი საფლავი პატარა რკინის ნიშნით იყო აღნიშნული. რამდენიმე წლის წინ კი მარტყოფის მონასტრის საძმოს მიერ მოხერხდა მის საფლავზე ქვის დადება.

ნორიოელი და მარტყოფელი მორწმუნეების მოგონებები

ტყის მცველი შალვა დელიბაშვილი გვიამბობს: „როცა ხარლამპე გარდაიცვალა, ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორმა პლატონმა ტყის მცველებს შეგვატყობინა, რომ მიცვალებულისთვის გვეპატრონა. ფული შევკრიბეთ მე, ჩემმა ძმამ — მირიანმა, ზაქარია დელიბაშვილმა, ზაქარიას ძმამ — დათა დელიბაშვილმა, გავაგებინეთ მარტყოფელებსაც. დავმარხეთ, როგორც ეკადრებოდა ამ პატიოსან ბერს. ქელეხისათვის ხალხს მოჰქონდა ყველაფერი: პური, ყველი, მწვანილი, ლობიო. ნორიოს უბნის რწმუნებულმა ლობიო მოიტანა. ხალხს გამზადებული მოჰქონდა ზოგიერთი კერძი. ნო-

საპატრიარქოს სიტყვა

რიოელებმა და მარტყოფელებმა ხარლამპე მიწას მიაბარეს მამა ანტონის კოშკის მახლობლად. დღეს მის საფლავზე პატარა რკინის ნიშანია“.

არქიმანდრიტი ხარლამპი (ხომასურიძე)

ევგენი (ჟენკა) ვამლეტის ნაამბობი: „ხარლამპე ბერი გარდაიცვალა 1960 წლის 4 ნოემბერს, დავმარხეთ 7 ნოემბერს. ძალიან მიყვარდა ეს ადამიანი. ერთხელ მითხრა: შვილო, როცა მოვკვდები, აი, ამ მსხლის ძირში დამმარხეთო. ანდერძი შევუსრულეთ. საფლავი ჩემი ხელით გავუთხარე. სურათიც მქონდა ხარლამპისთან გადაღებული.

ევა მამადაშვილი-ცქიფურიშვილი: აბეშიკებმა დამარხეს ხარლამპე ბერი. ჩემი ქმარიც დაესწრო დაკრძალვას. ხარლამპის დაკრძალვას დაესწრო მისი ნათესავი ქუთაისიდან. ერთხელ, ძმას და ძმისშვილს უთხოვიათ ამ წმინდა კაცისათვის, წამოდი ჩვენთან, ჩვენ გიპატრონებთო, მაგრამ ამ კაცმა ვერ დათმო ღვთაების მონასტერი და მამა ანტონის კოშკი.

ვერა ქოპილაშვილის ნაამბობი: როცა ღვთაებიდან ბერები გამოაძევეს, ისინი დაბინავდნენ ნორიოში, ლადო აზირაშვილის ძველ სახლში. იმ ფუძეზე დღეს სოლომონ აზირაშვილის საცხოვრებელი სახლია. გამოძევებული ბერები იყვნენ: გერმან ბერი, ხარლამპე ბერი, იოაკიმ ბერი და მარტყოფელი ბრმა ბერი, მგონი იოსები ერქვა.

მარტყოფელი ბრმა ბერი სანამ ღვთაებაში მოღვაწეობდა, იქიდან მარტყოფში ფეხით ჩადიოდა გამცილებლის გარეშე და გზა არ ერეოდა, ამბობდნენ: ღვთის ძალით დადის შეუმცდარადო.

იოაკიმე ბერი კაჭრეთიდან იყო და წავიდა თავის მხარეში.

გერმანე ბერი ხარლამპიზე ადრე გარდაიცვალა, აითალამ დამარხა ღვთაების შესასვლელთან.

აზირაშვილი ლადოს სახლიდან ბერები დაბინავდნენ ფირანა კურატიშვილის სახლში.

ციალა მამადაშვილი-უერთაშვილი: ხარლამპე ბერი ერთხანს შვინდაძეში ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — ბასილ აფციაურის ოჯახში. სულ მარხვას ინახავდა, ლობიანებს აცხობდა ხოლმე. ბოლოს გულმა ველარ მოუთმინა, ისევ მამა ანტონის კოშკთან მდებარე ღარიბულ სენაკში დაბინავდა, იქვე გარდაიცვალა.

შალვა დელიბაშვილი: გერმან ბერის სამარხი დაზიანდა, როცა ღვთაებასთან მითხარ-მოთხარეს, ძვლები ამოყარეს. მე რომ ტყის მცველად დავიწყე მუშაობა, ეს ბერი უკვე მკვდარი იყო. ტერიტორია, სადაც ღვთაების სამონასტრო კომპლექსი და მამა ანტონის კოშკია, შედიოდა ზაქარია დელიბაშვილის სამცველოში. ამიტომ ხშირად გვიხდებოდა ურთიერთობა იქ მოღვაწე ბერებთან.

გოგი დელიბაშვილი, ტყის მცველის ზაქარია დელიბაშვილის ვაჟი: ტერიტორია, სადაც „ღვთაების“ სამონასტრო კომპლექსი და მამა ანტონის კოშკია განლაგებული, მამაჩემის სამცველოში შედიოდა. შემთხვევითი არაა, რომ როცა ხარლამპე ბერი გარდაიცვალა, ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორმა პლატონ სალუქვაძემ მამაჩემს შეატყობინა, რომ ამ წმინდა ადამიანისთვის პატრონობა გაგვეწია. მამაჩემმა ითავა ამ კაცის დაკრძალვა, მოეთათბირა ტყის მცველებს, შეკრიბეს ფული. ნორიოს საბავშვო სახლს ემსახურებოდა მარტყოფელი მძღოლი გუგულა ოშაყმაშვილი. მისი მანქანით მოიტანეს კუბო, პროდუქტი. ეს მძღოლი, მამაჩემი და ნორიოს უბნის რწმუნებული კუკური ჭიჭინაძე — ეს სამი კაცი იყო ხარლამპეს დამარხვის მოთავე.

ჭირისუფალი ქალებიც იყვნენ: აითალას ცოლი — ოლა ძამაშვილი, შუნაანთ ანიკო შარაშენიძე. მამაჩემმა ცხვარი დაუკლა ხარლამპეს.

ეს პატიოსანი ბერი დიდი პატივით დაიმარხა. ქუთაისიდან დაკრძალვაზე ჩამოვიდა მისი ნათესავი.

ნინა ტაბლიაშვილი: ჩემი ქმარი ვანო იყო ტყის მცველი შალვა დელიბაშვილზე წინ. მის სამცველოში შედიოდა ღვთაების ეკლესიის მიმდებარე ტყე. შალვამ დაპატიჟა ჩემი ქმარი ხარლამპეს ქელეხში. ხარლამპე მგონი ჭიათურიდან იყო.

ჩვენი გაზეთის №2-ში, II გვ. დაბეჭდილი ალილოს მსველელობის ამსახველი ბოლო ფოტო მოგვაწოდა პატარა მეალილოეს დედამ, რის გამოც ვერ მივუთითეთ ავტორი ირაკლი ტაბატაძე.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchate_georgian@yahoo.com, patriarchatepresscenter@gmail.com მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

უცხოეთის ქრონიკა

აშშ-ში რწმენის თავისუფლება იზღუდება

აშშ-ში ჩატარებულმა ახალმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელთა ნაწილი, განსაკუთრებით პროტესტანტები და ევანგელისტები, თვლიან, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში რელიგიური თავისუფლება მკვეთრად იზღუდება.

ცალკეული რელიგიური დაჯგუფებების გამოკითხვამ აჩვენა, რომ 71% ევანგელისტი, 46% პროტესტანტი და 30% კათოლიკე „ძალიან შეშფოთებულია" ამ პერსპექტივით. ეს შეშფოთება ეხება არა მარტო რელიგიური თავისუფლების მომავალს, არამედ თანამედროვე შეზღუდვის ნორმას. „ამერიკა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება რელიგიურად, — აცხადებენ კვლევის ორგანიზატორები, — ეს ტენდენცია, ქრისტიანობასთან ერთად, მოიცავს სხვა რელიგიებისა და სხვა ქრისტიანული მიმდინარეობების ზრდა-გაფართოებასაც, ასევე იზრდება იმ ადამიანთა სეგმენტი, ვინც არც ერთ რელიგიურ დაჯგუფებას არ მიეკუთვნება. ეს სოციალური განსხვავება ქმნის დაძაბულობას".

კვლევამ ასევე აჩვენა „რელიგიური თავისუფლების" გაგების ფართო სპექტრი. დაახლოებით 90% ამერიკელი თანხმდება, რომ „რელიგიის ნამდვილი თავისუფლება ყველა მოქალაქის სინდისის თავისუფლებას გულისხმობს. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სჯეროდეთ და პრაქტიკულად გამოხატონ თავიანთი რელიგიის მთავარი ვალდებულებები და ფასეულობები".

ამერიკელთა ერთი ნაწილი კი რწმენის თავისუფლების შეზღუდვის გახშირებას მიაწერს იმ ჯგუფებს, რომლებიც აქტიურად ცდილობენ საზოგადოება ტრადიციულ ქრისტიანული ფასეულობებს მოწყვიტონ.

თურქეთი ხალკის სკოლის გახსნის პროცესს აჩქარებს

28 იანვარს თურქულმა გაზეთმა „Hurriyet"-მა გააჟღერა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რ. ერდოღანის სურვილი ხალკის საღვთისმეტყველო სკოლის გახსნის პროცესის დაჩქარების შესახებ. პრემიერის თქმით, ეს ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული გადაუწყვეტელი საკითხი ჩრდილს აყენებს თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებამ სახელმწიფო კომისია ჩამოაყალიბა, რომელსაც პრემიერ-მინისტრის მრჩეველი უხელმძღვანელებს.

ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც ხელისუფლება განიხილავს, გულისხმობს ხალკის სკოლის გახსნას ადგილობრივი უნივერსიტეტის რელიგიური ფაკულტეტის სახით, რომლის დეკანიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი მიტროპოლიტი იქნება.

თუკი თურქეთის ხელისუფლება მიიღებს კანონს ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური უნივერსიტეტები გაიხსნას, ხალკის სკოლას შეეძლება გახდეს საბერძნეთის, აშშ-ის ან სხვა რომელიმე ქვეყნის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ქვეგანყოფილება. ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა, რომელ ენაზე წარიმართება სწავლება.

თუმცა, როგორც გაზეთი **„Hurriyet"** იუწყება, კონსტანტინოპოლის პატრიარქი არ ეთანხმება ხალკის სკოლის რომელიმე უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლას.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი სერაპიონი (ახვლედიანი)
„მოძღვარი ეპისკოპოს გაბრიელისა"
1819-1911

არქიმანდრიტი სერაპიონი 1819 წელს სამეგრელოში, სენაკის მაზრაში, სოფელ გურძემში აზნაურის ოჯახში დაიბადა. მისი დედა იყო ანა გიორგის (ბერობაში გერასიმე) ასული ქიქოძე (მამიდა იმერეთის ეპისკოპოს წმ. გაბრიელისა). საერო განათლების მიღების შემდეგ, 1845 წლის 15 იანვარს სერაპიონი ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში მორჩილად მიიღეს, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. 1846 წლის 15 იანვარს (მეორე ვერსიით 1849 წლის 20 ივლისს) ჯრუჭის მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად სერაპიონი ეწოდა. 1847 წლის 26 იანვარს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) ბერი სერაპიონი დიაკვნად აკურთხა. 1856 წლის 20 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ (გოგოლაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი და გელათის მონასტრის საძმოში განამწესა. 1860 წლის 12 მაისს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა. 1861 წლის 1 მაისს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ლოცვაკურთხევით მამა სერაპიონმა მოიარა იმერეთის ეპარქიის სოფლები და შეაგროვა ფული გაძარცვული ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის შესამკობად და მოწამეთის მონასტრის შესაკეთებლად. 1861 წლის 26 სექტემბრიდან იგი მოწამეთას მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამავე პერიოდში მიიღო ჯილდო — ბრინჯაოს ჯვარი ყირიმის ომის სამახსოვროდ. 1862 წლის 2 მარტს მამა სერაპიონს ილუმენის წოდება მიენიჭა. მისი წინამძღვრობის დროს მოწამე-

არქიმანდრიტი სერაპიონი (ახვლედიანი)

თას მონასტრის ბაგრატ მეფის დროინდელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია გაფართოვდა, დაშენდა ახალი გუმბათი (წინა ძალიან პატარა ყოფილა), მოიხატა ტაძარი, გაკეთდა ახალი კანკელი და მონასტერი შეიმკო ყველა საჭირო სამკაულით. 1865 წლის 2 ოქტომბერს განახლებული ეკლესია იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა საზეიმოდ აკურთხა.

1862 წლის 9 მარტს ათონის წმინდა მთაზე გარდაიცვალა ცნობილი მოსაგრე და ასკეტი მამა, სქემმღვდელმონაზონი ბენედიქტე (ქიოტიშვილი), რომელიც ივერონის მახლობლად მდებარე წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის კელიაში ცხოვრობდა. მისი სულიერი შვილი გახლდათ ეპისკოპოს გაბრიელის ხორციელი ძმა, სქემმონაზონი ბესარიონი. მოძღვრის გარდაცვალების შესახებ მან წერილით აცნობა ათონიდან თავის ძმას და ამასთანავე სთხოვდა, რომ მამა სერაპიონი გაეგზავნა ათონზე სამოღვაწეოდ. აი, რას წერდა იგი: **„პირველად ჩემი ცოდვილი პირით ვითხოვ ღვთისაგან შენ სიცოცხლეს და ცხოვრებას. ამასთან, ვიცი, ჩემ ვითარებას იკითხავ. დაბნელდა ჩემი სიცოცხლე. ჩემი მოძღვარი ვენედიქტე მოკუტა და მე და ჩემი შვილები — გრიგოლ რატიანი და ქრისტეფორე, ჩვენი მამიდასშვილი ვართ და შაბათობით ეკლესიებშიდ თორგა მოკიდებული დავღოღავთ ზიარებისათვის. შემინდევი ნამეტანი მწუხარებისაგან კადნიერებით მოგიწერ ძმაო, გაბრიელ. მართალია, არაფერი კეთილი არა მიქნია შენთვის, მაგრამ შეიწყალე ჩემი მოხუცებულობა და ჩემი შვილების მწუხარება დაბნელებულთა, ამით განგვინათლე ცხოვრება და განგვიცოცხლე ჩვენი მოძღვარი. გამომიგზავნე ჩემი მამიდაშვილი სერაპიონი ღვდელმონაზონი ახვლედიანი. ესეც იქნება შენ გინდოდეს, იქა საჭირო არისო არხიმანდრიტად ანუ წინამძღურათ. შემინდევით! მრავალი მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი არის მთაწმინდაშიდ, დატოვეს ადგილი და შეიმოსეს სქემა...“**

სამწუხაროდ, ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავის ძმას ეს თხოვნა ვერ შეუსრულა. საპასუხოდ გაგზავნილ წერილში ჩანს, რომ თავად მამა სერაპიონმა არ ისურვა ათონის მთაზე წასვლა და იქ სამუდამოდ დარჩენა. თუმცა, შემდგომ წლებში მან მაინც იმოგზაურა იერუსალიმსა და ათონის მთაზე.

1864 წლის 16 ივნისს მონამეთას მონასტრის წინამძღვარი, ილუმენი სერაპიონი და გელათის მონასტრის მორჩილი თეოდორე ერისთავი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას თხოვნით მიმართავენ: **„ჩვენ, ზემორე ამა თხოვნისა, განცხადებულად ილუმენის და მორჩილის ერთის თვის ვადით გვსურს რა წარმგზავრება საზღუარსა გარეთ, ქ. იერუსალიმში, თაყვანის საცემელად საფლავსა უფლისა, უმორჩილესად გთხოვთ, განკარგულებასა სინოდის კანტორისასა ნების მიცემისათვის ჩუენდა ამა მოგზაურთა ზედა“.** როგორც შემდგომში განვითარებული მოვლენებიდან ირკვევა, იმ ეტაპზე მათი მოსალოცად წასვლა რაღაც მიზეზების გამო შეფერხდა. მხოლოდ 1867 წელს მოახერხეს მათ თავიანთი სურვილის განხორციელება. სქემმონაზონი ბესარიონი მათი მოგზაურობის შესახებ ისტორიკოს პლატონ იოსელიანს წერდა: **„სული მრავალი მოდიან ქართველები, ყოველ მონასტერშიდ პატივი აქვთ და ივერიაშიდ კაცი არ შეუშობს და არცა ღამეს გაათევიებს. ჯრუჭის არქიმანდრიტი და გელათის საბერო ერისთავი მოვიდა და რუსებთან შეიწყნარეს და აქ ივერიაშიდ არა“.**

1866 წლის 30 იანვარს მეუფე გაბრიელმა ილუმენი სერაპიონი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანა და არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. აქაც მამა სერაპიონმა შეაკეთა მონასტერი, გადახურა იგი ახლიდან, დაუბრუნა სოფელ ქორეთის ადგილ-მამული, 5000 ათასი მანეთის შემოსავლით. ქუთაისში შეიძინა სამი დუქანი, საიდანაც 800 მანეთი შემოსავალი შემოდიოდა. ამ დამსახურებათა გამო, 1870 წლის 27 მაისს იგი წმინდა ანას III ხარისხისა და 1874 წლის 22 აპრილს წმინდა ანას II ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდა.

1875 წლის 18 აპრილს არქიმანდრიტი სერაპიონი გელათის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1876 წლის 1 ივლისს იგი იმერეთის ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესად აირჩიეს და ამ თანამდებობაზე იგი 1894 წლის 19 ოქტომბრამდე იმყოფებოდა. 1878 წლის 30 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1885 წლის 15 აპრილს ერთგული და ნაყოფიერი სამსახურისათვის მღვდელმთავრული მადლობა გამოეცხადა. მისი მოღვაწეობის პერიოდში გელათის მონასტერში აშენდა ეპისკოპოსის ახალი რეზიდენცია, მონასტრის ძმათა საცხოვრებელი სახლი, რამდენჯერმე შეკეთდა მონასტრის ეკლესია-ნაგებობანი. ამ დამსახურებათა გამო იგი წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

გელათის მონასტერში მისი წინამძღვრობის ბოლო წლებში რამდენიმე არასასიამოვნო ფაქტი მოხდა, რამაც საბოლოოდ დაჩქარა მისი პენსიაზე გაშვება. 1904 წლის 24 მაისს საქართველოს ეგზარქოსი ალექსი (ოპოცკი) იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) წერდა: **„ყოვლად მისაღები იქნება მოეწყოს თბილისის სასულიერო სასწავლებლის**

მღვდელ-მონაზონი რომელიმე მონასტრის წინამძღვრად. არ თვლით საჭიროდ, რომ გელათის მონასტრის სტარეცმა დატოვოს თანამდებობა სიბერის გამო. ნიკოლოზი კი (იგულისხმება მომდევნო წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე — გ.მ.) შეიძლება დანიშნოთ გელათის მონასტრის წინამძღვრად".

1904 წლის 4 სექტემბრიდან, მოხუცებულობისა და უძლურების მიზეზით, მამა სერაპიონი გათავისუფლდა წინამძღვრობიდან და პენსიაზე გავიდა. იგი, როგორც მონასტრის უშტატო წევრი, ისე ცხოვრობდა გელათში. 1905 წლის 1 იანვრიდან მას დაუნიშნეს პენსია 180 მანეთი, ხოლო 1908 წლიდან — 299 მანეთი და 68 კაპიკი.

შემორჩენილია არქიმანდრიტ სერაპიონის ცხოვრებიდან რამდენიმე მოგონება და ეპიზოდი, რომლებიც სხვადასხვა წიგნებშია აღწერილი.

როდესაც წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების შემდგენელი და ბიოგრაფი, დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე თავის წიგნში — „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა", აღწერს მეუფე გაბრიელის უკანასკნელ დღეებს, რამდენჯერმე ახსენებს მამა სერაპიონსაც: **„ბორჯომში ჩასულმა ეპისკოპოსმა ჩქარა იგრძნო თავი უკეთ, აბანოებიც დაათვალიერა. მაგრამ მალე აიჩქარა ქუთაისისკენ გამომგზავრება. თბილისიდან მოწვეულმა ძმისწულმა ექიმმა ბევრი უმტკიცა ბორჯომში დარჩენის აუცილებლობა და სიკეთე, მაგრამ ვერა გააწყო რა ჯიუტ ბიძასთან. ქუთაისიდან მამიდაშვილი არქიმანდრიტი სერაპიონიც ეწვია და ურჩევდა — დარჩიო, მაგრამ არც ამისი მიიღო რა, სულ ერთთავად გაიძახოდა ქუთაისში საქმეები მაქვს სემინარიაში და წამიყვანეთო.**

წამოიყვანეს, მივიდნენ ქუთაისში. მდგომარეობა გაუარესდა. შიში გაძლიერდა. საქმეს სიკეთე არ ემჩნეოდა. ჭირისუფლებმა არ იცოდენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ისევ ექიმთა თათბირი. გადაწყდა გელათში წაყვანა. წაიყვანეს და თანაც სინოდში ხელმეორე შუამდგომლობა აღიძრა ახალი თავისუფლების ნებადასართველად უფრო დიდი ვადით. სინოდმა ექვსი თვის ვადა მისცა.

თვითონ ძლიერ ნატრობდა გელათს, როცა ბორჯომში იყო.

— მარკოზ! მიუბრუნდა ერთხელ მესენაკეს, — გელათში წამიყვანე, მე ბერი ვარ და ბერებთან ცხოვრება მინდა, აქ სულის საზრდო მომაკლდა და ის მაწუხებს. ხომ იცი, არქიმანდრიტი სერაპიონი ჩემი რა არის? ჯერ ნათესავია ჩემი და მერე მოძღვარი, მენატრება მისი ნახვა".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) თავის მოგონებებში — „რაც გამახსენდა" — იგონებს გელათის მონასტერში თავის სტუმრობას, სადაც ის შეხვდა ეპისკოპოს გაბრიელსა და არქიმანდრიტ სერაპიონს. ეს იყო 1892 წელს. ამ წელს მან კიევში დაამთავრა სასულიერო აკადემია და სამშობლოში დაბრუნებული, სამსახურს ეძებდა. აი, რას ვკითხულობთ მის მოგონებებში:

„აგვისტოს 15/28 მარიამობის დღეს ქედის წმინდა გიორგის ეკლესიაში ტაძრის დღეობა იყო. იქ ვნახე ჩემი ყოფილი ამხანაგი, მღვდელი ალექსი (შემდეგში ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი) გიორგაძე. მითხრა: აქ რას აკეთებ, გაბრიელ ეპისკოპოსმა უკვე დაგნიშნა ქუთაისშიო, ჩამოდი, ყველანი გკითხულობენო. რამდენიმე დღის შემდეგ წაველ ქუთაისში, მითხრეს — გაბრიელ ეპისკოპოსი გელათშიაო. ვეახელ: ესიამოვნა. მცირე საუბრის შემდეგ მიბრძანა, მონასტერი კარგად დაათვალიერეთ და ორ საათზე სადილზე მეწვიეთო...

როცა სადილობის დროს მოვიდა, შემიყვანეს არა სასახლის ზემო სართულზე, სადაც ბინადრობდა ყოვლადსამღვდელო, არამედ — ქვემო სართულში, არქიმანდრიტ სერაპიონ ახვლედიანის სასადილო ოთახში. მისი მეუფება უკვე იქ ბრძანდებოდა. სასადილო წარმოადგენდა პატარა ოთახს — 3+3 მეტრზე არა უვრცელესს. ყრუ კედლის მხარეს თვით დაიჭირა ადგილი, მარჯვნივ მე დამისვა, ხოლო პირდაპირ არქიმანდრიტი დაჯდა. მაგიდაზე გადაფარებული იყო „კლიონკა", იდგა ორი ბოთლი — ღვინით, ერთი გრაფინკა — წყლით, სამი ღვინისა და ერთი წყლის ჭიქა. თეფშებზე ელაგა თონის პური, ახლად გამომცხვარი მჭადი და ცოტაოდენი ყველი — სულგუნი. შემოიტანეს ქათმის „სუპი". არქიმანდრიტმა წაიკითხა „მამაო ჩვენო", მისმა მეუფებამ აკურთხა სასმელ-საჭმელი. საჭმლისათვის თითქმის ხელი არ უხლია, მეკითხებოდა: ამა თუ იმ საგანს ვინ ასწავლის აკადემიაში, რომელი სახელმძღვანელოები უფრო მიღებულია ფსიქოლოგია-ფილოსოფია-

არქიმანდრიტ სერაპიონის ძმა დეკანოზი გიორგი ახვლედიანი შვილებთან ერთად

გელათის მონასტერი XX საუკუნის დასაწყისში

დოგმატიკაშიო. როცა მოვახსენე, იკითხა, რა განსხვავებაა მაკარი მიტროპოლიტის და სილიბისტრო ეპისკოპოსის კურსებშიო. სათანადო განმარტების შემდეგ თქვა, სილიბისტროს კურსი უნდა სჯობდესო (მე არა მაქვს წაკითხულიო), ვინაიდან აქ ყოველი დოგმატი ისტორიულად ყოფილა გაშუქებულიო...

ჩვენი ბაასის დროს არქიმანდრიტმა სერაპიონმა თავისი ბოთლიდან დაისხა ღვინო და მეც დამისხა. ყოვლადსამღვდელომ უბრძანა:

— „შენ ამ ყმაწვილის მოკვლა ხომ არ გინდა? მაგ ღვინის დალევა შეუძლია შენისთანა ყელ-მუცელ გამომწვარ კაცსაო“, მოითხოვა ჭიქა და დამისხა თავისი ბოთლიდან ტკბილი, წითელი (ყიფიანურად ცნობილი) ღვინო. არქიმანდრიტმა მოახსენა:

— „ამ უცნობ ახალგაზრდასათვის რომ იმეტებ მაგ ღვინოს, რა იქნება ჩემთვის, შენი ნათესავისა (მართლაც, ნათესავები და მეგობრები იყვნენ) და მოხუცისათვისაც გაიმეტოო?“

— შენ რომ ეს ღვინო დაგალევინო, სამი ბოთლიც არ გეყოფა და მეოთხესაც მომთხოვო, ამას კი, როგორც ვატყობ, ორი ჭიქაც ბევრი მოუვაო“.

მართლაც, არც თავად დაულევია ორ ჭიქაზე მეტი და არც ჩემთვის შემოუთავაზებია. განმარტა კიდეც: „გონებით მომუშავე კაცს ორ ჭიქაზე მეტი ღვინო აწყენსო“. შემოიტანეს საჭმლის „მეორე თავი“, რომელსაც წარმოადგენდა „აქნილი“ ქათმის ნაჭრები, მხოლოდ შემწვარი, ნივრის წყალში ჩალაგებული (თუ არ ვცდები, სუპში რომ ქათამი იყო, იმის ნახევარი). სადილიც ამით გათავდა“.

საქართველის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია არქიმანდრიტ სერაპიონის რამდენიმე ქადაგება, რომლებიც მან ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრობის პერიოდში წარმოთქვა.

არქიმანდრიტ სერაპიონს ჰყავდა ოთხი ძმა: სქემმღვდელმონაზონი ქრისტეფორე (მოღვაწეობდა ათონის წმინდა მთაზე. გარდ. 24.02.1896), დეკანოზი გიორგი, ალექსი და იოანე. დეკანოზ გიორგის შვილები იყვნენ, შემდგომში თეკლათის მონასტრის წინამძღვარი, სქემიღუმენია ქეთევანი (გარდ. 23.03.1957) და სქემმონაზონი რიფსიმე (გარდ. 22.01.1958), ალექსის შვილი — სქემიღუმენია ელენე (გარდ. 29.03.1965), ხოლო იოანეს შვილი კი — ბერი ალექსანდრე (გარდ. 27.07.1895).

არქიმანდრიტი სერაპიონი 1911 წლის 28 აპრილს, შუადღის ოთხ საათზე გელათის მონასტერში გარდაიცვალა. იგი 1 მაისს დაასაფლავეს მთავარი ტაძრის სტოაში. საფლავის ქვაზე არის წარწერა: **„ამას ლოდსა ქვეშე განისვენებს გაენათის მონასტრის არხიმანდრიტი და მოძღვარი ნეტარ ხსენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა სერაფიონი ტომით ახვლედიანი — შობიდან 101 წ. ემსახურა ამ დიდებულ მონასტერს 40 წ. გარდაიცვალა 1911 წ. 28 აპრილს“.**

არქიმანდრიტ სერაპიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, იმერეთში გამომავალი სასულიერო ჟურნალი „შინაური საქმეები“ მე-12 ნომერში, პირველ გვერდზე წერდა: **„გარდაიცვალა გელათის მონასტრის ყოფილი მხცოვანი წინამძღვარი, არქიმანდრიტი სერაპიონი (ახვლედიანი). განსვენებული დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა, როგორც წინამძღვარი, ჯერ მოწამეთას მონასტერში და შემდეგ გელათის მონასტერში. უკანასკნელ ხანებში, აგერ ექვსი წელიწადია, იგი მონასტერს აღარ განაგებდა მოხუცებულობის გამო. იგი იყო მოძღვარი ღვთისგანსვენებული ეპისკოპოს გაბრიელისა. განსვენებული არქიმანდრიტი დაასაფლავეს გელათის მონასტრის საკრებულო ტაძარში“.**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ლომგულის მემატიანე 1191 წლის ქრონიკაში. მონასტრის ძველი ეკლესია XV საუკუნეში აღუდგენიათ, ხოლო ახალი დიდი ტაძარი — 1855-1867 წლებში. მის გვერდით მრავალრიცხოვანი მომლოცველებისათვის სხვადასხვა დანიშნულების შენობებიც აუგიათ.

თურქების შემოჭრის შემდეგ, 1974 წლიდან, მონასტერი საერთოდ არ შეკეთებულა, შენობები საგრძნობლად დაზიანდა.

აღდგენის გეგმა შეიმუშავა ქალაქ პატრის უნივერსიტეტმა, იგი სამ ეტაპს მოიცავს. ფინანსებისათვის გამოიყოფა 2,5 მილიონი ევრო. ამ სახსრებს გაიღებენ კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია, ევროკავშირი, აშშ-ის მთავრობა, გაეროს განვითარების პროგრამა და თავად მორწმუნეები.

სტუდიის მონასტერს მეჩეთად გადაკეთებას უპირებენ

მართლმადიდებლობის ისტორიაში გამორჩეული სტუდიის მონასტერი თურქეთის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებიდან შესაძლოა ვაკუფის გენერალური სამმართველოს დაქვემდებარებაში გადავიდეს და მუზეუმ „აია სოფიას" ფილიალის ნაცვლად მეჩეთად გადაკეთდეს.

სტუდიის მონასტერი, რომელიც იოანე ნათლისმცემლის სახელზეა აგებული, კონსტანტინოპოლში V საუკუნეში დაარსდა. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტიური კულტურისა და სულიერების განვითარებაში. VII-VIII საუკუნეებში სავანე ხატმებრძოლობისა და ერესის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად იქცა.

ოსმალებმა 1486 წელს იგი მეჩეთად აქციეს. 1782 წლის ხანძრის შემდეგ სავანე საგრძნობლად დაზიანდა, 1820 წელს შეკეთდა, მაგრამ 1894 წელს მიწისძვრამ კვლავ დაანგრია. 1908 წელს ჩამოინგრა ტაძრის სახურავიც. ამჟამად დაზიანებული შენობა უმოქმედოა.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი დავით დუმბაძე 1849-1918

დეკანოზი დავით ანტონის ძე დუმბაძე 1849 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. სანამ უშუალოდ მამა დავითზე ვისაუბრებთ, საჭიროა, ერთი-ორი სიტყვით ვახსენოთ მამამისის, სრული მგალობლის — ანტონ დუმბაძის დიდი დამსახურება ქართული საეკლესიო გალობის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

ანტონ დუმბაძე მთელ საქართველოში გალობის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ და ავტორიტეტულ პიროვნებად ითვლეობდა. საერო სამსახურში იგი პოლიციის პორუჩიკი იყო. მას ცხრა შვილი ჰყავდა, რომელთაგანც უმეტესობა მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. მისი 7 ვაჟიდან ექვსმა სამხედრო კარიერა აირჩია, მათგან ოთხმა გენერალ-მაიორის ნოდებას მიაღწია. ერთ-ერთი ვაჟი იოანე იალტის გენერალ-გუბერნატორი და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან დაახლოებული პირი გახლდათ.

ანტონ დუმბაძე 1844 წლიდან გურიის საკათედრო ტაძარში სამღვდელმთავრო გუნდში გალობდა. გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი (ტუსკია) 1878 წლის 26 მარტს მის შესახებ წერდა: **„იგია უფროსი ყველა მგალობლებშიდ გურიის ეპარქიისა, ნიჭიერებისა გამო და სწავლასა ავრცელებდა გალობისას ამხანაგებში და სამღვდელოებათა შორისაცა, რომელიცა ეხლაც ავრცელებს გალობის სწავლად აქაურ ეპარქიაშიდ".**

1893 წელს მაქსიმე შარაშისა და წმ. ექვთიმე კერესელიძის ძალისხმევითა და ფინანსური თანადგომით, წმ. ფილიმონ ქორიძე ოზურგეთში, ქართული საეკლესიო საგალობლების გადასაღებად ჩავიდა. მას ამ საქმეში სწორედ ანტონ დუმბაძის დიდი იმედი ჰქონდა.

თავად ანტონ დუმბაძე გაზეთ „ივერიაში" წერდა: **„დიდი ხანი არ არის, რაც მთელს საქართველოში იყო აძრული ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ შესაძლო იყო თუ არა გარდაღება ქართულის საეკლესიო გალობისა ნოტებზედ, რომელზედაც მე იჭვნეული ვიყავი. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამ მოკლე ხანში, ამგვარ იჭვნეულობას და ლაპარაკს მოეღო ბოლო და მიეცა დასასრული, მით რომ ეს მეხუთე თვე არის, რაც პატივცემული ფილიმონ ქორიძე ყოველდღე დაუღალავად მუშაობს და შრომობს ამ საქმეზედ ქ. ოზურგეთში, ერთად ჩემისა და ჩემის შვილის — მღვდლის დავითისა და ერთის ჩემის შეგირდის — მოლარიშვილის დახმარებით.**

მე, როგორც გამოცდილს და მცოდნეს სრულის საეკლესიო ქართულის გალობისა, ის მაქვს სასიამოვნოდ, რომ ყოველი ეკლესიური გალობა გადადის ნოტებზედ, ისე შეუცვლელ და უნაკლულოდ იმ კილოზედ, როგორიც არსებობდა და არსებობს გურია-იმერეთში.

ამას გარდა, კიდევ გამოგვიჩნდა ერთი ყოვლადპატიოსანი მამულიშვილი და გულშემატკივარი ამ კარგის საქმისა, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა განხორციელებას ამ ძვირფასის საუნჯისას. მან არ მიხედა არც შრომას, არც ნივთიერ ხარჯსა და სარჯელს და საუკუნოდ ავალებს საზოგადოებას. ეს კა-

ცი არის ისევ ერთი გურულთაგანი — მაქსიმე შარაძე და მას ეხმარებიან მისი ამხანაგნიც".

ანტონ დუმბაძე, ეს ტკბილი მოხუცი და შესანიშნავი მგალობელი1907 წელს გარდაიცვალა.

მღვდელმა დავითმა ღირსეულად გააგრძელა თავისი მამისა და დუმბაძეთა გვარის სასულიერო და სამგალობლო ტრადიციები. მან დაამთავრა ოზურგეთის სამწლიანი სასულიერო სასწავლებელი. 1869 წლის 6 დეკემბერს დავითი საკათედრო ტაძრის კერძო დიაკვნად დაინიშნა. 1869 წლის 30 დეკემბერს გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1870 წლის 6 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. 1872 წლის 15 აგვისტოს შემოქმედის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს და ოზურგეთის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1875 წლის 25 აგვისტოს მღვდელი დავითი ოზურგეთის წმინდა მარინეს სახელობის ტაძარში განამწესეს. ამავე წელს ოლქის სამღვდელოებამ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრად აირჩია. 1877 წლის 3 აპრილიდან 1878 წლის 1 სექტემბრამდე რუსეთ-თურქეთის ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალის მღვდელი იყო. 1877 წლის ივლისში იგი ფრონტის ხაზზე დიდი რისკის ფასად დაჭრილი ჯარისკაცებისთვის ასრულებდა საეკლესიო წესებს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მოხერხდა აჭარის თურქეთის 300-წლიანი ბატონობისაგან გათავისუფლება. ეს დიდი ისტორიული მოვლენა იყო. ეს ძირძველი ქართული კუთხე ფორმალურად რუსეთის იმპერიას, ხოლო ფაქტობრივად – დედასამშობლოს დაუბრუნდა. ახალშემოერთებული კუთხე და მისი მოსახლეობა მაშინვე მოექცა „კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოების" ყურადღების ცენტრში. როდესაც რუსეთის ჯარი ბათუმში შევიდა, მას თან ახლდნენ როგორც რუსი, ასევე ქართველი სასულიერო პირები. ერთ-ერთი მათგანი იყო მღვდელი დავით დუმბაძე. ბათუმში საზეიმოდ შემოსულ რუსეთის ჯარს საეკლესიო ზარების გუგუნით მიეგება წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია და ამ ეკლესიის მრევლი. ეს იყო პირველი შემთხვევა ზარების რეკვისა, რადგან ადრე თურქები არ აძლევდნენ ეკლესიებზე ზარების დარეკვის უფლებას.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ბათუმში გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდა როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები. ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა ბერძნული ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ალექსი და ამ ისტორიული მოვლენის შესახებ ისაუბრა. მან დიდი სიყვარულით მოიხსენია მამა დავით დუმბაძე, რომელიც მანამდე რამდენჯერმე იყო ბათუმში ნამყოფი. ამ ვიზიტების დროს იგი ეცნობოდა ბერძნული და ბათუმში არსებული სხვა ეკლესიების წარმომადგენლებს. ანუგეშებდა ბათუმელ ქრისტიანებს და არწმუნებდა, რომ მალე ეს მხარე თურქთა ბატონობისგან გათავისუფლდებოდა. **„ჩვენ ვიცოდით, – აღნიშნავდა მამა ალექსი, – რომ მამა დავითი ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოების წევრი იყო და მას ვაწვდიდით ინფორმაციებს ბათუმში ქრისტიანთა მდგომარეობის შესახებ".** დასასრულ, მამა ალექსიმ ისიც აღნიშნა, რომ ის დიდად მადლობელი იქნებოდა, თუ მღვდელი დავით დუმბაძე, სხვებთან ერთად, დაჯილდოვდებოდა მედლით იმ თავდადებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ დიდი ისტორიული მოვლენის განხორციელებისათვის. შემდგომში, 1880 წლის 1 თებერვალს, იგი მართლაც დაჯილდოვდა წითელი ჯვრის საზოგადოების სამახსოვრო ჯვრით. ამავე პერიოდში დაჯილდოვდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახელობის ვერცხლის მედლით.

ანტონ დუმბაძე შვილებთან ერთად

1878 წლის 18 აგვისტოს მღვდელი დავითი გურიის ეპარქიის საეკლესიო ქონების აღმწერი კომისიის წევრად დანიშნეს. 1879 წლის 19 ივლისს ოზურგეთის ოლქის სამღვდელოების თხოვნით, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ დაამტკიცა მთავარხუცესის პოსტზე. მისი მთავარხუცესობის პერიოდში, მამა დავითის მეცადინეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა ოთხი ახალი ტაძარი: 1875 წელს იკურთხა ნიგოეთისა და გორისგვერდის წმინდა გიორგის, შუხუთის ღვთისმშობლის ეკლესიები, ხოლო 1881 წელს — წითელმთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. 1882 წლის 8 თებერვალს სინოდალური კანტორის გადაწყვეტი-

ლებით, მამა დავითი გურიის ეპარქიის სასულიერო სასამართლოს ხაზინადრად დაინიშნა.

1883 წლის 24 მარტს გურიის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) თხოვნით მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას მღვდელი დავით დუმბაძე დაეჯილდოებინა მოქალაქეობრივი გმირობის გამო:

„საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1881 წლის 13 ივლისს გურიის აწგანსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი (ტუსკია) შემოქმედის მონასტრის მოსალოცად და რევიზიის ჩასატარებლად მისულა. უკან გამობრუნებისას მდინარე ბუუის ადიდების გამო მეუფე ცხენიდან გადმოვარდა და წყალმა ხუთ საჟენზე წაიღო. მამა დავითი მაშინვე წყალში შევარდნილა და დიდი წვალებით გამოუყვანია წყლიდან ეპისკოპოსი გაბრიელი“.

დეკანოზი დავითი

მართლაც, 1884 წლის 9 მარტს წმინდა სინოდის დადგენილებით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ მღვდელი დავით დუმბაძე ოქროს მედლით დააჯილდოვა, 1884 წლის 2 მაისს, თავისი თხოვნის საფუძველზე მამა დავითი გათავისუფლდა მთავარხუცესობიდან. 1888 წლის 26 მაისს ოზურგეთის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1894 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მაზრის სამღვდელოებამ მამა დავითი სასულიერო სასწავლებელში თავის წარმომადგენლად აირჩია და ამავე წლის 30 მარტს დამტკიცდა ამ პოსტზე. ამასთანავე, იგი ასწავლიდა ქართულ საეკლესიო გალობას აღნიშნულ სასწავლებელში. 1894 წლის 15 მაისს სკუფია უბოძეს. 1895 წლის იანვარში იგი გურია-სამეგრელოს სამღვდელოების საეპარქიო კრებაზე მონაწილეობდა როგორც ოზურგეთის ოლქის დეპუტატი. 1896 წლის 6 ივლისიდან მამა დავითი გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლო კომიტეტის ოზურგეთის განყოფილების წევრია. 1899 წლის 15 მაისს მას კამილავკა ეწყალობა.

1905 წელს რუსეთში დაწყებულმა რევოლუციის ტალღამ საქართველოსაც გადაუარა. ქვეყანაში უამრავი შემზარავი და სასტიკი მკვლელობა მოხდა. მდგომარეობა უმართავი გახდა. რუსეთიდან მოვლინებულმა დამსჯელმა ჯარმა, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, საშინელი რეპრესიები დაიწყო. დევნა სამღვდელოებამაც განიცადა. გაზეთი „ივერია“ 1905 წელს წერდა: **„როგორც „ჩერნ. ვესტ“ იუწყება, ქ. ოზურგეთში გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის პასუხისგებაში მიუცია ბლაღოჩინი მღვდელი დავით ანტონის ძე დუმბაძე. მიზეზი ისაა, რომ მღვდელ დუმბაძეს უარი განუცხადებია მღვდელმსახურების შესრულებაზე თავად ტ. ნაკაშიძისა და ლ. გურიელის დასაფლავების დროს. როგორც ვიცით, მათი მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა“.**

1905 წლის 15 მაისს მღვდელი დავითი სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა, ხოლო 1908 წლის 12 თებერვალს დეკანოზის წოდება მიენიჭა. ამ პერიოდში იგი ისევ ოზურგეთის ოლქის მთავარხუცესად იხსენიება. 1912 წლის 6 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1913 წლის 20 ოქტომბერს გურია-სამეგრელოს ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესი, ხობის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი დიმიტრი (პარკაია) ავადმყოფობის გამო გადადგა თანამდებობიდან, ამიტომ ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) გადაწყვეტილებით, ეპარქიაში მოქმედ ყველა მონასტერს დაენიშნა ახალი მთავარხუცესი თეთრი სამღვდელოების მხრიდან. დეკანოზი დავითი შემოქმედის მამათა მონასტრის მთავარხუცესად დაადგინეს. 1914 წლის 15 მაისს იგი წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე ეს ომი მეტად მძიმედ აისახა. დიდი გადასახადებისგან შევიწროებული გლეხობა სულს ღაფავდა. მოსახლეობის დახმარების მიზნით მამა დავითის თავმჯდომარეობით შეიკრიბა ოზურგეთის მაზრის სამღვდელოება და დაადგინეს, რომ „ამ ომის დასრულებამდე მშრომელ ხალხს დრამის ფული არ გადაახდევინონ. კრებაზე ასევე გადაწყდა, რომ ყოველთვიური ჯამაგირიდან მათ ორი პროცენტი გადასდონ ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად“.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ვითარება შეიცვალა. სამღვდელოება უკიდურესად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. გამონაკლისი არც მამა დავითი გახლდათ. 1917 წელს გაზეთი „საქართველო“ წერდა: **„ოზურგეთი. 10 მარტს დროებითი მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს ნიკო თაყაიშვილი. მეორე დღეს თავისით გამოცხადდა ციხის უფროსთან დიმიტრი მგელაძე. იმავე დღეს შენდობა და პატიება ითხოვა დეკანოზმა დავით დუმბაძემ. ორივე დროებით გაანთავისუფლეს“.** თუ რა მიზეზის გამო მოხდა დაპირისპირება ადგილობრივ ხელისუფლებასა და დეკანოზ დავითს შორის, ვიგებთ თავად მამა დავითის წერილით, რომელიც მან ამავე წლის 7 აპრილს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტსა და ქართული დრამატული თეატრის აქტიურ წევრს, დიმიტრი დუმბაძეს მისწერა:

„დიდად პატივცემულო ძმაო და მეგობარო დიმიტრი მოისევიჩ! ქრისტე აღსდგა და იცოცხლე გრძელ ჟამიერად, ლოცვა-კურთხევით მოგიკითხავ და თქვენს ჟამიერ სიცოცხლეს ღმერთსა ვთხოვ; ჩვენში იციან, რომ დაელავს, პირის ჯვარი უნდა გამოისახოო, სწორეთ ეხლა არის ის დრო. 12 მარტს ახალმა მთავრობამ ყოვლითურთ უმართლოდ და გამოუკვლეველად დამიჭირეს და ჩამაგდეს ნაობახ-

შიდ. ერთი თვე გადის, ჩვენება არ ჩამოურთმევია და არც მე ვიცი რისთვის მტანჯავენ, კარგათ მოგეხსენება ავათმყოფი კაცი ვარ და 70 წლის მოხუცი კაცი, ძველ დროშიდ ძველს ვემსახურებოდი, ეხლა დიდი სიხარულით ახალს ვემსახურები. აქ არის ერთი მხოლოდ მეზობლური მტერობა, რომელიც ვინღაცას ჩემი შტატის ადგილის მიცემას დაპირებია, ხალხი მთხოვილობს, სამღვდელოება მთხოვილობს, და კათოლიკოსის მოადგილემ ვრცელი ტელეგრამა გამოუგზავნა აქაურ კამისრებს, მაგრამ ხმას არ იღებს, ნაობაღშიდ კინაღამ მოვკვდი რევმატიზმით და ჭაჭების ტკივილით — და ძლივს ძლივობით დომაშნი არესტით დამამწყვდიეს სახლშიდ, სადაცა თოფიანი კაცნი მადგანა თავზედ და ვიტანჯები. ვიცი რომ თავმოყვარე, პატიოსანი კაცი ბრძანდები, გაჭირვებულ კაცს ზღვამ პირი გაუღო, მეც გაჭირვებული ვარ. ახალი მოხელენი შენი ყველა ნაცნობი არიან, განსაკუთრებით პატივცემული ნოე ჟორდანია, ჩემის ცოლის ნათესავი. ამასთანავე, თქუენ სხვებიც გყავს კარგი მოსახმარი, და მომეხმარე — რაც მოგახსენე, რომ ჩემის მხრით არაფერი საწინააღმდეგო კანონიერი არაფერი შესაფერხებელი თქვენ არ შეგხვდებათ.

გაფიცებ ცოცხალს და მკვდარს, ნურაფერს ძველს ჩემსას ნუ გაიხსენებ და მოიხმარე ყველა შენი ნაცნობი და მომეხმარე, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქმნება უმაღლეს მართებლობასთან საქმის მიხწევა, ისიც მაცნობე საიდუმლოდ; მომიტევე შეწუხებისათვის. დავშთები თქუენი მაღალ კეთილშობილების ღვთისადმი მლოცველი დეკანოზი დავით დუმბაძე".

დეკანოზი დავითი

შემდგომში მოვლენები უფრო მძაფრად განვითარდა. 1918 წლის 10 მაისს დღემდე დაუდგენელ ვითარებაში მოკლეს დედაეკლესიისა და ქართული საეკლესიო გალობის დიდი მოამაგე, მხცოვანი დეკანოზი დავით დუმბაძე. ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა და მრევლმა ვერაგულად მოკლული დეკანოზის ცხედარი შემოქმედის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაკრძალეს.

დეკანოზ დავით დუმბაძესა და მის მეუღლეს — მაკა დიონისეს ასულ ტუსკიას (დაბ. 1859წ.) 2 ვაჟი და 10 ქალიშვილი ჰყავდათ: ელისაბედი (1879წ. გათხოვილი იყო მიხეილ ნაკაშიძეზე), ვასილი (1881წ.), ალექსანდრა (1882წ. გათხოვილი დიმიტრი სიმვულიდზე), ელენე (1885წ.), მარიამი (1887წ. გათხოვილი ვასილ დარახველიძეზე), მატრონა (1888წ. გათხოვილი ტიმოთე გერასიმოვზე), გიორგი (1889წ.), პელაგია (1892წ.), მარგალიტა (1893წ.), ეკატერინე (1894წ.), სოფიო (1896წ.) და თამარი (1898წ.). მათგან ორი: გიორგი და პელაგია 1919 წელს უკვე აღარ იხსენიებიან ცოცხლებში.

შემდგომში მისი ერთი ვაჟი, ვასილ დუმბაძე, ემიგრაციაში წავიდა და მორგანების ბანკის წამყვანი ფინანსისტი გახდა, ხოლო დებიდან ერთ-ერთმა — სონია დუმბაძემ, რომელიც კარგი მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა, 1919 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის კონსერვატორიაში. სწავლობდა პედაგოგ ანა ჯაყელთან. შემდგომში თბილისის კონსერვატორიის კონკურსში გამარჯვებულ 15 სტუდენტთან ერთად, იგი მილანში ჩავიდა და მაესტრო დელი პონტისთან დაიწყო მეცადინეობა. საბოლოოდ, მანაც ემიგრაციაში დაასრულა ცხოვრება.



გულდამწუხრებულნი მეუღლე მაკა დიონისეს ასული დუმბაძისა, შვილები ვასილი, ელენე, მარგალიტა, ეკატერინა, სოფიო, თამარა, ელისაბედი ნაკაშიძისა, მარიამ დარახველიძისა, მატრონე გერასიმოვისა, პაშა სიმვულიდისა, სიძეები მიხეილ ნაკაშიძე, ვასილი დარახველიძე, ტიმოთე გერასიმოვი, და დიმიტრი სიმვულიდი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ვერაგულად მოკლულის დეკანოზის

დავით დუმბაძის

გადახდილი წლის თავზე წირვა და პანაშვიდი 10 მაისს ს. შემოქმედის წმიდა გიორგის ეკლესიაში

1—2350—1

გახსენება დეკანოზ დავით დუმბაძის წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში" 1919 წ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ეარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ინფორმაციის თანახმად, 2012 წელს აღიძრა 132 საქმე, აქედან 4919 ქრისტიანი გასამართლდა (442 — კი ქრისტიანი ღვთისმსახური). ინციდენტების უმეტესობა „საშინაო" ეკლესიებს უკავშირდება. ქრისტიანული პორტალის ცნობით, ხელისუფლებამ აიღო კურსი, მომავალი ათი წლის განმავლობაში არარეგისტრირებული ქრისტიანული ერთობები საერთოდ გააუქმოს. გასული წლების მონაცემებთან შედარებით დევნილ, დაპატიმრებულ და ნაწამებ ქრისტიანთა რიცხვი საგრძნობლად მაღალია, განსაკუთრებით, ბოლო 7 წლის განმავლობაში. 2012 წელს ეს რიცხვი 61,1%-ს აღწევდა, 2012 წელს კი - 85,1%-მდე გაიზარდა.

რომის პაპი გადადგომას აპირებს

11 თებერვალს ვატიკანში, რომის ეკლესიის კარდინალების შეკრებაზე, ვატიკანში, რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ განაცხადა, რომ 28 თებერვალს პაპის საყდარზე უარის თქმას აპირებს. ამის შესახებ ინფორმაციას წმინდა საყდრის საინფორმაციო სამსახური ავრცელებს. აღნიშნული ინფორმაცია ვატიკანის ოფიციალურ ვებგვერდზეც განთავსდა.

ბენედიქტე XVI-მ თავისი გადაწყვეტლება იმით ახსნა, რომ მას აღარ შესწევს ძალა ეფექტურად გაუძღვეს კათოლიკურ ეკლესიას და იქვე დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება ინდივიდუალურად, ვინმეს ზეგავლენის გარშე მიიღო, ამავდროულად, სრულად აცნობიერებს, რაოდენ სერიოზულია მისი ქმედება.

აღსანიშნავია, რომ ადრე პაპი თავის გადადგომას იმ შემთხვევაში უშვებდა, თუკი ჯანმრთელობის გამო ვერ შეძლებდა კათოლიკური ეკლესიის მართვას. მიუხედავად ამისა, მისი ამჟამინდელი განცხადება სენსაციად იქცა — აქამდე პაპის ჯანმრთელობა არასდროს გამხდარა იმდენად საგანგაშო, რომ მისი გადადგომის საკითხი წამოჭრილიყო.

კათოლიკური ეკლესიის კანონების თანახმად, რომის პაპი ირჩევა სამუდამოდ, მის გარდაცვალებამდე. 85 წლის ბენედიქტე XVI რომის პაპად 2005 წლის აპრილში, იოანე პავლე II-ის გარდაცვალების შემდეგ აკურთხეს.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მონაზონი ანა მენაღარიშვილი (1867-1980)

I ნაწილი

გურიაში მდებარე ჯიხეთის დედათა მონასტერში სათნოებით გამორჩეული მრავალი მონაზონი მოღვაწეობდა. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის სიმკაცრისა, იქ დარჩენილი დედები დიდი შემართებით აგრძელებდნენ მოსაგრეობას და ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ მონასტერს. ამჯერად გვინდა გაგაცნოთ მოგონებები მის ერთ-ერთ უკანასკნელ წარმომადგენელზე მონაზონ ანაზე (მენაღარიშვილი), რომელმაც მონასტერში თითქმის 100 წელი გაატარა. მოგონებები დაწერილია მონაზონ ანას დისშვილის მიერ.

მონაზონი ანა მენაღარიშვილი დაიბადა 1867 წელს ლანჩხუთში, იქ, სადაც მოსე მდინარაძის ოჯახი სახლობს, ცენტრში, ბაღის გვერდით; მისი მშობლიური სახლი დღესაც ისეთივეა, არც არაფერი შეცვლა.

მამა — დიონისე მენაღარიშვილი, ლანჩხუთის მკვიდრი, იმ დროისათვის განათლებული, წარმოსადეგი, სიდარბაისლით გამორჩეული შეძლებული აზნაური

ჯიხეთის მონასტრი

იყო, რომელიც საკუთარი ტყის (ათი დესიატინა) და რამდენიმე ულელი ხარ-კამეჩის მეპატრონე ყოფილა. იგი გახლდათ სოფლის მწერალი. დიონისეს უახლოესი მეგობარი იყო ჯამულეთ მენაღარიშვილი (ათინოგენ მენაღარიშვილის მამა), მის გარეშე დიონისე არც ჭირში და არც ლხინში არ დადიოდა.

დედა — მზეხა მაქსიმეს ასული ჯორბენაძე — დაიბადა სოფელ ჩიბათში. იგი იყო ცნობილი ხუთი ცხენოსანი ძმის ერთადერთი და (კირილე, ივანე, იოსები, ბესარიონი, ლაზარე). მისმა ძმამ, ლაზარემ (რომელიც ავთანდილ ჯორბენაძის ბაბუა იყო), ცხენოსნობით მოიარა ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა.

ეს ხუთივე ძმა ანას ბიძები იყვნენ დედის მხრიდან. ანას ჰყავდა სამი და და ერთადერთი ძმა — იოანე მენაღარიშვილი, რომელიც ლანჩხუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მნათე იყო. ივანე დაიბადა 1865 წელს (გარდ. 1942წ.). ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესის დანგრევა (1936წ) მისთვის საბედისწერო გამოდგა, დიდხანს იავადმყოფა, მაგრამ სულიერად არ დაცემულა, ლოგინად არ ჩავარდნილა.

იოანემ აღზარდა ოთხი შვილი. მისი უფროსი ვაჟი —

ვლადიმერი რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ოფიცერი იყო, მომდევნო იასონი — აქტიურად მონაწილეობდა მუშებისა და გლეხების დასაქმებაში და იყო რევოლუციონერი და პროფკავშირელი. მესამე ვაჟი კონსტანტინე (კონია) სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, იბრძოდა მე-11 არმიის წინააღმდეგ. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ახლად დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მეოთხე — ალექსანდრე, რომელიც ანამ მონასტერში გაზარდა — იყო ბოლშევიკი. მასაც დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის „მუშფაკი" და XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის საბინაო სამმართველოში სახლმმართველად და ინჟინრად. ეს უმცროსი ძმისშვილი ანამ მონაზვნებისა და წინამძღვრის ხელშეწყობით გაზარდა.

მონაზონი ანა იგონებდა: „მივედი ძმის სახლში და რას ვხედავ, ალექსანდრე, რომელსაც დედა დაბადებისთანავე გარდაეცვალა და ძიძა ზრდიდა, მიწას ლოკავდა და ჭამდა. მეზობლებმაც მითხრეს, ამ ბავშვს თუ არ უპატრონე, მოკვდებაო, გული შემიქანდა ამის დანახვაზე. ელენე წინამძღვარს ვთხოვე ნებართვა და ბავშვი მონასტერში წამოვიყვანე. მონასტერში მიყვანისთანავე შევედი ოთახში, რათა ბავშვი დასაბანად გამემზადებინა, ამ დროს მონაზვნებმა იყვირეს: ანა! ანა! გამოვვარდი შეშინებული, მეგონა ფათერაკი რამ არის და რას ვხედავ, ბავშვს პირი მიწით აქვს გამოტენილი. სიარული და ლაპარაკი არ იცოდა, ეტყობა ჩემი მკაცრი გამოხედვით შევაშინე და ბავშვმა პირდაპირ წინადადება წარმოთქვა... შენც მცემო?"

დედა ანა ამ ამბავს ყოველთვის ცრემლმორეული იხსენებდა... ის ხმა ყურიდან არ გამომდისო! მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაშიე ორშაბათობითაც ინახავდა მარხვას — ალექსანდრესთვის.

ანას ძმის, იოანე მნათის მეუღლე ასპიროზ სამსონია ადრე გარდაიცვალა. დარჩა პატარა შვილები, იოანე მეორედ დაქორწინდა ბათუმელ ეკა ლორიაზე, რომელმაც არ იგუა გერები და სასტიკად ეპყრობოდა მათ. იოანეს ერთადერთი ქალიშვილი სწორედ ამ უდიერმა მოპყრობამ შეიწირა და 16 წლისა (სახელად ნატალია) გარდაიცვალა, მონაზონი ნანობდა, ალექსანდრესთან ერთად ისიც უნდა წამომეყვანაო.

ანას ჰყავდა სამი და, რომელთა შთამომავლებიც დღესაც ცხოვრობენ შუხუთში, ლანჩხუთში, თბილისში. ესენი არიან: ურუშაძეები, ფირცხალაიშვილები, აფხაძეები, მაგრამ ყველაზე მეტად მისი გვარის გამგრძელებლებზე ზრუნავდა. სწორედ ამიტომაც ითავა თავისი ობოლი ძმისშვილის გაზრდა.

ანას ერთ-ერთი და — გაინე — გათხოვილი იყო სოფელ შუხუთში. იგი კირილე ფირცხალაიშვილის მეუღლე გახლდათ. კირილე დურგალი და სახელოვანი ცხენზე მოჯირითე იყო, მანაც მოიარა ამერიკა, თანაგუნდელებთან ერთად, სადაც გურულები ცხენზე ჯირითის ხელოვნებას უჩვენებდნენ.

სწორედ ამიტომ არის რომ, იმ ადგილს, სადაც დიონისე მენაღარიშვილი და მისი შვილები დაიბადნენ და გაიზარდნენ, ძველი ლანჩხუთელები წმინდა ადგილს უწოდებდნენ.

ანას ძმის — იოანეს სურათი სენაკში, ხატების მოპირდაპირე მხარეს ეკიდა, როგორც უსათნოესი სულიერი ძმის, რომელიც საქველმოქმედო მოღვაწეობასაც ეწეოდა. ღარიბი ბავშვებისთვის საკუთარ სახლში გახსნა დაწყებითი სკოლა და ხელსაქმის წრე. ანა თავის ძმისშვილს მკაცრად ზრდიდა, აჩვევდა ქრისტიანულ წესებს. მან ყველა ლოცვა ზეპირად იცოდა, გალობდა კიდეც. იყო სტიქაროსანი მონასტერსა და ლანჩხუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც მამა მსახურობდა. შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გააგზავნეს.

ანა მონასტერში შემდეგნაირად მოხვდა: იგი დანიშნული ყოფილა, როცა მისი საქმრო გაუწვევიათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სადედამთილოს ინიციატივით, ალბათ მშვიდად რომ ყოფილიყო და დროც მალე გასულიყო, მონასტერში, ხელსაქმის შესასწავლად მიაბარა. მაგრამ ჯარიდან დაბრუნებული საქმრო ანამ უარით გაისტუმრა და სამუდამოდ თავისი სული უფალს მიანდო, რომლის დიდებაშიც ასი წელი გალია მონასტერში და 1980 წლის 13 იანვარს (ახ.სტ.) გარდაიცვალა.

მონასტრის ეკლესია ანას მონაზვნად ყოფნის დროს აშენდა, 1896 წელს. იგი ყვებოდა, თუ როგორი ზარ-ზეიმით გათხარეს საძირკველი, როგორ ეწეოდნენ ფიზიკურ შრომას. დედებს მამაკაცების მსგავსად უწევდათ ფიზიკურად შრომა და თან ლოცვას აღავლენდნენ უფლისადმი.

თურმე მანამდე ჯიხეთის მოპირდაპირე მხარეს, ბორცვზე, გადმოცემით, თამარ მეფის დროს აშენებული უძველესი ეკლესია იდგა. ხშირად მივდიოდი იმ ნანგრევებთან და სინანულით შევცქეროდი უკვე ქვებად

ჯიხეთის მონასტრის კრებული. XX ს-ის. დასაწყისი

ქცეულ ტაძარს. ამბობდნენ: ტაძრის ერთ-ერთი კედელი ჭყონაგორელ გლეხს ჩაუტანია ურმით და საპარიკმახერო აუშენებია. იმასაც ამბობდნენ, მას შემდეგ იმ ოჯახმა ვერ გაიხარაო.

სწორედ იქ, ძველ ეკლესიში, დაიწყო თავისი სულიერი ცხოვრება ანა მონაზონმა და მასთან ერთად — მატრონამ (ჩხიკვაძე), მართამ (სიხარულიძე), სოფიომ (დგებუაძე) და სხვა მონაზვნებმა, რომლებიც ჩემამდე გარდაიცვალნენ და ვერ მოვესწარი მათ.

ანას და ყველა მონაზონს საკუთარი შრომით და თან-

ხით ჰქონდა აშენებული სენაკები, რომელსაც ჰქონდა ხატების კუთხე, სადაც უნიკალური, ვერცხლში შესრულებული უძველესი ხატები იყო დასვენებული, თავისი ძვირფასი კანდელით, ჯვრით და უძველესი წიგნებით.

საოჯახო ნივთები ჰქონდა მე-19 საუკუნის დროინდელი. სენაკში იდგა აგურის ბუხარი, სადაც ამზადებდნენ საჭმელს.

9 თვის ვიყავი, როდესაც მონასტერში წამიყვანეს. მას შემდეგ ზაფხულობით, სამ თვეს, საკუთარი სურვილით აქ ვიმყოფებოდი. იქ, სადაც მამაჩემი გაიზარდა, იქ, სადაც ჩემი წინაპარი მეგულებოდა. იქ ყოფნის ყოველი წამი, იმ სულიერებით მდიდარ სამყაროში, ჩემთვის უძვირფასესი და მშობლიურია. შემოვლილი მაქვს მთელი მიდამო. ვიცი, სად ცხოვრობდა თითოეული მონაზონი, სად რომელი ხე ხარობს.

მონაზონი ანა

ანა მონაზონი მეტად გულისხმიერი იყო, ისე არ ჩაივლიდა დღე, რომ ავადმყოფი და უძლური მონაზვნისათვის არ გაეტანებინა საჭმელი და არ მიეკითხა.

გამუდმებული ლოცვის მიუხედავად, ახერხებდა საკუთარი მეურნეობის გაძღოლას. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, ეხმარებოდა ახლო სოფლებსა და სანათესაოში ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სოფლის მცხოვრებლებსა და ნათესავებში. ყოველგვარი გაუგებრობისა და დავის მოსაგვარებლად, მათივე თხოვნით, არიგებდა ოჯახებს, ნათესავებს, მტერ-მოყვარეს, სადაც მისი ნახვის შემდეგ მშვიდობა მყარდებოდა.

გარეგნულად ანა იყო მაღალი, თეთრი პირისახის. მომწვანო-მონაცრისფრო თვალები ჰქონდა, სულ ჭაღარა და სულ ღრმა მოხუცი იყო, რაც თავი მახსოვს. თითქმის ყველა მონაზონი სუსტი გარეგნობის იყო, მაგრამ მათი სუსტი სხეულებიდან იგრძნობოდა ის ძლიერი სული, რომლითაც მათ გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება (განსაკუთრებით კომუნისტური წყობის დროს) უფლისკენ მიმავალ გზაზე. დედებს ყველა მოწიწებით და თქვენობით მიმართავდა და რატომღაც მამიდას ეძახდა.

მე, როგორც წესი, მარტო არ ვიძინებდი. სულ ანა მონაზონთან მეძინა. საოცარია, მაგრამ ნამდვილად ასე იყო, მონაზონს არანაირი სუნი არ ჰქონდა. მიუხედავად ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ასაკისა, ქათქათა მოხუცები იყვნენ, რაც იმის დასტურია, რომ ისინი სულიერებით ყველაზე სპეტაკნი იყვნენ იმდროინდელ საქართველოში.

აქვე მინდა მოგახსენოთ ერთი სასწაულის შესახებ. მოხდა ისე, რომ ერთ ჭყონაგორელ ახალგაზრდას ჩემი უფროსი და მოსწონებია, დამუქრებია, „ამაღამ მოგიტაცებო". ეს რომ გაიგეს მონაზვნებმა, შეშინდნენ. მახსოვს, წინამძღვარმა თეოდორამ (მორჩილაძე) და ჩემმა უფროსმა დამ ის ღამე ეკლესიაში გაათენეს. ანა მონაზონმა კი დაძინებამდე გამოიტანა ჯამით წყალი აივანზე, დაამაგრა ყველა მხრიდან ანთებული სანთელი და მუხლმოდრეკილი მხურვალედ დაიწყო ლოცვა, თან პეშვით იღებდა ჯამიდან წყალს და უკანვე აბრუნებდა.

მე ვკითხე, რას აკეთებ მეთქი? მან არ მიპასუხა და ლოცვის დამთავრებისთანავე კმაყოფილი სახით შემომხედა და აღტაცებულმა მითხრა: „ამაღამ ისეთი თქვენი წამოვა წმინდა ელიას მადლით, რომ კაციშვილი ვერ ამოაღწევს აქაო" (მაშინ მონასტრამდე მხოლოდ საცალფეხო ბილიკი იყო). დაღამდა, ძილში ძლიერმა არაბუნებრივმა ნათებამ და ხმამ გამომაღვიძა. მთელი ოთახი და სამონასტრო ეზო თითქოს პროჟექტორებით გაანათეს, ისე დღესავით იყო ელვით განათებული, რომ ეკლესია მთლიანად ჩანდა, საშინლად განვიმდა... გადავხედე ჩემ გვერდით მძინარე ანა მონაზონს, კიდევაც გამიკვირდა მისი სიმშვიდე, არც კი შემკრთალა... მეორე დილით იძულებული შეიქნა და წამოგვიყვანა თბილისში. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი ყოფნა საქართველოს დედაქალაქში. სამოციან წლები იდგა. მაშინ ვცხოვრობდით ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიასთან, სადაც რუსულად მიმდინარეობდა ლოცვა. სწორედ მაშინ წავიყვანეთ ძველუბანში, სიონის ტაძრის სიდიდით აღფრთოვანებული, წავიყვანეთ მცხეთაში, ვაჩვენეთ სვეტიცხოველი. სამთავროს მონასტერში ანამ მოინახულა თავისი სულიერი დები, რომლებიც ადრე ჯიხეთის მონასტერს სტუმრობდნენ. ესენი იყვნენ: დედა დარო (აჭაიძე), დედა ზოილე (დვალიშვილი) და სხვები. ანა დიდხანს არ დარჩენილა თბილისში, იგი გამუდმებულ ლოცვაში იყო და სადაც ტელევიზორი გვედგა, იმ ოთახში არ შედიოდა.

(გაგრძელება იქნება)

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

მონაზონი ანა (მენაღარიშვილი) 1867-1980

II ნაწილი

ანას მონაყოლით მის ახალგაზრდობაში ხშირად არბევდნენ მონასტერს. ზოგი ახალგაზრდა, ლამაზი მონაზვნების მოსატაცებლად ამოდიოდა. ამ დროს, ერთ მუშტად შეკრულები — თოფით, ცულით, ბარით ვიცავდით თავს და ვერავინ შეარყია ჩვენი რწმენა. თუ უდროოდ დაირეკებოდა ზარი, ახლომახლო სოფლებიდან მოსახლეობა ჩვენს დასაცავად მორბოდა, განსაკუთრებით, სოფელ ვანიდან. რამდენჯერმე გაქურდეს მონასტერი, ცდილობდნენ (ურწმუნო კომუნისტები) ხალხის რწმენის შერყევას, მაგრამ იმ უღმერთობის პერიოდში ამ მონასტერში ჩუმად სულ თანამდებობის პირები და მათი შვილები ინათლებოდნენ, რათა სამსახური არ დაეკარგათ. ამ საიდუმლო ნათლობის დროს ნათლიებად მონაზვნებს ირჩევდნენ. სწორედ ამიტომ ანა მონაზვნის დაკრძალვას ლანჩხუთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მისი ნათლულებიც ესწრებოდნენ.

როდესაც მონაზონი ანა გარდაიცვალა, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იქ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა) და თეკლათის მგალობელი დედები მიავლინა, მისი სულისა და მოღვაწეობის პატივსაცემად. დაკრძალვა რაღაც ზებუნებრივად წმინდა და სანახაობითი იყო.

მახსოვს, ერთხელ ანა მონაზონმა სკივრში საგულდაგულოდ შენახული ახალი ტანსაცმელი და ჯვრის ფორმის დიდი შავი ნაჭერი მაჩვენა, რომელზეც ჯვრებისა და სიკვდილის გამოსახულება იყო ამოქარგული. მითხრა, როცა მოვკვდები ამ სუდარაში გამახვევენ და შენ ვეღარ მნახავ. დავიბარებ, რომ არ შეგაწუხონ და არ გაგაგებინონო. მონაზვნის დატირება არ შეიძლება, რადგან მთელი სიცოცხლე იმ დღის მოლოდინში ვარ, როცა ჩემი სული უფალს ეახლებაო. ამ სიტყვების გაგონებაც არ მინდოდა.

გამოხდა ხანი... ვიდექი მშობლიური ჯიხეთის მონასტრის ეკლესიაში, სადაც დასვენებული იყო ჩემი უკანასკნელი წინაპარი, რომელმაც უფალს მიანდო სული და სულიერი სიწმინდითა და ლოცვა-კურთხევით ვალი მოიხადა ქვეყნის, ერისა და გვარის წინაშე. მისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში (100 წელი იცხოვრა მონასტერში, გარდაიცვალა 112 წლისა) სიხარულით ემზადებოდა ამ დღისთვის.

მონასტერში იგი სამოციქულოს კითხულობდა, აკეთებდა სანთელს, მისი მოუღლელობით ეკლესიაში კარადის უჯრა ყოველთვის სავსე იყო გასაყიდი სუფთა თაფლის სანთლით, რომელსაც სიმბოლურ ფასად — 10 კაპიკად ჰყიდდნენ.

თავისი წინაპრებით ბევრი ამაყობს. ეამაყებათ მათი წინაპრების სიმდიდრე, ქონება და ა.შ. მე კი მეამაყება მათ მიერ სწორად განვლილი ცხოვრების გზა და იმ ნარეკლიან გზაზე მათი სულიერი სიმტკიცე, რწმენა უფლისა. მათგან გზაგაკვალული და გზადალოცვილი, ადვილად არ ვეპუები გაჭირვებასა და დარდს, ჭირსა თუ ლხინს. სნავლის პერიოდში თბილისიდან ხშირად წერილებს ვაგზავნიდი და ამ ჩემს წერილში ყველა მონაზონს მოვიკითხავდი ხოლმე. მათ მამიდებს ვეძახდი (ასე მიმართავდნენ წინათ გურიაში დედებს) და ჩამოვთვლიდი ხოლმე ყველა მონაზონის სახელს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გარე სამყაროსა და თბილისის ამბებს მე ვატყობინებდი მონაზვნებს. ეს მონაზვნები იყვნენ: ანა დიონისეს ასული მენაღარიშვილი (ლანჩხუთიდან), თეოდორა მორჩილაძე (წინამძღვარი აკეთიდან), მარიამ გოგიტიძე (ბათუმიდან), ანასტასია გოგუაძე (ლანჩხუთიდან), მაკრინე გოგეშვილი (ლანჩხუთიდან), თებროლე ბურჭულაძე, მარიამ ჩიჩუა, აკვირინელუკას ასული არეშიძე (ქვიანიდან), იგი გუნდის ხელმძღვანელი იყო, თეკლე თევზაძე, ივლიტე ბებია (ზარის დამრეკავი, ეკლესიას პირველად ის აღებდა), ბარბარე მახარაძე, მართა სიხარულიძე, სოფიო დგებუაძე, ნინო წულაძე, რომელიც არაჩვეულებრივად გალობდა, მატრონა ჩხიკვაძე — უსინათლო მონაზონი, მას ასთმა აწუხებდა და ულუმპია კუნჭულია.

მამაჩემის ბავშვობისას მონასტრის წინამძღვარი იყო ანასტასია დადიანი-ლორთქიფანიძე, რომელიც მეტად განათლებული ყოფილა, იგი რუსულს ასწავლიდა ბავშვებს, მეტად მომთხოვნი და მკაცრი იყო.

აქ ყოფილა მონაზონი, სახელად მზეხა. მონასტერში მსახურობდნენ და ანა მონაზვნის სახლში ცხოვრობდნენ — ელენე დარჩია (ჭყონაგორის ეკლესიის მღვდლის ცოლი) და დუსია — რუსი, რომელიც შემდგომში ანას სახლსა და ნივთებს დაეპატრონა. გასვენების დღესაც კი ჩვენ, ვინც იმ პატარა ეკლესიაში გავიზარდეთ, არ შეგვიშვა, კიდევ ერთხელ რომ შეგვევლო თვალი სახლისთვის, რომელიც ჩვენთვის მეტად ძვირფასი იყო.

მამაჩემის გადმოცემით, ლანჩხუთიდან დღესასწაულებზე ამოდიოდნენ მღვდელი იოანე გოგიჩაიშვილი და მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე. სოფელ სამებიდან — დეკანოზი ეპიფანე ხონელია. ჩემს დროს მახსოვს სენაკიდან ხშირად სტუმრობდა მონასტერს არქიმანდრიტი კონსტანტინე (ქვარაია).

მონასტერი დაარსდა მე-19 საუკუნის ბოლოს. მისი ადგილი ზუსტად შეესაბამება სამონასტრო ცხოვრებას. იგი დასახლებული პუნქტიდან 4-5 კილომეტრითაა დაშორებული. ნიგოეთის მთები, სადაც ეს მონასტერი მდებარეობს, გადმოჰყურებს კოლხეთის დაბ-

ლობს, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს რკინიგზის ხაზი, აბაშა, ბათუმი ზღვის ზოლი.

სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი უტყუარი და ერთგული თანამოზიარეა ორასწლოვანი ცატავის ხე, რომლის ჩრდილშიც წირვის შემდეგ მონაზვნები ჩამოსხდებოდნენ ხოლმე და მოიკითხავდნენ ერთმანეთს, იგებდნენ, ვის რა უჭირდა, ვის რა აწუხებდა და შემდეგ დახმარებას უწევდნენ გაჭირვებულს, ავადმყოფს. საუცხოო მოსასმენი იყო მათი საუბარი, მათი გალობა. რაც თავი მახსოვს, ისინი სულ ღრმა მოხუცები იყვნენ, თითქოს დრო გაჩერებული იყო მათთვის და არც იცვლებოდნენ. ამასობაში მათ ხელში გავიზარდე და ასაკში შესულიც გაკვირვებული ვიყავი მათი შრომისმოყვარეობით, ენერგიულობით, მეხსიერებით.

ჯიხეთის მონასტერი 1957 წ. მარცხნივ მონაზონი ანა

არ მახსოვს როდესმე მონაზვნებს ვინმესთან დაეწყოთ საუბარი რწმენაზე. ისინი არავის ახვევდნენ თავს ამ თემაზე საუბარს. ხოლო თუ ვინმე დაინტერესებული პირი გამოჩნდებოდა, დიდი სიმხნევითა და რწმენით უყვებოდნენ ხატზე გამოსახული უფლის ცხოვრებას. სწორედ ეკლესიის წიაღში ჰპოვებდა ყოველი ჩვენგანი სულიერ სიმშვიდეს. მაშინ როდესაც სოფლებში და დიდ ქალაქებში ეკლესიიდან გამოსულ ახალგაზრდებს სასწავლებლიდან გაგდებით აშინებდნენ, თანამდებობის პირებს კი — სამსახურიდან დათხოვნით, სწორედ ჯიხეთის დედათა მონასტერი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თავისუფლად შეეძლო ადამიანს დასწრებოდა წირვა-ლოცვას, დაენთო სანთელი...

იყო დრო, როდესაც მონასტერს თავს ესხმოდნენ უკეთურები, არბევდნენ და ძარცვავდნენ ეკლესიას, მონაზვნებს. ისინი იქაურობას, ძირითადად, ღამით „სტუმრობდნენ", იპარავდნენ ხატებს, საქონელს, მონაზვნებს ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. მონაზონი თებრონე ბურჭულაძე კინაღამ ცემით მოკლეს, რის შედეგად იგი მალევე გარდაიცვალა, ხოლო მარიამ გოგიტიძემ შიშისაგან სული განუტევა, ეკლესიაში დასვენებული კი გაცოცხლდა.

ცაცხვის ხეზე ეკიდა დიდი ზარი, რომელიც სამმა ძმამ ურმით ამოიტანა მონასტერში. სამივე ძმა ეკლესიის გვერდით განისვენებს. ცისკრის ლოცვას იწყებდნენ ღამიანად (ბნელში). ზარს ისე ოსტატურად ჩამოჰკრავდა ივლიტე ბებია, რომ 4 კმ-ის მოშორებით ისმოდა მისი ხმა, ეკლესიის კარსაც ის აღებდა და იწყებდა ლოცვას.

ივლიტე იყო დაბალი. ჰქონდა მოწითალო-ქერა თმა, თეთრი პირისახე, ოდნავ კოჭლობდა. მას ჰქონდა ხელის წისქვილი, რომლითაც ფქვავდა სიმინდს. მეც ბევრჯერ მიტრიალებია ხელით ეს მძიმე ქვა. დედა ივლიტე სიბერეში ფილთა-თოფს მაჩვების დასაფრთხობად ატარებდა. ახალგაზრდობაში კი ღამით სასთუმალთანაც ახლოს ედო, რადგან მონასტერს ხშირად არბევდნენ ულამაზესი მონაზვნების მოსატაცებლად.

შემდგომ კომუნისტური რეჟიმის დამცველი უკეთურები რელიგიური მრწამსის განადგურების მიზნით არბევდნენ და აშინებდნენ მონაზვნებს, მათ არ ჩამორჩებოდნენ არც ზნედაცემული და ხელმრუდი ავაზაკები.

ხშირად მონაზვნები შველას ითხოვდნენ ახლომახლო სოფლების მაცხოვრებლებისგან. ისინი იგონებდნენ, რომ როგორც კი მონასტერში უდროოდ დაირეკებოდა ზარი, ახლო სოფლებიდან (სამება, ჭყონაგორა, ქვიანი) დასახმარებლად მორბოდნენო. ეს ხალხი სამეურნეო საქმიანობაშიც უანგაროდ ემსახურებოდა მონასტერს.

XX საუკუნის 60-70-იან წლებშიც კი გრძელდებოდა ას წელს მიღწეული მოხუცების დარბევა, გაქურდვის მიზნით. თვით ეკლესიაც ბევრჯერ გაქურდეს და წაიღეს უძველესი ხატები.

ასეთ დროს ურწმუნო მთავრობაშიც იყვნენ თანამდებობის პირები, რომლებიც ჩუმად, საიდუმლოდ ინათლებოდნენ და საკუთარი ოჯახი წევრებსაც ნათლავდნენ. ამიტომ იყო, რომ მონაზვნები მრავალი თანამდებობის პირის ნათლიები იყვნენ, რომლებიც ფარულად ეკლესიასაც ყურადღებას აქცევდნენ და წირვასაც ესწრებოდნენ.

მონასტრის ეზოში ჩამწკრივებული პატარა ოდასახლები ეკლესიის ირგვლივ წრეს კრავდა. მახსოვს 14 სახლი და 14 უხუცესი მონაზონი. გადმოცემით, 30-40-იან წლებში 45 სახლი ყოფილა, შესაბამისად, მონაზონიც ამდენი იქნებოდა. თითოეულ მონაზონს ჰქონდა საკუთარი მეურნეობა, საქონელი, აკეთებდნენ ყველს, მოჰყავდათ თაფლი, სიმინდი, უვლიდნენ აბრეშუმის ჭიას და პარკს აბარებდნენ მთავრობას. საუბრისას გაოცდებოდი მათი მჭევრმეტყველებით, განათლებით. ბევრი მათგანი თავადური წარმოშობისა იყო. მახსოვს, სოფიო დგებუაძემ მითხრა: „მოგწყინდებიან, ქალბატონებო, აქ არც ორღანია და არც ბანქო". მონასტერს ჰქონდა სამონასტრო სახლი, სადაც სტუმრებს დღესასწაულის დროს აბინავებდნენ.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში აქ ჩამოდიოდნენ მცხეთის სამთავროს მონასტრის მონაზვნები — დედა ზიოლე და დედა დარო. დედა თეოდორას წინამძღოლობით მონასტერში სრული წესრიგი იყო. იგი განათ-

ლებული, კაცთმოყვარე, ყურადღებიანი და სტუმართმოყვარე პიროვნება იყო. მისი მონაყოლით ვიცი, რომ მამამ ექვსი წლის ასაკში მხარზე შემომჯდარი მიიყვანა მონასტერში წერა-კითხვის შესასწავლად და შემდეგ უკან აღარ გაჰყვა, ისე მოხიბლა უფალთან სულიერმა სიახლოვემ.

მარცხნიდან სხედან: მღვდელ-მონაზონი მელქისედეკი (მიქავა), იღუმენია ანასტასია (გოგელია), ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), მონაზონი ანა (მენალარიშვილი). ჯიხეთის მონასტერი 1980 წ.

მიუხედავად გამუდმებული წირვა-ლოცვისა და მორჩილებისა ცისკრიდან მწუხრამდე, მონაზვნები ახერხებდნენ თავიანთი მეურნეობის გაძღოლას. ღამიანად ისინი ძროხებს წველიდნენ და საბალახოდ უშვებდნენ, ამუშავებდნენ საბაღე საბოსტნე, საყანე მიწებს. უვლიდნენ ფუტკარს, წყაროზე ხდიდნენ ანწილის არაყს, ბჟოლის (თუთის) ხიდან გამოთლილ საწნახელში წურავდნენ ადესას, ავლებდნენ ჯანჯუხას, აშრობდნენ ხურმის ჩირს, აგროვებდნენ თხილს, კაკალს, იყვანდნენ ყველს, აგროვებდნენ კვერცხს და თავიანთი შრომის ნაყოფს ყველაზე გაჭირვებულებს ურიგებდნენ. ისინი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ახლომახლო სოფლის მრავალშვილიან ოჯახებს ჩუქნიდნენ ხბოს, ქათამს, კვერცხს. გამუდმებული ლოცვისა და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებისა მიუხედავად, ჩემდა გასაოცრად, მონაზვნები გამოირჩეოდნენ სიკოხტავით, სისპეტაკით, სისუფთავით. არანაირი სუნი არ იგრძნობოდა, გარდა სანთლისა და ადესის სუნისა. კელიაც სუფთად და უბრალოდ ჰქონდათ მოწყობილი. ყველას ოდაში (კელიაში) აღმოსავლეთის კედელი სავსე იყო უნიკალური ხატებით, საცეცხლურებით, წიგნებით, კანდელით, რომელიც ვერცხლით იყო გაფორმებული. ყველა მონაზონს ჰქონდა ახალი სადღესასწაულო ტანსაცმელი, ანაფორა, რომელსაც მხოლოდ დღესასწაულებზე იცვამდნენ, თავისი ლეჩაქით.

მონასტერი წყლით ორი წყაროთი მარაგდებოდა. მახსოვს, XX საუკუნის 50-იან წლებში აქ ჩამოვიდა ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტი. მე მას წყაროსთან შევეგებე, დოქით წყალი მივართვი და ხელზე ვემთხვიე. იგი შემდგომში გახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე. აღნიშვნის ღირსია ის, რომ ეს მონაზვნები მოესწრნენ ორ საუკუნეს. ისინი ცოცხალი მემატიანეებივით ინახავდნენ ძველ ნივთებს, ყველაფერს, რასაც ისტორია ჰქვია. მათთან ურთიერთობა იყო შეხვედრა წინაპრებთან, ასეთი გურულით აღარსად საუბრობენ, ასეთი პატარა ოდები აღარსადაა, ვერც ერთ ოთახში ვერ ნახავთ ქვის საფქვავს, ქვის კეცს, ძველებურ ბუხარს, გობს, ჩახანას, სამფეხა ჯორკოს.

მონაზვნები, რომელებიც ჭრაქისშუქზე ლოცულობდნენ, ბუხარში ამზადებდნენ ტრაპეზს, გამუდმებული შრომითა და ლოცვით სამაგალითონი იყვნენ; იმ უღმერთო მთავრობის დროს, რასაც კომუნისტური წყობა ერქვა უამრავი დამცირება, გაჭირვება, შიში გადაიტანეს (1921 წლიდან), მაგრამ უფლისკენ მომავალი გზა მათთვის მთავარი იყო და ამ რწმენით შეხვდა ყოველი მათგანი იმ დღეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე რწმენით თუ სულიერი სიმტკიცით ელოდნენ და ჩვენ, მათგან დალოცვილი შთამომავლები, უფლის გზაზე დაგვაყენეს. უდიდესია მათი დამსახურება ერის, ქვეყნისა და უფლის წინაშე, ვთვლი, რომ მათთან ჩემი სიახლოვე უფლის დიდი წყალობა იყო.

სახელი და გვარი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

სა და ჩერვენსკის მიტროპოლიტად, 2001 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა რუსეთის ეპარქიას და სინოდალურ საგანმანათლებლო კომისიას.

2013 წლის 24 თებერვალს მიტროპოლიტი ნეოფიტე არჩეულ იქნა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად.

ინტერნიზაციის შემდეგ უნეტარესმა ნეოფიტემ გაანცხადა, რომ მთელი გულით ილოცებს ბულგარელი ერისათვის: „უპირველესი ამოცანა ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობაა. დაე, ბულგარელები ბედნიერი იყვნენ და მათ გულებში ენთოს სურვილი შრომისა ბულგარეთის საკეთილდღეოდ!.. მაღალი საეკლესიო პოსტი ქედმაღლობის გამოვლინებისაკენ უბიძგებს ხშირად, მაგრამ იმის გაცნობიერება, თუ რაოდენ სუსტია ადამიანური ძალები, თავმდაბალი, მორჩილებითი ლოცვისთვის განგვაწყობს. უმძიმესი ჯვრის ზიდვა დამაკისრა ჩვენმა წმინდა ეკლესიამ ჩემი სუსტი მხრებით. შევთხოვ ძალს უფლისას, გამაძლიეროს უძლურების ჟამს... მჯერა ჩემი თანამდგომების – ეპარქიათა წინამძღვრებისა... ჩემთვის ნათელ მაგალითად რჩება პატრიარქი მაქსიმე, რომლის მემკვიდრესაც დღეს მე წარმოვადგენ..." — ბრძანა უნეტარესმა ნეოფიტემ.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

დეკანოზ ავთანდილ ბურდულის გახსენება

ერთი წელი გავიდა მამა ავთანდილის (ბურდულის) გარდაცვალებიდან. მართლაც თავზარდამცემი იყო იმ დილით გაგებული ამბავი, მამა ავთანდილი გარდაიცვალაო. სვეტიცხოვლის სამღვდელოებას კარგი ძმა გამოაკლდა. „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენნი შენი.." მართლაც საკვირველია საღმრთო საქმენი. 2012 წლის 26 თებერვალს მიტევების დღე იყო, ყველას შეუნდო, თავადაც ითხოვა შენდობა და წავიდა... კარგი მღვდელი და კარგი კაცი წავიდა...

„სულმან მასმან კეთილთა შინა განისვენოს და ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა"

ფოტომატიანე

დეკანოზი დავით გურგენიძე „იყო კაცი ენატკბილი" 1840-1907

დეკანოზი დავით სოლომონის ძე გურგენიძე 1840 ნელს მღვდლის ოჯახში დაიბადა. თავისი წინაპრების მსგავსად მომავალმა მოძღვარმაც სასულიერო გზა აირჩია. ამ ოჯახიდან, მის გარდა, კიდევ ორი სასულიერო პირი გამოვიდა, დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი იროდიონ გურგენიძე (1853-1944) და თელავის მაზრის სოფელ აღდგომის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი მიხეილ გურგენიძე (1837-1915).

1855-1861 ნლებში დავითი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. 1861 ნლის 3 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) იგი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე ნლის 8 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ლეკებით დასახლებულ ბელაქნის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. სამწყსოში ჩასვლისთანავე ახალგაზრდა მოძღვარი ენერგიულად შეუდგა მოღვაწეობას. ლეკებმა, თათრულისა და ლეკურის გარდა, სხვა ენა არ იცოდნენ, ამიტომ მამა დავითმა 1861 ნლის 12 ოქტომბერსვე ტაძართან გახსნა დაწყებითი სკოლა, სადაც პატარებს რუსულ ენას ასწავლიდა. 1862 ნლის იანვრიდან იგი ასრულებდა ღვთისმსახურებას თათრულ ენაზე, მისი წინამძღვრობის დროსვე დასრულდა ბელაქნის ტაძრის მშენებლობა.

1863 ნლის 3 იანვრიდან იგი პარალელურად ასრულებდა ღვთისმსახურებას ვართაშენის სამრევლოში მცხოვრებ უდინებისათვის, ასევე თათრულ ენაზე. 1863 ნლის გაზაფხულზე ზაქათალის ოლქში ლეკები რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყდნენ, რის გამოც ამავე ნლის ივლისში დაიკეტა ბელაქნის ეკლესია. საეკლესიო მმართველობამ მამა დავითი თბილისში გადმოიყვანა და 1863 ნლის 9 სექტემბერს თბილისის სასულიერო სემინარიასა და სასწავლებელში თათრული ენის მასწავლებლად დაადგინა. 1864 ნლის 14 იანვარს იგი აისორების სოფელ კოილიასარში დაინიშნა. ამავე ნლის 19 იანვარს მამა დავითმა დააარსა დაწყებითი სკოლა, სადაც 1867 ნლის 1 მაისამდე ასწავლიდა. რადგან მან არ იცოდა სიროქალდეური ენა, ჩასვლისთანავე შეუდგა მის შესწავლას და უახლოეს პერიოდში ისე კარგად აითვისა, რომ მათ ენაზე დაიწყო წირვა-ლოცვის აღსრულება. 1864 ნლის 24 მარტიდან 1867 ნლის 1 მაისამდე დაჭრილი მეომრებისთვის უსასყიდლოდ ასრულებდა საეკლესიო წესებს არალიხის სამხედრო ჰოსპიტალში. 1865 ნლის 5 ნო-

ემბერს ერთგული სამსახურისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. აისორების მხარეში მოღვაწეობის პერიოდში მამა დავითმა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია 167 ადამიანი.

1867 წლის 1 მაისს მამა დავითი გათავისუფლდა აისორების სამრევლოდან და თბილისის სასულიერო სასწავლებელში პირველი კლასების მასწავლებლად დაინიშნა. 1867 წლის 1 სექტემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის კარის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. ამავე წლის 20 ოქტომბერს სემინარიასა და სასწავლებელში თათრული ენის მასწავლებლობა დაევალა. 1867 წლის ნოემბერში თბილისის სასულიერო სემინარიის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სხვა პედაგოგებთან ერთად, წმინდა სინოდისაგან გამოეცხადა მადლობა. 1868 წლის 13 დეკემბერს სემინარიის ბიბლიოთეკარად დაინიშნა. 1869 წლის 8 აპრილს სკუფია უბოძეს. 1868-1870 წლებში მამა დავითი სიონის საკათედრო ტაძარში კატეხიზატორად განამწესეს. ამ წლების განმავლობაში მან ქრისტიანობაზე მოაქცია 1582 ადამიანი.

დეკანოზი დავით გურგენიძე

1871 წლის 10 სექტემბრიდან 1872 წლის 13 იანვრამდე იგი დროებით ასწავლიდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის დაბალ კლასებში საღვთო სჯულს და მსახურობდა იქაური კარის ეკლესიის მღვდლად.

1872 წლის 1 ივლისს თბილისის სემინარიაში გაუქმდა თათრული ენის კათედრა და მამა დავითი მხოლოდ სემინარიის ეკლესიის მოძღვრად დარჩა. 1872 წლის 1 სექტემბრიდან 1884 წლამდე იგი თბილისის ხუთ სკოლაში ასწავლიდა საღვთო სჯულს, აქედან ზოგიერთში უსასყიდლოდ. 1873 წლის 8 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1874 წლის 1 ოქტომბრიდან 1887 წლის 1 იანვრამდე იყო აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიების შემოსავალ-გასავლების წიგნების შემმოწმებელი სარევიზიო კომიტეტის წევრი. 1874 წლის 2 დეკემბერს სამი წლის ვადით აირჩიეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველ საბჭოს წევრად.

1877 წლის 18 თებერვალს მღვდელ დავითს გამოეცხადა მადლობა სემინარიაში 10-წლიან მოღვაწეობასთან დაკავშირებით და თბილისის კალოუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

კალოუბნის ეკლესიაში აღვლენილ პირველ წირვაზე მამა დავითმა ასეთი სიტყვებით მიმართა მრევლს: **„განგებასა მღვთისასა ენება, ჩემო კეთილნო მსმენელნო, სამსახური ჩემი ეკლესიასა ამას შინა. ვსთქვი განგებასა მღვთისასა-მეთქი ამისათვისა, რომ იმისთანა ადგილებში მიმსახურნია და ამისთანა გარემოებებშიაც ვყოფილვარ, რომ სრულიად იმედი არა მქონია, არა თუ კალოუბნის ეკლესიაში სამსახურისა, არამედ სახლში ცოცხალი მოსვლისაცა. მაგრამ ვინ მისწვდება განგებასა უფლისასა! გარნა მსმენელნო, ესეც კი უნდა ვსთქო ჭეშმარიტად, რომელ არა მომატებულის სიხარულით, არამედ შიშით და ძრწოლით მივიღებ მე ამა ახალსა თანამდებობასა ჩემსა — სამრევლო მღვდლობისასა, სიძნელისა და მრავალგვარვნობისა გამო მღვდლის მოვალეობისა“.**

1877 წლის 25 დეკემბრიდან 1878 წლის 9 მაისამდე რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში მამა დავითი ფრონტის ხაზზე განამწესეს და ჯარისკაცებისთვის საეკლესიო წესებს ასრულებდა. 1879 წლის 13 მარტს ფრონტზე მამაცური საქციელისათვის წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავისი სამახსოვრო ჯვრით დააჯილდოვა.

1879 წლის ივლისში იგი თბილისის წმინდა ჯვრის ამაღლების სახელობის იერუსალიმის ეკლესიაში დაინიშნა, სადაც პერიოდულად ბერძნულ ენაზე ატარებდა ღვთისმსახურებას. 1879 წლის 1 სექტემბერს თბილისის ნიკოლაევის ორკლასიან სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. 1881 წლის 1 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

1882 წელს მამა დავითმა გამოსცა ქადაგებათა კრებული, სადაც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: **„ოთხი წლის განმავლობაში ჩემის მღვდლობისა ქართველთა შორის მე შევნიშნე მდაბალთა ხალხთა შორის ჩვენთა მრავალგვარნი ნაკლულევანებანი შესახებ ცოდნისა მართლმადიდებლობითის სარწმუნოების ჭეშმარიტებათა. ამისთვის კვირა და დღესასწაულ დღეებში წარმოვსთქვამდი სიტყვათა და მოძღვრებათა სხვადასხვა საჭირო საგანთა ზედა. სიტყვანი და მოძღვრებანი ესე დაწერილ არიან თვით დაბიურ ენაზედ მდაბალთა ხალხთათვის. მაგრამ რადგან სამსახური ჩემი დაიწყო იმისთანა ადგილებში და ხალხში, სადაც რომელთა შორისაც არ იხმარებოდა ქართული ენა, არც სიტყვა-მოძღვრებანი წარმოითქმებოდნენ ჩემ მიერ 1861-1877 წლებში. ამა მიზეზისა გამო, რომელნიმე ნაკლულევანებანი აუცილებელნი უნდა იყვნენ ამა მოძღვრებათა შინა. გარნა მკითხველთაგან მოვითხოვ კეთილმოწიწებითსა ყურადღებას, და ვეცდები, რომ შემდეგი სიტყვა — მოძღვრების გამოცემაში, რომელნიც მომზადებულნი არიან დასაბეჭდავად და უმჯობესნი ამათ ზედ შინაარსითა, მოვსპო ყოველგვარნი ნაკლულევანებანი შეძლებისამებრ“.**

1883 წელს მამა დავითმა სარწმუნოებაზე მოაქცია და მონათლა 403 ადამიანი. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის წმინდა სინოდმა იგი წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. 1886 წლის 23 დეკემბერს წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესიაში თავდადებული და პატიოსანი სამსახურისათვის იერუსალიმის პატრიარქმა ნიკოდიმოსმა გამშვენებული ჯვარი უბოძა.

1888 წლის 14 მაისს მამა დავითი დაინიშნა კომიტეტის თავჯდომარედ, რომელსაც უნდა აეშენებინა თბილისის აისორების წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესია. მანამდე კი, ორი კვირით ადრე, მან დააარსა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომელიც საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) აკურთხა.

სანამ დიდი ტაძარი აშენდებოდა, მანამდე დროებით ააგეს პატარა ტაძრი, რომელიც 1888 წლის 20 დეკემბერს ნესტორიანული ეკლესიის მოწამის მარიამ ავდიშოს სა-

ხელობაზე ეკურთხა. 1890 წლის 29 აპრილს მამა დავითს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1890 წლის ივნისში ოფიციალურად დაინიშნა აისორების ეკლესიის წინამძღვრად. 1890-1892 წლებში მოაქცია და მართლმადიდებლური წესით მონათლა 108 ადამიანი.

თბილისის კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიის კრებული და მრევლი. შუაში ზის სტუმრად მყოფი ანტიოქიის საპატრიარქოს აისორი ეპისკოპოსი. მარცხნიდან პირველი: დიაკონი ალექსანდრე დავითაშვილი, მეხუთე — დეკანოზი დავით გურგენიძე, მეშვიდე — დეკანოზი დავით გერძნიშვილი. ფოტო გადაღებულია XIX ს. 90-იან წლებში

1890 წელს გაზეთი „ივერია" დეკანოზ დავითის შესახებ წერდა: **„კვირაცხოვლის მღვდლის დავით გურგენიძის მეცადინეობით ამ ეკლესიის შენობაშივე წარსულის წლის მაისიდან გაიმართა საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ამ სკოლის მასწავლებლად დაინიშნა სემინარიაში კურსშესრულებული სონღულაშვილი. როგორც შევიტყეთ, დღეს ამ სკოლაში დაიარება 52 მოწაფე, რომელთაგან 4 რუსია, 4 აისორი, და დანარჩენი ქართველნი არიან. თითოეული მოწაფე სწავლის ფასს ყოველთვიურად იხდის ათ შაურს, ანუ ყოველ წლივ ექვს მანეთს. მასწავლებელს ყოველ თვე ჯამაგირი ეძლევა მხოლოდ 15 მანეთი. რაღა თქმა უნდა, ეს სასყიდელი, იმ შრომის მიხედვით, რომელიც უტვირთნია ახალგაზრდა მასწავლებელს, ძალიან მცირეა. იმედია, კვირაცხოვლის ეკლესიის წინამძღვარი, რომლის მეოხებითაც სკოლა არსებაში მოვიდა, იმაზედაც იზრუნებს, რომ მასწავლებლის მდგომარეობა რამდენადმე განაკარგოს".**

შემდგომ წლებში ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის დეკანოზი დავითი დაჯილდოვდა: 1896 წლის 6 მაისს— წმინდა ანას II ხარისხის ორდენით, 1899 წლის 6 მაისს — წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით, ხოლო 1905 წლის 7 აპრილს — ენქერით.

მამა დავითს ჰყავდა მეუღლე, ეკატერინე მაქსიმეს ასული (დაბ. 1844წ.) და ოთხი ვაჟი: ვლადიმერი, გიორგი, კონსტანტინე და ალექსანდრე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) თავის წიგნში — „ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში" დეკანოზ დავითის შესახებ წერდა: **„წლების მანძილზე უმსახურნია ბელოკანის (ლეკეთი) სამრევლოში (ასრულებდა ღვთისმსახურებას თათრულ ენაზე), ვაღარშაგეთის სამრევლოში (უდინებისათვის ასრულებდა წირვა-ლოცვას თათრულადვე), კაისლახარის აისორების სამრევლოში (აისორულად-სიროქალდეურად); ყოფილა თათრული ენის მასწავლებლად ტფილისის სემინარიაში, საღვთო სჯულის მასწავლებლად ქალთა ინსტიტუტში; მოუნათლავს და შეუერთებია მართლმადიდებლობისათვის მრავალი მაჰმადიანი, ნესტორიანი, კათოლიკე და გრიგორიანი. გარდაიცვალა ტფილისის აისორთა ეკლესიის წინამძღვრად ამ საუკუნის დამდეგს *(უწმინდესმა კალისტრატემ, როგორც ჩანს, არ იცოდა მამა დავითის მეტეხის ციხის ეკლესიაში დანიშვნის შესახებ, ამიტომ წერს ამას — გ. მ.).* „კრასნი გორკაზე" ტაძარიც მან ააშენა; იყო კაცი ენატკბილი. 1882 წელს დასტამბულია მისი „სიტყვა-მოძღვრებათა კრებული".**

1906 წლის 29 დეკემბერს მამა დავითი თბილისში, მეტეხის ციხეში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს, სადაც დაასრულა კიდეც თავისი ამქვეყნიური სამსახური. მხცოვანი და დამაშვრალი მოძღვარი 1907 წლის 26 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.-ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ხარისხი და, თავისი თხოვნის საფუძველზე, გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში განამწესეს, როგორც უშტატო არქიმანდრიტი.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ერთი ხელნაწერი, „კრებული", სადაც ვკითხულობთ: **„აღვსწერე წიგნი ესე მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსა შინა არხიმანდრიტმან სოფრონიოს, არაგვის ერისთავის შვილმან, და მიუძღვანე მრავლად ჭირნახულდებულს ძმისწულსა ჩემსა, კიაზოდ სახელდებულს გიორგის, სახსოვრად ჩემდა, ჩყნბ-სა (1852) წელსა, ოკდომბრის იგ-სა (13) დღესა".**

1852 წლის ბოლოს არქიმანდრიტი სოფრონი ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. ამ პერიოდში მასთან მუდმივად იმყოფებოდა მისი მორჩილი, აზნაური, მღვდლის შვილი ისააკ ამირანიძე-წერეთელი.

1853 წლის 29 აგვისტოს სოფელ მაღაროს ეკლესიის მღვდელი იესე დოდაშვილი (სოლომონ დოდაშვილის ძმა) ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი) წერდა: **„გაცნობებთ, რომ გარდაიცვალა ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი სოფრონი და გთხოვთ განკარგულებას, თუ სად მოხდეს მისი დასაფლავება და რა ვუყოთ მის ქონებას".** ეგზარქოსმა ბრძანება გასცა, რომ მისი ცხედარი დაესაფლავებინათ ბოდბის ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს.



გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი 19-ე ს-ის 60-იან წლებში

1853 წლის 9 სექტემბერს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე (ჯორჯაძე) სწერდა ეგზარქოსს: **„მაქვს პატივი უმდაბლეს მოხსენებად თქვენისა მაღალყოვლადუსამღვდელოესობისადმი, რომელ გვამი განსვენებულის არქიმანდრიტის სოფრონისა, წმინდის ნინას სობოროდან, სადაცა აღესრულა, გარდატანილ იქნა რწმუნებულს ჩემდა უდაბნოსა შინა და დასაფლავებულ სურვილისაებრ თვისისა, და თანახმად მწყემსმთავრობითისა გარდაწყვეტილებისა თქვენის მეუფებისა მონათესავეთა მიერ მისთა, ხოლო არა საჩინო რა ქონებითი ნივთნი დაცულ არიან მდგომსა წმინდის ნინოს სობოროსათანა საარქიერო სახლშა შინა, ბეჭედსა შინა პოლოციის ჩინოვნიკისა, ამის გამო არა კეთილ ინებებს რა თქვენი მეუფება მიცემად ჩემდა გარდაწერილობითისა, რათა აღნიშნული ქონება მივიღო სიით, გარდავიტანო ჩემდა რწმუნებულ უდაბნოსა შინა დასართველად ქმნამდე მისთვის ჯეროვანის განკარგულებითა".**

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, მამა სოფრონის ანდერძის თანამხმად, მისი ცხედარი გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დაკრძალეს, იმ მონასტერში სადაც მან თავისი სულიერი ცხოვრება დაიწყო.

წყარო: საქართველოს სახელწმიფო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 5637, 12196, 15403; საქართველოს სასულიერო დიკასტერია ფ. 487, აღწერა 1, საქმე 67; საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია ფ. 488. აღწერა 1. საქმე 778; დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი ფ. 1461, საქმე 47.

ლიტ: ბერძნიშვილი მაქსიმე. „მასალები XIX ს-ის I ნახ. ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II. თბ. 1983წ.;

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი სოფრონი (ერისთავი) 1783-1853

არქიმანდრიტი სოფრონი, ერისკაცობაში — სარიდან ბეჟანის ძე ერისთავი, 1783 წელს კახეთში, დიდი თავადის ოჯახში დაიბადა. იგი არაგვის ერისთავთა იმ შტოს განეკუთვნებოდა, რომელიც 1739 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ არაგვის ხეობიდან კახეთში, სოფელ ქისტაურში გადაასახლა. მამამისი, ბეჟან სარდიონის ძე ერისთავი, სამეფო კარის მრჩეველი იყო. იგი 1824 წლის 29 აპრილს გარდაიცვალა. მას ჰყავდა 4 ვაჟი — იოსები (1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო გადასახლებული), რაფიელი (1812 წელს მოკლული, პოეტ რაფიელ ერისთავის პაპა), გიორგი, სარიდან (სოფრონ არქიმანდრიტი) და ერთიც ასული — ანა (გათხოვილი მაყაშვილზე, მღვდელ-მონაზონ გაბრიელის დედა).

პატარა სარიდანმა სწავლა-განათლება მიიღო და საბერო მორჩილება გაიარა გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში, სადაც 1794 წლიდან არქიმანდრიტ წმინდა ექვთიმეს (მჭედლიშვილი) მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. 1802 წლის დასაწყისში იგი დროებით შიომღვიმის მონასტერში გადაიყვანეს და ამავე წლის 22 დეკემბერს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გერონტიმ (სოლოლაშვილი) სოფრონის სახელით ბერად აღკვეცა. 1803 წელს მროველმა მიტროპოლიტმა იუსტინემ (მაღალაშვილი) დიაკვნად აკურთხა. 1805 წლის 12 მარტს რუსთველმა მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ (ჯორჯაძე) მღვდლად დაასხა ხელი. 1809 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის (ბაგრატიონი) ლოცვა-კურთხევით, მეუფე იუსტინემ არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

1811 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ვარლაამმა (ერისთავი) მამა სოფრონი ქვათახევის და თირის მონასტრების წინამძღვრად დანიშნა. 1812 წლის 7 მარტს მასვე დაეევალა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრობა. აი, რას წერდა ეგზარქოსი ვარლამი ამის შესახებ: **„მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტმან უწმინდესი სინოდის წევრმა და საქართველოს ეგზარქოსმა ვარლაამმა ინება, რათა არქიმანდრიტი სოფრონ ამა თვის ამიერდღიდგან განაგრძოს ყოველივე ღონიერება და მოქმედება; მანამდის შიომღვიმის მონასტრის მეურნედ და არქიმანდრიტად დაინიშნებოდეს ვინმე, მანამ ის უნდა იყოს მღვიმის მონასტრის წინამძღვრის მაგიერ და განმგებლად და ყოველსავე საჭიროისა საქმესა მონასტრისასა იგივე უნდა წარმოუდგენდეს დიკასტირიას რაპორტით და რომელნიც იქ კრებულნი არიან ყოველნივე მისსა მორჩილებასა და მონებასა შინა იყვნენ მონასტრის მსახურებასა შინა. და თუ მისი ურჩი იქმნება ვინმე ან ერთმანეთში იშფოთებს, ან რომელიმე ბერი იქაური თვინიერ დაკითხვისა მისისა და ანუ რაიმეცა იქმნებოდეს მონასტერსა შინა უწესობანი და კანონთა გარდამავლობანი, იგი ყოველივე მიუფერებელად და დაუყოვნებელად დიკასტირიას გამოუცხადოს. და თუ რომლითამე მიზეზითა დაჰფარავს და ღირსეულ დროს არ გამოაცხადებს, მაშინ ყოველივე ბრალი მის ზედა წარიწერება და დაისჯება. და შემდგომად ამისა, ამავ დიკასტირიით, წარიგზავნება გამოწერილნი კანონნი სჯულთანი, რომელთა ზედა მართებს მასცა და იქაურთაცა კრებულთა აღსრულება მათი ყოვლითა გულსმოდგინებითა მიუმედგრებელად".**

ამავდროულად, წერილი გაეგზავნათ მღვიმის მონასტრის კრებულს და ებრძანა, დამორჩილებოდა მამა სოფრონს, და მორჩილებითა და სიყვარულით ეცხოვრათ, სანამ ახალი წინამძღვარი დაინიშნებოდა.

1813 წელს 16 იანვარს მამა სოფრონი სწერდა მიტროპოლიტ ვარლაამს: **„თქვენ ჩამაბარეთ ეს მონასტრები, მაგრამ შიომღვიმის ყმასა და მამულს არ გვანებებენ ამილახვრები. 1) ნიკოლოზმა 2 კომლი მეშველაშვილები ოკამში, 1 კომლი ღვინაძეები — ჭალაში, 4 კომლი საძაგლიშვილები – ნიქოზს, ერასტიშვილმა ავთანდილმა 1 კომლი ბულბულაშვილი ჭალას, აღათონიკემ — ოთარშვილები, ივანე ბეჟანიშვლმა ბერშუეთს 4 კომლი გლარჯაძეები. თუმცა ამილახვრებმა პირობა დაუდეს კათალიკოზს შიომღვიმის მამულებს ხელს არ ვახლებთო და ეს პირობა მეფეებმა ერეკლემ და გიორგიმ დაამტკიცესო. ელისაბედ და სულხან თაქთაქიშვილები თირის მონასტრის ყმა-მამულს არ მანებებენ, თუმცა ერეკლემ ბრძანა — ხელი არა აქვთო".**

1814 წელს კახეთში გადაიყვანეს და ხარჭაშოს ყოფილი ეპარქიის საეკლესიო მამულებისა და ქონების გამგებლად დაინიშნა. ამავე წლის 1 ნოემბერს არქიმანდრიტი სოფრონი თელავის მთავარეპისკოპოს დოსითეოსის (ფიცხელაური) ლოცვა-კურთხევით, ხევსურეთში მისიონერად გაიგზავნა. მთაში მოღვაწეობის პერიოდში, ორი წლის განმავლობაში, მან ქრისტიანობაზე მოაქცია 1300 სული.

1816 წლიდან თავის მშობლიურ სოფელ ქისტაურში მამაპაპისეულ სასახლეში ცხოვრობდა და კარის ეკლესიაში აღასრულებდა წირვა-ლოცვას. 1822 წლის 16 ივნისს არქიმანდრიტი სოფრონი თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი):

„მათს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, უწმიდესის სინოდის ჩლენს, მაღალაყოვლადუსამღვდელოესს იონა არხიეპისკოპოსს და ექსარხოსს ყოვლისა საქართველოისას.

მრავალმთის ნათლისმცემლის იოანეს მონასტერსა შინა აღზრდილის, არხიმანდრიტის სოფრონის მიერ უმდაბლესი თხოვნა:

შემდგომად შობისა ჩემისა, ვიყავ რა ათერთმეტისა წლისა, შეველ მონასტერსა შინა და ვიწყე მუნ განგრძობა მდგომარეობისა ჩემისა და შემდგომად სრულისა ჰასაკისა აღვიკვეცე მუნვე მონაზონად, სადაცა შემისრულდა ყოფნა ოცდასამი წელიწადი, თუმცა, სამართლიანმან მიზეზმან მოხუცებულისა მამისა ჩემისაგან მიმიყვანა მოსავლელად მისა ჟამსა სნეულებისასა. მაშინ ოდესცა იწყო განსწესებამან მონასტრებისა შტატთაგან, რომელსაცა ჟამსა მე არღარა მაქვნდა დრო, რომელ მეცა აღვრაცხილვყავ ძმათა თანა და შემდგომად არღარა მომეცა ჟამი ესე გვარი, რათამცა მეკადნიერა და შემეწუხებინა სულიერი მთავრობა მონასტერსა შინა ყოფასა ჩემისათვის. მაგრამ მაინცა სურვილი ჩემისა აღმზრდელისა მონასტრისა არა მოკლებულ არს შორის ჩემსა. ამისთვის ვსთხოვ კეთილ მნებებელობითსა მამობრივსა მოწყალებასა თქვენსა, რათა ინებოთ განწესებაცა ჩემი ძმათა შორის მის მონასტრისათა წესითა მით, რაიცა საცხოვრებელად დადებულ არს მსგავსებისაებრ ხარისხისა, და უბრძანოთ არხიმანდრიტსა ელეფთერს მიმიწეროს მეცა ხელის ქვეშედ თვისსა მონასტერსა შინა“.

შუამთის მონასტერი მე-19 საუკუნის მიწურულს

1822 წლის 3 ივლისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი და კახეთის საეკლესიო მამულების გამგებელი, არქიმანდრიტი ელეფთერი (ზურაბიშვილი), თავის მხრივ, ეგზარქოს იონას სწერდა:

„თქვენს მიერ მოწერილი ბრძანება შტატგარეთ არხიმანდრიტ სოფრონის მიღებაზე წმინდის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში, მორჩილ ვარ ბრძანებისა თქვენისა და ვინც იქ გახლავან, ისინიცა თანახმა არიან იმის იქ მყოფობისა და რადგან ისინიც ჯამაგირით არიან, ვითხომ იმისაც, დაენიშნოს ჯამაგირი, რომელიც განსვენებულმა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ დაუნიშნა შტატის გარეთ მყოფთ არხიმანდრიტთ, ესე იგი ოთხმოცი რუბლი თეთრი ფული წლითიწლად. იმითი უნდა იცხოვრონ, ვინც გარეთ შტატისა ისურვებენ მონასტერში ყოფნას, ამისთვის გავბედე მოხსენებად“.

1822-1826 წლები არქიმანდრიტმა სოფრონმა გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში გაატარა, სადაც ძველი ქართული ხელნაწერების გადაწერით იყო დაკავებული.

1826 წლის 6 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა იონამ (ვასილევსკი) შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად და საქართველოს ეკლესიის ყოფილი ეპარქიების — თბილისის, სამთავროსა და ალავერდის საეკლესიო ქონებათა და მამულების გამგებლად დანიშნა.

არქიმანდრიტი სოფრონის სახელი ფიგურირებდა 1832 წლის შეთქმულების საქმეში. საგამომძიებლო კომისიას გიორგი დავითის ძე ერისთავმა უჩვენა, რომ დავით ერისთავი ატყობინებდა შუამთის მონასტერში მცხოვრებ მღვდელ-მონაზონ ფილადელფოსს (კიკნაძე), „აქტი გონიერის“ ავტორს, რომ მისი თხოვნით, თითქოს მისი ბიძა სოფრონ არქიმანდრიტი გადაყენებულია წინამძღვრობიდან, რაც არ აღმოჩენილა მართალი.

1835 წლის დასაწყისში არქიმანდრიტ სოფრონის ინიციატივით შეკეთდა ალავერდის საკათედრო ტაძარი. მან თავისი ხარჯებით გადახურა ტაძრის გუმბათი, გატეხილ ფანჯრებში ჩასვა ახალი შუშები, ასევე გადახურა ჩალით ეზოში მდებარე სასახლის სახურავი. შემდგომში იგი კიდევ აპირებდა შეკეთებას, მაგრამ აღარ დასცალდა.

1837 წლის 17 მარტს შუამთის მონასტრის ხაზინადარი, მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე (ჩოლოყაშვილი) საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას სწერდა: **„ამა წლის 13 მარტს, ღამით, არქიმანდრიტი სოფრონი გაიპარა მონასტრიდან და დღემდე გაურკვეველია, სად იმყოფება“.**

მამა სოფრონზე ძებნა გამოცხადდა და 1837 წლის 18 მარტს იგი დავით გარეჯის მონასტერში იპოვეს. როგორც იქაურმა საძმოს წევრებმა განაცხადეს, მამა სოფრონს უცდია თავის მოკვლა სულიერი აშლილობის ნიადაგზე. იგი დააპატიმრეს და ბადრაგის თანხლებით თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში განამწესეს, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

მას ბრალად ედებოდა საეკლესიო მამულებისა და ქონების არასწორი განკარგვა, ამ ქონებიდან შემოსული თანხების გაფლანგვა, საეკლესიო მიწების გაყიდვა-დაგირავება და სხვადასხვა დარღვევები.

საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მამა სოფრონს საეკლესიო ხარისხი ჩამოართა და სასჯელის მოსახდელად ფერისცვალების მონასტერში განამწესა. აქ მამა სოფრონმა მოწაფეები გაიჩინა და მათ საეკლესიო გალობასა და ტიპიკონს ასწავლიდა. ჰყავდა 20-მდე მოწაფე. იგი აქაც ძველი წიგნების გადაწერით ირთობდა თავს, მაგალითად: 1841 წელს გადაწერა „არჩილიანი“, რომელიც თავის დას, ანას აჩუქა.

1842 წლიდან არქიმანდრიტ სოფრონს აღუდგინეს

უცხოეთის ქრონიკა

ანტიოქიის ეკლესია იერუსალიმის საპატრიარქოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა

ბერძნული სააგენტო „ამენის" ცნობით, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ გამოხატა პროტესტი 2013 წლის 4 მარტს იერუსალიმის წმინდა სინოდის მიერ არქიმანდრიტ მაკარის კატარის მთავარეპისკოპოსად არჩევის შესახებ. საქმე ისაა, რომ ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია კატარს, სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების მსგავსად, თავის იურისდიქციაში შემავალ ქვეყნად თვლის.

ანტიოქიის ეკლესიის წერილობით პროტესტში ნათქვამია, რომ „მოცემული გადაწყვეტილება ღრმა ჭრილობას აყენებს ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიების ძმურ ურთიერთობას. აღნიშნული ქმედებები კრიტიკულ პერიოდშია განხორციელებული. ამჟამად ახლო აღმოსავლეთში არა მარტო ეკლესიას, თავად ქრისტიანთა არსებობას ემუქრება საფრთხე".

იერუსალიმის მართლმადიდებელმა საპატრიარქომ აღნიშნულის პასუხად განაცხადა, რომ 1996 წელს აწ განსვენებულმა პატრიარქმა დიოდოროსმა კატარში დანიშნა თავის წარმომადგენელი — ამჟამინდელი პატრიარქი თეოფილე III, რომელმაც იქ პირველი მართლმადიდებლური ტაძარი გახსნა წმინდა გიორგის სახელზე. ამ ქმედებას იმ დროს ანტიოქიის ეკლესიის მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. იერუსალიმის საპატრიარქო იმედოვნებს, რომ მოძმე ეკლესიებს შორის წამოჭრილი გაუგებრობა უახლოეს მომავალში მოგვარდება.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ 2010 წელს იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე საგანგებოდ იმყოფებოდა კატარში და ახლად აგებულ ტაძარში საღვთო ლიტურგიაც აღასრულა.

კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია ჯვარდაუწერელ კავშირს არ იწონებს

6 მარტს კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის სხდომაზე განიხილეს მოსწავლეთა საღვთო სჯულის გაკვეთილებიდან გათავისუფლების, ჯვარდაუწერელ წყვილთა თანაცხოვრებისა და გარდაცვლილთა კრემაციის საკითხები. სინოდის გადაწყვეტილებით, ეკლესია მკვეთრად უარყოფითადაა განწყობილი ჯვარდაუწერელი თანაცხოვრების მიმართ, ასეთ კავშირს ეკლესია არც ერთი სახით არ ცნობს კანონიერად, განსაკუთრებით ერთსქესიანთა კავშირის დროს. სინოდის თქმით, ქორწინება საეკლესიო საიდუმლოა, მისი მაგალითი კი ქრისტესა და ეკლესიის ერთობაა. რაც შეეხება კრემაციის საკითხს, ეს არ წარმოადგენს დოგმატიკის სფეროს და საეკლესიო ტრადიციებს მიეკუთვნება.

საღვთო სჯულის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა გათავისუფლების საკითხის განხილვისას, სინოდმა აღნიშნა, რომ მართალია, კვიპროსის მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლმადიდებელია, მაგრამ სასწავლო პროგრამაში სხვა რელიგიების ისტორიის შეტანაც დასაშვებია.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი ათანასე (პეტრიაშვილი) 1774-1832

მთავარეპისკოპოსი გაიოზი (ბარათაშვილი)

სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, არქიმანდრიტი ათანასე, ერისკაცობაში — ალექსი პეტრიაშვილი, ჩრდილო კავკასიაში, ქ. ყიზლარში, დეკანოზის ოჯახში დაიბადა. მამამისი წარმოშობით აზნაური იყო. 1786 წელს პატარა ალექსი განათლების მისაღებად მიაბარეს ასტრახანის სასულიერო სემინარიაში, რომელიც მან წარჩინებით დასრულა და იქვე პედაგოგად დაინიშნა, სადაც 1803 წლის 9 აგვისტომდე მუშაობდა. ამავე პერიოდში იგი დაოჯახდა და დიაკვნად აკურთხეს. 1796 წელს მოზდოკის ეპისკოპოსმა გაიოზმა (ბარათაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი და ყიზლარის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნა. 1798 წელს კავკასიის ხაზის მაშინდელი უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ კისელსკის თხოვნით, ყაზანის მუშკეტერთა სამხედრო პოლკში კაპელანად გადაიყვანეს (სამხედრო მღვდელი). ამ პოლკში მამა ალექსიმ ერთი წელი დაპყო. 1800 და 1801 წლებში იგი ახლდა გენერალ-ლეიტენანტ კ. კნორინგს საქართველოში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დალაგებაში. 1801 წლის 25 აგვისტოს ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

ადრევე დაქვრივებულ მამა ალექსის, 1802 წელს ნება დართეს ბერად აღკვეცილიყო, რისი მოწოდებაც მას თავიდანვე ჰქონდა, მაგრამ იმ ეტაპზე მას უარი ეთქვა. 1803 წელს საქართველოს მთავარმართებლად დაინიშნა გარუსებული ქართველი პავლე ციციანოვი (ციციშვილი), რომელმაც 1803 წლის 9 აგვისტოს ცოდნითა და განათლებით ყოველმხრივ გამორჩეული მამა ალექსი თბილისში გადმოიყვანა და თავის კანცელარიაში მთარგმნელის თანამდებობაზე დანიშნა. მისივე შუამდგომლობით, 1803 წლის 29 მაისს წმინდა სინოდმა მამა ალექსის გამშვენებული ჯვარი უბოძა, ხოლო 1804 წელს დეკანოზის წოდება მიანიჭა.

თავადი პავლე ციციშვილი

1804 წელს, როგორც განათლებული სასულიერო პირი და რუსული და ქართული ენების საუკეთესო მცოდნე, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პირველ დირექტორად დაინიშნა. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1802 წელს, მაგრამ მალევე დაიხურა და კვლავ გაიხსნა 1804 წელს. თუმცა ეს სასწავლებელი მაღალი წოდების ბავშვებისათვის იყო დაარსებული, მაგრამ პირველ ხანებში, ვინაიდან ამ სასწავლებელში სწავლის მსურველ თავადაზნაურთა საკმაო რიცხვი არ იყო, იღებდნენ მოქალაქეთა და სასულიერო წოდების ბავშვებსაც. სასწავლებელი დასაწყისში იყო ორკლასიანი. სწავლა მიმდინარეობდა ქართულ და რუსულ ენებზე. 1806 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. ეს სასწავლებელი თავისი არსებობის დასაწყისში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. აღნიშნული სასწავლებლის ავტორიტეტს ქმნიდა უმთავრესად სასწავლებლის დირექტორი, დეკანოზი ალექსი, რომელიც ამ თანამდებობას 1810 წლის ჩათვლით ასრულებდა. ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმი სათანადო სიმაღლეზე აეყვანა. დეკანოზ ალექსის კარგი ადმინისტრატორისა და მასწავლებლის სახელი ჰქონდა მოპოვებული. მის დროს გაიზარდა მოწაფეთა კონტიგენტი, მოეწყო სტამბა სასწავლებელთან, შეადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათია, დეკანოზ იოანე ქართველიშვილთან ერთად რუსული ენიდან თარგმნა სახელმძღვანელოები და ახალგახსნილ სტამბაში დაბეჭდა. 1806 წელს მთავარმართებელ პავლე ციციანოვის შუამავლობით ითხოვა თანამდებობიდან გათავისუფლება, რათა ბერად აღკვეცილიყო, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, რომელმაც ციციანოვისგან მიიღო მამა ალექსის, როგორც დირექტორისა და მასწავლებლის საუცხოო დახასიათება, არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. სამაგიეროდ, 1806 წლის 6 ოქტომბერს მამა ალექსი დააჯილდოვა წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით და პირადად მის სახელზე მოცემულ რესკრიპტში სწერდა: **„მე მსურს და მესიამოვნება, რომ თქვენ განაგრძოთ თქვენი მუშაობა სასწავლებლის მმართველად, მასში მოსწავლეთა განათლებისათვის“.**

შიომღვიმის მონასტერი

მამა ალექსი მიღებული იყო, როგორც რუს უმაღლეს მმართველ წრეებში, ასევე ქართულ საზოგადოებაშიც და საკმაო გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებზე. 1804 წელს იგი მონაწილეობდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან გამართულ მოლაპარაკებაში. ასევე დავალებული ჰქონდა რუსეთის მოწინააღმდეგე ქართველ თავადაზნაურობასთან დიალოგი, რათა ისინი ქვეყანაში რუსეთის მმართველობის დამყარებას შერიგებოდნენ.

1810 წელს დეკანოზმა ალექსიმ კვლავ აღძრა შუამდგომლობა სასწავლებლის დირექტორის მოვალეობიდან გათავისუფლების შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა ახალმა მთავარმართებელმა ტორმასოვმა, რომელსაც განზრახული ჰქონდა, თბილისის კეთილშობილთა გიმნაზია სამხედრო სასწავლებლად გადაეკეთებინა და მის სათავეში სასულიერო პირის ყოფნა საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. გათავისუფლებისას მამა ალექსიმ სასწავლებელში შვიდწლიანი კეთილსინდისიერი და ერთგული სამსახურისათვის მიიღო ფულადი ჯილდო — 2000 მანეთი.

1810 წელს დეკანოზი ალექსი კვლავ რუსეთში დაბრუნდა და რამდენიმე წელი იქ დაჰყო. 1813 წლის 20 მაისს ნოვგოროდის მიტროპოლიტ ამბროსის (პოდობედოვი) ლოცვა-კურთხევით, სანკტ-პეტერბურგის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრაში არქიმანდრიტმა გედეონმა (მოშკინი) დეკანოზი ალექსი ბერად აღკვეცა და სახელად ათანასე უწოდა. მალევე არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა და ნიჟეგოროდის ეპარქიის მაკარიევის ჟელტოვოდის მეორე კლასის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

1815 წლის 14 აპრილს თელავის მთავარეპისკოპოს დოსითეოსის (ფიცხელაური) რეკომენდაციით არქიმანდრიტი ათანასე საქართველოში დააბრუნეს და ქვათახევისა და შიომღვიმის მონასტრების წინამძღვრად დაინიშნა. 1815 წელს თბილისში დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და მამა ათანასე მის წევრად აირჩიეს. 1815 წლის 8 მაისს კანტორის საზეიმო გახსნაზე მან რუსულად წარმოთქვა საკმაოდ საინტერესო სიტყვა.

წინამძღვრად დანიშვნისთანავე მან შეისწავლა მონასტრები და აღრიცხა ქონება და შემოსავალ-გასავალი. ამ მხრივ მას ბევრი უწესრიგობა დახვდა მონასტრებში. ამასთან დაკავშირებით, 1815 წლის 16 სექტემბერს მამა ათანასე საქართველოს ეგზარქოს ვარლაამს (ერისთავი) წერდა: **„მაქვს პატივი მოვახსენო თქუენს მაღალ-**

მოსკოვის დონის მონასტერი

ყოვლადუსამღვდელოესობას, რომელ სიასა შინა ქვაბთახევს მონასტრის შემოსავლისა და გასავლისა, მოცემულსა ჩემდა არქიმანდრიტ სოფრონის მიერ, რომელიცა განაგებდა მონასტერსა მას, ჰსჩანს, ვითარმედ წარსულსა 1814 წელსა ყოფილ არს შემოსავალი: თეთრად შვიდი თუმანი, შვიდი მილანთუნი, ცხრა შაური და ორი ფუთი, ხორბალი 277 კოდი, ქერი 51 კოდი, ღვინი 133 კოკა. ამ ზემოხსენებულის თეთრისა და ნივთთაგან მისვე არქიმანდრიტ ათანასეს მიერ წლის ამის ივნისის პირველამდე დანახარჯს გარდარჩომიეს თეთრი ერთი მილანთუნი და 3 ბისტი, ხორბალი 94, ქერი 31, ღვინო 101 კოკა. ხოლო წლისა ამის ივნისის 1-დან ყოფილ არს შემოსავალი თეთრად 7 მილანთუნი და იგიც არა დანახარჯს შინა. რაიცა უკვე შეეხების შემოსავალ და დანახარჯს შიომღვიმის მონასტრისა, ვინაიდგან შემდგომად მიცვალებისა განსვენებულის არქიმანდრიტ ნიკოლოზისა, რომელიც განაგებდა მონასტერსა მას, არა დაშთომილ არს წარსულის წლის შემოსავალის და დანახარჯის ჯეროვანი სია, ამისთვის არა ძალმიძს მოყვანებად გარდა ამისა, რომელ აღწერისამებრ მონასტრისა მის ნამესტნიკის საბა არქიმანდრიტის მიერ წლის ამის მაისის 3 აღმოჩნდა ღვინო — 136 კოკა, ხორბალი — 26 კოდი, ქერი — 48 კოდი, სიმინდი — 36 კოდი, ფეტვი — 14 კოდი".

1815 წლის 26 სექტემბერს ერთგული სამსახურისათვის გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვრობაც მასვე მიანდეს.

1817 წლის 14 მაისს საქართველოს საეკლესიო შემოსავლებიდან დაენიშნა 500 მანეთი ვერცხლით წელიწადში. XIX საუკუნის 10-იან წლების მიწურულს არქიმანდრიტი ათანასე საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) დავალებით მიავლინეს სამეგრელოში, იქაური საეკლესიო ყმების, საერთო შემოსავლისა და სასულიერო პირთა შესახებ ზუსტი ცნობების შესაკრებად, ასევე რუსული საეკლესიო მმართველობის განსამტკიცებლად.

1819 წლის 19 იანვარს არქიმანდრიტი ათანასე თბილისში, დარეჯან დედოფლის ყოფილ სასახლეში ახლად გახსნილი მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, რომელიც 1822 წელს მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე იკურთხა. 1821 წლის მაისში იგი რუსეთში გაემგზავრა და მოსკოვის ღვთის განცხადების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1823 წლის 23 ივნისს დონის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა 1832 წლის 17 ოქტომბერს. მისი ცხედარი დაკრძალულია დონის ქართველთა მონასტერში.

არქიმანდრიტი ათანასე იყო ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ ორბელიანის ნათლია.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №262; 1012; ფ. 488. საქმე №29; „Чистович, `Руководящие деятели дух. просв. в России в первой половине текущего столетия". _ Дело в архиве Св. Синода 1832 г., №1629/876.

ლიტ: თავზიშვილი გ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეებიდან სახალხო მასწავლებლები", კრ. I. თბ. 1953წ. გვ. 29-32; ბერძენიშვილი მ., „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის ტ. I. თბ. 1980, გვ.104-105; ღაღანიძე მ. „ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე", თბ. 2010წ. გვ. 38-44.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

უცხოეთის ქრონიკა

2013 წლის მე-3 თვის 13 რიცხვში, იტალიის დროით 19.06 წუთზე, სიქსტის კაპელაში დამონტაჟებული ბუხრიდან თეთრი კვამლი ამოვიდა, რაც ნიშანი გახდა იმისა, რომ ერთ-ერთმა კანდიდატმა გადალახა მინიმალური ზღვარი (77 ხმა) და კათოლიკურ ეკლესიას ახალი პაპი ჰყავს. რომის რიგით 266-ე პაპი აღმოჩნდა 76 წლის იეზუიტი ხორხე მარიო ბერგოლიო (ჟორგე Mario Bergoglio), რომელმაც სახელად აირჩია ფრანცისკე (Franciscus I). იგი გახლავთ პირველი პაპი სამხრეთ ამერიკიდან და პირველი იეზუიტი, ვინც კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აირჩიეს. ახალი პაპი წარმოშობით იტალიელია, პიემონტეს რეგიონიდან; დაიბადა 1936 წლის 17 დეკემბერს, არგენტინაში, ბუენოს-აირესში, განათლება მიიღო ქიმიურ ტექნოლოგიებში, იეზუიტურ ორდენში შესვლის შემდეგ კი ფილოსოფიისა და თეოლოგიის განხრით სწავლობდა ჯერ ჩილეში, შემდეგ არგენტინაში, იყო სან ხოსეს ფაკულტეტის პროფესორი და რექტორი. 1986 წელს გერმანიაში დაიცვა სადოქტორო ხარისხი. 1992 წელს იოანე-პავლე მეორემ ბუენოს აირესის დამხმარე ეპისკოპოსად დაადგინა, 2011 წლამდე კი არგენტინის საეპისკოპოსო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ახალი პაპი თავიდანვე განსაკუთრებული კარდინალი გახლდათ, უარყოფდა ყოველგვარ მაღალ თანამდებობებს რომის ეკლესიის კურიაში და მხოლოდ მაშინ ჩადიოდა რომში, როცა ამის აუცილებლობა იყო. არგენტინაში მას არც მძღოლი ჰყავდა და არც ძვირფასი მანქანა, იგი ბუენოს-აირესის მეტროთი და ავტობუსით მგზავრობდა, ცხოვრობდა უბრალო სახლში და საჭმელსაც კი თავისი ხელით იმზადებდა.

არგენტინაში ახალი პაპის არჩევას საოცარი სიხარული მოჰყვა. მას შემდეგ, რაც არგენტინა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მსგავსი რამ არ უნახავთ. მათი ქვეყნის მთავარეპისკოპოსის პაპად არჩევასთან დაკავშირებით დიეგო არმანდო მარადონამ, თავის თანამემამულე მესისთან ერთად, უდიდესი სიხარული გამოხატა; ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხოსე-მარია ბერგოლიო არგენტინაში San Lorenzo-ს გუნდს გულშემატკივრობდა;

არგენტინასთან ერთად ზეიმობს იტალიის რეგიონი ტოსკანა, ისევე, როგორც მთელი იტალია, რადგან იგი წარმოშობით იტალიელია. ხოლო სახელი — ფრანცისკო ტოსკანელი ფრანცისკ ასიზელის პატივსაცემად აირჩია.

ახალი პაპი პროგრესისტთა რიგებს მიეკუთვნება, იგი უარყოფდა ე.წ. „გათავისუფლების თეოლოგიას" (იხ. ჩვენი ცენტრის სტატია „დასავლური პოლიტიკური თეოლოგია" ს.ფ.); ჰომოსექსუალისტებთან მიმართებაში დიალოგს ემხრობოდა, თუმცა, ამავდროულად, მკაცრად ებრძოდა ჰომოსექსუალისტური ოჯახების მიერ შვილის აყვანის შესაძლებლობას, რისთვისაც მან არგენტინის პრეზიდენტისაგან საყვედურიც კი მიიღო. განსაკუთრებით ახსოვთ მისი საოცარი ჟესტი, როდესაც 2001 წელს შიდსით დაავადებულ 12 ადამიანს ემთხვია და ფეხები დაბანა. ჯერ კიდევ 2005 წელს, ბენედიქტე XVI-ის არჩევისას, განიხილებოდა მისი კანდიდატურა, თუმცა მაშინ მან ეს შეთავაზება უარყო და განაცხადა, რომ ამისთვის მზად არ იყო. როგორც არჩეულმა პაპმა, პირველი, რაც თქვა, იყო ის, რომ ელოცათ მისთვის.

მისი მოძღვრები ბუენოს-აირესის ყველაზე ღარიბ უბნებში («ვილლას მისერიას») მოღვაწეობდნენ. ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოწყალებასა და სითბოს, რომელსაც ღარიბი და დაუცველი მრევლის მიმართ იჩენდა არგენტინაში და ალბათ, სწორედ ამიტომ აირჩია ფრანცისკ ასიზელის სახელი.

ახალმა პაპმა განსაკუთრებული ლოცვით მოიხსენია „emeritus papi" ანუ გადამდგარი, საპატიო პაპი ბენედიქტე XVI, შემდეგ კი წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ათობით ათას მორწმუნეს თხოვა, იქვე, ჩუმად ელოცათ მისთვის; რამდენიმე წუთით გაირინდა მთელი მოედანი, ბოლოს კი მეოთხე კენჭისყრის შემდეგ არჩეული პაპი ღვთისმშობლისადმი ლოცვის აღსავლენად გავიდა.

რომის კათოლიკურ ეკლესიას ისტორიაში პირველად ჰყავს ორი პაპი, ახალი – ფრანცისკე და ემერიტუს (საპატიო) – ბენედიქტე XVI;

სერგო ფარულავა
წმიდა პავლე მოციქულის მართლმადიდებლური
ღვთისმეტყველების ცენტრი
http://www.orthodoxtheology.ge/

ფოტომატიანე

დეკანოზი იოანე ჭკადუა
1902-1982
„იგი უხვად დააჯილდოვა ღმერთმა, სიცოცხლეშივე მოესწრო მღვდელმთავარ შვილს...".

დეკანოზი იოანე თეოდორეს ძე ჭკადუა 1902 წლის 30 მარტს სამეგრელოში, ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონში მედავითნის ოჯახში დაიბადა (მამამისის — თეოდორე ჭკადუას ნამსახურებათა სიაში იოანეს დაბადების წელი და რიცხვი 1902 წლის 30 მარტით არის დაფიქსირებული, ხოლო შემდგომში თავად მამა იოანეს მიერ შევსებულ საეკლესიო ნამსახურებათა სიებში 1900 წელი წერია, ასეთივე თარიღია მითითებული მის საფლავზე). დედა გაბელაიების გვარისა გახლდათ. დედამისის ძმა, მღვდელ-მონაზონი ეპიფანე (გაბელაია), დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მონასტრებში მოღვაწეობდა და საკმაოდ ავტორიტეტულ პიროვნებად ითვლებოდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. იგი გამოირჩეოდა თავისი ასკეტური ცხოვრებით და იყო უამრავი

სასულიერო პირის აღმზრდელი. მათ შორის გამოირჩევა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე), რომელმაც თავისი სიყრმე გელათის მონასტერში გაატარა. მიტროპოლიტი ნაუმი დიდი სიყვარულით იხსენებდა თავის აღმზრდელს და ამბობდა, **მამა ეპიფანემ მასწავლა წერა-კითხვა გელათის მონასტერშიო.** შემდგომში, როდესაც მეუფე ნაუმმა იოანე ჭკადუა მღვდლად აკურთხა, მამა ეპიფანეს ნაქონი ჯვარი და „დავითნი" მას გადასცა საჩუქრად და უთხრა: **ესენი მან მე დამიტოვა და ახლა ბიძათქვენის ნაქონი ჯვარი თქვენ ატარეთ, მისი მადლი თქვენზე გარდამოვიდესო.**

მღვდელ-მონაზონი ეპიფანე (გაბელაია)

თავად მამა ეპიფანე, ერისკაცობაში — ევსტაფი კუჩოს ძე გაბელაია, 1856 წელს სენაკის მაზრაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში ისწავლა. 1881 ნლის 27 ნოემბერს ამავე მონასტრის მორჩილად განამწესეს. 1885 ნლის 22 ივნისს არქიმანდრიტმა სერაპიონმა (ახვლედიანი) ბერად აღკვეცა და სახელად ეპიფანე უწოდა. 1886 ნლის 26 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა. 1889 ნლის 14 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და გელათის საძმოში დაადგინა. 1899 ნლის 9 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1905 ნლის 7 ოქტომბერს გელათის სანთლის ქარხნის უფროსად დაინიშნა და გულმოდგინე სამსახურისათვის იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1907 ნლის 9 იანვარს ამჯერად უკვე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ნიკიფორემ (კანდელაკი) გამოუცხადა მადლობა. 1911 ნლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1913 ნლის 1 თებერვალს მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტერში გადაიყვანეს და ამავე ნლის 31 მარტს მონასტრის ეკონომოსად დაინიშნა. 1914 ნლის დიდ მარხვაში მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში განამწესეს და ხაზინადრობა დაეკისრა. 1916 ნლის 15 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. მამა ეპიფანე მონაწილეობდა 1917 ნლის 8-17 სექტემბერსა და 1921 ნლის 1-5 აგვისტოს გელათში გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ და მესამე საეკლესიო კრებებს, როგორც გურია-სამეგრელოს ეპარქიის დელეგატი. გარდაიცვალა 1929 ნელს.

მოძღვრის მამა, პირველი ქვალონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნე თეოდორე (იგივე თადეოზ გვაჯის ძე ჭკადუა) 1857 ნელს იყო დაბადებული. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. 1890 ნლის 17 ოქტომბერს იგი ქვალონის ეკლესიის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1895 ნლის 12 სექტემბერს დაამტკიცეს შტატში. 1903 ნლის 16 ივლისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) სტიქარი უკურთხა. თეოდორეს ქვალონის ეკლესიასთან გახსნილი ჰქონდა დაწყებითი სკოლა, სადაც ახლომახლო სოფლებიდან ბავშვებს წერა-კითხვასა და ღვთის სიყვარულს ასწავლიდა. დადიოდა მოუღლელად და მცირეოდენი სინათლე შეჰქონდა ხალხის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, იგი ადრეულ ასაკში გამოეცალა ამ ცხოვრებას. გარდაიცვალა XX საუკუნის 10-იან ნლებში.

დაობლებული იოანეს აღზრდა ბებიამ და ბაბუამ ითავეს და იგი აბაშაში წაიყვანეს. ბაბუაც მალე გარდაიცვალა (კაზაკებთან შეტაკების დროს დაღუპულა). უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი ხობის მონასტერში მიაბარეს აღსაზრდელად. შემდეგ დაამთავრა სენაკის სასულიერო სასწავლებელი. ორ წელიწადს იყო ახალი ათონის მონასტერში მორჩილად. მოიხადა საგალდებულო სამხედრო სამსახური.

1921 ნელს საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება. დაიკეტა ეკლესია-მონასტრები და დაიწყო სასულიერო პირების დევნა. ასეთ პირობებში იოანემ გადაწყვიტა საერო სამსახურით დაკავებულიყო. უმაღლესი საერო განათლების მიღების შემდეგ იგი ნლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. XX საუკუნის 20-იანი ნლებში მომავალი მოძღვარი დაქორწინდა ოლია ილარიონის ასულ ჯინჭარაძეზე (1906-1993ნნ.).

XX საუკუნის 50-იან ნლებში იოანე ტოვებს საერო სამსახურს და ეკლესიაში იწყებს მოღვაწეობას. ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოს ნაუმის (შავიანიძე) ლოცვა-კურთხევით მან ქუთაისის საკათედრო ტაძარში გაიარა სამღვდელო მომზადება. 1958 ნელს მეუფე ნაუმმა დიაკვნად აკურთხა, ამავე ნელს მღვდლად დაასხა ხელი. იგი ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1959 ნლის 14 დეკემბერს ამ ეკლესიას მეუფე ნაუმი ესტუმრა. სამადლობელი პარაკლისის შემდეგ მამა იოანემ სიტყვით მიმართა თავის მაკურთხეველ მღვდელმთავარს:

„სიყვარულით მოგესალმებით და გულითადად მოგილოცავთ თქვენი ანგელოზის დღეს. იყოს იგი ყოველგან და ყოველთვის თქვენი შემწე და მფარველი.

მეუფე წმიდაო! მსურს და მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა, რათა ამ ჩემი სუსტი სიტყვებით გამოვხატო თქვენდამი ჩემი ღრმა სიყვარული და პატივისცემა, რაზედაც ვითხოვ თქვენს ლოცვა-კურთხევას.

აწ განსვენებული ჩემი ბიძის, გელათის დიდებული მონასტრის საუკეთესო მწიგნობრის, მგალობელის და ტიბიკარის მღვდელ-მონაზონის ეპიფანესაგან ჯერ კიდევ თქვენი ბავშობისას (თხუთმეტი ნლისა იქნებოდით) დაგერქვათ „ნაუმი დიდებული". ეს ზედმეტი სახელი იმიტომ დაგარქვა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობისას იყავით ღრმათ მორწმუნე, თავმდაბალი,

ყველასთვის საყვარელი, საუკეთესო მწიგნობარი, მცოდნე საეკლესიო წესებისა და დაუზარელი ეკლესიის მსახური. ყველგან, სადაც კი გიმსახურიათ საერო თუ საეკლესიო დაწესებულებებში, დიდი სიყვარული და პატივისცემა გაქვთ დამსახურებული. მღვდლობასთან ერთად თქვენ მოღვაწეობდით მასწავლებლად ქუთაისისა და ტყიბულის რაიონის რამდენიმე სკოლაში, ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციის მდივნად. ნამსახური გაქვთ ქუთაისის, ტყიბულის და თბილისის საეკლესიო ოლქების მთავარხუცესად და ყველგან მადლობას იმსახურებდით. იშვიათად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომ თქვენი აუგი თქვას, თუ იგი ბოროტების და სიხარბის შხამით არ არის გაჟღენთილი. 1947 წელში უწმინდესმა კალისტრატემ ორი ჯილდო მოგცათ, რაიცა საეკლესიო კანონით არაა მიღებული და მხოლოდ თქვენზე ინება განსაკუთრებული განჩინება და დაგაჯილდოვათ თებერვალში ენქერით, ხოლო მაისში — მიტრით. დღესაც ახსოვთ ბევრს, თუ როგორ ტიროდა, როგორც სამღვდელოება, ისე მორწმუნენი, როდესაც გამოსათხოვარი სიტყვა თქვით სიონში, დეკანოზმა ცქიტიშვილმა კიდეც გითხრათ იქვე ყველას გასაგონად, რა იყო, რომ აატირე ეს ხალხიო. უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკ პატრიარქიც

დეკანოზი იოანე და მიტროპოლიტი დავითი

გიცნობთ, როგორც სპეტაკი და წმიდა ცხოვრების მატარებელს, მას დიდი ხანია სურდა თქვენი ეპისკოპოსობა, მაგრამ თავს იკავებდა, არ სურდა თქვენი ოჯახისაგან გათიშვა. ბოლოს მაინც ღვთის განგებით და მისი უწმიდესობის ბრძანებით, ქუთაის-გაენათის ეპარქიის საყვარელი მღვდელმთავარი ბრძანდებით, დინჯი, ყველასადმი კეთილი, კარგი მქადაგებელი და ღვთის ღრმად მორწმუნე.

განმეორებით გილოცავთ ანგელოზის დღეს თქვენი უმანკო მარჯვენით მღვდლად ხელდასხმული იოანე ჭკადუა".

სამი წელი იმსახურა მამა იოანემ ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში და იქაური მრევლისა და მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. 1961 წლის 1 მარტს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია) სწერდა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს (სიდამონიძე): **„მოკრძალებით მოვახსენებ თქვენს უწმინდესობას, რომ ამ დღეებში შტატგარეშე მყოფი მღვდელი სამსონ ანთელავა მოულოდნელად გარდაიცვალა სახლში. იყო 82 წლის მოხუცი, მაგრამ დიდ სამსახურს გვიწევდა ილორის ეკლესიაში. ადგილობრივი ენის მცოდნე იყო და თვინიერი ხასიათის მქონე. ილორის ეკლესიაში ახლა რჩება მარტო წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი რაფაელი (კარელინი), რომელმაც ქართული ენა არ იცის. ილორში კი სულ იყო 2 მღვდელი, რომლიდან ერთ-ერთი მაინც ქართველი იყო. თუ შესაძლებლად სცნობს თქვენი უწმინდესობა, მღვდელი ჭკადუა, როგორც ადგილობრივი ენის მცოდნე, ვფიქრობ, შესაფერისი იქნება ილორის ეკლესიისათვის".**

ქ. ქუთაისის სამღვდელოება 1964წ. მარცხნიდან: მღვდელი გიორგი ჟორჟოლიანი, მღვდელი იოანე ჭკადუა, დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი, დეკანოზი ტერენტი ოგოლაძე. ზის — მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე). უკანა პლანზე — პროტოდიაკონი აპოლონ ბალანჩივაძე. მარჯვნივ მდგომი ორი სასულიერო პირი უცნობია (მათ შთამომავლებს, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ)

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაშიც სამი წელი გაატარა მამა იოანემ. ილორის ეკლესიის გარდა, იგი პერიოდულად მსახურობდა გაგრისა და სოხუმის ეკლესიებში.

1964 წლის თებერვალში გარდაიცვალა ქუთაის-გაენათის ეპარქიის, სოფელ ბარდუბნის წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი სოლომონ ნუცუბი-

ძე, ადგილობრივმა მოსახლეობამ და მრევლმა მოითხოვა ახალი მოძღვარი. 1964 წლის 1 ივნისს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით, მამა იოანე დაბრუნდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან და აღნიშნული ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მღვდელი იოანე მცხეთა-თბილისის ეპარქიაში გადაიყვანეს და ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1972-1975 წლებში ამავე ტაძრის წინამძღვარია. 1974 წელს შედგენილ საეკლესიო საბუთებში იგი უკვე დეკანოზის წოდებით მოიხსენიება. 1976 წლიდან ქაშვეთის ეკლესიის რიგითი მღვდელმსახურია.

დეკანოზი იოანე ჭკადუა

*დეკანოზ იოანეს ვაჟი გახლდათ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის აწგარდაცვლილი წევრი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, ერისკაცობაში — **გრიგოლ იოანეს ძე ჭკადუა**. იგი დაიბადა 1926 წლის 22 მარტს ქ. თბილისში. 1955 წელს დაამთავრა ქ. პიატიგორსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. 52 წლის ასაკში, 1978 წლის 13 აგვისტოს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი, სახელად გიორგი უწოდა და მარტყოფის ღვთაების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1978 წლის 20 ოქტომბერს სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი ეწოდა. მეორე დღეს კი არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1978 წლის 15 დეკემბერს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეპისკოპოსად დაასხა ხელი და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის კათედრაზე დაადგინა. 1980 წლის 1 ოქტომბრიდან 1984 წლის 14 იანვრამდე იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1980 წლის 14 ოქტომბერს მთავარეპისკოპოსის წოდება მიენიჭა. 1981 წლის 8 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1983 წლის 26 ივნისს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. 1984 წლის 14 იანვარს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავჯდომარედ დაინიშნა. მიტროპოლიტი დავითი დაჯილდოებული იყო მეორე პანაღიისა და სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. გარდაიცვალა 1992 წლის 7 ოქტომბერს. დასაფლავებულია თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში, სამხრეთ გალავანში.*

მხცოვანი დეკანოზი 1982 წელს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ქაშვეთის ეკლესიაში, წესის აგების შემდეგ, გამოსათხოვარ სიტყვაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ასეთი რამ ბრძანა: **„მე მიყვარდა მამა იოანეს მორწმუნეობა, ქრისტიანული თავმდაბლობა და მორჩილება. იგი ყოველთვის გვემახსოვრება როგორც კეთილი და კარგი. იგი უხვად დააჯილდოვა ღმერთმა, სიცოცხლეშივე მოესწრო მღვდელმთავარ შვილს...“.**

თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი სოკრატე (ჭულუხაძე) მამა იოანეს შესახებ წერდა: **„ღვთივ მიიძინა დეკანოზმა იოანე ჭკადუამ. ნაღვაწი, ნაშრომი, ნაამაგარი, მშობლიური ეკლესიის სალოცავთან სიცოცხლის ბოლო წუთამდე მდგარი, მუდამ მოუსვენარი, მშრომელი, უსაზღვროდ თავმდაბალი, უსაზღვროდ კეთილი, ღიმილიანი. ასეთი დარჩა ჩვენს ხსოვნაში მამა იოანე. ასეთი წარსდგა მისი სული უფლის წინაშე. ცხოვრებისა და ღვაწლის დიდი გზა განვლო მამა იოანემ. თითქმის საუკუნეს მიაღწია. რა არ ნახა, რა არ განიცადა. იგი ეკლესიაში იმ დროს მოვიდა, როცა ჩვენს ტაძრებს ქართული წირვა-ლოცვა ენატრებოდა.**

ორიოდე სიტყვით, თუნდაც მეტითაც, ვერ შესაძლებელ არს ღვთის სამსახურში განვლილი ცხოვრების წარმოჩენა. და მაინც, ამ ორიოდე სიტყვით მინდა, მადლობა ვუთხრა მამა იოანეს, მის ნათელ სულს, რომ წლების მანძილზე ის ჩვენს შორის ბრძანდებოდა და თავისი ჩუმი, კეთილი გულით, თავისი დიდი შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით მასზე ბევრად უმრწემესთ, ჩაგვაგონებდა ყველაზე მთავარსა და დიდს — ღვთისა და ადამიანის სიყვარულს.

კუკიის სასაფლაოზე, წმინდა ნინოს ეკლესიის მახლობლად დაკრძალეს მამა იოანე. მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს წმინდა მიწა“.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

ეპისკოპოსი იოანე (ავალიანი) 1782-1858

ეპისკოპოსი იოანე, ერისკაცობაში — პეტრე გიორგის ძე ავალიანი, 1782 წელს ქ. თბილისში, დეკანოზის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში, მამის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. 1802-1804 წლებში თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელის მოწაფეა, სადაც შეისწავლა წმინდა წერილი, კატეხიზმო, არითმეტიკა, გრამატიკა ქართულ და რუსულ ენებზე. 1807 წლის 8 თებერვალს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა (ბაგრატიონი) იგი დიაკვნად აკურთხა. 1814 წლის 30 სექტემბერს, ამავე ტაძარში, საქართველოს ეგზარქოსმა ვარლაამმა (ერისთავი) მღვდლად დაასხა ხელი. 1814 წლის ოქტომბრიდან, სანამ გაიხსნებოდა ოსეთის სასულიერო კომისია, მამა პეტრე იმყოფებოდა ნარის ხეობაში, რომელიც ოსებით იყო დასახლებული და მათ ქრისტეს სარწმუნოებას უქადაგებდა. 1815 წელს გაიხსნა ოსეთის სასულიერო კომისია და მამა პეტრეც ამ კომისიაში დაინიშნა, თუმცა შეთავსებით იგი კვლავ დარჩა სიონის ტაძრის მღვდელმსახურად. მამა პეტრე ქადაგებდა და მსახურებებს აღავლენდა პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში. 1818 წელს ქსნის ხეობაში მოინათლა 99 ოჯახი — 793 სული, ხოლო 1819 წელს, პატარა ლიახვის ხეობაში 484 ოჯახი — 3041 სული შემოუერთდა ქრისტეს სამწყსოს. ამ დამსახურებათა გამო, 1818 წლის 8 ნოემბერს მამა პეტრე სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1819 წლის 7 იანვარს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ (რუსანოვი) იგი ქსნის ხეობის ოლქის მთავარხუცესად დანიშნა, სადაც 3 სამრევლო მოქმედებდა. 1820 წლის 3 მაისს ასევე დაევალა დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ოლქების მთავარხუცესობა, სადაც 8 ეკლესია მოქმედებდა. 1819 წლის 2 ნოემბერს მამა პეტრეს ეკლესიაში დამსახურებული და ნაყოფიერი სამსახურისათვის დეკანოზის წოდება მიენიჭა.

1820 წელს თბილისის ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. ამავე წელს აირჩიეს სამღვდელო კანდიდატთა გამოსაცდელი კომისიის უშტატო წევრად. 1832 წლის 23 ივნისს იგი ოფიციალურად დამტკიცდა ამ თანამდებობაზე.

1822 წლის 28 აპრილს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დადგენილებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მცხეთაში, მდინარე მტკვრის მეორე მხარეს, ხიდთან, საეკლესიო სახლების მშენებლობა. მამა პეტრე ამ კომისიაში მეორე წევრად შეიყვანეს. მშენებლობა მიდიოდა მისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ, რაშიც მან ხელმძღვანელობის საოცარი უნარი გამოიჩინა. მცირეოდენი ხარჯების გამოყენებით მან წარმატებით დაასრულა ეს საქმე და 1824 წლის 31 იანვარს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა, პირად საქმეში შეტანით.

ოსეთის სასულიერო კომისიაში მსახურება ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. იმ პერიოდში მთაში ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი გზები და არ არსებობდა კომუნიკაციები. სასულიერო პირებს ხშირად კილომეტრების ფეხით გავლა უწევდათ, განსაკუთრებით, რევიზიის დროს, როდესაც ახლად მოქცეული მოსახლეობისა და ეკლესიების აღწერა ხდებოდა. ხშირი იყო სასულიერო პირებზე თავდასხმა და შეურაცხყოფა ჯერ კიდევ წარმართი მოსახლეობისგან. გარდა ამისა, მამა პეტრე თბილისშიც მსახურობდა და დატვირთული სამუშაო რეჟიმი მის ჯანმრთელობაზე აისახა. 1823 წლის 1 ნოემბერს მოძღვარი საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) სწერდა: **„აწ განსვენებული ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ მე დავინიშნე კავკასიის მთებში ქრისტიანული სარწმუნოების საქადაგებლად. წლების მანძილზე კეთილსინდისიერად და დაუზარელად ვასრულებდი ჩემზედ დაკისრებულ მოვალეობას და არ დამიშურებია არც ფიზიკური და არც სულიერი ძალები. მთის მკაცრმა კლიმატმა და რთულ პირობებში მსახურებამ ჩემს ჯანმრთელობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა და ამის გამო ჯეროვნად ვეღარ ვასრულებ მთავარხუცესის მოვალეობას. გთხოვთ, გამათავისუფლოთ ოსეთის სასულიერო კომისიიდან და დამრთოთ ნება, მხოლოდ სიონის საკათედრო ტაძარში გავაგრძელო მსახურება“.**

იმჟამად საქართველოს ეგზარქოსმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია მამა პეტრეს ოსეთის კომისიიდან წასვლა, რადგან მისი ცოდნა და გამოცდილება საჭირო იყო ამ საქმეში. მას კიდევ წელიწადნახევარი მოუწია იქ მსახურება.

1825 წლის 10 მარტს იგი ეგზარქოსს კვლავ სთხოვს გათავისუფლებას და თანაც არწმუნებს, რომ მან გამონახა ღირსეული შემცვლელი თავის ადგილზე. აი, რას წერდა იგი: **„მოვახსენებ თქუენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, რომელთა სამღვდელოთაგან ჩემის საბლაღოჩინოსათა უმეტეს ღირსად და საქმის შემძლებელად ბლაღოჩინობისა ვიცნობ სოჭინის პრიხოდის სამრევლოს მღვდელს იოსებ ბაქრაძეს (ცნობილი ისტორიკოსისა და მეცნიერის, დიმიტრი ბაქრაძის უფროსი ძმა — გ. მ.), რომელსაცა მივანდობ თქუენის მაღალყოვლადუსამღვდელოესობის კეთილ განხილველობასა ზედა“.** ამჯერად მისი თხოვნა დაკმაყოფილდა და ამა წლის 23 მაისს მან თავის შემცვლელს გადააბარა ეკლესიებისა და იქ დაცული სამკაულების სრული ქონება და აღწერილობა,

დავით გარეჯის ლავრა. XIX ს-ის ფოტო

რასაც, თავის მხრივ, 1825 წლის 11 ივნისს წერილობით ადასტურებს მღვდელი იოსებ ბაქრაძეც.

1825 წლის 17 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა მამა პეტრეს უფროსი ძმა, სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იოსებ ავალიანი (დასაფლავებულია ქაშვეთის ტაძრის ეზოში). 1825 წლის 25 სექტემბერს დეკანოზი პეტრე სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა და დაევალა თბილისის ოლქის მთავარხუცესობა. 1826 წლის ოქტომბრიდან სიონის საეკლესიო ქონების განკარგვაც მის განკარგულებაში გადავიდა. 1826-1834 წლებში მამა პეტრე სამჯერ აირჩიეს თბილისის ზნეობითი სასამართლოს წევრად. 1826 წლის 18 აპრილს იასამნისფერი ხავერდის სკუფია უბოძეს. 1828 წელს სიონის საკათედრო ტაძრის მთავარხუცესად დაინიშნა. 1830 წლის 1 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი მიიღო. 1831 წლის 14 აპრილს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის საქართველოს ეგზარქოსმა იონამ (ვასილევსკი) მამა პეტრე სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზის შტატში დანიშნა და ამავე წლის 25 დეკემბერს ენქერით დააჯილდოვა.

1833 წელს საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენის ბრძანებითა და უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების თხოვნით, მამა პეტრე ქართველი სამღვდელოების მხრიდან დეპუტატად აირჩიეს იმ კომისიაში, რომელიც ქართლ-კახეთისა და იმერეთის ეპარქიაში ყალბი საბუთების შემქმნელებს იკვლევდა. 1833 წლის 30 აგვისტოს საქართველოს საეგზარქოსოში შეიქმნა ღარიბი სამღვდელოების შვილებისა და ოჯახების სამზრუნველო, რომლის ერთ-ერთ წევრადაც დეკანოზი პეტრე აირჩიეს. 1834 წლის 28 ივლისს რუსეთის წმინდა სინოდმა მიიღო რა მხედველობაში მისი უმწიკვლო და პატიოსანი სამსახური დედაეკლესიის წიაღში, ასევე რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნა, დეკანოზი პეტრე საქართველოიმერეთის სინოდალური კანტორის წევრად დაინიშნა.

1834 წლის 7 სექტემბერს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში, ამავე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა სერგიმ (ორლოვი) დეკანოზი პეტრე ბერად აღკვეცა და სახელად იოანე უწოდა. 1834 წლის 9 სექტემბერს მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში გორის მიტროპოლიტმა სტეფანემ (ჯორჯაძე) არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა და დავით გარეჯის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში სამსახური მამა იოანეს საშუალებას არ აძლევდა მუდმივად ეცხოვრა დავით გარეჯის ლავრაში. თუმცა, იგი არ აკლებდა თავის მამობრივ მზრუნველობას იქ მოღვაწე ბერებს. ხშირად ჩადიოდა მონასტერში, ხოლო თუ ამას ვერ ახერხებდა, მონასტრის ხაზინადარს, იღუმენ თეოფანეს (მაჩაბელი), წერილით ატყობინებდა თავის დავალებებსა და ლოცვა-კურთხევას საძმოსადმი. საისტორიო არქივში დაცულია ერთ-ერთი ასეთი წერილი, რომელიც 1841 წლის 16 ივლისით თარიღდება: **„ღირსო მამაო თეოფანე! ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო. თქუენის ლოცვით, წმიდისა და ღირსისა დავითის მადლი შემეწია, მშვიდობით მოველ ტფილისში. სხვებრ ვიცი, თქვენს მეცადინეობას არ დააკლებთ მონასტრისათვის. იზრუნებთ საზრდოს შეკრებისათვის. როგორც შეგეძლოსთ, ძმანი ისე მოიხმარეთ. მიხაილს და დიაკონ სიმეონს** *(შემდგომში მღვდელ-მონაზონი სერაპიონ ლომიძე, 1851 წელს ლეკებმა სხვა ბერებთან ერთად გარეჯის აკლების დროს აწამეს — გ. მ.)* **მონასტრის ერთგულებისა და ძმათ სიყვარულისათვის ჩემ მაგიერ განუცხადე, როგორც აქამომდე მორჩილების სახელი და ქება მიუღიათ და პოსლუჟნის წიგნში (ნამსახურებათა წიგნი — გ.მ.) შენიშნულნი არიან ჩემგან, ახლა უმეტეს საქებელ ყონ თავნი თვისნი. თვითცა გრძნობენ და უწყიან, რომელ მონაზონის ცხოვნებად მომყვანებელი გზა უპირველესი მორჩილება და ძმათ სიყვარულია. ამასთანავე, მამა გერონტის ვალად დასდევით, თითქმის ჩემგან მოგონება საჭიროც არ არის, სიყრმითგან აქამომდე ღვაწლსა და შრომაში ყოფილა, რასაკვირველია, ახლა მოხუცებულობის ჟამს უმეტესი მეცადინეობა ექმნება სულის ცხოვნებისათვის** *(საუბარია წმ. მოწამე გერონტი ვაჩნაძეზე, 1851 წელს ლეკებმა აწამეს სხვა ბერებთან ერთად გარეჯის აკლების დროს — გ. მ.)*, **მანამდისინ ძმანი მოივლიდნენ და საზრდოს შემოიკრებდნენ, ლოცვითა და მარხვით განატაროს დრო მონასტერში. მონაზონის განმამხნობელი, განმაძლიერებელი, განმამტკიცებელი და ყოვლისა სნეულებისა განმდევნელი უპირველესი მარხვა და ლოცვაა — „ჭირი ესე არა რათ განვალს, გარნა, მარხვითა და ლოცვითა“. მე ამას სიყვარულით ველაპარაკები მოვალეობისამებრ ჩემისა კიდეც. ამასთანავე, ვიმედოვნებ, მოიგონებს მოციქულთ მოძღვრებას, მხოლოდ ერთს აზრს ნუ მიაჩემებს, რომელიც ფრიად კეთი-**

ლად უწყის „მე არა თუ უფ-
ლად უწოდებ თავსა ჩემსა“
და სხვასა და სხვასა ადგილ-
სა ძმათ სიყვარულისათვის
და მორჩილებისა ფრიად
შუენიერად თქმულ არს. და
კუალად, ამასთანავე, ერთი,
რომელიც კეთილ საიმედო
მსახური გეგულებოდეს მო-
ნასტერში, უნდა გაუშვათ,
გააფრთხილოთ და დაარი-
გოთ ყველაზედ თვალი ეჭი-
როს. თუ გასვლაზედ მომზა-
დებისათვის ქალაქში გზავ-
ნიდე ვისმე, კვერთხი გამოა-
ტანე, გავაკეთებინებ. დაა-
რიგე, ფრთხილად წამოი-
ღოს, არა გააგდოს რა გზა-
ზედ და თუ ახლა არავის გა-
მოგზავნი, ამისთვის ცალკე
საჭირო არ არის, შემდგომში
იყოს, როცა გამოგზავნოთ ვინმე. თუმცა სხვაც
ბევრი მქონდა მოსაწერი, მაგრამ წუხელის ექსარ-
ხოსმა მიბრძანა, ადრე მოდიო, ამ მიზეზით ველარ
მოვასწარ. სხვებრ დავშთები თქვენის ღირსების
მორჩილი მოსამსახურე, არქიმანდრიტი იოანე“.

თბილისის სიონის ტაძარი. XIX ს-ის ფოტო

1840 წლის 29 აპრილს არქიმანდრიტი იოანე წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1841 წელს საქართველოს საეკლესიო გუჯარებისა და საბუთების, საეკლესიო გლეხებისა და ქონების გადასინჯვის კომისიის წევრად აირჩიეს. 1842 წლის 23 მაისს საიმპერატორო გვირგვინით შემკული წმინდა ანას II ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1844 წლის 12 აპრილს წმინდა ვლადიმერის სახელობის III ხარისხის ორდენი უბოძეს.

1852 წლის 13 აპრილს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტ იოანეს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. ხელდასხმის წესი შეასრულეს: საქართველოს ეგზარქოსმა, მიტროპოლიტმა ისიდორემ (ნიკოლსკი), იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელმა) და აფხაზეთის ეპისკოპოსმა გერმანემ (გოგოლაშვილი). ეპისკოპოსი იოანე გორის ეპარქიის მმართველად და ეგზარქოსის ქორეპისკოპოსად დაინიშნა. მასვე ჩააბარეს შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრობაც.

ეპისკოპოსი იოანე 1858 წლის 6 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძარში. ცნობილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი 1858 წლის 13 აპრილს დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა: **„საბრალო ჩვენი ვიკარი იოანე დავმარხეთ სიონში“** (წერილები, ტ. II, 361).

1858 წელს რუსული გაზეთი „კავკაზი“ თავის ფურცლებზე წერდა: **„Въ 12 часовъ ночи на Воскресенье, 6-го апреля, скончался здесь, после кратковременной тяжкой болезни, на 85 году жизни, преосвященный Иоаннь Епископь Горскйи Викарий Грузинский. 8-го числа происходило отпевание тела усопшаго Епископа, совершенное вместе сь заупокойною литургию Високопреосвященнымь Митрополитомь Исидоромь, со всеми градскими духовенствомь. Тело предано земле вь Сионскомь Кафедралномь соборе“.**

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 1909, 14773, 10085; ფ. 488, აღწერა 1, საქმე 964, 3837.

ლიტ: ბერძნიშვილი მაქსიმე — „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. თბ. 1980.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

მიტროპოლიტმა სერაფიმემ სახელმწიფო სათათბიროს პროტესტით მიმართა. მან განაცხადა, რომ წინააღმდეგია, მუსლიმანებმა აიგონ მეჩეთი საბერძნეთში. 2006 წელს მიტროპოლიტმა ასევე გააპროტესტა კანონი მეჩეთების მშენებლობის შესახებ და მას „სამარცხვინო და დამამცირებელი" უწოდა. იგი თვლის, რომ მისი პროტესტი „ბერძენი ქრისტიანების რელიგიური უფლებების დაცვას" ემსახურება.

მიტროპოლიტის პათოსს ათენის საზოგადოების გარკვეული ნაწილიც იზიარებს.

აღსანიშნავია, რომ დღემდე მუსლიმანები ათენში ლოცულობენ „იმპროვიზებულ მეჩეთებში", რომლებიც ან მაღაზიის, ან სხვა დაწესებულების ტერიტორიაზე აქვთ განთავსებული. მთლიანად ქალაქში ასობით ასეთი არალეგალური მეჩეთია, რადგან ათენი დღემდე რჩება ერთადერთ ევროპულ ქალაქად, სადაც ოფიციალური მეჩეთი არ დგას.

მეცნიერები რელიგიური ადამიანის ფსიქიკას სწავლობენ

რელიგიური პრაქტიკა ხელს უწყობს სულიერ ჯანმრთელობას და დასაშვებია განიხილებოდეს, როგორც მკურნალობის მნიშვნელოვანი საშუალება მედიცინაში. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრიელი ნეროიბიოლოგი რაფაელ ბონელ და მისი კოლეგები დიუკის უნივერსიტეტიდან. მასშტაბური კვლევის შედეგად მათ დაასკვნეს, რომ დეპრესია, ნარკომანია და თვითმკვლელობა მორწმუნე ადამიანთა შორის გაცილებით იშვიათია, ვიდრე ათეისტებში.

მეცნიერებმა შეისწავლეს ყველა სამეცნიერო ნაშრომი რელიგიური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რომლებიც 1990 წლიდან გამოქვეყნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანის სამეცნიერო ჟურნალებში. ნაშრომთა 72%-მა აჩვენა, რომ ფსიქიკურად ჯანმრთელი პიროვნებების რიცხვი დიდია იმ ქვეყნებში, სადაც ადამიანი პრაქტიკულ რელიგიურ და სულიერ ცხოვრებას მისდევს. ამავე კვლევის მიხედვით, რელიგიურობა ადამიანთა მხოლოდ 5%-ზე აისახება უარყოფითად.

ბონელი „გაოგნდა" ძალიან „მკაფიო" შედეგით: „რელიგია რომ მედიკამენტი იყოს, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას მოიწონებდნენ", — განაცხადა მან.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტრანსცენდენტობის გრძნობა „ეხმარება ადამიანს იპოვოს თავისი ადგილი ამ სამყაროში, არ ჩაიკეტოს საკუთარ თავში და გამუდმებით არ იფიქროს საკუთარ პრობლემებზე, იყოს გაცილებით გახსნილი და გულღია". 10 მცნების დაცვით ვითარდება ჯანსაღი დამოკიდებულება სამყაროსადმი. მცდელობა, ურთიერთობა დამყარდეს უფალთან, ხელს უწყობს პიროვნების შინაგანი სტაბილურობის განვითარებას.

„მორწმუნე ადამიანსაც შეუძლია ხელჰყოს საკუთარი სიცოცხლე, — აცხადებს ავსტრიელი პროფესორი, — თუმცა, ფსიქიატრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ადამიანის რელიგიურობა, როგორც დადებითი რეზულტატი, მკურნალობის ისეთივე დამხმარე საშუალება, როგორც ოჯახური კეთილგანწყობა და სითბო".

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი ამბროსი (ალადაშვილი) 1872-1955

არქიმანდრიტი ამბროსი, ერისკაცობაში — ალექსანდრე გიორგის ძე ალადაშვილი, 1872 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მომავალმა მოძღვარმა დაამთავრა სოფელ ზემო მაჩხაანის ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელი. XIX საუკუნის მიწურულს ბერობის სურვილმა ტიბაანში, ხირსის წმინდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტერში მიიყვანა, სადაც იქაური ბერების ხელმძღვანელობით საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. 1902 წელს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ლეონტიმ (ბაქრაძე) ახალგაზრდა მორჩილი ალექსანდრე ბერად აღკვეცა და სახელად ამბროსი უწოდა. ამავე წლის 27 ოქტომბერს დიაკვნად აკურთხეს. 1903 წლის 2 მარტს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1905 წლის 15 მაისს მღვდლად დაასხეს ხელი და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დანიშნეს. ამავე წლის 15 ივნისს მონასტრის ხაზინადრობა ჩააბარეს. 1905 წლის 27 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) სამეგრელოში, მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გადაიყვანა და ამავე წლის 11 დეკემბერს საგვერდულით დააჯილდოვა. 1906 წლის 15 ნოემბერს ისევ ნათლისმცემლის მონასტერში დააბრუნეს. 1907 წლის 1 სექტემბერს შიომღვიმის მონასტერში განამწესეს. 1908 წლის 10 მაისს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში დაადგინეს. ამავე წლის 10 დეკემბრიდან კვალავ ხირსის მონასტერშია და დროებით ხაზინადრობა შეუთავსეს. 1910 წლის 7 ოქტომბერს შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1912 წლის 26 ნოემბერს ისევ ითხოვა ხირსის მონასტერში გადასვლა და ხაზინადრობა. 1913 წლის 4 იანვარს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიაევი) ამ თხოვნას შემდეგი რეზოლუცია დაადო: **„რადგან მამა ამბროსიმ 1902-1912 წლებში რვაჯერ გამოიცვალა ადგილი, უარი ეთქვა სადმე გადაყვანაზე".** 1913 წლის 29 აპრილიდან ისევ ფერისცვალების

ხხედან მარცხნიდან: არქიმანდრიტი იონა (შავლიაშვილი) და ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). უკან ცენტრში დგას მორჩილი ალექსანდრე ალადაშვილი. გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი XX საუკუნის დასაწყისი

მონასტრის ნევრია, ხოლო ამავე წლის 20 ოქტომბრიდან კვლავ ხირსაში დაბრუნდა და 25 ნოემბერს ხაზინადრად დაინიშნა. 1914 წელს გაურკვეველი მიზეზით დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1915 წლის 27 მარტს ხირსის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი დიმიტრი (ყარყარაშვილი) სწერს ქართლ-კახეთის მონასტრების მთავარხუცესს, არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა): **„თქვენო მაღალ ღირსებავ, მამაო ბლაღოჩინო! ჩემდამი რწმუნებული მონასტრის მღვდელ-მონაზონი ამბროსი, რომელიც პასუხისგებაში გახლამთ მიცემული, ასი მანეთის თავდებებით გახლამთ გამოშვებული. მეტეხის ციხის მთავრობის მოწმობა აქვს და გიახლათ ჩემს მონასტერში 20 მარტს და ცხოვრობს აქ. მოგახსენებთ რა ამას, თქვენო მაღალღირსებავ, გთხოვთ უმორჩილესად, ეს საქმე იცოდეთ“.**

1915 წლის 21 ივლისს მამა ამბროსი შიომღვიმის მონასტერში გადაიყვანეს. 1917 წლის 5 აგვისტოს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დაადგინეს, შემდეგ წლებში კი მას ისევ ხირსის მონასტერში ვხედავთ. 1918 წელს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1922 წელს, შეთავსებით, მამა ამბროსი ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა სავანის მწირველ მოძღვრად დაინიშნა. 1924 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბოდბისა და ხირსის მონასტრები დახურა და მამა ამბროსი უადგილოდ დარჩა.

1925 წლის 28 თებერვალს მღვდელ-მონაზონი ამბროსი თხოვნით მიმართავს წილკნელ ეპისკოპოს პავლეს (ჯაფარიძე) — **„მის ყოვლადუსმღვდელოესს, მეუფე ეპისკოპოსს პავლე წილკნელს. ვინაიდგან ამჟამად უადგილოდ ვიმყოფები, ამისათვის სიმდაბლით ვთხომ თქვენ მეუფებას: მომცეთ თქვენ ეპარქიაში თავისუფალი მღვდლის ადგილი, სადაც თქვენი მეუფება ინებებს.**

ეპისკოპოსმა პავლემ იგი სოფელ ყურისუბნის (ძალისას) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1926 წლის 18 აპრილს მუხრანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი მარინაშვილი, ავადმყოფობის გამო, ითხოვს მეორე მღვდლის განწესებას. ეპისკოპოსისადმი მიწერილ წერილში თავისი სამრევლოს მოვლას იგი მამა ამბროსის ანდობს: **„ამ ბოლო ხანს მეწვია უძლურება და ხშირად მრევლს დაგვიანებით ვუსრულებ სამსახურს. მათ მოითხოვეს მეორე მღვდელიც ყოფილიყო განწესებული. მათი არჩევანი შეჩერდა ძალისის ეკლესიის მღვდელ-მონაზონ ამბროსიზე. მე გახლავართ სრულიად უმამულო, შემოსავალი, გარდა მღვდლობისა, არსაიდან, მღვდელ-მონაზონ ამბროსის ვიცნობ, როგორც სათნო ადამიანს, იმედი მაქვს, რომ მოცემას შეძლებს. მე კი დანარჩენი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მინდა გავატარო სიწყნარეში და სიკვდილიც ქრისტიანული მეღირსოს; ამიტომ გთხოვთ, შეგვისრულოთ წადილი მეც, მრევლსაც და მამა ამბროსისაც და გადმოიყვანოთ მუხრანში მეორე მღვდლის ადგილზე“.**

1926 წლის 3 აპრილს დედაეკლესიაში ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის წილკნის ეპარქიის I ოლქის მთავარხუცესმა, მღვდელმა ლევან ტლაშაძემ მამა ამბროსი საეკლესიო ჯილდოზე წარადგინა. იგი ეპისკოპოს პავლეს სწერდა: **„მღვდელ-მონაზონი ამბროსი ხელდასხმულია 1905 წლიდან, უმსახურნია სხვადასხვა მონასტრებში ხაზინადრის თანამდებობებზე, აქვს ნაბოძები ჯილდოდ 1918 წელს მკერდის ჯვარი. ამჟამად მოძღვრობს ძალისის სამრევლოს პირნათლად და ფაქიზად, მრევლიც კმაყოფილია მით, რომ იგი სცდილობს მათის ეკლესიის კეთილდღეობისათვის. ზნეობრივად მას ყველა მაღლა აყენებს ყოფაცხოვრებით, რაიც საზოგადოდ ვალია ყოველთვის მღვდლისა და განსაკუთრებით ამ მიმდინარე დროში, როდესაც ურწმუნოებით გარემოცულია ახალი თაობა. აღვწერ რა ზემორეს, მოგახსენებთ, მღვდელ-მონაზონი ამბროსი, ჩემის აზრით, ღირსია აყვანილ იქნას იღუმენის ხარისხში“.** ეპისკოპოსი პავლე არ იყო დიდი მოყვარული საეკლესიო ჯილდოებისა და ამ თხოვნაზე ასეთ მკაცრ მინაწერსაც აკეთებს: **„მთავარხუცესი ძალიან იაფად არიგებს ჯილდოებს“.** 1926 წლის 1 ივნისს მამა ამბროსის შეთავსებით დაევალა აღაიანის სამრევლოს პატრონობაც. 1926 წლის 2 ოქტომბერს ნატახტარის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად ინიშნება.

1927 წლის 22 სექტემბერს მღვდელ-მონაზონი ამბროსი ტოვებს წილკნის ეპარქიას და ამავე წლის 7 ოქტომბრიდან ბოდბის ეპარქიის, სოფელ ჯუგაანის წმინდა ჯვრის გამოჩინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად ინიშნება. სამი წელი თავდადებითა და პატიოსანად ემსახურებოდა თავის მშობლიურ სოფელს მამა ამბროსი. ამასობაში ათეისტური პროპაგანდა აქტიურ ფაზაში შედიოდა. კომუნისტები ვერ ურიგდებოდნენ ჯერ კიდევ შემორჩენილი ტაძრების მოქმედებას და იქ სასულიერო პირების ყოფნას. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში მათ კიდევ უფრო შეავიწროვეს ეკლესია. ტვინარეული ახალგაზრდა კომკავშირელები და „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის წევრები“ — ასე ერქვა ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედ ორგანიზაციას — სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ და პირდაპირ ზეწოლასა და მუქარას ახორციელებდნენ სამღვდლოებაზე. 1930 წლის 30 იანვარს მამა ამბროსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, უნეტარეს ქრისტეფორეს (ციცქიშვი-

ლი) სწერდა: **„მოვახსენებ თქვენს უნეტარესობას — სოფელ ჯუგაანის მორწმუნეთა ერის თანდასწრებით გამოცხადებულ იქმნა ეკლესია დაკეტილად და ბერმონაზონი ამბროსი განიდევნოს ამ ოთხი საათის განმავლობაში, ამა წლის 28 იანვრიდან“.** როგორც ხედავთ, მამა ამბროსის ულტიმატუმი წაუყენეს, დაეტოვებინა სოფელი. შემზარავი ფაქტი მოხდა ახლომდებარე სოფელ საქობაოში, სადაც არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი, შემდგომში — წილკნელი ეპისკოპოსი) მსახურობდა. აი, რას წერდა იგი 1930 წლის 22 მაისს: **„26 იანვარს ამა წლისა მე ერთი კვირით თბილისში წამოვედი და ამ დროს ჩემს სახლს დასცემოდნენ 21 კომკავშირელი, აერ-დაერიათ იქაურობა, დაებეჭდათ სახლი, გაერეკათ ჩემი საქონელი და წასულიყვნენ. თან თურმე მემუქრებოდნენ, მღვდელი სადღა დაგვემალაო. მას შემდეგ მიწერ-მოწერა მაქვს მრევლთან და ვკითხულობ დროდადრო ამბებს. აი, რა მომწერა ერთმა მრევლთაგანმა, რომელსაც სიტყვასიტყვით მოგახსენებთ: „ჩვენო მოძღვარო, ჩვენ ეკლესიაში აღარაფერია, სულ დაუნგრევიათ, კანკელი სულ დაუმტვრევიათ, გარდამოხსნა წაუღიათ, ფეხისადგილში ჩაუგდიათ და იმის კუბო სულ დაუმტვრევიათ, შუშები ერთი აღარ უზის ეკლესიას. ერთი სიტვით, თითონ ფეხისადგილად გახადეს; არ მინდოდა მომეწერნა, მაგრამ გულმა აღარ გამიძლო. ამას სარწმუნოების დევნა ჰქვიანო? — კითხულობს მწუხარებით მრევლთაგანი“.**

მღვდელ-მონაზონი ამბროსი და მისი ძმა შაქრო. 1909 წლის 23 იანვარი

ამ წერილების წაკითხვის შემდეგ რთულია, რაიმე დასკვნები გააკეთო. მსგავსი მდგომარეობა იყო თითქმის მთელ საქართველოში და საკვირველია, ამის შემხედვარე სამღვდელოებამ როგორ მოახერხა და შეინარჩუნა სულის სიმტკიცე და ნებისყოფა.

1930 წლის 9 აპრილს მამა ამბროსის არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. უცნობია, სად ცხოვრობდა ან სად გააგრძელა მან მღვდელმსახურება ჯუგაანიდან წასვლის შემდეგ. 1932-1933 და 1935-1937 წლებში მამა ამბროსის თბილისის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვრად ვხედავთ. 1937 წლის 4 აპრილს იგი ისევ ალავერდის ეპარქიაში, სოფელ აწყურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საძმოში ინიშნება.

1939 წლის 9 იანვარს აწყურის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მელქისედეკი გადადგა და მის ადგილზე მამა ამბროსი დაინიშნა. უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე წერდა: **„გულისტკივილით ვასრულებ მამა მელქისედეკის დაჟინებულ თხოვნას. ავადმყოფობის გამო ვათავისუფლებ სამსახურიდან და ვუცხადებ მწყემსთავრულ მადლობას ეკლესიისადმი ერთგული სამსახურისათვის და მორწმუნეთადმი მამაშვილური განწყობისათვის. კრებული ჩაიბაროს არქიმანდრიტმა ამბროსიმ“.**

1939 წლის მიწურულს აწყურის თეთრი გიორგის ეკლესია დაიკეტა და მამა ამბროსი უადგილოდ დარჩა. იმ პერიოდში მთელ ალავერდის ეპარქიაში მოქმედი მხოლოდ თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარიღა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ხელისუფლებამ ნება დართო სამღვდელოებას ეკლესიების ამოქმედებისა, აწყურის წმინდა გიორგის ეკლესიისა და ალავერდის ტაძრის გახსნას ადგილობრივი ფუქციონერები არ ჩქარობდნენ. ამასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე 1944 წლის 19 აგვისტოს თხოვნით ბარათს უგზავნის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს,

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) სტუმრობა ბოდბის ეპარქიაში 1922წ. მესამე რიგში, მარჯვნიდან მეოთხე დგას მღვდელ-მონაზონი ამბროსი

კანდიდ ჩარკვიანს: **„გაწუხებთ, ვინაიდან კ. ქადაგიშვილი ჯერ მოსკოვიდან არ დაბრუნებულა, საქმე კი საშურია. თელავის რ-ნის აწყურის წმ. გიორგის ეკლესიაში ღვთისმშობლობა იდღესასწაულება. ამ დღისათვის, გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა, იკრიბება დიდძალი მლოცველი, განსაკუთრებით ფშავები, ხევსურები და თუშები, თხოულობენ ბავშვების მონათვლას, ზიარებას, ჯვრისწერას, პარაკლისებს, პანაშვიდებს, ხოლო ტაძარი კი მათთვის დაკეტილია. სანამ საზოგადო განკარგულება გამოიცემოდეს, მოკრძალებით გთხოვთ ბრძანებას ტაძრის გახსნაზე 23 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს მსურველთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებები. თავისთავად იგულისხმება, რომ მოძღვარი დღესასწაულის და კვირა დღის გარდა წესებს შეასრულებს საღამოს საათებში, სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დამთავრების შემდეგ.“**

არქიმანდრიტი ამბროსი
1947 წლის 27 სექტემბერი

5 დღის შემდეგ თელავის რაიაღმასკომის თავჯდომარის ამხანაგ უთიაშვილის სახელზე საქართველოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის კ. ქადაგიშვილისაგან მოვიდა წერილი: **„საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ დააყენა საკითხი აწარმოოს ღვთისმსახურება თელავის რ-ნის „თეთრი“ გიორგის არა მოქმედ ეკლესიაში. საკითხის განხილვის შემდეგ ნება დაერთო ერთდროული ღვთისმსახურებისათვის აღნიშნულ ეკლესიაში, ვადით 25 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე. ამასთან დაკავშირებით გევალებათ „თეთრი“ გიორგის ეკლესიის შენობა გადასცეთ არქიმანდრიტ მელქისედეკს (ცელაძე), არქიმანდრიტ ამბროსის (ალადაშვილი) და იღუმენ სტეფანეს (გიგოლაშვილი) აღნიშნული დროის განმავლობაში, რომლებიც ამ ეკლესიაში შეასრულებენ საკულტო ჩვევებს“.**

საბოლოოდ, აწყურის წმინდა გიორგის ეკლესია 1946 წელს ამოქმედდა. 1945 წელს უწმინდეს კალისტრატეს მიერ შედგენილ საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების სიიდან ჩანს, რომ მამა ამბროსი სოფელ იყალთოში აღასრულებდა საეკლესიო წესებს.

1946 წლის 10 სექტემბერს ალავერდის ეპარქიის მთავარხუცესი, დეკანოზი მათე ალბუთაშვილი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს უგზავნის ცნობას ეპარქიაში უზომოდ დაბეგრილი მღვდლების შესახებ, სადაც კარგად ჩანს, თუ რამხელა გადასახადების გადახდა უწევდათ მაშინდელ სასულიერო პირებს. არქიმანდრიტ ამბროსის დაეკისრა 1688 მანეთის გადახდა.

1950 წლის ნოებერში ალავერდელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) მამა ამბროსი თელავის ღვთაების საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დანიშნა და ალავერდის ეპარქიის მთავარხუცესის მოვალეობა დააკისრა. 1951 წლის 18 აგვისტოს იგი ალავერდის მონასტრის კრებულში განამწესეს და წინამძღვრის მოვალეობა შეუთავსეს. ასევე დაევალა პერიოდულად ახმეტის რაიონის სოფლების — ზემო და ქვემო ალვანის სამრევლოებში საეკლესიო წესების შესრულება. 1952 წლის 15 ნოემბერს მამა ამბროსი ვარდისუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1953 წლის დასაწყისში ისევ თელავის „ღვთაების“ სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარია. 1954 წლის 12 იანვარს მოხუცებულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო იგი პენსიაზე გავიდა. არქიმანდრიტი ამბროსი 1955 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 57648; საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 1879, აღწერა 1, საქმე 3, 27, 32; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, წილკნის ეპარქიის ფონდი, საქმე 34, 1823; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ალავერდის ეპარქიის ფონდი, საქმე 1649; ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლის (ცერცვაძე) პირადი არქივი.

ლიტ: ცინცაძე კ. „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, თბ. 1994წ.

გარეკანზე დაბეჭდილი ფოტოები მოპოვებულია www. /facebook.com/ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ბუბა კუდავა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მაშუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

დეკანოზი იოანე ქააძე
1883-1937

დეკანოზი იოანე დავითის ძე ქააძე 1883 წელს თუშეთში, ზემო ალვანში ღვთისმოშიში გლეხის ოჯახში დაიბადა. წარმოშობით თუშეთის პირიქითა ხეობის, სოფელ ფარსმიდან იყო. როგორც მისი დაკითხვის ოქმიდან ჩანს, იგი ატარებდა მეორე გვარსაც — კუკალაიძესაც. პატარა იოანეს სიყრმიდანვე ოჯახში ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდნენ. როცა ცოტათი წამოიზარდა, მშობლებს ეხმარებოდა სოფლის მეურნეობაში და დაუზარელად ასრულებდა ყველა დავალებას. ამასთანავე, როგორც კი დროს მოიხელთებდა, საღამოობით ტაძარს მიაშურებდა და ეკლესიის ეზოში მდუმარებაში ატარებდა დროს. წერა-კითხვა და პირველდაწყებითი განათლება მან სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო.

XX საუკუნის დასაწყისში დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. 1910 წელს იგი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და თავის სოფელში მწერლად და ადგილობრივი სკოლის პედაგოგად დაიწყო მუშაობა. ნასწავლი და განათლებული ახალგაზრდა მალე შეიყვარა მთელმა სოფელმა. მან შრომისმოყვარე და მშვიდი ხასიათის წყალობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ხალხში. თუშეთის მოსახლეობა მის სიტყვას პატივს სცემდა და დიდად აფასებდა. 1912 წლის 27 მარტს ზემო ალვანის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიას ესტუმრა ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე). მან საღვთო ლიტურგია აღავლინა ალვანის ტაძარში, სადაც მისი თანამწირველნი იყვნენ შუამთის მონასტრის იღუმენი ნიკოლოზი (მიქელაძე), ახმეტის ოლქის მთავარხუცესი, მღვდელი გიორგი ინაშვილი და ადგილობრივი მოძღვარი, მღვდელი გიორგი ბალიაური. მსახურებაზე გალობდნენ მთელ კახეთში განთქმული მოძღვარნი: იროდიონ შავლიაშვილი, ვასილ მაისურაძე და ონისიმე ჭიკაძე. ეკლესიაში დიდძალმა მლოცველმა მოიყარა თავი. მოხუცი თუშები ამბობდნენ — „მადლობა ღმერთს, ჩვენც ნილი გვქონია ღმერთთანო, ეპისკოპოსი არც კი ვიცოდით რა იყო, ახლა კი გვწამს, რომ ჩვენც გვყოლია ხალხისთვის გულშემატკივარი მღვდელმთავარიო“. წირვის დასრულების შემდეგ გაიმართა სადილი, სადაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა. მეუფე დავითს მოკლე სიტყვით მიმართა იოანე ქააძემაც: **„თქვენო მეუფებავ! ვისურვებთ, რომ ჩვენს ხალხში განმტკიცდეს წმინდა სიყვარული მღვდელმთავრისადმი. გულითა და სულით მოხარული ვარ, რომ ინახულეთ ჩვენი პატარა ალვანი, თავის ხალხითურთ, და მოიღეთ თქვენი მღვდელმთავრული ლოცვა-კურთხევა. გიძღვნით მადლობას, გისურვებთ დღეგრძელობას და გთხოვთ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ნუ იფიქრებთ, რომ ვითომ ხალხს მხარი აექციოს თქვენი მობრძანებისათვის. არა, მიეგება ფრიად წრფელი გულით, ხოლო თუ ასეთი დღეს ვერაა გამოხატული გარეგნული ცერემონიებით, ეს შედეგია განათლებისაგან შედარებით ჩამორჩენილი მდგომარეობისა და აქედან გამომდინარე უვიცობისა. ნუ მიიღებთ, რომ ვითომ ჩვენი ხალხი სარწმუნოებრივად გადაგვარებულ გზაზე იყვეს დამდგარი და მისთვის დღეს თქვენ გარშემოდან გაბნეული, არამედ გვერწმუნეთ, რომ მუდამ ხალხთან ახლო მდგომი და განუშორებელი ნასწავლი ვინცაა, ის ასწავლის, რომ სიყვარული, კეთილი განწყობილება და ურთიერთობა მკვიდრი და არა დამრღვევი საფუძველია ქრისტე მაცხოვრის მოძღვრებისა და ამ მოძღვრებისთვის მსახურება აუცილებელი და პირდაპირი მოვალეობაა, ჩვენი როგორც ქრისტიანეთა“.**

იოანეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში მოღვაწე სულიერ და ასკეტ მამასთან, მენჯის სავანის წინამძღვარ, მღვდელ-მონაზონ ალექსისთან (შუშანია), რომლის მიმართ მას დიდი მონიწება და სიყვარული ჰქონდა. მამა ალექსი სულიერ წინამძღოლობას უწევდა ახალგაზრდა ქრისტიანს, რომელსაც მომავალში სასულიერო გზაზე დადგომა ეწადა. ხშირად უგზავნიდა თავის ნაშრომებს, სასულიერო ხასიათის დამრიგებლურ წერილებს და განამტკიცებდა სარწმუნოებაში. დეკანოზ იოანეს საოჯახო არქივს შემორჩა ერთი წერილი მათი მიმოწერიდან, რომელიც 1914 წლის 10 დეკემბრით თარიღდება: **„დიდად პატივცემულო ივანე! თქვენს თხოვნას გისრულებთ ჩემი ნაწარმოებ წიგნაკების შესახებ, რაოდენიც მეპოვებოდა და ეს არის გიგზავნით 9 წიგნაკს. ფა-**

ზემო ალვანის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესია

სის გამოგზავნა არ ინებოთ — ფასი თვით თქვენი სარწმუნოებაა".

XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში იოანე დაოჯახდა. მისი მეუღლე იყო დარეჯან (დარო) აშაძე, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა: ანასტასია, გიორგი (1923წ.) და დამიანე (1925წ.). ამავე პერიოდში იგი იღებს გადაწყვეტილებას, მიიღოს სამღვდელო ხარისხი. 1915 წლის 20 მაისს თიანეთის მაზრის მე-3 სახალხო განყოფილება დადებით დახასიათებას აძლევს სოფლის მწერალ იოანე ქააძეს, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას.

იოანე ქააძე და მისი მეუღლე დარეჯანი

1915 წლის 6 ივნისს იოანე თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1915 წლის 20 სექტემბერს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) დიაკვნად აკურთხა. ამავე წლის 31 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და თუშეთში, სოფელ ომალოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ეკლესიაში ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის იგი საგვერდულით დაჯილდოვდა.

მღვდელი იოანე აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებს. როგორც თუშეთის მკვიდრი და ადგილობრივი წარმომადგენელი იგი კარგად იცნობს აქაური ხალხის გაჭირვებასა და პრობლემებს. იგი ყველანაირი ხერხით ცდილობს თუშეთის სატკივარი ქართველი საზოგადოების ყურამდე მიიტანოს, რათა მეტი ყურადღება დაეთმოს მთის ხალხს. 1916 წელს გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა მამა იოანეს ვრცელი წერილი „ხმა მთის თუშეთისა", სადაც დაწვრილებით აღწერს მოსახლეობის გასაჭირს. აი, რას წერდა იგი: **„თუშები მოსახლეობენ გროზნოსა და ანდიის ოლქის მოსაზღვრე მიწა-წყალზე. ამ ორივე ოლქის მცხოვრებნი არიან ქისტები, ჩეჩნები და ლეკ-დიდონი. ქისტნიცა და ლეკ-დიდონიც ქურდობენ, ყაჩაღობენ და უწყალოდ ხოცავენ ხალხს. მათი ბოროტმოქმედება მწვავედ საგრძნობელი უფრო თუშებისათვის არის, რადგან მათ შორის მარტო თითო მთაა გადასავლელი. ეს გარემოება ცნობილია მმართველთა წრეებშიაც და არაერთხელ პრესაშიაც ცხადდებიან...**

უკანასკნელი 8-10 წლის განმავლობაში ოფიციალური და ნამდვილი ცნობებით მოთარეშე მეზობელთაგან ზარალი აღემატება 30 000 მანეთს. ამას მივუმატოთ ის მწყემსნი თუ ცხვრის პატრონნი, რომელნიც მსხვერპლად დაეცნენ საკუთარი მონაგარის დაცვის დროს. ქისტნი და ლეკ-დიდონი თავისუფალნი არიან ომიანობის დროს ჯარში გაწვევისაგან. თუშთა შვილნი და ძმანი კი მამულის დაცვას სწირავენ სიცოცხლეს და სამშობლოში და საოჯახო კერის წიაღი მათ ვერაგზით ვერ იბრუნებს საკუთარს გასაჭირში საქმაგოთ...

დღეს თუშეთში ესღა ისმის: „ჩქარა მდევარი! არიქა, ქისტებმა გაირეკეს ცხენი, ძროხა! მოჰკლეს ან დასჭრეს კაცი!"

საჭიროა ყოველი ღონისძიების მიღება თუშების გამოხსნისათვის, თორემ მათ სულიერ-ხორციელი სიკვდილი უსწრობს და მაშინ სირცხვილი დაედება არა მარტო აქაურებს, არამედ მთელს საქართველოსაც, თვისი შემადგენელი ელემენტების მოკვდინებისათვის. საჭიროა აილაგმოს ჩეჩენ-დაღესტნის მოთარეშე მცხოვრებნი".

1921 წელს საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება გაბატონდა. ათეისტურად განწყობილი ახალგაზრდები სიძულვილსა და სისასტიკეს იჩენდნენ სიწმინდეების მიმართ. ეკლესიებისა და სასულიერო პირების შეურაცხყოფა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ ყოველივეს შემყურე სამღვდელოებას განსაკუთრებული მისია დაეკისრათ. მათ თავიანთი პირადი მაგალითითა და მტკიცე საქციელით უნდა გადაერჩინათ და განემტკიცებინათ შელახული სარწმუნოება. მრევლის ყურადღება მათკენ იყო მიპყრობილი. მღვდელი იოანე ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც თავიდანვე წინ აღუდგა კომუნისტებს. სადაც კი მოახერხებდა, იგი უშიშრად ქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას და ამხელდა მოძალადეებს. ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა შეუპოვარ მოძღვარს. არ გაჭრა არც შეშინებამ და მუქარამ. 1924 წელს საქართველოში მენშევიკურმა მთავრობამ საყოველთაო აჯანყება მოაწყო, რომელშიც ნებსით თუ უნებიელ სამღვდელოების უდიდესი ნაწილიც ჩაერთო. რეპრესიებმაც არ დააყოვნა და 1924 წელსვე თელავის რაიონის ჩეკამ მამა იოანე დააპატიმრა. მოძღვარი რამდენიმე თვე თელავის ციხეში იჯდა და აღსასრულს ელოდა, თუმცა იმჟამად იგი დახვრეტას გადაურჩა.

ციხიდან გათავისუფლებული მამა იოანე ისევ დედაეკლესიას დაუბრუნდა. 1925 წელს ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მიტროპოლიტმა იოანემ (მარღიშვილი) ყველასათვის საყვარელი და გამოცდილი მოძღვარი ახმეტის ოლქის მთავარხუცესად დაად-

გინა.

მამა იოანე აქტიურად მონაწილეობდა ალავერდის ეპარქიის ცხოვრებაში. იგი სისტემატიურად ესწრებოდა ადგილობრივ საეკლესიო კრებებს და ხშირ შემთხვევაში კრების უცვლელი მდივანი იყო. მისი დაუზარელი და ერთგული სამსახური შეუმჩნეველი არ დარჩენილა უმაღლესი საეკლესიო მმართველობისათვის. 1926 წლის 14 ივნისს იგი კამილავკით დაჯილდოვდა, 1929 წელს კათოლიკოსმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) მამა იოანეს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძა, ხოლო 1932 წლის 5 აპრილს კათოლიკოსმა კალისტრატემ (ცინცაძე) დეკანოზის წოდება მიანიჭა.

დეკანოზი იოანე ქააძე

1930 წელს ზემო ალვანის არტელის გამგეობის წევრებმა მამა იოანეს ქონება დაუყადაღეს და ყველაფერი ჩამოართვეს. 1930 წლის 14 მარტს გამწარებული მოძღვარი განცხადებით მიმართავს არტელის გაგეობას: **„ჩემი ქონების აღწერის დროს სხვათა შორის აღწერილი იქმნა სიმინდი ოთხი კოდი (4კ.), რომელიც ზოგი, როგორც მაშინვე პირადი მოხსენებით განვუცხადე ამღწერლებს, მოვალეებისათვის უნდა ჩამებარებია და ზოგიც თვითონ მომეხმარა. აღწერილი სიმინდი სრული რაოდენობით დღემდე ჩემივე ხელშია. ამჟამად ცოტაოდენი ქუმლის გარდა მე არც მარცვლეულად და არც დაფქული არაფერი მებადება, რომ ისაზრდოონ ჩემმა დედით ახალდაობლებულმა წვრილშვილმა (3 სულმა). ამისათვის ვსთხოვ გამგეობას, კეთილი ინებოს და აღნიშნული ოთხი კოდი სიმინდი დამიტოვოს, რომ მოვახშეების მოშორებაც შევსძლო და ნამცხვრით საზრდოობა არ მომიკლოს.“**

1931 წლის 15 ოქტომბერს გაჭირვებაში მყოფი მამა იოანე მორიგი განცხადებით მიმართავს ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს: **„გთხოვთ, ნება დამრთოთ გავყიდო ჩემი ფიცრული ორი ოთახი პატარა კარიდორით სახლი და დამინიშნოთ შემფასებელი კომისია, რომელიც შეაფასებს სახლს გადატანით გაყიდვით“.**

1930 და 1932 წლებში თელავის რაიონის ჩეკამ ორჯერ დააპატიმრა დეკანოზი იოანე აგიტაციისა და კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის განწყობის მცდელობის გამო, მაგრამ ორჯერვე გაათავისუფლა.

1932 წლის 28 ივნისს ქვემო ალვანის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა ბაგრატ ცოცანიძემ ადგილობრივი მრევლის დახმარებით შეაკეთა ილიურთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით მთავარხუცესმა, დეკანოზმა იოანე ქააძემ აკურთხა.

1937 წელს ქვეყანაში ახალი რეპრესიები დაიწყო. ეკლესიის მტრებსა და მამა იოანეს მოძულეებს კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება, გასწორებოდნენ ქრისტეს ერთგულ მოძღვარს. 1937 წლის 5 ოქტომბერს იგი მეოთხედ დააპატიმრეს. 1937 წლის 28 ოქტომბერს სამეულის განჩინებით მამა იოანეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რომელიც რამდენიმე დღეში მოიყვანეს სისრულეში. ოჯახის წევრებს კი შეატყობინეს ტყუილი, მამა იოანე მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალაო.

1945 წლის 22 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ საქართველოს სსრ. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატიდან მიიღო ცნობები 1937 წელს რეპრესირებული სამღვდლოების შესახებ. დახვრეტილთა სიაში, რიგით მერვე გრაფაში დეკანოზ იოანე ქააძის სახელიც ეწერა.

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 1879, აღწერა 1, საქმე №5; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ალავერდის ეპარქიის ფონდი; გაზეთი „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი“ 1915წ. №12 და №23; ჟურნალი „შინაური საქმეები“ 1912წ. №15. გვ. 12-13. გაზეთი „საქართველო“ 1916წ. ; დეკანოზ იოანე ქააძის საოჯახო არქივი.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრილეკა: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

სტამბოლში ისლამის დიდი მუზეუმი გაიხსნება

სტამბოლში 2016 წელს მუჰამედის არასახელმწიფოებრივი მუზეუმი გაიხსნება. იგი მსოფლიოში ყველაზე დიდი ისლამური მუზეუმი იქნება. „ჩვენ ვგეგმავთ გავხსნათ მსოფლიოში მუჰამედის ყველაზე დიდი მუზეუმი სტამბოლში. იქ მუჰამედის მოღვაწეობის ეპოქის მიხედვით განთავსდება სხვადასხვა მაკეტი, წინასწარმეტყველის პირადი ნივთების ასლები. ინტერიერის დიზაინისა და გაფორმების საფუძვლად ავირჩიეთ სტამბოლის მუზეუმ-პანორამა „1453", რომელიც კონსტანტინოპოლის ოსმალთაგან დაპყრობას ეძღვნება", — აცხადებს მშენებლობის ორგანიზატორი, ისლამური კვლევის ფონდ „Siyer"-ის დირექტორი ო. იავუზი. მისი თქმით, მშენებლობის ყველა ხარჯს ფონდი იხდის. აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სტამბოლის განყოფილების უფროსის მაოდგილე ხ. ჰუსეინიც და აცხადებს, რომ სახელმწიფო ამ მშენებლობაში მონაწილეობას არ მიიღებს

აშშ-ის ახალი კვლევის შედეგი

აშშ-ის აღმსარებლობის თავისუფლების დაცვის კომისიამ გამოაქვეყნა იმ 15 ქვეყნის სია, სადაც კანონმდებლობა უხეშად ერევა და არღვევს რწმენის თავისუფლებას. 15-იდან 10 სახელმწიფო მუსლიმანურია. ყველაზე შეუწყნარებელ ქვეყნებს შორისაა ბირმა, ჩინეთი, ერითრია, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, არაბეთის გაერთიანებული საამირო, სუდანი, უზბეკეთი, ეგვიპტე, ერაყი, ნიგერია, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ვიეტნამი. აშშ-ის აზრით, ამ ქვეყნებში იქ მცხოვრები სხვა რელიგიური უმცირესობის წარმომადგნელების რელიგიური უფლებები სერიოზულად ირღვევა.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი)

მიტროპოლიტი ტიმოთე — ერისკაცობის სახელი უცნობია, XVIII ს-ის დასაწყისში ქართლში, გაბაშვილების თავადურ ოჯახში დაიბადა. პატარაობიდანვე იზრდებოდა გარეჯის მონასტერში, სადაც აღიკვეცა ბერად ტიმოთეს სახელით. აქვე მოხდა მისი ხელდასხმა მღვდლად. მისი აღმზრდელი და სულიერი მოძღვარი გახლდათ გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბესარიონი (ბარათაშვილი-ორბელიშვილი), შემდგომში კათოლიკოსი.

XVIII საუკუნის 30-იან წლებიდან ტიმოთე იმერეთში გადავიდა სამოღვაწეოდ, სადაც დაახლოებით 1737 წელს ქუთათელ მღვდელმთავრად აკურთხეს. 1738 წელს ალექსანდრე V-მ მიტროპოლიტი ტიმოთე დასავლეთ საქართველოს რუკითა და წერილით გაგზავნა რუსეთის იმპერატორთან ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად, მაგრამ 1739 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის ბელგრადის საზავო ხელშეკრულების დადებამ ეს გეგმა ჩაშალა. 1740 წელს სამშობლოში მომავალი მეუფე ტიმოთე ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზებმა დაატყვევეს. 6 თვის შემდეგ გაიპარა და იმერეთში დაბრუნდა. 1743-1747 წლებში ისევ ქუთათელი მიტროპოლიტის წოდება ჰქონდა, თუმცა ეს ეპარქია ამ დროისათვის გაუქმებული იყო.



მიტროპოლიტ ტიმოთეს მიერ 1737 წელს შედგენილი რუკის ფრაგმენტი

1753 წელს მეუფე ტიმოთეს აღმოსავლეთ საქართველოში ვხედავთ, სადაც იგი ქართლის (სამთავროსა და გორის) მთავარეპისკოპოსად დაინიშნა. 1753 წლის 30 აგვისტოს დათარიღებულ წყაროში იგი მოიხსენიება, როგორც „ქუთათელ მიტროპოლიტ-ყოფილი ქართლის მთავარეპისკოპოსი ტიმოთე". იგი აქტიურად ჩაება ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის სახელმწიფო და კულტურულ საქმიანობაში. მათი ხელშეწყობით 1755 წელს სამოგზაუროდ წავიდა კონსტანტინეპოლში, ათონსა და იერუსალიმში. მისი ურთიერთობა სულთნის უმაღლეს მოხელეებთან, აგრეთვე კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებთან ერეკლე II-ის პოლიტიკურ გეგმებს ემსახურებოდა. 1759 წელს მიტროპოლიტი ტიმოთე ქართლში დაბრუნდა. ამ დროისათვის მისი თანამოაზრე და მეგობარი ანტონ I

რუსეთში იყო გადახვეწილი. ანტონის საწინააღმდეგოდ განწყობილმა ჯგუფმა მეუფე ტიმოთეს ეპარქია აღარ დაუბრუნა, რის გამოც იგი იძულებული გახდა თავი დავით გარეჯის უდაბნოსათვის შეეფარებინა. 1761 წლის დამლევს მან საქართველო დატოვა და რუსეთში გაემგზავრა. 1762 წლის დამლევს მივიდა ყიზლარში. მეორე დღესვე ციხის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ სტუპიცოვს წერილი მისწერა, სადაც დაწვრილებით აღუწერა თავისი მგზავრობის ამბავი: **„1737 წელს ვიმყოფებოდი რუსეთში, იმერეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის ბრძანებით. სამი წელი დავყავი აქ. 1740 წელს დავბრუნდი სამშობლოში ჩემს მეფესთან ამბის მისატანად. მოვედი ყიზლარში. მითხრეს, რომ საქართველოში გადასვლა აქედან ძრიელ ძნელიაო, რადგან ურჯულო მტერს უჭირავთ მთელი არე-მარეო. მთელი ჩემი ხაბაკი, ეტლები და ავეჯეულობა დავტოვე და მე ოთხის კაცით გავუდექი გზას, რათა შემესრულებინა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და წერილი მისი მიმერთმია იმერეთის მეფის ალექსანდრესათვის. მაგრამ გზაში დამიჭირეს ლეკებმა და ექვსი თვე მეცა და ჩემი მხლებლებიც დაჭერილნი ვიყავით. ორი მხლებელი გამიყიდეს და ორი სადღაც გამიქრეს, ვერა გავიგერა. თვითონ ღამე გამოვიპარე და სამი დღე სულ მარტო, ქვეით ვიარე. ბოლოს სოფელ ხრეითამდე მოვედი, აქედან გადასვლა აღარ შემეძლო. საიმედო კაცის ხელით გავუგზავნე მეფეს რუსეთის ხელმწიფის მონაწერი წერილი და მე კი ისევ რუსეთისაკენ გამოვბრუნდი. აქედან იერუსალიმს წავედი, იერუსალიმიდგან კონსტანტინეპოლში, სადაც რუსეთის ელჩი დოლგორუკოვი ვნახე და შევევედრე: გავეგზავნე რუსეთში, ყიზლარს, ჩემი დატოვებული ეტლი და ნივთები ჩამებარებინა და კიევის წმინდანების თავყვანისცემის ღონის ძიებაც მოეცა ჩემთვის. ელჩი დიდის სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ ამ დროს გავხდი ავად და კონსტანტინეპოლშივე დავრჩი. ახლა მივდივარ რუსეთში და გთხოვთ მიშუამდგომლოთ რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა გამიშვან პეტერბურგს და, თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ მომცენ ყიზლარში ცხოვრების ნება და დამინიშნით მეცა და ჩემს კრებულსაც შესაფერი ჯამაგირი“.**

ერეკლე II

ეს წერილი ყიზლარის ციხის უფროსმა უწმინდეს სინოდში გაგზავნა, მაგრამ სინოდმა უყურადღებოდ დასტოვა მისი თხოვნა, რადგან 1762 წლის 21 მარტის იმპერატორ პეტრე III-ის ბრძანების ძალით ნათქვამი იყო, რომ **„არც ერთი საზღვარგარეთიდან შემოსული ბერი, მათ რიცხვში საქართველოდან გადმოსული ბერებიც არ მიეღოთ და არც რაიმე ადგილი მისცეთ მონასტერშიო“.** ამის გამო მიტროპოლიტის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს, მაგრამ მეუფე ამით მაინც არ დაკმაყოფილდა და კიდევ გაუმეორა სინოდს თხოვნა, რომელიც ბოლოს და ბოლოს დააკმაყოფილეს, დაუნიშნეს იმასაც და მის კრებულსაც ჯამაგირები და 1764 წლის 5 ივლისს გამოუგზავნა ბრძანება, რომლითაც ნება ეძლეოდა გადმოსახლებულიყო რუსეთში და ეცხოვრა პეტერბურგს, მაგრამ განგებამ მაინც თავისი გაიტანა. 28 ივლისს ღამით, ფერისცვალების მონასტერში დამბლა დაეცა და გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ არაფერი არ დარჩენია, არც ფული და არც რაიმე ქონება. მეორე დღეს მეუფე ტიმოთეს ასტრახანის ეპისკოპოსმა ილარიონმა წესი აუგო და დაასაფლავა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში. სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგულია.

მეუფე ტიმოთე იყო თავისი დროის ეპოქისათვის შესანიშნავი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი, კარტოგრაფი და მხატვარი. მის თხზულებათაგან ჩანს, რომ ის განათლებული კაცი ყოფილა. საფუძვლიანად სცოდნია ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, განსაკუთრებით პროკლე დიადოხოსის კავშირნი, საეკლესიო ისტორია და ოსმალურ-თურქული ენა, საკმაოდ სცოდნია ბერძნული ენა და რამდენადმე რუსულიც. იოანე ბატონიშვილი თავის წიგნში მას ასე მოიხსენიებს: „ტიმოთე ეპისკოპოსი ერისთავთ გვარისა (აქ იოანე შეცდომით ასახელებს მის გვარს, ამგვარი შეცდომები მას სხვაგანაც აქვს გაპარული — ავტორი), თავადი, კაცი მეცნიერი, წარვიდა ტფილისიდამ და მივიდა სტანბოლს. სულთანმან კარგად მიიღო და უბოძა თხოვისაებრ მისისა ფირმანი მოსალოცველად წმიდათა ადგილთა. და ესე წარვიდა მუნით და მოილოცა იერუსალიმი და გარემოს მისა წმინდანი ადგილნი და მივიდა ათონისა მთასა შინა და მუნცა მოილოცნა წმინდანი მონასტერნი. და სადაცა რა იხილა, ყოველივე აღწერა კეთილად და მშვენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა მას „ტიმოთიანი“ და სხვანიცა სწავლანი შესძინა მას შინა. და კვალად მოვიდა ქართლსა შინა და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი“.

ეს მოგზაურობა მეუფე ტიმოთემ აღწერა სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულებაში „მიმოსვლა“ (სათაურით — „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“, გამოსცა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა 1852 წელს). პოლიტიკურის გარდა მის მოგზაურობას შემეცნებითი მიზანიც

რუსეთში იყო გადახვეწილი. ანტონის საწინააღმდეგოდ განწყობილმა ჯგუფმა მეუფე ტიმოთეს ეპარქია აღარ დაუბრუნა, რის გამოც იგი იძულებული გახდა თავი დავით გარეჯის უდაბნოსათვის შეეფარებინა. 1761 წლის დამლევს მან საქართველო დატოვა და რუსეთში გაემგზავრა. 1762 წლის დამლევს მივიდა ყიზლარში. მეორე დღესვე ციხის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ სტუპიცოვს წერილი მისწერა, სადაც დაწვრილებით აღუწერა თავისი მგზავრობის ამბავი: **„1737 წელს ვიმყოფებოდი რუსეთში, იმერეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის ბრძანებით. სამი წელი დავყავი აქ. 1740 წელს დავბრუნდი სამშობლოში ჩემს მეფესთან ამბის მისატანად. მოვედი ყიზლარში. მითხრეს, რომ საქართველოში გადასვლა აქედან ძრიელ ძნელიაო, რადგან ურჯულო მტერს უჭირავთ მთელი არე-მარეო. მთელი ჩემი ხაბაკი, ეტლები და ავეჯეულობა დავტოვე და მე ოთხის კაცით გავუდექი გზას, რათა შემესრულებინა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და წერილი მისი მიმერთმია იმერეთის მეფის ალექსანდრესათვის. მაგრამ გზაში დამიჭირეს ლეკებმა და ექვსი თვე მეცა და ჩემი მხლებლებიც დაჭერილნი ვიყავით. ორი მხლებელი გამიყიდეს და ორი სადღაც გამიქრეს, ვერა გავიგერა. თვითონ ღამე გამოვიპარე და სამი დღე სულ მარტო, ქვეით ვიარე. ბოლოს სოფელ ხრეითამდე მოვედი, აქედან გადასვლა აღარ შემეძლო. საიმედო კაცის ხელით გავუგზავნე მეფეს რუსეთის ხელმწიფის მონაწერი წერილი და მე კი ისევ რუსეთისაკენ გამოვბრუნდი. აქედან იერუსალიმს წავედი, იერუსალიმიდგან კონსტანტინეპოლში, სადაც რუსეთის ელჩი დოლგორუკოვი ვნახე და შევევედრე: გავეგზავნე რუსეთში, ყიზლარს, ჩემი დატოვებული ეტლი და ნივთები ჩამებარებინა და კიევის წმინდანების თავყვანისცემის ღონის ძიებაც მოეცა ჩემთვის. ელჩი დიდის სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ ამ დროს გავხდი ავად და კონსტანტინეპოლშივე დავრჩი. ახლა მივდივარ რუსეთში და გთხოვთ მიშუამდგომლოთ რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა გამიშვან პეტერბურგს და, თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ მომცენ ყიზლარში ცხოვრების ნება და დამინიშნით მეცა და ჩემს კრებულსაც შესაფერი ჯამაგირი“.**

ერეკლე II

ეს წერილი ყიზლარის ციხის უფროსმა უწმინდეს სინოდში გაგზავნა, მაგრამ სინოდმა უყურადღებოდ დასტოვა მისი თხოვნა, რადგან 1762 წლის 21 მარტის იმპერატორ პეტრე III-ის ბრძანების ძალით ნათქვამი იყო, რომ **„არც ერთი საზღვარგარეთიდან შემოსული ბერი, მათ რიცხვში საქართველოდან გადმოსული ბერებიც არ მიეღოთ და არც რაიმე ადგილი მისცეთ მონასტერშიო“.** ამის გამო მიტროპოლიტის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს, მაგრამ მეუფე ამით მაინც არ დაკმაყოფილდა და კიდევ გაუმეორა სინოდს თხოვნა, რომელიც ბოლოს და ბოლოს დააკმაყოფილეს, დაუნიშნეს იმასაც და მის კრებულსაც ჯამაგირები და 1764 წლის 5 ივლისს გამოუგზავნა ბრძანება, რომლითაც ნება ეძლეოდა გადმოსახლებულიყო რუსეთში და ეცხოვრა პეტერბურგს, მაგრამ განგებამ მაინც თავისი გაიტანა. 28 ივლისს ღამით, ფერისცვალების მონასტერში დამბლა დაეცა და გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ არაფერი არ დარჩენია, არც ფული და არც რაიმე ქონება. მეორე დღეს მეუფე ტიმოთეს ასტრახანის ეპისკოპოსმა ილარიონმა წესი აუგო და დაასაფლავა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში. სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგულია.

მეუფე ტიმოთე იყო თავისი დროის ეპოქისათვის შესანიშნავი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი, კარტოგრაფი და მხატვარი. მის თხზულებათაგან ჩანს, რომ ის განათლებული კაცი ყოფილა. საფუძვლიანად სცოდნია ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, განსაკუთრებით პროკლე დიადოხოსის კავშირნი, საეკლესიო ისტორია და ოსმალურ-თურქული ენა, საკმაოდ სცოდნია ბერძნული ენა და რამდენადმე რუსულიც. იოანე ბატონიშვილი თავის წიგნში მას ასე მოიხსენიებს: „ტიმოთე ეპისკოპოსი ერისთავთ გვარისა (აქ იოანე შეცდომით ასახელებს მის გვარს, ამგვარი შეცდომები მას სხვაგანაც აქვს გაპარული — ავტორი), თავადი, კაცი მეცნიერი, წარვიდა ტფილისიდამ და მივიდა სტანბოლს. სულთანმან კარგად მიიღო და უბოძა თხოვისაებრ მისისა ფირმანი მოსალოცველად წმიდათა ადგილთა. და ესე წარვიდა მუნით და მოილოცა იერუსალიმი და გარემოს მისა წმინდანი ადგილნი და მივიდა ათონისა მთასა შინა და მუნცა მოილოცნა წმინდანი მონასტერნი. და სადაცა რა იხილა, ყოველივე აღწერა კეთილად და მშვენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა მას „ტიმოთიანი“ და სხვანიცა სწავლანი შესძინა მას შინა. და კვალად მოვიდა ქართლსა შინა და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი“.

ეს მოგზაურობა მეუფე ტიმოთემ აღწერა სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულებაში „მიმოსვლა“ (სათაურით — „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“, გამოსცა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა 1852 წელს). პოლიტიკურის გარდა მის მოგზაურობას შემეცნებითი მიზანიც

მიტროპოლიტ ტიმოთეს მიერ შედგენილი ქ. იერუსალიმის გეგმა

ჰქონდა. გაბაშვილმა გადაცურა შავი, მარმარილოს, ეგეოსის ზღვები, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილი, მოინახულა მცირე აზია, ბალკანეთი, პალესტინა და მრავალი ქალაქი. მის „მიმოსვლას" გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში. ათონსა და იერუსალიმში გაბაშვილმა ნახა და აღწერა ქართული კულტურის ძველი კერები, რითაც საფუძველი ჩაუყარა საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერების შესწავლას. „მიმოსვლა" ამ საკითხისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომია, რომელშიც მოცემულია ათონის ივერთა მონასტრის გეგმა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკების პირები და სხვა ჩანახატები. იერუსალიმში გაბაშვილს უნახავს 18 მონასტერი და ტაძარი, სადაც ქართველებს უმოღვაწიათ. შეუსწავლია ყოველი მათგანის აშენების ისტორია და „მიმოსვლაში" შეუტანია. განსაკუთრებით მდიდარი ცნობები აქვს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აშენებისა და მოხატვის შესახებ. ამ ცნობებს დღესაც არ დაუკარგავს სანდო პირველწყაროს მნიშვნელობა.

„მიმოსვლის" გარდა მეუფე ტიმოთეს დაუწერია ისტორიულ-პოლემიკური თხზულება „მარწუხი". მარწუხი ნიშნავს მაშას, რომლითაც ნაკვერცხალს აიღებენ ხოლმე. თხზულებაში ლაპარაკია შვიდ მსოფლიო კრებათა შესახებ, რომელთა დადგენილებანი და კანონნი გასწმენდნენ ქვეყანას უკეთურებისაგან, როგორც ისაია განწმიდა ნაკვერცხალმა, და ასწავლიან მას ჭეშმარიტების სიტყვას. თხზულება დაწერილია (1753 წლის მახლობლად) პირველწყაროების დახმარებით, ავტორს ხელთ ჰქონია კრებათა აქტები, არ ვიცით მხოლოდ რა ენაზე, წმინდა მამათა თხზულებანი და შესაფერი საისტორიო ნაწარმოებნი.

მიტროპოლიტ ტიმოთეს დაუწერია კიდევ ერთი კაპიტალური შრომა „გარდამოცემული ერთობისათვის და სიყვარულისა წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა, აღმომდინარისა მის ტკბილნაკადულისა წყაროისა, განმწმედელისა გულისხმის ყოფათასა წმიდათა წერილთაგან". ეს საკმაოდ მოზრდილი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულება წარმოადგენს კრებულს, რომელიც 15 თავისაგან შედგება.

მის კალამს ეკუთვნის კიდევ ერთი თხზულება „დღესასწაულისათვის ღმრთისმშობლისა მარიამისა". სამივე თხზულება გამსჭვალულია ანტიმაჰმადიანური სულისკვეთებით. მეუფე ტიმოთე ჩამოთვლის არანორმალურ, მორალური თვალსაზრისით, მოვლენებს XVIII საუკუნის ქართველთა ცხოვრებაში, რომელთათვის ღმერთმა მოუვლინა მათ ის უბედურებანი, რაც მათ თავს დაატყდათ ამ დროს.

თავისი შრომები გაბაშვილმა გააერთიანა კრებულში, რომელსაც შემდეგი დროის მოღვაწენი „ტიმოთიანს" უწოდებენ.

გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილი დასავლეთ საქართველოს (ლიხთ-იმერეთის) რუკა კარტოგრაფიული ტექნიკით ჩამოუვარდება ვახუშტი ბაგრატიონის რუკებს, მაგრამ თავისი დროისათვის მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუკაზე დეტალურად აისახა რელიეფი, ტყეები, მდინარეები, სანაოსნო გზები, სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და ისტორიული ძეგლები. ამ რუკას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისითაც.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კურესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

მარცხნიდან: მღვდელი ექვთიმე და მღვდელი ერმალოზ კალანდარიშვილები. 1911 წ.

შესრულდა წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად. მამა ერმალოზი დაკრძალულია მაკვანეთის ძველი ეკლესიის შესასვლელში, კარიბჭის მახლობლად. ამჟამად მათი და ოჯახის სხვა წევრთა საფლავების კვალიც კი წაშლილია.

მამა ერმალოზის გარდაცვალების შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ახალი ძალებით შეუტია ეკლესიას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ სოფლის მკვიდრნი, მამა-შვილი არტემ და ნესტორ ცელაძეები, რომელთა ქმედებაც სამარცხვინო ლაქად დააჩნდება მთელ მათ საგვარეულოს. კერძოდ, 1926 წლის ზამთარში, გვიან ღამით, მათ მალულად მოტეხეს ჯვრები ტაძრის შენობის გუმბათიდან და ეკლესიის სამრეკლოდან. ამ ფაქტიდან ძალიან მალე სოფლის ხელისუფლებამ ეკლესიას გამოუტანა მორიგი განაჩენი, რომელიც „ყოჩაღმა" კომკავშირლებმა „ფრიადზე" განახორციელეს, კერძოდ, ეკლესიის მთავარი შესასვლელი კარიბჭე ფიცრებით აჭედეს, რომ მღვდელმსახურება აღარ ჩატარებულიყო. გუმბათის ჯვრის გარეშე დარჩენილი ეკლესიის შენობა წლების განმავლობაში სრულიად დაუცველი აღმოჩნდა ატმოსფერული ნალექების მიმართ. გუმბათიდან და შეუკეთებელი სახურავიდან ჩაჟონილმა წყალმა და მუდმივმა სინესტემ საგრძნობლად დააზიანა და დაბზარა ეკლესიის ძირითადი ნაგებობის კედლები. ასევე დაზიანდა სამრეკლოს კედლებიც. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი უქმად დგომის შემდეგ, მთლიანად ხავსმოკიდებული და ეკალ-ბარდებში გახვეული ეკლესიის შენობა, რომელიც თავის დროზე თლილი ქვებისაგან იყო აგებული, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მთლიანად ჩამოინგრა და ჩამოიშალა. ამის შემდეგ, ათეისტურად აღზრდილმა სოფლის მოსახლეობამ ძირს დაყრილი ეკლესიის ქვების ნელ-ნელა საკუთარ სახლებში წაღებასაც მიჰყო ხელი, რადგანაც მათი განმკითხავი აღარავინ იყო.

მაკვანეთის ეკლესიის ირგვლივ გარშემორტყმულ ძველ სასაფლაოზე გასული საუკუნის 60-იან წლებამდე, ინერციით ჯერ კიდევ ხდებოდა სოფელ მაკვანეთის მკვიდრთა დასაფლავება. ეს პროცესი თავისთავად შეწყდა მას შემდეგ, რაც სოფლის ახალი სასაფლაო გაიჭრა ერთ დაუსახლებელ და უკაცრიელ გორაკზე. თითქოს სიმბოლურია, როდესაც მამა ერმალოზის უმცროსი ქალიშვილი ევდოკია, რომელიც 1984 წელს გარდაიცვალა ძველი ეკლესიის ნანგრევებთან ახლოს დაიკრძალა, ამ დროიდან მოყოლებული კვლავ განახლდა და დღემდე გრძელდება დაკრძალვები სოფლის უძველეს სასაფლაოზე. ამჟამად ძველი ეკლესიის გვერდით, ძალიან ახლოს, ადგილობრივ შეძლებულ ქტიტორთა თაოსნობითა და შეწევნით აშენდა სოფელ მაკვანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარი. განახლდა საეკლესიო ცხოვრება, გაჩნდა მრევლი და გაჩნდა იმის იმედიც, რომ აღარასოდეს განმეორდება ის კოშმარული პერიოდი, რომელიც თავს გადახდა გასაბჭოების პერიოდში სოფელ მაკვანეთის ეკლესიის უკანასკნელ მოძღვარს, მამა ერმალოზ კალანდარიშვილს.

ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა ერმალოზის შთამომავალს, ბატონ ჯიმშერ ქერქაძეს.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 6731; 42135; 53075; „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო უწყებანი" 1891-1906წწ.; „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი" 1910-1917წწ.; გაზეთი „თანამედროვე აზრი" 1915წ. ივნისი გვ. 1-3; გაზეთი „კომუნისტი" 1926წ. 33. გვ. 1.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გივრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ზე მეტმა ადამიანმა, მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა, დატოვა სახლი. მათგან 1,25 მილიონი საზღვარგარეთ — ლიბანში, იორდანიასა და თურქეთში გაიქცა.

„იარსებებს მართლმადიდებლობა იარსებებს ბულგარეთიც!"

ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენის 60 წლისთავი აღნიშნა. იუბილეს ფარგლებში სოფიის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ბულგარეთის პატრიარქმა ნეოფიტემ სადღესასწაულო ლიტურგია აღასრულა.

1953 წლის 10 მაისს ბულგარეთის საეკლესიო-სახალხო კრებაზე გამოცხადდა ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და პატრიარქად მიტროპოლიტი კირილე გამოარჩიეს.

დღესასწაული წელს 10 მაისიდან 19 მაისს გადაიტანეს, რათა საათანადოდ აღენიშნათ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა. პატრიარქმა ნეოფიტემ იუბილესადმი საგანგებოდ გამოსცა ეპისტოლე.

„გასული ათწლეული არ ყოფილა მარტივი, მაგრამ ღვთის შეწევნით, სულიწმინდის წინამძღვრობით, ყველა ჩვენგანი — სასულიერო პირებიც და ხალხიც – ჩვენი ძალისამებრ ვცდილობთ ვიცხოვროთ მშვიდობით, ნიშნად ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებისა, გულსა და გონებაში მუდამ ვინარჩუნებთ წინაპრების მიერ უფლის შესახებ დატოვებულ მცნებას: „იარსებებს მართლმადიდებლობა, იარსებებს ბულგარეთიც!" და ნათელი ამ მარადიული ჭეშმარიტებისა ისევ არსს სძენს ჩვენს ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებას, რამდენადაც შეგვწევს ძალა, რომ იდიდოს უფლის სახელმა კაცთა შორის (2 სოლ. 1,12) და ღირსეულად ვატაროთ ქრისტეს მოწაფეთა სახელი", — ნათქვამია პატრიარქის ეპისტოლეში.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მღვდელი ერმალოზ კალანდარიშვილი 1857-1926

მღვდელი ერმალოზ სვიმონის ძე კალანდარიშვილი გურიაში, ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ეს გვარი სოფელ მაკვანეთში სასულიერო პირთათვის მემკვიდრეობითად მიიჩნეოდა. თუმცა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევარში მამა ერმალოზის წინაპრები ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურნი იყვნენ. საეკლესიო საბუთებიდან ვგებულობთ, რომ ერმალოზის ბაბუა, **მღვდელი თეოდორე** 1767 წელს გურიის სამთავროში, საბატონო აზნაურის ოჯახში დაბადებულა. ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას. საეკლესიო განათლება ნიგოითის ეკლესიის წინამძღვართან, მღვდელ მახარებელთან მიიღო. 1785 წელს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (თაყაიშვილი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1790 წელს მღვდლად დაასხა ხელი და ნიგოითის ეკლესიის მღვდელმსახურად დაადგინა. 1839 წელს უკვე დაქვრივებული იყო. ჰყავდა სამი ვაჟი: ადამი (დაბ. 1791 წელს), მღვდელი სიმონი (დაბ. 1806 წელს) და ენუქი (დაბ. 1809 წელს).

ამ სამი ვაჟიდან სასულიერო გზა გააგრძელა **სვიმონმა**, რომელმაც სასულიერო განათლება თავის მამასთან მიიღო. 1824 წლის აპრილში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (შარვაშიძე) დიაკვნად აკურთხა და ნიგოითის ეკლესიაში დაადგინა. XIX საუკუნის 40-იან წლებში მღვდლად ეკურთხა. თავის მხრივ, მოძღვრის ტკბილი უღელი მისმა შვილებმა — ექვთიმემ და ერმალოზმა გააგრძელეს.

მამა სვიმონის უფროსი ვაჟი — **მღვდელი ექვთიმე** — 1831 წელს დაიბადა. გაიარა გურიის სამწლიანი საეკლესიერო სასწავლებლის ორი კლასი, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი კი თავის მამასთან ისწავლა. 1857 წლის 30 მარტს გურიის ეპისკოპოსმა იოანემ (იოსელიანი) დიაკვნად აკურთხა და ნიგოითის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში განამწესა. 1858 წლის 13 სექტემბერს ეპისკოპოსმა იოანემ მღვდლად დაასხა ხელი და ნიგოითის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1861 წლის 13 ნოემბერს გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) ქვიანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანა. 1871 წლის 5 სექტემბერს მამა ექვთიმე ნიგოითის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1875 წლის 19 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1878 წლის 22 ოქტომბერს ლანჩხუთის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1879 წლის 7 ნოემბერს ხელახლა აირჩიეს მთავარხუცესად. 1881 წლის 12 აპრილს სკუფია უბოძეს. 1888 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1892 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1894 წლის მაისში მამა ექვთიმე აკეთის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1899 წლის 15 მაისს სამკერდე ოქრის ჯვარი მიიღო. 1904 წლის აღდგომას წმინდა სინოდმა მადლობის ფურცელი უბოძა. 1905 წლის 4 იანვარს მოხუცებულობის გამო გადადგა შტატიდან და გავიდა პენსიაზე. მამა ექვთიმეს ჰყავდა მეუღლე — პელაგია ზურაბის ასული (დაბ. 1838წ.) და შვილები: მატრონა, დიმიტრი, თეონა, ნინო, ნადეჟდა და სვიმონი. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მოხუცმა მოძღვარმა თბილისში, თავის შვილებთან გაატარა. ცხოვრობდა გუნიბის ქუჩაზე, 61-ე სახლში. გარდაიცვალა 1915 წლის 8 ივნისს. იგი 12 ივნისს ვერის წმინდა

ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მიასვენეს, სადაც შესრულდა წირვა და წესი ანდერძისა. წირვის შემდეგ მისი ცხედარი კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს.

1915 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრის" ივნისის ერთ-ერთ ნომერში ვინმე აპოლონ წულაძე მამა ექვთიმეს გარდაცვალებას პატარა წერილით გამოეხმაურა:

„ბუნებრივია მოხუცის გარდაცვალება, მაგრამ როცა არა ბუნებრივი, იშვიათი და კეთილშობილი მოხუცი მეგობრებს გამოეთიშება, არ შეიძლება იშვიათი მწუხარება არ განიცადო. მამა ექვთიმე იშვიათი პიროვნება იყო, ძველი ტიპის მღვდელი — მოძღვარი ტრადიციული რწმენის, სრულებით არ გავდა ახლანდელ „სასყიდლით დადგინებულ" მოხელე მღვდლებს. მისი სათნოიანი გული ჩაგრულთა სიყვარულით ძგერდა. ის არ იყო რეაქციონერი და ფანატიკოსი, მოხუცი ახალგაზრდული გატაცებით შეხაროდა ყოველივე ახალს და ბეჩავი ხალხის სასარგებლოდ მოქმედებდა.

ხალხში სამოქმედოთ გაფანტულ მოციქულებს, იმ მოციქულებს, რომელთა მოღვაწეობა მღვდლებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ იყო მიმართული, მამა ექვთიმე გატაცებით ეხმარებოდა. და რაც იშვიათია, ეხმარებოდა უსარჩულოდ, ის არ კითხულობდა მათ ვინაობას, ის არ უფრთხოდა ამქვეყნიერ სასჯელს. ბევრჯელ საფრთხეში აგდებდა თავის წოდებას და პირად ბედნიერებას, მაგრამ ამაზე არ წუხდა. ის არ იყო ენით ოქროპირი, მაგრამ ის საქმით ოქრო იყო. მისი მარჯვენა ფიზიკური შრომით იყო დაკორძებული და მე, როგორც ერთი მისი ღრმად პატივისმცემელი, მუხლს ვიდრეკ და უკანასკნელად ვეამბორები ამ შეუბღალავ მარჯვენას".

მონაზონი თეკლე (კალანდარიშვილი)

მამა სვიმონის უმცროსი ვაჟი — **მღვდელი ერმალოზი** 1857 წელს დაიბადა. ისწავლა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ორი წელი. 1889 წლის 5 მაისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი ჭაბუკთ-ჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესა. 1892 წლის 28 თებერვალს ეპისკოპოსმა გრიგოლმა დიაკვნად აკურთხა და მონასტრის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში დაადგინა. 1894 წლის 16 ოქტომბერს მეუფე გრიგოლმა მღვდლად დაასხა ხელი და მაკვანეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1897 წლის 15 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1898-1907 წლებში მამა ერმალოზი იყო იმ კომისიის თავჯდომარე, რომელმაც ააშენა მაკვანეთის ახალი ქვის ეკლესია. ამ ეკლესიის აშენებაზე მამა ერმალოზმა ათასი მანეთი შეაგროვა. 1902 წლის 11 ივნისს სკუფია უბოძეს. 1908 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1911 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1915 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

მამა ერმალოზს ცოლად ჰყავდა სოფელ ბახვში მცხოვრები მღვდლის — ნიკოლოზ ჩხაიძის ქალიშვილი ოლინკა (ოლღა, დაბ. 1877წ.), რომელთანაც ხუთი შვილი შეეძინა: ვაჟიშვილები — აკაკი, ზაქარია და ქალიშვილები — ელენე, ტატიანა და ევდოკია. 1917 წელს ქუთაისში მოულოდნელად გარდაიცვალა ერმალოზის უმცროსი ძმა დიომიდე, რომლის ორი მცირეწლოვანი შვილი — 7 წლის ერმალოზი და 3 წლის ბაბუცა — გასაზრდელად თავისთან წამოიყვანა სოფელ მაკვანეთში; ბავშვების დედა მალევე გათხოვდა და ობლების გაზრდა მამინაცვალმა არ მოისურვა. გარდაცვალებამდე დიომიდე 1904-1917 წლებში ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მდივნის თანაშემწედ მუშაობდა.

მამა ერმალოზს სურდა თავისი უფროსი ვაჟი აკაკი სასულიერო პირი გამხდარიყო და ვინაიდან სოფელ მაკვანეთში იმხანად მხოლოდ დაწყებითი განათლების მიღება იყო შესაძლებელი, ის ოზურგეთის ოთხწლიან სასულიერო სასწავლებელში მიაბარა სასწავლებლად. იმ პერიოდში ამავე სასწავლებელში მოღვაწეობდა გამოჩენილი ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე წმინდა ფილიმონ ქორიძე. აკაკიმ, მამის სურვილის საპირისპიროდ, სასულიერო სკოლის დამთავრების შემდეგ რუსეთში წავიდა და ერთ-ერთი კადეტთა სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა. მამა ერმალოზის მეორე ვაჟი ზაქარია სოფელ მაკვანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში სწავლობდა მომავალში გამოჩენილ მეცნიერთან და ისტორიკოსთან, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან ერთად. სკოლის კედლებში დაწყებული მათი მეგობრობა შემდგომშიც გაგრძელდა. შემდგომში ზა-

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები.
მარცხნიდან მე-9 დგას აკაკი ერმალოზის-ძე კალანდარიშვილი. 1910 წ.

ქარიამ დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი და 30-იან წლებში მუშაობდა სააფთიაქო სამმართველოს თბილისის ერთ-ერთი აფთიაქისა და ოზურგეთის სანჰიგიენურ მაღაზიათა გამგედ. მანვე დაარსა პირველი აფთიაქი სოფელ მაკვანეთში. იგი გარდაიცვალა 1946 წელს, თბილისში, მძიმე ავადმყოფობის შედეგად და დაიკრძალა მაკვანეთის ეკლესიის შენობის შესასვლელ კიბეებთან. ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია. მამა ერმალოზის ქალიშვილებიდან ორნი — ელენე და ტატიანა იყვნენ გათხოვილნი. ელენემ დაამთავრა ქუთაისის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი და პენსიაში გასვლამდე რუსული ენის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. მისი მეუღლე იყო სვიმონ ცხომელიძე. ტატიანამ დაამთავრა ფოთის ქალთა სასწავლებელი. მამის გარდაცვალების შემდეგ გათხოვდა ბახველ შალვა ესეს ძე ანდღულაძეზე. მუშაობდა ფარმაცევტად თბილისის ერთ-ერთ აფთიაქში. ტატიანა ახალგაზრდულ ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სოფელ ბახვში, სავარაუდოდ, მორიელის ნაკბენის შედეგად. მამა ერმალოზის უმცროსმა ქალიშვილმა ევდოკიამ სოფელ მაკვანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის ქალთა სასწავლებელში, ხოლო შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. იგი, როგორც ბიოლოგი, მუშაობდა თბილისის მარცვლეულის დამამზადებელი კომბინატის ლაბორატორიაში; დაქორწინებული არ იყო და პენსიაში გასვლამდე ზრდიდა თავისი ძმის ზაქარიას ადრედაობლებულ ერთადერთ ქალიშვილს. ევდოკია პენსიაში გასვლის შემდეგ დაბრუნდა მაკვანეთში, რათა ყველასგან მიტოვებული მამაპაპისეული კერა არ გაეცივებინა და გარდაცვალებამდე უერთგულა კიდეც მას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი ხელისუფლების განწყობა რადიკალურად შეიცვალა ეკლესიისა და მის მსახურთა მიმართ. მათი აგრესია გამოიხატებოდა ღვთისმსახურათა და მრევლის წევრთა დევნაში, შანტაჟსა და დასმენებში, ხოლო შედგომში იერიში მიიტანეს საკუთრივ ეკლესიაზე. შევიწროებულმა მამა ერმალოზმა, რომელიც სოფლის მოსახლეობაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა განცვიფრებული იყო სოფლის ახალგაზრდა მკვიდრთა საქციელით. კომუნისტური იდეოლოგიით მოწამლულნი არ ერიდებოდნენ ეკლესიისა და ღმერთის შეურაცხყოფას. შეშინებულმა მოძღვარმა, რათა მოძალადეებს არ გაენადგურებინათ საეკლესიო სიწმინდეები მოახერხა და ეკლესიის მახლობლად მდებარე საკუთარ სახლში საგულდაგულოდ გადაემალა ყველაფერი, მათ შორის დიდი ვერცხლის ჯვარი და 1911 წლით დათარიღებული წმინდა ანას III ხარისხის ორდენი, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ ხელმოწერილი სიგელითურთ.

მამა ერმალოზი უშიშრად აღასრულებდა ღვთისმსახურებას ეკლესიასა და მრევლში, რადგან მაკვანეთის ეკლესია თავდაპირველად გადაურჩა დაკეტვას. ასრულებდა საეკლესიო წესებს, ქადაგებდა და შემცირებულ მრევლს სიმტკიცისა და ღვთის სიყვარულისკენ მოუწოდებდა. ამ საქმეში მას გვერდში ედგა ბიძაშვილი, მონაზონი თეკლე (კალანდარიშვილი).

1926 წლის 5 იანვარს მღვდელი ერმალოზი უეცრად გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი იყო კბილის ამოღება, რამაც გამოიწვია სისხლდენა და, სამწუხაროდ, სოფლის პირობებში ვეღარ მოხერხდა მოძღვრის სათანადო მკურნალობა. 13 თებერვალს, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, მაკვანეთის ეკლესიაში

ფოტომატიანე

მღვდელი ისააკ კეკელიძე
1863-1947

მღვდელი ისააკ ანტონის ძე კეკელიძე 1863 წლის 9 იანვარს (ძვ. სტილით), გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანეულში, მღვდლის — ანტონ კეკელიძისა და ელისაბედ იობის ასულ ჩიგოგიძის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. იანეულში მცხოვრებ კეკელიძეთა ეს შტო სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მამა ისააკის ბაბუა, მღვდელი იოანე იესეს ძე კეკელიძე იყო პირველი მოძღვარი ამ შტოში. იგი დაიბადა 1795 წელს გურიის სამთავროში საბატონოს ყმის ოჯახში. ჰყავდა მეუღლე და ოთხი ვაჟი: ნიკოლოზი (დაბ. 1831წ.), მაქსიმე (დაბ. 1832წ.), ანტონი (დაბ. 1837წ.) და იესე (დაბ. 1838წ.). წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ყმაწვილმა იოანემ იმერეთში, გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტერში ისწავლა, რის შემდეგაც თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და 1820 წელს ჯუმათელმა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (შარვაშიძე) ჯერ დიაკვნად აკურთხა, მალევე კი მღვდლად დაასხა ხელი და იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. თითქმის ორმოცი წელი იმსახურა მამა იოანემ იანეულის ეკლესიაში — ერთგულებითა და პატიოსნებით, რითაც მრევლის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1839 წელს მამა იოანეს თაოსნობით აშენდა იანეულის ახალი ხის ეკლესია, რომელიც ამავე წელს იკურთხა წმინდა გიორგის სახელზე.

მღვდელი ისააკი

მამა იოანეს შემდეგ ტაძრის წინამძღვრის ადგილი მისმა მესამე ვაჟმა, მღვდელმა ანტონმა დაიკავა. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ იგი თავდაპირველად ტაძარში მედავითნის მოვალეობას ასრულებდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით 1858 წელს, გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) მას მღვდლად დაასხა ხელი და იანეულის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. მამა ანტონი სამი ათეული წელი ემსახურა უფალს და 1893 წლის 16 მაისს, თავისი თხოვნის საფუძველზე, პენსიაზე გავიდა.

ბაბუისა და მამის გზის ღირსეული გამგრძელებელი იყო მღვდელი ისააკ კეკელიძე, რომელიც ამ შტოში უკანასკნელი მოძღვარი გახლდათ. ისააკმა 1882 წელს წარჩინებით დაამთავრა ოზურგეთის ოთხწლიანი სასულიერო სასწავლებელი და ამავე წლის 1 სექტემბერს სოფელ ციხიის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1890 წლის 15 ოქტომბერს იგი ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის უშტატო მედავითნედ დაინიშნა.

ამ პერიოდშივე ისააკმა ჯვარი დაიწერა ანა ბართლომეს ასულ მილორავაზე, რომელთანაც 10 შვილი შეეძინა: ანტონი, ტარასი, გრიგოლი (გრიშა), ნინო, ალექსანდრა, თომა (კოტე), ოლლა, ანდრია, მიხეილი და კორნელი.

1892 წლის 27 მაისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ისააკი დიაკვნად აკურთხა და ფოთის საკათედრო ტაძარში დაადგინა. 1893 წლის 6 ივნისს მეუფე გრიგოლმა მღვდლად დაასხა ხელი და იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1894-1899 წლებში მამა ისააკი ერკეთის ოლქის სამღვდელოების მხრიდან იყო დეპუტატის კანდიდატად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. 1899 წლის 10 ივნისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის საგვერდულით დააჯილდოვა. 1895 წლის 1 სექტემბერს მამა ისააკი იანეულის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1905 წლის 1 მარტს სკუფია უბოძეს. 1907 წლის 10 ივლისს გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ერკეთის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. 1913 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1909 წლის 13 მაისს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ მამა ისააკი სოფელ სურების ორკლასიანი სახალხო-სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნა. 1909 წელს მამა ისააკმა თავისი პირადი ხარჯებით ააშენა იანეულის ეკლესიის ახალი სამრეკლო, რაც მას 150 მანეთი დაუჯდა. 1910 წელს, ასევე თავისი ხარჯებით, სოფელ იანეულში გახსნა ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის გამგე და საღვთო სჯულის მასწავლებელიც თავადვე იყო. ამ სკოლამ 1918 წლამდე იარსება. ამჟამად იქ საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს.

მამა ისააკს დიდი ავტორიტეტი და სახელი ჰქონდა სოფელში. იგი იყო ფრიად განსწავლული და კეთილშობილი პიროვნება. მისი წინამძღვრობის დროს სოფელში უამრავი სასიკეთო რამ გაკეთდა და თითქმის ყველაფრის სულის ჩამდგმელი და წამომწყები მამა ისააკი გახლდათ. იგი ხელს უმართავდა გაჭირვებულ ადამიანებს, სოფლის ახალგაზრდებს ღვთისა და სამ-

შობლის სიყვარულს უნერგავდა, წირვის შემდეგ ხშირად ქადაგებით მიმართავდა მრევლს და სარწმუნოების სხვადასხვა საკითხებს განუმარტავდა.

მღვდელი ისააკი

1921 წელს საქართველოს სახელმწიფოს ხელმეორე ანექსიის შემდეგ ქვეყანაში საშინელი რეპრესიები დაიწყო. უღმერთო კომუნისტური ხელისუფლება ანგრევდა ეკლესია-მონასტრებს და ხელყოფდა საეკლესიო სიწმინდეებს. 1922/23 წლებში ადგილობრივმა ხელისუფლების წაქეზებით სოფლის კომკავშირლებმა იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დაანგრიეს და მამა ისააკს ღვთისმსახურება აუკრძალეს. ოჯახის წევრთა გადმოცემით, როდესაც ტაძრის სამრეკლოდან ზარს აგდებდნენ, გაავებულ კომკავშირლებს მამა ისააკი წინ გადაუდგა და შეევედრა, ნუ ჩაიდენდნენ ღვთის სანინააღმდეგო საქმეს, რადგან სასჯელი არ აცდებოდათ ამ ცოდვის გამო. ერთმა კომკავშირელმა მაინც ჩამოაგდო ზარი და შეშლილი ხმით დაუყვირა მოძღვარს: **„ისაკია გლახა, ზარი რომ ჩამოვაგდე, რატომ არ დამსაჯა ღმერთმაო?“**. მამა ისააკმა კი უპასუხა: **„მეტი რაღა უნდა დაგსაჯოს, აზრი და გონება დაკარგული გაქვს უკვეო“**.

ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რა მდგომარეობა იყო მთელი გურიის მასშტაბით ანტირელიგიური კამპანიის მხრივ, საკმარისია გადავხედოთ 1924 წელს გაზეთ „კომუნისტში“ ვინმე გრ. მ-ს ინიციალებით გამოქვეყნებულ პატარა წერილს სათაურით — „რელიგიის საკითხი გურიაში“:

„აგრარულ მოძრაობის დაწყებასთან ერთად (1901 წელი) იწყება ბრძოლა, როგორც მემამულეების, ისე სამღვდელოების წინააღმდეგ. ეს მოძრაობა თანდათან გაძლიერდა და 1905 წელში თითქმის ლეგალური შეიქმნა. მთავრობა ფაქტიურად არსად ჩანდა. მღვდლებს, ეკლესიას და მემამულეებს გამოეცხადა ბოიკოტი.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამარჯვებული რეაქცია ავალებს გლეხობას, იაროს ეკლესიაში და პატივისცემით მოეპყრან სამღვდელოებას. გლეხობაში კი ეს უფრო მეტ ზიზღსა და მძულვარებას იწვევს ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი.

საბჭოთა მოძრაობის დაარსებისთანავე ბევრმა სოფელმა, დაუკითხავად ხელისუფლებისა, ეკლესიები გადააკეთა სახალხო სახლებად, დარწმუნებული მასში, რომ მუშურ-გლეხურ მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. 1922 წელში გურიის კომიტეტმა ორმოცამდე ანტირელიგიური ლექცია მოაწყო სპეციალურად. 1923 წლის მარტის თვიდან ყველა კუთხიდან მოდიოდა დადგენილებები ეკლესიების გაუქმებაზე. გურიის კომიტეტმა გაუწია ანგარიში ხალხის მოთხოვნილებას, დაგზავნა ყველგან პროპაგანდისტ-აგიტატორები, რომლებიც უხსნიდნენ ხალხს მღვდელ-ბერების მატყუარობას და ღმერთების არარსებობას.

ხალხს გამოჰქონდათ დადგენილებები, თითქმის ერთხმად, ეკლესიების დახურვის შესახებ. თუ სადმე წინააღმდეგი იქნებოდა უმნიშვნელო უმცირესობა, იქ ეკლესია არ იკეტებოდა.

გაუქმდა 130-მდე ეკლესია და გადაკეთდა სახალხო სახლებად, სკოლებად და სამკითხველოებად. ძველი ისტორიული ეკლესიები, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ, ხელუხლებელნი დარჩნენ. მღვდლების დიდმა უმეტესობამ გაიპარსა, ბევრმა მღვდელმა აშკარად აღიარა ხალხის წინაშე თუ როგორ ატყუებდნენ ხალხს. ეკლესიების კვლავ გახსნის შესახებ იყო სამი განცხადება, რომელზედაც ხელს აწერდნენ 60-მდე მღვდელი, მედავითნე და სასულიერო წოდების პირები. არცერთი მუშა და გლეხი მათ განცხადებას ხელს არ აწერდა“.

მამა ისააკი ტაძრის დახურვის შემდეგ ქობულეთის მხარეში, ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში გადაასახლეს, სადაც ტიფით დაავადდა. იგი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

რამდენიმე წლის შემდეგ მას მისცეს უფლება, დაბრუნებულიყო სოფელში, თუმცა საეკლესიო წესების შესრულება აკრძალული ჰქონდა. მამა ისააკმა სახლში მოაწყო სამლოცველო და ფარულად აღასრულებდა ქრისტიანულ წესებს. 1935 წლამდე იგი კანონგარეშედ გამოცხადდა, არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება. ამ წელს კი მას თავისუფალი მოქმედების ნება დართეს.

სიცოცხლის დარჩენილი წლები მამა ისააკი სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. მუშაობდა მიწაზე და თავს ამით ირჩენდა.

მოძღვარზე დაწყებული დევნა და რეპრესიები მისი ოჯახის წევრებზეც აისახა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ მისი სამი ვაჟი იმსხვერპლა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, შორაპნის მაზრაში დახვრეტილთა შორის იყო სტუდენტი გრიგოლ კეკელიძე, რომელიც იმჟამად 24 წლისა გახლდათ და სოციალ-დემოკრატთა პარტიას ეკუთვნოდა, ხოლო 1937/38 წლის რეპრესიებს ტარასი და თომა კეკელიძეები შეეწირნენ.

ხელისუფლების მიერ შევიწროებული და გატანჯული მამა ისააკი სულით არ დაცემულა. იგი ღირსეულად და ვაჟკაცურად შეხვდა ღვთისაგან მოვლენილ ყველა განსაცდელს. გულს მხოლოდ ის უკლავდა, რომ ტაძარში მსახურება აღარ შეეძლო და ქრისტეს სისხლსა და ხორცს ვეღარ ეზიარებოდა. ღრმადმოხუცე-

ქ. ჩოხატაურის ინტელიგენცია XX ს-ის 10-იანი წლები.
ზედა რიგში მარცხნიდან: 3) მღვდელი ნესტორ შაქარაშვილი, 7) მღვდელი გესარიონ დოლიძე და მღვდელი ისააკ კეკელიძე

ბული მოძღვარი 1947 წელს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა მისი ცხედარი სოფელ იანეულის საგვარეულო სასაფლაოზე, წინაპართა გვერდით მიაბარეს.

ასევე სასულიერო პირი გახლდათ მამა ისააკის უფროსი ძმა **მიხეილი**, რომელიც 1857 წელს დაიბადა. სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ორი კლასი დაასრულა. 1880 წლის 20 მარტს იანეულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ დაინიშნა. 1894 წლის 6 სექტემბერს ციხიის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის შტატის მედავითნედ გადაიყვანეს. 1895 წლის 25 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და იმავე ტაძარში დატოვა. 1900 წლის 30 აპრილს, თავისი თხოვნის საფუძველზე, დიაკონი მიხეილი იანეულის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადავიდა. 1900 წლის სექტემბრიდან მამა მიხეილი იანეულის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში გალობის მასწავლებლად დაინიშნა. მასვე დაევალა ობოლ ბავშვთათვის გახსნილ სამზრუნველოზე ხელმძღვანელობა. 1914 წლის 9 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკონ მიხეილს მღვდლად დაასხა ხელი და ბუკნარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. მოძღვარი ადრე დაქვრივდა. დარჩა ერთი ასული — შუშანიკი (დაბ. 1895წ.).

1910 წელს შედგენილ ნამსახურებათა წიგნში მღვდელ ისააკ და დიაკონ მიხეილ კეკელიძეების გარდა, დასახელებულია ასევე მათი ორი უმცროსი ძმა: დიომიდე (დაბ. 1870წ.) და გიორგი (დაბ. 1883წ.). დიომიდე ზუგდიდის მაზრაში ფერშლად მუშაობდა, ხოლო გიორგი ჩოხატაურის მაზრის საფოსტო განყოფილების თანამშრომელი იყო.

ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა ისააკის შვილიშვილს, ბატონ ისააკ კეკელიძეს.

წყარო: *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 6731; 53088. გაზეთი „კომუნისტი“ 1924წ. 93; მღვდელ ისააკ კეკელიძის საოჯახო არქივი.*

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

დეკანოზი გიორგი ბერიძე
1845-1912

დეკანოზი გიორგი ნიკოლოზის ძე ბერიძე 1845 წელს მღვდლის ოჯახში დაიბადა. ეკუთვნოდა აზნაურთა წოდებას. 1863 წელს დაამთავრა სამეგრელოს ოთხწლიანი სასულიერო სასწავლებელი პირველი ხარისხის დიპლომით. 1863 წლის 2 ივლისს სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიაში მწერლად დაინიშნა. 1867 წლის 29 მაისს იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში გადავიდა.

1870 წელს გიორგიმ ცოლად შეირთო გურძემელი დეკანოზ გიორგი ახვლედიანის ასული ეფროსინე (დაბ. 1857წ.). მათ 12 შვილი, 9 ვაჟი და სამი ასული აღუზარდეს სამშობლოს: კალისტრატე (1871წ.) იყო სამხედრო უწყებაში, ვიქტორი (1872წ.), გორის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი, ლევანი (1879წ.), ვარლაამი (1882წ.), მინა (1883წ.), დაამთავრა მოსკოვის კომერციული ინსტიტუტი, გრიგოლი (1885წ.), მიხეილი (1890წ.), შალვა (1891წ.), დაამთავრა თბილისის თავადაზნაურთა გიმნაზია, ნესტორი (1895წ.), ოლღა (1877წ.), გათხოვილი იყო სენაკის მაზრის ექიმ ივლიანე გაბრიელის ძე ხოფერიაზე, აგრაფინა (1880წ.). გათხოვილი შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწე ტარიელ სპირიდონის ძე დვალზე და მარიამი (დაბ. 1896წ.), დაამთავრა ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი.

1870 წლის 25 ივლისს სამეგრელოს ეპისკოპოსმა ტარასიმ (ელიავა) გიორგი დიაკვნად აკურთხა და ალავერტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაადგინა. 1870 წლის 13 სექტემბერს ეპისკოპოსმა ტარასიმ მღვდლად დაასხა ხელი და ალავერტის ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1871 წლის 29 იანვრიდან 1880 წლამდე მამა გიორგი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრია. 1871 წლის 17 ივლისს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი კომიტეტის IV განყოფილების წევრად აირჩიეს. 1872 წლის 17 ივნისს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა.

1873 წელს ოლქის სამღვდელოებამ მღვდელი გიორგი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შემოსავალ-გასავლების შემმოწმებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია. ამავე წელს მან სასწავლებლის სასარგებლოდ 4000 მანეთი გადარიცხა, რის გამოც გორდის ოლქის მთავარხუცესობა დაევალა და მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა.

1874 წლის 30 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მამა გიორგი მარტვილის ოლქის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებლად დაადგინა. 1875 წლის 5 მაისს იგი დამტკიცდა ამ თანამდებობაზე. 1878 წელს სკუფია უბოძეს, ხოლო 1882 წელს კი კამილავკა ეწყალობა.

მამა გიორგის სიყრმიდანვე ფიზიკურად სხვადასხვა სახის ავადმყოფობა სტანჯავდა. მიუხედავად ამისა, იგი დაუზარლად და მორჩილებით ასრულებდა თავის მოვალეობას. მისი გამოცდილება და ავტორიტეტი ყველა საქმეში იგრძნობოდა. ამის გამო იყო, რომ მას ხშირად ირჩევდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1883 წლის 10 მარტს სენაკის ოლქის სამღვდელოებამ იგი კვლავ აირჩია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შემოსავალ-გასავლების კომიტეტის თავმჯდომარედ. 1884 წელს მამა გიორგის სენაკის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველობაც დააკისრეს. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამრევლო სკოლების გამრავლებას ეპარქიაში. იყო ერთგული დამცველი სამღვდელოებისა და მოწაფე ახალგაზრდობის ინტერესებისა, ამიტომ მისი დაუღალავი ენერგიის წყალობით არა ერთი და ორი სამრევლო სკოლა გაიხსნა როგორც მის სამთავარხუცესო ოლქში, ისე მთელ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. გარდა ამისა, მისი მმართველობის დროს აშენდა 11 სკოლის ახალი შენობა. 1893 წლის 13 ივლისს მამა გიორგი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის ქართული ბიბლიით დააჯილდოვეს.

1886 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1887 წლის 13 იანვარს მთავარხუცესის პოსტზე თორმეტწლიანი კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის წმინდა სინოდმა მადლობა გამოუცხადა. 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს წითელი ჯვრით დაჯილდოვდა.

მის დაუღალავ ენერგიას, თავდადებასა და პატიოსან სამსახურს დიდ აფასებდნენ გურია-სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმთავრები. 1887 წლის 25 ივლისს ეპისკოპოსმა გრიგოლმა ეპარქიის რევიზია დაავალა. 1889 წლის 16 მაისს ალავერტის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1891 და 1898 წლებში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის სხდომების თავმჯდომარეა. 1900 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დაავალა ეხელმძღვანელა კომიტეტისთვის, რომელსაც კინიაში ორკლასიანი სკოლის აშენება დაევალა. მისი მსახურების პერიოდში სენაკის მაზრაში აშენდა 34 ახალი ეკლესია. 1899 წლის 282-ში გაზეთი „ივერია" მამა გიორგის შესახებ წერდა: **„ამ სოფელში არის ერთი ეკლესია, წმინდა ნიკოლოზის სახელზე აშენებული, ზედ მიწერილი ალავერტის ეკლესიისადმი, შემავალნი ამა ეკლესიისა ყველა წოდებისა ირიცხებიან 55-მდის კომლი კაცი. ეს ეკლესია იყო ძველი, ხისა და პატარა, ამისთვის განიზრახეს აეშენებინათ ქვითკირის ეკლესია. 1897 წლის 23 ნოემბერს მთავარხუცესი, დეკანოზი გიორგი ბერიძის წინადადებით დაადგინეს, ააშენონ ნაცვლად ძველის პატარა ხის ეკლესიისა, ახალი**

ქვითკირ-აგურის ეკლესია. აირჩიეს აღმშენებელი კომიტეტები და დაავალეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს და თვითონაც ვალდებული გახდნენ, ყოველივე მოთხოვნილება მათი უსიტყვოდ აღასრულონ. ვისურვებთ ამ კეთილი და წმინდა საქმის თავსმდებთა გამხნევებას, ქველმოქმედთა შემწეობასა და საქმის კეთილად დაგვირგვინებას".

დეკანოზი გიორგი მეუღლესთან და ნათესავებთან

1887 წლის 25 ივლისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1893 წელს წმინდა სინოდმა მადლობის სიგელი უბოძა. 1893 წლის 4 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1894 წელს საქართველოს საეგზარქოსოში სამთავარხუცესო ოლქების ახლიდან გადანაწილების შემდეგ მამა გიორგი ხელახლა აირჩიეს სენაკის მაზრის ალავერტის ოლქის მთავარხუცესად.

საზოგადო ცხოვრებაში დეკანოზი გიორგი სამაგალითო პიროვნება გახლდათ. ის იყო პირდაპირი, უშიშარი და შეუპოვარი თვისებების მქონე, ვერ ეგუებოდა უკანონობასა და უსინდისობას, იყო ქვრივ-ობოლთა დამხმარე და შემწე. არა ერთი და ორი ადამიანი გაჭირვებული და უკუღმართი ცხოვრებისგან დაუხსნია. მთელ სამეგრელოში არ დაწყებულა არც ერთი სასარგებლო და კეთილი საქმე, რომელშიც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიუღია. იგი იყო კარგი მოსაუბრე და მქადაგებელი, ღვთისაგან ნაბოძები ქადაგების ნიჭით, წირვას ისე არ დაასრულებდა, შესაბამისი ქადაგებითა და დამოძღვრით არ მიემართა სამწყსოსათვის. ალავერტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ცნობილი იყო მთელ დასავლეთ საქართველოში, როგორც ერთ-ერთი წმინდა ადგილი. გიორგობის დღესთან დაკავშირებით ამ დღეს ტაძარში იკრიბება დიდძალი საზოგადოება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. წირვა-ლოცვა სრულდება საზეიმოდ, რამდენიმე მღვდლის თანამწირველობითა და ქართული სამხმიანი გალობით. შემორჩენილია მამა გიორგის 1899 წლის 23 აპრილს (ახ. სტილით 6 მაისი) ალავერტის ტაძარში წარმოთქმული ქადაგება:

„ძმანო მართლმადიდებელნო, ქრისტიანენო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წმიდის მთავარმოწამის და ძლევამოსილის წმინდა გიორგის დღეობას. ჩვენ შევკრებილვართ დღეს ღვთის ტაძარში მისთვის, რათა პატივი ვცეთ ხსენებასა მისსა და აღვავლინოთ მისდამო ჩვენი მხურვალე ლოცვანი და ვედრებანი, რათა წინაშე ღვთისა მეოხ გვეყოს ჩვენ. შემდგომად წმინდა ჩვენის ლოცვისა საზოგადო დასატკბობლად ჩვენდა და პატივად წმიდის გიორგისა, მე მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება იმ საგანზე, თუ რა ზნეობითი და სამოძღვრო შეგონება იქნება სასარგებლო არა თუ ამ წუთის ცხოვრებისათვის, არამედ საუკუნო ცხოვრება და ცხონებისათვის.

პირველი საგანი, რომელიც ღირსია ჩვენის ყურადღებისა არის ის, რომ წმიდა მოწამის გიორგის დროს მის სამშობლო ქვეყანაში მძვინვარებდა ერთი უსაშველო ვეშაპი, რომელიც ასობით და ათასობით ასალმებდა წუთისოფელს მცხოვრებლებთ. თუმცაღა, 1 600 წელმა განვლო მას აქეთ, მაგრამ ჩვენ ეხლაც არა ვართ თავისუფალი ამ საშინელი კაცობრიობის მტერისაგან, თუმცაღა, იმ გველეშაპს მოუსპო სიცოცხლე ძლევამოსილმა წმინდა გიორგიმ, მაგრამ იმაზე უსაშინელესი არის ჩვენში დაბუდებული ეშმაკი უხილავი, რომელიც გვისპობს ჩვენ, არამც თუ ამ წუთისოფლის სიცოცხლეს, არამედ თვით საუკუნო ცხოვრებას და ცხონებას. ის გველეშაპი, რომელზედაც წმინდა გიორგის ცხოვრების აღწერა მოგვითხრობს, მძვინვარებდა და მუსრავდა უსჯულოთ მხოლოდ რამდენიმე წელს, ეს ვეშაპი — ეშმაკი, რომელიც ეხლაც არის ჩვენში დაბუდებული, მძვინვარებს და გვლუპავს ჩვენ აგერ 8 000 წლის განმავლობაში. სწორეთ იმ დროიდან, როცა ჩვენმა პირველმა წინაპრებმა ადამ და ევამ შესცოდეს ღმერთს. აბა, წარმოიდგინეთ, ძმანო ჩემნო, თუ რამდენი ჩვენი მოძმეთაგანი იქნება დაღუპული ამდენი ხნის განმავლობაში ამ ჩვენის მტრის — ეშმაკისაგან. წარმოიდგინეთ, რამდენად საშიშარი და საშინელი უნდა იყოს ჩვენთვის იგი. აგრეთვე ეხლაც არის ტბა, რომლისაგან ამოდის გველეშაპი. რაი არს ეს ტბა? ეს არის ჩვენი ცუდი საქმეები, რომლისაგან გამოდიან ეშმაკნი და გვლუპავენ ჩვენ, რომლებიც გვიკარგავენ ჩვენ საუკუნო ცხოვრებას და სასუფველს ღვთისას.

ახლა, ძმანო ჩემნო, მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რა ზომები უნდა ვიხმაროთ ამ გველ-ვეშაპ-ეშმაკის წინააღმდეგ, რომ მას არ შეეძლოს ჩვენი ასე საშინლად დამარცხება და დაღუპვა. წმინდა მოწამე გიორგის დროს ურჯულოთა მიჰმართეს რჩევისათვის კერპებს და მათში დამალულ მარჩიელებს ჩვენ კი, როგორც მართლადიდებელნი ქრისტიანენი, ნუ მოვიქცევით ასე, ნუ მივმართავთ მარჩიელ მკითხავს, როგორც ბევრნი ჩვენთაგანი შვრებიან, როცა რაიმე უბედურება შეემთხვევათ ხოლმე, არამედ მივიქცეოდეთ ლოცვითა და ვედრებითა ჩვენს და ჩვენის ეკლესიის მფარველი წმინდა გი-

ორგისა, რომელიც ეხლაც არის შემწე, ჩვენი მფარველი ღვთის წინაშე, რომელიც ყოველთვის მზათ არის შეგვეწიოს და მოგვეხმაროს ისე, როგორც მოეხმარა და უბედურებისაგან დაიხსნა მან სიროფინიკიის მეფის ქალიშვილი, თუ კი ჩვენ მას ნამდვილი გულითა და იმედით ვსთხოვთ ამა თუ იმ საქმეში დახმარებას.

დეკანოზი გიორგი

დღეს კი ჩვენ, რომლებიც შევკრებილვართ წმიდა გიორგის სახელის სადიდებლად და პატივისსაცემელად მისსა, უნდა მოვიმოქმედოთ ისეთი საქმენი, რომელნიც მას უყვარდა და ყოველთვის ასრულებდა. ესენი არიან: ლოცვა, ეკლესიის შეწირვა, გლახაკთა შეწყალება, სიმშვიდე, ურთიერთარს სიყვარული და სხვა მრავალი კეთილი საქმეები. აი, ამით ჩვენ ვასიამოვნებთ და ვადიდებთ წმინდა გიორგის ხსენებას და ჩვენც არ მოგვაკლებს ღვთის წყალობას, ამინ!"

1894 წლის 6 მაისს მამა გიორგის დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1899 წლის 14 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით, ხოლო 1904 წლის 6 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1905 წლის 24 მაისს კვლავ გამოეცხადა მწყემსმთავრული მადლობა. 1910 წლის 6 მაისს ენქერი ეწყალობა. 1909 წლის 29 მაისს მამა გიორგი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით მოჭრილი ვერცხლის მედლით — ვლადიმერისა და ალექსანდრეს ორმაგი ლენტით დაჯილდოვდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დეკანოზ გიორგის როლი სამეგრელოში ქართული ენის დაცვის საქმეში. XIX საუკუნის 90-იან წლების მიწურულს რუსეთის იმპერიამ დაიწყო თავისი მზაკვრული გეგმის განხორციელება სამეგრელოს მხარეში. მათი მიზანი იყო ქართული ენის ჩანაცვლება რუსული და მეგრული ენით. ტაძრებში წირვა-ლოცვა უნდა აღვლენილიყო მეგრულ ენაზე. ამ საქმეში მათ საზოგადოების წრეებში და ადგილობრივ სამღვდელოებაშიც კი იპოვეს დასაყრდენი და მომხრენი. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი), ეპარქიის მოწინავე ინტილიგენცია და სამღვდელოება, წინ აღუდგა ვერაგ იმპერიალისტურ ზრახვას. დეკანოზი გიორგი ერთ-ერთი ორგინაზიტარი და სულისჩამდგმელი იყო ამ მოძრაობისა. მან შეადგინა ვრცელი მოხსენება, სადაც კარგად იყო განმარტებული და აღწერილი, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ამ ვერაგი გეგმის განხორციელებას. ამით მან მიიპყრო მთელი საქართველოს ყურადღება და მთელი საზოგადოება დიდი ინტერესითა კითხულობდა ამ წერილს. საბოლოოდ, ეს მზაკვრული ჩანაფიქრი გაცამტვერდა.

დეკანოზი გიორგი 1912 წელს გარდაიცვალა. სასულიერო ჟურნალი „შინაური საქმეები" ამასთან დაკავშირებით წერდა: **„20 აგვისტოს 1912 წელსა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ს. გურძემში ალავერტის წმიდის გიორგის ეკლესიის დიდად პატივცემული დეკანოზი გიორგი ბერიძე. განსვენებული მხოლოდ 66-ის წლის იყო, ასე რომ, მას კიდევ შეეძლო ბევრი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის თავის ღვთისაგან კურთხეული ნიჭით და დაუღალავი მეცადინეობით, მაგრამ ამ მეცადინეობამ და მეტისმეტმა შრომამ იგი ძლიერ დაასუსტა და უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს. მართალია, მოკვდა ის, მაგრამ ხსოვნა მისი, როგორც მის სამწყსოში, ისე ყველა მეგრელის გულში საუკუნოდ დარჩება".**

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 53056; გაზეთი „ივერია" 1899წ. 284, გვ. 1-2; 282, გვ. 3; ჟურნალი „შინაური საქმეები" 1912წ. 40, გვ. 14-15; გაზეთი „კოლხიდა" 1912წ.; „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო უწყებანი" 1891-1906წწ.; „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი" 1910-1917წწ..

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ეგვიპტეში ქრისტიანული ტაძრის მშენებლობის ნებართვა გასცეს

ეგვიპტის პრეზიდენტმა მუჰამედ მურსიმ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პირველად გასცა ნებართვა ქვეყანაში ქრისტიანული ტაძრის აშენების შესახებ. მან ხელი მოაწერა განკარგულებას ბუჰაერის პროვინციაში კოპტური ეკლესიის აშენების თაობაზე. წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე აიგება. ამ ნებართვას კოპტური ეკლესია 17 წლის განმავლობაში ითხოვდა.

ეგვიპტის კანონების თანახმად, კოპტური ეკლესიის აგება მკაცრადაა რეგლამენტირებული და ნებართვის მოსაპოვებლად აუცილებელია გარკვეული თანხმიმდევრობის დაცვა. ჯერ კიდევ 2009 წელს პარლამენტის მუსლიმურმა უმრავლესობამ დაბლოკა კოპტი დეპუტატების მიერ შეტანილი კანონპროექტი ეგვიპტეში ახალი ტაძრების მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის შესახებ.

ზოგიერთმა ანალიტიკოსმა პრეზიდენტის ეს ნაბიჯი კოპტური ეკლესიისაგან გარკვეული მხარდაჭერის მოპოვების მცდელობად შეაფასეს, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის მმართველობის პირველი წლისთავისათვის, 30 ივნისს, ქვეყანაში ოპოზიციის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებია დაგეგმილი.

ჩეხეთის ეკლესიას კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეულ ქონებას დაუბრუნებენ

ჩეხეთში კომუნისტური რეჟიმის დროს ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება იწყება. ამის შესახებ კანონი ჩეხეთის პარლამენტმა უკვე მიიღო, თუმცა მემარჯვენე პარტიის წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მისი აცილების შესახებ მიმართეს, რადგან მათი აზრით, ეს კანონი უსამართლოა.

კანონის თანახმად, ეკლესია და რელიგიური ორგანიზაციები მათ საკუთრებაში ადრე არსებული 75 მილიარდი კორნის (4 მილიარდ დოლარზე მეტი) ღირებულების ქონებას დაიბრუნებენ, ასევე მიიღებენ ფინანსურ კომპენსაციას სახელმწიფოსაგან 59 მილიარდი კრონის ოდენობით (3 მილიარდი დოლარი).

ეკლესიებს შეუძლიათ დაიბრუნონ დაახლოებით 30 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, 900 შენობა, 120 საცხოვრებელი სახლი, სამი მონასტერი, სამი ციხე-სიმაგრე და ასობით ტბა.

ამ კანონმა ქვეყანაში, სადაც ევროპაში ყველაზე მეტი ათეისტი ცხოვრობს, მწვავე დებატები გამოიწვია.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი ანტონი (დადიანი)

არონისებრი ძველი მღვდელი

1747-1815

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ანტონი სამეგრელოს მთავარ ოტია დადიანის (1720-1758წწ.) ოჯახში დაიბადა. მომავალი წმინდანის აღზრდაზე ნაკლები ცნობებია შემორჩენილი. ცნობილი ისტორიკოსი და საეკლესიო მკვლევარი თ. ჟორდანია წერდა: **„მოხუცებულ სამღვდელო პირთაგან გამიგონია, რომ მან პირველდაწყებითი სწავლა დედისგან, გულქან შოშიტა რაჭის ერისთავის ასულისგან მიიღო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა პატარა ანტონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. გულქანი ეკუთვნოდა იმ გუნდს ძველ დედებისას, რომელნიც განთქმულნი იყვნენ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით, ოჯახის ერთგულობითა და მხნეობით, რომელნიც წირვა-ლოცვას არ აკლდებოდნენ, ყოველდღე ორჯერ დილა-საღამოს წაიკითხავდნენ დადებულ ლოცვას, წელიწადში რამდენჯერმე ღამეს უთევდნენ და ორჯერ მაინც ეზიარებოდნენ. რადგან ანტონი თავდაპირველად საერო კაცად იზრდებოდა, მას შეასწავლეს, გარდა საღმრთო წერილისა, რომლითაც იწყებოდა მაშინ ყოველი პირველდაწყებითი სწავლა, საერო წიგნები, მელექსეთა ნაწერები და განსაკუთრებით თათრული ენა, იმ დროს მეტად საჭირო ყველა დარბაისელ გვამისათვის“.**

ოტია დადიანს ხუთი ვაჟი — კაცია, ანტონი, ნიკოლოზი, გიორგი, გრიგოლი და ერთი ასული მარიამი (იმერთა მეფე სოლომონ I-ის მეუღლე + 1778წ.) ჰყავდა. გადადიანებულმა ჩიქოვანებმა ჩვეულება შემოიღეს, რომ უსათუოდ ჭყონდიდლად სვამდნენ თავის სახლიკაცებს. ამიტომ ოტიაც თავის ძეს ნიკოლოზს ამზადებდა ჭყონდიდის კათედრაზე. როდესაც შესაბამისმა ასაკმა მოუწია, ბერად აღკვეცეს, მაგრამ ნიკოლოზი საერო ცხოვრებით იყო გატაცებული და არაფრით განსხვავდებოდა სხვა თავადებისგან, რომელნიც უზრუნველად ცხოვრობდნენ.

ანტონი მტკივნეულად განიცდიდა ძმის მდგომარეობას და ერთხელ ნიკოლოზს უთხრა: **„ძმაო, გეტყობა, რომ ბერობას ღირსეულად ვერ ატარებ და ცოდვაში ჩააგდებ შენს ნათესავთა. შენ საერო საქმისადმი დაგიძს გული და არ შეგიძლია ტვირთება მონაზონობის მძიმე უღლისა: „არა ძალ-გიძს მონებად ორთა უფალთა“. გევედრები, დააგდე ბერობა და შენ მაგიერ მე ვიტვირთებ ამ საქმეს“.**

მართლაც, თავისი მამისა და სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით ანტონი ბერად აღიკვეცა. სასუ-

ლიერო მოღვაწეობის დასაწყისში მას საეკლესიო განათლებისადმი წყურვილი მეტად გაუძლიერდა. ამ სურვილის დასარწყულებლად მას მარტვილის მონასტრის ბერები მიუგზავნეს, რომელთა დახმარებით იგი წმინდა მამათა თხზულებებს სწავლობდა. განათლების შესავსებად კათოლიკე ბერებიც მიჰგვარეს, რომელთა შემწეობით ანტონს იმ დროისათვის გავრცელებული სქოლასტიკური ფილოსოფიაც უნდა შეესწავლა.

მომავალ ჭყონდიდელს არც მათი ქცევა მოეწონა და არც მათი სწავლება; — შეატყო, რომ კათოლიკენი მართლმადიდებლობას მწვალებლობის ღვარძლს ურევდნენ. ერთხელ, სადილობისას, მამა ანტონმა უთხრა კათოლიკე ბერს: **„აბა, თუ შეგიძლია, ამ წყლიან ჭიქაში ღვინო ისე ჩაასხი, წყალი რომ არ გაერიოსო“**. კათოლიკე მოძღვარმა ამის შეუძლებლობა მოახსენა. მაშინ ანტონმა განუცხადა: **„როგორც ამ ერთ ჭიქაში წყალი და ღვინო არ ჩაისხმის ისე, რომ ერთმანეთს არ გაერიოს, ეგრევე, ერთი კაცის გონება ვერ დაიტევს მართლმადიდებლობასა და მწვალებლობას ისე, რომ ერთმანეთს არ გაჰრიოსო“**. იმ დღიდან დაითხოვა ანტონმა კათოლიკე მოძღვარი.

სურვილი სწავლისადმი არ ასვენებდა მამა ანტონს. **„ურვა მაქვნდა სწავლისა და მკურნალსა ვეძიებდ“** — წერდა იგი შემდგომში. 1757 წლის ახლო ხანებში საეკლესიო განათლების გასაღრმავებლად მამა ანტონი ქართლ-კახეთში, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის კარზე ჩამოვიდა (მისი მამიდა იყო ერეკლე მეფის მეულლე დარეჯანი). აი, რას წერდა მამა ანტონი სომხურიდან თარგმნილი „ლოღიკის“ წინასიტყვაობაში: **„წარმოვედ სწავლად სამეფოსა ქალაქსა, შორსა სოფელსა თფილისსა ეგრელოით (ესე იგი სამეგრელოით), არა განბნევად სიმდიდრისა, არამედ მოსაღებად გოლისა თაფლისასა... თფილისს ვიხილენ მრავალნი წარმატებულად ხედვათა შინა ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლი მეორეს, დიდსა მეფეს, აღეგო სხოლა ქალაქსა თელავს და მუნით წრთვნილ იყვნენ; და ამასვე მეფეს მოეპოვა სხოლაპეტი და მოძღვარი სიბრძნისა ჰარმანთა მღვდელი ფილიპე ესევითარისა მოძღვრებისა პატივსა და ამა მოძღვართა მიერ და ამის ერთის რჩეულ მოწაფისა ზაქარიას მიერ მიიღო უღირსებამანცა ჩემმან წვრთილებაი ხედვათა შინა ფილოსოფობათა...“** (თ. ჟორდანიას ეს ზაქარია მიაჩნია ცნობილ ხუცეს ზაქარია გაბაშვილად, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ზაქარია შეიძლება ასევე იყოს ცნობილი მქადაგებელი და პოეტი, ნეკრესელი მიტროპოლიტი ამბროსი, რომელსაც ერისკაცობაში ზაქარია ერქვა — გ. მ.).

ზუსტად რამდენ ხანს დაჰყო ახალგაზრდა ბერმა თბილისში — ცნობილი არ არის. სამეგრელოში დაბრუნებულს დაახლოებით 1760/61 წლებში ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და ცაგერის კათედრაზე დაინიშნა. მან თავიდანვე სახელი გაითქვა, როგორც ძლიერმა მჭევრმეტყველმა მქადაგებელმა, ღირსეულმა მღვდელმთავარმა და ასკეტმა ბერმა. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ კათოლიკოსმა ანტონ I-მა (ბაგრატიონი) ისურვა ახალნაკურთხი ეპისკოპოსის ნახვა და მისი ქადაგების გაგონება. მალე მას მართლა მოუხდა თბილისში წასვლა. ეს მოხდა 1765 წელს, როდესაც ერეკლე მეფის და — ელისაბედი მისთხოვდა კაცია დადიანს, ანტონის ძმას. წირვის დროს მეუფე ანტონს ხელში მისცეს დაუწერელი ქაღალდი. მაშინდელი ჩვეულებით ეს იმას ნიშნავდა, რომ ქადაგება უნდა ეთქვა. ის დღე ყოფილა სულიწმიდის მოფენის დღესასწაული და მან ისეთი ხელოვნებით წარმოთქვა ქადაგება, რომ აღტაცებულ ანტონ კათოლიკოსს იქვე ამბიონზე გადაუკოცნია მჭევრმეტყველი მქადაგებელი. ამის შემდეგ დიდი ურთიერთობა და სიყვარული დამყარდა მათ შორის და ხშირი მიმოწერაც ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთ-ერთ წერილში ანტონ კათოლიკოსი მას **„არონისამებრ ძველ მღვდლად“** მოიხსენიებს და დასძენს: თუმც წლოვანებით ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ჭკუით ძველი, ანუ განვითარებული კაცი ხარო.

1777 წელს გარდაიცვალა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გრიგოლ (დადიანი) და კაცია II დადიანმა, დასავლეთ საქართველოს უმაღლესი სამღვდელოების ნებართვით, ეპისკოპოსი ანტონი ჭყონდიდლის კათედრაზე დაადგინა. მეუფის ჩატარებული ყოველი წირვა ქადაგებით მთავრდებოდა და მის სიტყვას განუზომელი გავლენა ჰქონდა მსმენელზე. იგი ყოფილა სრული ტანისა და ახოვანი შეხედულების, მკაფიოდ და რიხიანად მეტყველი, პირუთვნელი და უშიშარი მამხილებელი ძლიერთა და მანუგეშებელი ჩაგრულთა. მისი ბრძანებით საჭყონდიდლო სახლში მუდამ მზადდებოდა სადილი ღარიბ-ღატაკთათვის. სამღვდელოებისგან და, განსაკუთრებით, ბერმონაზვნებისგან, ის მკაცრ სულიერ და ასკეტურ ცხოვრებას მოითხოვდა.

XVII-XVIII საუკუნეებში სამეგრელოსა და თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ტყვეთა ყიდვის უსაშინლესი წესი. მიტროპოლიტი ანტონი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტ ჩვეულებას. მან შეაჩვენა ტყვეების გამყიდველნი, მათ სახლში მღვდელს არ უშვებდა, ხოლო იმ თავადებს, რომლებიც შემჩნეული იყვნენ ამ საქმეში, სოფელში ეკლესიას უკეტავდა. 1792 და 1794 წლებში მისი თავმჯდომარეობით ორჯერ ჩატარდა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მყიდველებს.

მიტროპოლიტი ანტონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ცდილობდა გურულებსა და მეგრელებს შორის ერთობა ჩამოეგდო. ამ მიზნით 1783 წელს მარტვილის მონასტრის არქიმანდრიტი გერმანე (ელიავა) გააგზავნა გიორგი გურიელთან მოსალაპარაკებლად და მშვიდობის ჩამოსაგდებად. ეს მოვლენა ასახულია ერთ-ერთ სიგელში, რომელიც მარტვილის მონასტერში იყო დაცული.

1788 წელს, კაცია დადიანის გარდაცვალების შემდეგ, მეუფე ანტონი თავისი ნებით გადადგა ეპარქიი-

ზუგდიდი — დადიანების სასახლე და კარის ეკლესია

დან და მის მიერვე დაარსებულ ნახარებაოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის მამათა მონასტერში დამკვიდრდა, სადაც მძიმე ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე მან ყველა საეკლესიო მამული გაათავისუფლებინა კაცია დადიანს ყოველგვარი საერო გადასახადისგან, რაც დაკარგული მამულები იყო დაიბრუნა და ხელახლა დაუმტკიცა ეკლესია-მონასტრებს.

მიუხედავად კათედრიდან გადადგომისა და მონასტერში განმარტოებისა, მეუფე ანტონის გარეშე დასავლეთ საქართველოში არცერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო თუ საერო საქმე არ წყდებოდა — ყველგან იგრძნობოდა მისი გავლენა და ძალა, მისი დიდი სულიერი გამოცდილება და ღვაწლი მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეში.

მიტროპოლიტი ანტონი გარდაიცვალა 1815 წელს, ნახარებაოს მონასტერში. იგი დაკრძალულია ამავე მონასტრის ეზოში. აღსანიშნავია, რომ მისი საფლავის გარშემო ყოველ წელს ამოდის სურნელოვანი ბალახი.

1898 წელს თ. ჟორდანიამ გამოსცა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ანტონის ქადაგებების კრებული, რომელშიც მისი ჰომილეტიკური მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილია შესული (სულ 34 ქადაგება). ამათ გარდა, როგორც თ. ჟორდანია ამბობდა, კიდევ იყო მეორე კრებული დიდმარხვის დღეებში წარმოთქმული ქადაგებებისა, რომელთა დაბეჭდვა მას ვერ მოუსწრია. მეუფე ანტონის ქადაგება ყველა ზნეობრივ თემაზეა წარმოთქმული. განყენებული დოგმატური ხასიათის თემებს ის გაურბოდა. ალბათ ის თავის მოძღვრებას მსმენელთა წრეს უფარდებდა. ამით აიხსნება, რომ მისი ქადაგებანი მარტივი, გასაგები და მდაბიური ენითაა დაწერილი, თუმცა, სხვა თხზულებას, თეოლოგიურსა და ფილოსოფიურს, ის გადმოგვცემს მაღალი, სქოლასტიკური, ანტონისებური სტილით. მისი ყველა ქადაგება დგას საღმრთო წერილის ნიადაგზე, არგუმენტები მოჰყავს უმთავრესად ბიბლიიდან, მოკლე და თავისუფალი გადმოცემით. ამავე დროს, ის წმინდა მამათა თხზულებებითაც სარგებლობს.

შემორჩენილია აგრეთვე მიტროპოლიტ ანტონის „ანდერძი", რომელიც მას ნახარებაოს მონასტრისათვის მიუცია. აქ აღნიშნულია, თუ როგორ გადააკეთა მან სამრეკლო ეკლესია ნახარებაოს მონასტრად და ჩამოთვლილია, რა ადგილ-მამულები, გლეხები და წიგნები დაუტოვა მან მონასტერს.

ქართულმა სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიტროპოლიტი ანტონი წმიდათა დასში შერაცხა და მისი ხსენების დღედ 13 ოქტომბერი დააწესა.

წყარო: გაზეთი „კოლხიდა" 1912წ. 39-40.

ლიტ: „ქართული ლიტერატურის ისტორია" ტ. I. კ. კეკელიძე. თბ. 1960წ. გვ. 391-395; „ქართული მწერლობა", ლექსიკონი-ცნობარი წიგნი I. თბ. 1984წ. გვ. 20; „ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი", თბ. 2002წ; ჟურნალი „ქაროზი", 2003 წ. ივლისი. 5(14), გვ. 21; „ქართველ წმიდათა ცხოვრებანი", შემდგენელი დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, თბ. 2007წ. გვ. 304-306;

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000

ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com

მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54

სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

დეკანოზი გრიგოლ ზაბახიძე 1895-1963

დეკანოზი გრიგოლი ერთ-ერთი იმათაგანი გახლდათ, ვინ თავის თავზე მთელი სიმძიმით იწვნია კომუნისტური ხელისუფლების ნეხი და ზეწოლა. მან ყველანაირი ტანჯვა-ნამება გამოიარა, ქუჩაში სახალხოდ დამცირებიდან დაწყებული, საპატიმროთი დამთავრებული. მრავალჯერ იდგა მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშე მაგრამ გული არ გაუტეხია, ბოლომდე იბრძოდა და ლოცულობდა. ამ ყველაფრის დაძლევაში მას ქრისტეს სიყვარული და წინაპართაგან მოყოლებული მადლი ეხმარებოდა. მამა გრიგოლი იყო შთამომავალი ზაბახიძეების იმ სასულიერო შტოსი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა დედაეკლესიასა და სამშობლოს.

XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთის სამეფოში მოღვაწე მისი დიდი წინაპარი, **მღვდელი პეტრე** — თავად წერეთლების ყმა იყო და მათი კარის ეკლესიის მღვდლად მსახურობდა.

მისი ვაჟი, **მღვდელი ლუკა პეტრეს ძე ზაბახიძე,** 1792 წელს დაიბადა. მამამ ყმაწვილი ლუკა აღსაზრდელად კვერეთის უდაბნოში მიაბარა, სადაც მან იქ მოღვაწე ბერებისგან საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. XIX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში დაოჯახდა და 1815 წელს ნიქოზელმა ეპისკოპოსმა ათანასემ (მაჭავარიანი) დიაკვნად აკურთხა, ამავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მღვდელი ლუკა 1858 წლის 15 აგვისტოს (მეორე ვერსიით 1859 წლის 1 მარტს) გარდაიცვალა. მამა ლუკას ოთხი ვაჟი ჰყავდა: გიორგი (დაბ. 1819წ.), მღვდელი იაკობი (1824წ.), მაქსიმე (1828წ.) და მღვდელი ბესარიონი (დაბ. 1831წ.).

მღვდელი ბესარიონ ლუკას ძე ზაბახიძე 1831 წელს დაიბადა. მან წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და რამდენიმე წელიწადი თავის სოფელში მამას მედავითნეობ ეხმარებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ მღვ[illegible]ად დაასხეს ხელი და სხვიტორის ეკლესიის წინამძღ[illegible]ად დაინიშნა, სადაც 1875 წლამდე იმსახურა. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

მღვდელი ილარიონ ბესარიონის ძე ზაბახიძე 1859 წელს დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის ოთხწლიანი სასულიერო სასწავლებლის ერთი კლასი. წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში ისწავლა. 1884 წელს ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის ღამის ყარაულად და ზედამხედველად დაინიშნა. 1885 წლის 5 ივლისს არგვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ განამწესეს. 1886 წლის 28 სექტემბერს პირველ მედავითნედ დაადგინეს. არგვეთის ეკლესიაში მსახურებისას ილარიონმა ეკლესიასთან გახსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა და პატარებს უსასყიდლოდ ასწავლიდა. 1890 წლის 27 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იგი დიაკვნად აკურთხა. 1897 წლის 14 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) მღვდლად დაასხა ხელი და ქორეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1906 წლის 17 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1911 წლის 23 მარტს სკუფია უბოძეს.

კომუნისტების შემოსვლის შემდეგ მამა ილარიონს ღვთისმსახურება არ მიუტოვებია და უშიშრად განაგრძობდა მღვდელმოქმედებას. XX საუკუნის 20-იან წლებში იგი სავანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში აღავლენდა წირვა-ლოცვებს. 1928 წლის 4 აპრილს კამილავკით დაჯილდოვდა. იგი, სავარაუდოდ, XX საუკუნის 30-იან წლებში გარდაიცვალა.

მამა ილარიონს ჰყავდა მეუღლე დოდო იოსების ასული (დაბ. 1868 წლის 1 აპრილს) და ხუთი შვილი: მღვდელი ნიკოლოზი, დეკანოზი გრიგოლი, პუპლია (დაბ. 1903 წლის 14 ოქტომბერს), ალექსანდრე (დაბ. 1907 წლის 12 იანვარს) და შუშანიკი (დაბ. 1901 წლის 2 იანვარს).

მამა ილარიონის ვაჟებიდან ორმა გააგრძელა წინაპრების არჩეული გზა. მათი ცხოვრება სხვადასხვანაირად წარიმართა.

უფროსი ვაჟი, **მღვდელი ნიკოლოზ ილარიონის ძე ზაბახიძე,** 1892 წლის 30 იანვარს დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ ჩააბარა გამოცდები და მიიღო მასწავლებლის მოწმობა. წლების განმავლობაში ასწავლიდა მერჯევის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. 1917 წლის 8-17 სექტემბერს ნიკოლოზი, როგორც საჩხერის ოლქის დეპუტატი, მონაწილეობდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაში. 1918 წელს ნიკოლოზი ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი მღვდლად დაასხეს ხელი და ჯავახეთის მხარეში, კოთელიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. რთულ პერიოდში მოუწია მას მღვდელმსახურების დაწყება. ჯერ იყო და თურქები შეიჭრნენ სამხრეთ საქართველოში და 1918-1919 წლებში სასტიკად დაარბიეს იქაუ-

რობა. აი, რას წერდა გაზეთი „საქართველო“ 1919 წელს თავის ფურცლებზე: **„უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მესხეთ-ჯავახეთმა ორჯერ განიცადა ოსმალების შემოსევა. პირველად – ახდილად, მეორედ — ფარულად, ემისარების სახით, რომელმაც ზოგიერთი ბეგების და ჩვენი „მეგობრების“ დახმარებით გადაიბირეს თათრების შეუგნებელი ხალხი და აჯანყება მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ აჯანყება მიმართულია განსაკუთრებით ქართველების წინააღმდეგ. დიდი შიში და უწესობაა გამეფებული. ქართველების წინააღმდეგ მოქმედებენ სომხები, რომლებმაც აიყოლიეს მაჰმადიანები და მთელი ახალციხის რაბათი (ახალციხის ძველი ნაწილი), ქართველებით დასახლებული ძალზედ აიკლეს. გაძარცვეს ასევე ებრაელები და ქართველი კათოლიკენი...**

მძიმე მდგომარეობაა მთელ მაზრაში. გაანადგურეს შემდეგი სოფლები: ანდრიაწმინდა, ღრელი, რზველი (16 კაცი შერეკეს ეკლესიაში და ამოსწყვიტეს), სარო, კოთელია, ხიზაბავრა, ჭობარეთი, ტობა, რუსთავი, არალი, უდე და ვალე. აბასთუმნიდან აღარაფერი დარჩა. ადგილობრივ მღვდელი ალექსანდრე ზედგენიძეს (შეძლებული ოჯახი იყო) შერჩა მხოლოდ საზაფხულო ანაფორა, ბალიში და საბანი.

გზაში წამოსულ ლტოლვილებს 25 თებერვალს თავს დაეცა ასი კაცი, აუტეხეს სროლა და მრავალი მოკლეს. გაძარცვეს საფარის მონასტერიც. ასეთია დღეს მრავალტანჯული მესხეთის მდგომარეობა“.

მღვდელი ნიკოლოზი ერთი პერიოდი ლტოლვილად იყო ბორჯომის ხეობაში, ხოლო როდესაც ქართულმა ჯარებმა თურქები განდევნეს ჯავახეთიდან, იგი კვლად დაუბრუნდა თავის სამრევლოს.

კომუნისტების შემოსვლის შემდეგ ეკლესია და სამღვდელოება არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ მამა ნიკოლოზი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და ევროპაში გადასულიყო. იგი საფრანგეთში დასახლდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის დააარსებაში. XX საუკუნის 40-იან წლებში იყო ამ ტაძრის წინამძღვარიც. მოგვიანებით იგი არგენტინაში, ქ. ბუენოს-აირესში გადავიდა. მამა ნიკოლოზი ხშირი სტუმარი იყო რადიო „ამერიკის ხმის“ და მიჰყავდა იქ გადაცემები ქართულ ენაზე. 1953 წელს მან ითხოვა დაბრუნება საქართველოში, რაზედაც საბჭოთა მთავრობისაგან სასტიკი უარი მიიღო. უფრო მეტიც, დაბრუნების შემთხვევაში მას დახვრეტით დაემუქრნენ. საქართველოში მყოფი მისი უმცროსი ძმა, დეკანოზი გრიგოლი მამა ნიკოლოზის ემიგრაციაში წასვლის გამო დიდ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. სამშობლოს მონატრებული მამა ნიკოლოზი ემიგრაციაში გარდაიცვალა.

მღვდელი ილარიონ ზაბახიძე

უმცროსი ვაჟი, **დეკანოზი გრიგოლ ილარიონის ძე ზაბახიძე,** 1895 წლის 2 ივნისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალაში დაიბადა. 1908-1912 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რის შემდეგაც მიეცა რეკომენდაცია თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად, თუმცა არ ჩაუბარებია. 1914 წელს ხარაგაულის მაზრის სოფელ ზოვრეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესეს. 1915 წელს ჭიათურის მაზრაში, სოფელ ლიჩის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1919 წელს ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) დიაკვნად აკურთხა, ამავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და ბორჯომის ოლქის სოფელ დვირის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში დაადგინა. ასევე დაევალა ხაშურის რაიონის სოფელ ბროლოსანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრობაც. 1921-1923 წლებში ჯავახეთში, სოფელ საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში მსახურობდა. აუტანელი და მძიმე ეკონომიური ვითარების გამო მიატოვა სამრევლო და იმერეთში, თავის სოფელში დაბრუნდა, იქიდან კი 1924 წელს ოსიაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1926 წელს სამღვდელოების დევნის პერიოდში მამა გრიგოლმა შეწყვიტა მღვდელმსახურება და გაიხადა ანაფორა.

ანაფორაგახდილი მოძღვარი წლების განმავლობაში ხაშურის რაიონში, სხვადასხვა ადგილას მუშაობდა. ცხოვრობდა სურამში, კომსომოლის ქ. 31-ში. 1944

წლის 21 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) წერდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში, მოქალაქე კ. ი. ქადაგიშვილს: **„ოსიაურის წმინდა გიორგის ეკლესიის ყოფილი მოძღვარი, მღვდელი გრიგოლ ილარიონის ძე ზამბახიძე, ჟამთა ვითარების გამო შესულა სამსახურში ხაშურის ზაგოზერნოს საწყობში, სადაც დაუპატიმრებიათ 1943 წლის აპრილის 14-ს, ვინაიდან 31 ტონა დანესტიანებული შვრია აღმოჩენილა იატაკის ქვეშ და მიუსჯიათ 10 წელი. ამჟამად ის იმყოფება კასპის რაიონის იგოეთის ინვალიდთა კოლონიაში პატიმრად და მთხოვს დახმარებას.**

დეკანოზი გრიგოლ ზაბახიძე

მოგახსენებთ რა აღნიშნულს, პატივისცემით გთხოვთ, აღმოუჩინოთ შეძლებისადაგვარი დახმარება უმწეო ადამიანს, მღვდელ ზამბახიძეს“.

ხელისუფლებამ გაითვალისწინა უწმინდესი კალისტრატეს თხოვნა და მამა გრიგოლი მალევე გაათავისუფლეს საპატიმროდან. 1947 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ იგი კვლავ აღადგინა მღვდლის ხარისხში და ქარელის რაიონის სოფელ ატოცის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1954 წლის შობის მარხვაში ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1957 წლიდან უსამსახუროდაა. 1961 წლის 9 აპრილს მარგველ-ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (დევდარიანი) მამა გრიგოლი სურამის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა.

დეკანოზი გრიგოლი კარგად იცნობდა ხალხურ მედიცინას, რომელიც მან მამისგან ისწავლა. სამკურნალო ბალახეულით იგი წამლებს ამზადებდა და უამრავი ხალხი განკურნა. მის ოჯახს ხშირად სტუმრობდა მაშინდელი მარგველ-ურბნელი ეპისკოპოსი დავითი (დევდარიანი, შემდგომში — კათოლიკოს-პატრიარქი) და სხვა სასულიერო პირები.

შთამომავლების გადმოცემით, მამა გრიგოლს ბევრი შეურაცხყოფის დათმენა უწევდა ქრისტესა და სარწმუნოების ერთგულებისათვის. მღვდლის სამკერდე ჯვარი, რომელსაც ის მუდმივად თან ატარებდა, რამდენჯერმე ჩამოუგლეჯიათ მისთვის. ეს დაზიანებები ჯვარს ახლაც ეტყობა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მოხუცებულმა მოძღვარმა აფხაზეთში, ქ. ოჩამჩირეში გაატარა, სადაც იგი მოწამლეს და გზად მომავალი სოფელ ხევთან გარდაიცვალა. ეს მოხდა 1963 წელს.

შემორჩენილია დეკანოზ გრიგოლის ერთი ლექსი, რომელიც მის ოჯახში ინახება:

„კაცი მისთვის დაიბადა,
ნამუსის ქუდს ატარებდეს,
თავის სუფთა, წმიდა სახეს,
ჭუჭყსა აღარ აკარებდეს.
მისი ნახვა გამგონ ხალხსა,
დილასავე ახარებდეს,
ის ეყოფა მას სიმდიდრედ,
ხალხსა, რომ თავს აყვარებდეს“.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 4105; 57597; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 1879, აღწერა 1, საქმე 2, გვ. 31; გაზეთი „საქართველო“ 1919წ. 57, გვ. 4; ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო უწყებანი“ 1891-1906წწ.; „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი“ 1910-1917წწ..

ლიტ: დანდურაშვილი მორის „ჯოჯოხეთის ბჭის შემმუსვრელი“ (სურამის ისტორიიდან), 2004წ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ბაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

შეხვედრა ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში წარიმართა. ორივე საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თითოეული მათგანი პატივს სცემს ერთმანეთის იურისდიქციას და სურს მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობა.

გადაწყდა, შეხვედრის დროს წამოჭრილი კონკრეტული წინადადებები განსახილველად წარუდგინონ ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიების წმინდა სინოდებს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლები, რომლებმაც შუამავლის როლი იკისრეს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი პიმენი (დაშნიანი)

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წიაღში მრავალი მოწამე და ღირსი მამა განდიდებულა. IV საუკუნიდან მოყოლებული მტერთა უწყვეტი შემოსევების შედეგად მრავლად ილვრებოდა ქრისტიანთა უმანკო სისხლი ქართულ მიწაზე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავის ქადაგებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ არცერთ ავტოკეფალურ ეკლესიას არ ჰყავს ამდენი მოწამე და თავდადებული პიროვნება, რამდენიც ჩვენს სამშობლოს. მიწას რომ მოუჭირო ხელი, იქიდან წმინდათა სისხლი გამოიწურება. ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში.

მღვდელი მიხეილ დაშნიანი

XX საუკუნეში გამეფებულმა სამოცდაანლიანმა წითელმა რეჟიმმა და უღმრთოებამ ქართულ ეკლესიას ახალი წმინდანები შემატა, რომელთა ნაწილი უკვე დედაეკლესიის მიერ წმიდათა დასშია შერაცხილი, თუმცა უმეტესი მათგანის ღვაწლი, ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული ჯერჯერობით გამოსაკვლევი და შესასწავლია.

ამჟამად გაგაცნობთ ერთ-ერთი ასეთი ახალმოწამის, ლეჩხუმელი არქიმანდრიტ პიმენის (დაშნიანი) ცხოვრებას. სანამ უშუალოდ მამა პიმენის შესახებ ვისაუბრებდეთ, გადავხედოთ მის გენეალოგიას, თუ ვისი შთამომავალი იყო ეს ღირსეული პიროვნება.

საეკლესიო დოკუმენტების მიხედვით ჩვენთვის ცნობილია მისი მოსახელე, დიდი პაპა, **მღვდელი პავლე გიორგის ძე დაშნიანი,** რომელიც 1786 წელს ლეჩხუმში, წარმოშობით აზნაური მღვდლის ოჯახში დაიბადა. იმჟამად ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს დაქვემდებარებაში შედიოდა და დაშნიანებიც სამეგრელოს მთავარს ემორჩილებოდნენ. იმ პერიოდში საქართველოში არ არსებობდა სასულიერო სასწავლებლები (გამონაკლისი იყო XVIII ს-ის II ნახევარში ანტონ კათოლიკოსისა და ერეკლე მეფის მიერ დაარსებული თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიები) და მომავალი სასულიერო პირების აღზრდა ძირითადად მონასტრებში ან სამღვდელმთავრო რეზიდენციებში ხდებოდა. ყმაწვილი პავლე მამამ ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში მიაბარა, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. 1812 წელს ცაგერელმა მიტროპოლიტმა იოანემ (დადიანი) დიაკვნად აკურთხა, ამავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და ჩხუტელის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1822 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე (დადიანი) და ცაგერის ეპარქია ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ბესარიონის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 1828 წლის 16 ივლისს აღესრულა ჭყონდიდელი ბესარიონიც. წმინდა სინოდის ბრძანებით, სამეგრელოში მხოლოდ ერთი ეპარქიაღა დარჩა. 1835 წლის 19 მაისიდან ეპარქიას მართავს ეპისკოპოსი გიორგი (კუხალაშვილი).

მღვდელი პავლე პატიოსანი და მშრომელი მოძღვარი ყოფილა. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა როგორც სოფელსა და ადგილობრივ მრევლში, ისე მთელ ეპარქიაში. სამეგრელოს მაშინდელი მთავრის, ლევან V დადიანის ყურამდეც მივიდა მისი თავდადებული სამსახურის ამბავი. მთავრის თხოვნით, მეუფე გიორგიმ მამა პავლე დადიანის ჯარის ხუცესად განამწესა. მოძღვარი მორჩილებით ასრულებდა ლოცვა-კურთხევას და მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა ძალიან გაუჭირდა ორ ადგილზე მსახურება. ჯარში ხშირად ყოფნის გამო ჩხუტელის სამრევლო ხშირად წირვა-ლოცვის გარეშე რჩებოდა, რასაც ძალიან განიცდიდა მოძღვარი. მამა პავლე დაშნიანის თხოვნით, ცაგერის მონასტრის

იღუმენმა დოსითეოსმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ცაგერის ოლქის სამრევლოებს, ეპისკოპოს გიორგის წერილობით მიმართა, რათა მამა პავლეს ერთადერთი ვაჟი, დიაკონი მიხეილი მღვდლად ეკურთხებინათ და ჩხუტელის ეკლესიაში დაენიშნათ. მეუფემ გაითვალისწინა მათი სამართლიანი თხოვნა და 1837 წლის 27 ნოემბერს დიაკონ მიხეილს მღვდლად დაასხა ხელი.

მღვდელი სამუელ დაშნიანი ოჯახით

მღვდელი მიხეილ პავლეს ძე დაშნიანი 1807 წელს იყო დაბადებული. საეკლესიო განათლება მან თავის მამასთან მიიღო. 1833 წელს სამეგრელოს მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა და ჩხუტელის სამრევლოში განამწესა. 1837-1859 წლებში მამა მიხეილი მამის თანაშემწედ ითვლებოდა, ხოლო 1859 წლიდან იგი ჩხუტელის ეკლესიის წინამძღვარია. უცნობია, რომელ წელს გარდაიცვალა მამა პავლე. მამა მიხეილი დაჯილდოებული იყო საგვერდულით, 1884 წელს კი — სკუფიით. მას ასევე ჰქონდა ჯილდო — ბრინჯაოს ჯვარი ყირიმის ომის სამახსოვროდ. შთამომავალთა გადმოცემით, მღვდელი მიხეილი მსახურებას აღასრულებდა ასევე ჩხუტელის წმინდა მაქსიმესა და ღვთისმშობლის (სასაფლაოზე) სახელობის ხის ეკლესიებში, რომლებიც XX საუკუნის 30-იან წლებში დაშალეს და იმ მასალით ჯერ სასოფლო საბჭო, შემდეგ კი სკოლა ააშენეს.

მამა მიხეილს ჰყავდა მეუღლე — მარიამ ნემსაძე (დაბ. 1819წ.), რომელთანაც სამი ვაჟი შეეძინა: მედავითნე ალექსი, მღვდელი სამუელი და ანტონი.

მედავითნე ალექსი მიხელის ძე დაშნიანი წლების განმავლობაში გულიდის მაცხოვრის ეკლესიის მედავითნედ მსახურობდა. მის მეუღლეს ერქვა ელპიდე. გარდაიცვალა 1912 წლის 26 ოქტომბერს.

პაპისა და მამის გზა გააგრძელა შუათანა ვაჟმა — სამუელმა. **მღვდელი სამუელ მიხეილის ძე დაშნიანი** 1850 წელს დაიბადა. საეკლესიო განათლება მანაც თავისი მამისაგან მიიღო. 1869 წლის 14 ოქტომბერს ჩხუტელის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1887 წლის 9 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, ამავე წლის 15 აგვისტოს კი მღვდლად დაასხა ხელი და ჩხუტელის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1892 წლის 15 ივნისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1894 წლის 17 ოქტომბერს მამა სამუელი სვანეთში, თავრალის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1905 წლის 24 სექტემბერს კი ისევ ჩხუტელის ეკლესიაში ბრუნდება. 1914 წლის 13 მარტს სკუფია უბოძეს.

მამა მიხეილის ჰყავდა მეუღლე ბათუ გიორგის ასული (დაბ. 1863წ.) და შვიდი შვილი, რომელთაგან ორი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. დანარჩენი ხუთი შვილის სახელებია: დავითი (დაბ. 1877 წლის 7 ოქტომბერს, იყო ცაგერის მაზრის ურიადნიკი), არქიმანდრიტი პიმენი, დიოფრე (დაბ. 1881 წლის 15 ივნისს), მღვდელი ბესარიონი და სარეფთა.

ჩხუტელის ეკლესიის ბოლო წინაძღვარი იყო მამა სამუელის უმცროსი ვაჟი — **მღვდელი ბესარიონ სამუელის ძე დაშნიანი,** რომელიც 1888 წლის 26 მარტს დაიბადა. 1900 წელს მამა სამუელმა ბესარიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. 1905 წელს რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა რევოლუციამ საქართველოს სასულიერო სასწავლებლის კედლებშიც შეაღწია. სტუდენტების ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართული აღმოჩნდა ამ მოვლენებში. შთამომავალთა გადმოცემით, ახალგაზრდა ბესარიონიც ყოფილა ამ ყველაფრის მონაწილე. შეშინებულმა მამამ იგი სასწრაფოდ გამოიყვანა სასწავლებლიდან და სოფელში წაიყვანა. შემდგომში, როდესაც ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა, ბესარიონმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან არსებულ სპეციალურ კომისიას ჩააბარა გამოცდები და პედაგოგის მოწმობა მიიღო. იგი წლების განმავლობაში ასწავლიდა სოფელ ჩხუტელის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. 1914 წლის მიწურულს ბესარიონი დიაკვნად აკურთხეს, ერთ კვირაში მღვდლად დაასხეს ხელი და ჩხუტელის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა. მასობრივი რეპრესიების სუსხმა ლეჩხუმის მაზრაშიც შეაღწია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაშნიანებს ანაფორის გახდა და მათ სამსახურში ჩადგომა შესთავაზა. მღვდელ-მონაზონმა პავლემ და მღვდელმა ტარასი ანტონის ძე დაშნიანმა გადაჭრით თქვეს უარი და განაგრძეს მსახურება, ხოლო მამა ბესარიონმა, ბიძაშვილებისგან განსხვავებით, წვერი გაიკრიჭა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. სამწუხაროდ, ცოტა ხანში იგივე ბედი ეწია მამა ტარასისაც, იგი 1924 წელს იძულებით გაპარსეს და ღვთისმსახურება შეაწყვეტინეს.

მღვდელი ტარასი 1885 წლის 3 აგვისტოს ანტონ

დაშნიანისა და ანა ბიჭიას ასულის ოჯახში დაიბადა. 1901 წლის 13 ივნისს წარჩინებით დაამთავრა ცაგერის ორკლასიან ვაჟთა სასწავლებელი. 1910 წლის 20 სექტემბერს იგი ქვედრიშის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. XX საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს დიაკვნად აკურთხეს, მალევე მღვდლად დაასხეს ხელი და მესტიის სამრევლოში განამწესეს. მას ჰყავდა მეუღლე — ნინო ელისაბედის ასული (დაბ. 1893 წლის 14 ნოემბერს).

სულ სხვაგვარად წარიმართა მამა პიმენის ცხოვრება, რომელმაც დაშნიანების გვარში ყველაზე მაღალ სასულიერო იერარქიას მიაღწია. **არქიმანდრიტი პიმენი, ერისკაცობაში — პავლე სამუელის ძე დაშნიანი,** 1879 წლის 23 მაისს დაიბადა (მისი დაბადების წელი და თარიღი დასაზუსტებელია, მეორე ვერსიით — 1876 წელს დაიბადა, ხოლო მესამე ვერსიით — 1872 წელს). სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც სამი კლასი დაამთავრა. წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ნამარნევის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში ისწავლა. 1892 წლის 7 სექტემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ამავე მონასტრის მორჩილად განამწესა. 1894 წლის 11 მაისს გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სოფელ ორკის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1903 წლის 12 აგვისტოს ისევ ნამარნევის მონასტრის მორჩილად მიიღეს. 1905 წლის 10 აგვისტოს ნამარნევის მონასტერში ბერად აღკვეცეს და სახელად პიმენი უწოდეს. 1905 წლის 16 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა. 1906 წლის 29 ივნისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი. 1909 წლის 30 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1914 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1910/11 წლებში მამა პიმენმა შეაგროვა კეთილნებელობითი შემოწირულება — 505 მანეთი და მონასტერს შეწირა.

1922-1923 წლებში ნამარნევის მონასტერი დაიხურა. მამა პიმენი მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და სასაფლაოზე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოში მდებარე პატარა სენაკში ცხოვრობდა. ამ ტაძარშივე აღასრულებდა იგი წირვა-ლოცვებს და სხვა საეკლესიო წესებს.

არქიმანდრიტ პიმენის ძმისშვილი, ქალბატონი სუქია ბესარიონის ასული დაშნიანი იგონებს: **„ბიძაჩემი პავლე ბერი იყო და ცოლ-შვილი არ ჰყავდა. იერარქიით ბიძია არქიმანდრიტი იყო. იგი წმინდა მარიამის ტაძრის ეზოში ცხოვრობდა განცალკევებით და მსახურებასაც ამავე ტაძარში ასრულებდა. ერთ დილას, როცა საუზმეზე არ მოვიდა, მამამ მოიძია და ცოცხალ-მკვდარი იპოვა თავის სახლში. იგი მაშინდელ სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს რწმენის ერთგულებისათვის უცემია და უპატრონოდ მიუტოვებია. მართალია, ბიძია პავლე ამ შემთხვევას გადაურჩა, მაგრამ ბოლოს მაინც რეპრესიების მსხვერპლი გახდა. 1936 წელს, როდესაც პირველი საბჭოთა არჩევნები ჩატარდა, ბიძაჩემი დააპატიმრეს, რომ როგორც მოძღვარს ხელი არ შეეშალა მათთვის. იგი ქუთაისში გადაიყვანეს და უგზო-უკვლოდ გააქრეს. მამამ და ბიძებმა ბევრი ეძიეს და გაარკვიეს, რომ ცემით მოეკლათ. ყველა ადამიანს უშურველად მომადლებს ხოლმე ღმერთი ნიჭს, ოღონდ გამომსახველობის საშუალება სხვადასხვაა,"** — ასე დაასრულა მოგონება ქალბატონმა სუქიამ.

ხელისუფლების მხრიდან მამა პიმენი არაერთხელ დააპატიმრეს და შეურაცხყვეს. 1933 წელს იგი სოფლებში პროვოკაციის გავრცელების ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა არ გაუსამართლებიათ და მალევე გაათავისუფლეს სამხილების არქონის გამო.

ხელისუფლების მხრიდან მუქარისა და ზეწოლის მიუხედავად არქიმანდრიტი პიმენი მაინც აგრძელებდა მღვდელმსახურებას, რაც დასტურდება 1935 წლის 16 აპრილს ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ სიმონის (ჭელიძე) მიერ გაცემული სამღვდელო მანდატით, სადაც წერია: **„ესე ეძლევა ცაგერის რაიონის ს. ჩხუტელში მცხოვრებს არქიმანდრიტ პიმენს, იგივე პავლე დაშნიანს მას შინა, რომ იგი ამჟამად ირიცხება ქუთაის-გაენათის ეპარქიაში მოქმედ კულტის მსახურთა სიაში და აქვს უფლება, შეასრულოს ყოველი მღვდელმოქმედება მორწმუნეთა**

არქიმანდრიტი პიმენი სანათესაოსთან ერთად

სურვილის და მოწოდების თანახმად. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი მთავრობის 1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილების №124-ის მეექვსე მუხლის მიხედვით, „დაწესებულება ან თანამდებობის პირი, რომელიც ამ თუ იმ სახით კულტის მსახურს დევნას დაუწყებს, ან ხელს შეუშლის კულტის მსახურების დროს, პასუხს აგებს, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის“, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 1928 წლის №133-ე მუხლი ამბობს: „ხელის შეშლა რელიგიური წესის შესრულებისათვის გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე“.

არქიმანდრიტი პიმენი

1936 წლის 18 აპრილს იგი ხელმეორედ დააპატიმრეს, ამჟამად უკვე მასობრივი ნათლობის ბრალდებით. საბჭოთა კანონმდებლობით, ბავშვების ნათლობა დანაშაულად არ ითვლებოდა და ამ ბრალდების გამო მამა პიმენი გაოცებას გამოთქვამს კიდევაც დაკითხვის ოქმში. იგი ამბობს, რომ 1936 წლის დასაწყისში მან დაიწყო ბავშვების მასობრივად მონათვლა, რადგან მოდიოდნენ თხოვნით და მას, როგორც მღვდელმსახურს, უარის თქმის უფლება არ ჰქონდა. აქვე მან აღნიშნა, რომ ნათლობის უფლება ჰქონდა მიცემული მანდატის წყალობით და არ იცოდა თუ ეს დანაშაული იყო. 1936 წლის 22 მარტიდან 18 აპრილამდე მან 120 ბავშვი მონათლა, რაც დაფიქსირებული ჰქონდა კიდეც რვეულში. ამ კუთხით რომ არაფერი გამოუვიდათ, ამის შემდეგ მას წაუყენეს ახალი ბრალდება — ანტისაბჭოთა აგიტაცია, ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებები. დაკითხვის ბოლოს, შეკითხვაზე, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ, მამა პიმენი პასუხობს: **„თავს დამნაშავედ ვგრძობ ერთი იმაში, რომ იმის შემდეგ, რაც 1933 წელში მე გამაფრთხილა შინსახკომმა ხელი ამეღო ასე მღვდელმოქმედებაზე, მას მერე არ უნდა დამეწყო და თბილისში მანდატის გულისთვის არ უნდა წავსულიყავი; მეორე იმაში ვარ დამნაშავე, რომ ჩემს სოფელს გარეშე არ უნდა წავსულიყავი და არ უნდა ავყოლოდი ხალხის ლაპარაკს. ეხლა, როგორც მოხუცებულს, თუ მაპატივებთ უკანასკნელად ამ შეცდომას, პირობას მოგცემთ, რომ მომავალში არ გავიმეორებ“.**

1936 წლის 27 აპრილს ოპერრწმუნებულმა ჭაბუკიანმა, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, შეადგინა საბრალდებო დასკვნა. საქმე შემდგომი განხილვისათვის უნდა გადასცემოდა ცაგერის რაიონის პროკურორს. ამ დროისათვის მამა პიმენი ჯერ კიდევ არ იყო დაპატიმრებული. ცაგერის პროკურორმა საქმე დასრულებულად მიიჩნია და იგი ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლოს გადასცა. 1936 წლის 28 მაისს სასამართლომ საბრალდებო დასკვნა დაამტკიცა.

1937 წლის 10 ოქტომბერს ცაგერის რაიონის ოპერრწმუნებულმა ჭაბუკიანმა არქიმანდრიტ პიმენის საქმე განსახილველად გადასცა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულს. 1937 წლის 27 ნოემბერს სამეულმა მამა პავლეს საქმე განიხილა და ბრალდება შემდეგი მუხლებით წაუყენა: 1) ანტისაბჭოთა განწყობილება; 2) მოსახლეობის პროვოცირება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ; 3) საბჭოთა წყობილების დამხობის თაობაზე ხმების გავრცელება; 4) კონტრრევოლუციური რელიგიური ჩვეულებების პროპაგანდა; 5) 1936 წელს მასობრივი ნათლობების ჩატარება; 6) კოლმეურნეობების, როგორც არარენტაბელური მეურნეობების, ლიკვიდაციისაკენ მოწოდება.

სამეულმა არქიმანდრიტ პიმენს სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა გამოუტანა, რაც მალევე მოიყვანეს სისრულეში.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 812, 5091; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 57598, 57592, 53723; საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი, ფ. 6, საქმე 37190-07.

ლიტ: ჟურნალი „ხვამლი“, 2003წ. 2, გვ. 35-36 (ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის გამოცემა); ჟურნალი „საარქივო მოამბე“, 2010წ. 8, გვ. 105.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კვრესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი არმაზის მონასტერში სტუმრობის დროს. შუაში მირიან ბერი

მოკლებულია. 7 თიბათვეს მე თვითონ დავბეჭდე მონასტრის კარები და კომისრის განკარგულებით მილიციონერიც ჩავაყენე. მამა მირიანი უგზო-უკვალოდ არის დაკარგული, მოკლულია მხოლოდ მისი მორჩილი „გაგა" და მონასტერიც გაძარცვულია. უმორჩილესად გთხოვთ, ყოველნაირი ცნობები მირიანის შესახებ გვაცნობოთ ამ მისამართით:თბილისის ფერისცვალების მონასტერი, მამა გობრონს".

ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში მამა მირიანის მკვლელობაზე წერდა: **„წინეთ, 1919 წელს მოჰკლეს მცხეთაში არმაზის ბერი მირიანი, მოწინააღმდეგე ლეონიდისა და კირიონის ერთგული... ეს მკვლელობაც ჩაფუჩეჩდა..."**

ასე ტრაგიკულად დასრულდა კიდევ ერთი სასულიერო პირის ცხოვრება. მამა მირიანის სახით ქართულმა ეკლესიამ, განსაკუთრებით კი — ბერმონაზვნობამ, დაკარგა სამონასტრო ცხოვრებაში გამობრძმედილი, დაუზარელი და პატიოსანი მოღვაწე, რომელსაც ბევრი სასიკეთო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეეძლო.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 57648; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 807; 134; ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი" 1910-1917წწ.; ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" 1917წ. 45, გვ. 13; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1910წ. 141, გვ. 3; გაზეთი საქართველო 1919წ. 122, გვ. 2; გაზეთი „სახალხო საქმე" 1919წ.

ლიტ: დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე თალაკვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან", თბილისი 2013წ. გვ. 57-58, გვ. 84; სერგო ვარდოსანიძე „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები", თბილისი 2011წ. გვ. 14-15.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

მყოფ მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეს. ამგვარად ხელს უშლიდა იქ შეკრებილ მლოცველებს; ასევე იგი ადრეც იყო შემჩნეული უწესრიგობასა და დაუმორჩილებლობაში როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფალთა მიმართ, ამიტომ საეპარქიო სასამართლომ განაჩინა: **„1)ბერმონაზონ მირიანს თანამდებობიდან ჩამოქვეითებით აღეკრძალოს მღვდელმოქმედება და იგი გადაყვანილ იქნას სხვა ეპარქიის შორეულ მონასტერში დაბალ სამონასტრო სამუშაოსათვის 3 წლის ვადით; 2) ვინაიდგან სხვა ეპარქიაში გადაყვანის უფლება აღემატება სასამართლოს კომპეტენციას, აღიძრას ამის შესახებ სათანადო შუამავლობა საკათალიკოზო სასამართლოს წინაშე; 3) რადგან ბერმონაზონ მირიანს, როგორც უსწავლელს და უმეცარს, ხოლო ხასიათითაც, როგორც მთის შვილს, უკმეხს, არ მოეთხოვება ყველა ის, რაც მოეთხოვება სწავლით აღჭურვილს და კულტურულად აღზრდილს პიროვნებას, აღიძრას საკათალიკოზო სასამართლოს წინაშე ჯეროვანი შუამდგომლობა, რათა ბერმონაზონ მირიანს ზემო ხსენებული ვადა სასჯელისა შეუმოკლდეს და განესაზღვროს ერთის წლის ვადით“.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივანე რატიშვილი ამ ამბიდან ცოტა ხნით ადრე, 1917 წლის 3 დეკემბერს ანჩისხატის ტაძარში, როდესაც უწმინდესი კირიონი მწირველი იყო, წირვისას შევარდა ტაძარში, მივარდა მნათე ხუცაიძეს, აუტეხა შფოთი და ბევრ უმსგავსოებასთან ერთად იმაზეც მრისხანებდა: რა საჭირო იყო კირიონის აქ მოპატიჟება, კარგი რამეცა გყავთ კათალიკოსადო! მნათე ხუცაიძემ სტაცა ხელი მკლავში და ტაძრიდან გარეთ გამოაგდო. ეს ყოველივე ერთმა მოძღვარმა მეუფე ლეონიდეს თავმჯდომარეობის დროს საკათალიკოზო საბჭოს მოახსენა და სთხოვა, ასეთის საქციელისთვის ივანე რატიშვილი ჩამოეშორებინათ საეკლესიო საქმეებისაგან, მაგრამ ლეონიდემ ეს არ ინება, რადგან რატიშვილი მისი აგენტი იყო.

როდესაც კათოლიკოსი კირიონი გამოჯანმრთელდა, მან მამა მირიანს აღუდგინა მღვდელმსახურების უფლება, თუმცა რატომღაც შემდგომში იგი მღვდელმონაზვნის ხარისხში მოიხსენიება.

მირი ნ არქიმანდრი ი
[დაეთ ბეკაური]
თაეგამოდებული სამონას ro მო
ღვაწე, შობას არქიმან. აკურთხ.

სამწუხაროა, რომ მამა მირიანი ნებსით თუ უნებლიეთ ჩართული აღმოჩნდა ასეთ ამბებში. მიუხედავად ამისა, მას შემდგომშიც არ მიუტოვებია უწმინდესი კირიონი და სიკვდილის ბოლომდე გვერდით

ეპისკოპოსები — ლეონიდე და კირიონი. პეტერბურგი, 1906წ.

ედგა მას. უწმინდესი კირიონის მკვლელობის შემდეგ კი ჩამოშორდა აქტიურ საეკლესიო ცხოვრებას. იგი ძირითადად თავისსავე აღდგენილ არმაზის მონასტერში ცხოვრობდა და იშვიათად გამოდიოდა მონასტრიდან. გამუდმებით ლოცულობდა და უფალს სამშობლოსა და ეკლესიის ერთობას ავედრებდა. თუმცა, ბოროტმა აქაც არ დაასვენა ყველასგან შევიწროებული მოძღვარი. 1919 წლის 6 ივნისს გაურკვეველმა პირებმა არმაზის მონასტერი დაარბიეს და გაძარცვეს, ხოლო იქ მყოფი მამა მირიანი უკვალოდ გაქრა.

1919 წლის ივნისის დასაწყისში გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა: **„როგორც გადმოგვცემენ, მცხეთის მახლობლად, არმაზის მონასტრის მიდამოში მოუკლავთ ამ მონასტრის მწყემსი, ცნობილი ბერმონაზონი მირიანი“.** რამდენიმე ნომრის შემდეგ იმავე გაზეთში ვკითხულობთ ახალ ცნობას: **„ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა არმაზის მონასტრის ბერმონაზონ მირიანის მკვლელობის შესახებ. როგორც გამოირკვა, ავაზაკებს მოუკლავთ არა მირიანი, არამედ მისი მორჩილი გაგა და მონასტერი გაუძარცვავთ, ხოლო ბერმონაზონი მირიანი უკვალოდ დაიკარგა, ფიქრობენ, რომ მკვლელებს მირიანი ტყვედ წაუყვანიათ“.**

1919 წელს გაზეთი „საქართველო“ თავის ფურცლებზე იმავე შინაარსის სტატიას ბეჭდავს: **„თბილისის ფერისცვალების მონასტრის ბერი გობრონი (წკრიალაშვილი, შემდგომში — წილკნელი ეპისკოპოსი, გ. მ.) გვთხოვს გამოვაცხადოთ: გავრცელებული ხმა, ვითომც ამას წინეთ არმაზის მონასტერში მოეკლათ ცნობილი ბერი მირიანი, სიმართლეს**

ლისს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში მორჩილი დავითი ბერად აღიკვეცა და სახელად მირიანი ეწოდა. 1901 წლის 12 ივნისს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო ამავე წლის 28 ოქტომბერს მღვდლად დაასხეს ხელი. 1909 წლის 16 ივლისს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა.

აი, რას წერდა ვაჭარ ჩხარტიშვილის შესახებ 1901 წელს გაზეთი „ივერია" თავის ფურცლებზე: **„ივერიის" მკითხველს უკვე მოეხსენებათ, რომ ამ ორი-სამი წლის წინად მცხეთის სადგურის მახლობლად, სულ 250 საჟენის სიშორეზედ, რკინისგზის ლიანდაგის პირას ბატონმა ესტატე ჩხარტიშვილმა გააშენა საზაფხულო სასეირნო ბაღი „არმაზი". ამ ადგილას ეხლა ბატონმა ჩხარტიშვილმა საზაფხულო სააგარაკოდ მიწები დაჰყო ნაჭერ-ნაჭერად და ჰყიდის... არმაზში, სადაც ძველისძველი ნანგრევი ეკლესიაა, გარდაწყვეტილია სასულიერო მთავრობისაგან პირველ მაისს კურთხევა ხსენებულის ეკლესიისა მონასტრად, წმ. თამარის სახელზედ, რომლის დღეობაც პირველ მაისშივე არსდება".**

არმაზის მონასტერში მამა მირიანის მოღვაწეობაზე მცირე, მაგრამ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის წმინდა ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი), რომელიც 1910 წელს მოწაფეებით მცხეთის სიწმინდეების მოსალოცად გაემართა. მაშინ იგი ჯერ კიდევ მღვდელი და ერთ-ერთი სასწავლებლის პედაგოგი გახლდათ. აი, რას წერდა იგი: **„პარასკევს, 22 ოქტომბერს, 12-13 მოსწავლით მცხეთის მიდამოების დასათვალიერებლად წავედით. პირველად არმაზისკენ ავიღეთ გეზი. ვნახეთ არმაზის ეკლესია, სადაც მირიან ბერი დაგვიხვდა. ამ ბერის დანახვამ სწორედ „ღალატის" ლეგენდარული საბა ბერი მოგვაგონა. აუჩქარებლად, სადა ქართულით მოგვესალმა მირიანი, თავის პატარა საყდარში შეგვიწვია და იქ უბრალოდ და მარტივად გვითხრა ის, რაც აქამდის თუმცა ბევრჯერ გვსმენია, ასე გულწრფელად კი — არასდროს. გვითხრა, რომ ჩვენი, ისედაც პატარა ქვეყანა უპირობამ დააქუცმაცა, მამა-პაპის აღმა ხნული ჩვენ, შვილიშვილთა, დაღმა ვფარცხეთ; ეხლანდელი გამოზრდილები ახალს არ აშენებენ და ძველ ნაშთთაც არ უფრთხილდებიან. თქვენ, ახალგაზრდებს, გმართებთ ამაზე დაფიქრებაო, — ეს გვითხრა მირიან ბერმა და სწორედ ჩაგვაფიქრა.**

რაღაც რელიგიურ ექსტაზზე მოგვიყვანა მართალმა სიტყვამ, გულში მიძინებულმა რწმენამ გაიღვიძა. რამდენი სულიერი ძალა ვნახეთ ამ გამხმარ კაცში, რა სიტყვის ძალა ჰქონდა უსწავლელს, მაგრამ მამულისა და სარწმუნოების მოყვარე ბერსა!..

ამ მოკლე მოგზაურობამ დაგვარწმუნა, რომ რაც ამ ერთს დღესა ვნახეთ და გავიგონეთ, შეიძლება თბილისში ათ დღესაც ვერ გაგვეგონა. მირიან ბერის სიტყვები, საგულისხმო და გულწრფელი, არ დაგვავიწყდება".

1913 წლის 7 იანვარს არმაზი შუამთას ჩამოაცილეს და შიომღვიმის მონასტერს მიაწერეს, რასაც მირიან ბერის უკმაყოფილება მოჰყვა. ამის გამო, მას ორი თვით შეუჩერეს მღვდელმოქმედება. თუმცა ამავე წლის 27 თებერვალს კვლავ აღუდგინეს. 1916 წლის 6 მაისს მან სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

1917 წლის 17 სექტემბერს, პირველ საეკლესიო კრებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ III-ის (საძაგლიშვილი) არჩევის შემდეგ, მამა მირიანი მის აქტიურ მხარდამჭერად მოიაზრებოდა. 1917 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა დედაეკლესიაში ერთგული და თავდადებული მოღვაწეობისათვის მამა მირიანს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. იგი აპირებდა მისი მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნას. სწორედ ამის გამო მოუვიდათ საკათალიკოსო საბჭოში კამათი უწმინდეს კირიონსა და თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე). იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამიჯნული თბილისისა და მცხეთის ეპარქიის საზღვრები. მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტერს მეუფე ლეონიდე კათოლიკოს-პატრიარქ კირიონს ედავებოდა (როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, XIX საუკუნის 80-იან წლებში ლეონიდეს ბიძამ, წმინდა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ აღადგინა შიომღვიმის, ზედაზნისა და მცხეთის ჯვრის მონასტრები, რის გამოც იქიდან მოყოლებული ძირითადად ოქროპირიძეები, ან მათ მიერ დანიშნული მოძღვრები წინამძღვრობდნენ და განაგებდნენ ამ მონასტრებს — გ. მ.). 1918 წლის 10 თებერვალს საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც მისი უწმინდესობა კირიონი თავმჯდომარეობდა, კათოლიკოსმა ოფიციალურად წამოაყენა წინადადება არქიმანდრიტ მირიანის მცხეთის წმინდა ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნასა და დიაკონ ტიმოთე ბაკურაძის მღვდლის ხარისხში აყვანის შესახებ, რაზეც თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ განაცხადა: **„მცხეთის ჯვარი თბილისის ეპარქიაში შედის, ხოლო მირიანის წინამძღვრობა და ტიმოთეს მღვდლობა ნაადრევიაო".** ატყდა კამათი. განრისხებულმა კათოლიკოსმა დადგენილებას მაინც მოაწერა ხელი. 23 თებერვალს უწმინდესი კირიონი ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დაესწრო საკათალიკოსო საბჭოს სხდომას. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, კათოლიკოს-პატრიარქის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარეობა მიტროპოლიტ ლეონიდეს უნდა გაეწია, რომელმაც საბჭოს 8 წევრის მხარდაჭერით გააუქმა უწმინდესი კირიონის გადაწყვეტილება, უფრო მეტიც, მან მამა მირიანს მღვდელმსახურება აუკრძალა, რასაც საფუძვლად დაედო 1918 წლის 9 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძრის მნათის, ივანე გიორგის ძე რატიშვილის საჩივარი, თითქოს 1918 წლის 4 მარტს, ყველიერის კვირიაკეს, სიონის ტაძარში თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) აღვლენილი წირვისას მირიან ბერმა შეურაცხყოფა მიაყენა მღვდელმთავარს, უწოდა მის ქადაგებას ტუტუნი, დაარღვია წესრიგი და გამუდმებით ელაპარაკებოდა ტაძარში

ლიელთა 85% ნდობას უცხადებს. მონაცემების თანახმად, კათოლიკეებს შორის პაპისადმი კეთილგანწყობილ მოქალაქეთა რიცხვი 96%-ს ითვლის, ქალებს შორის — 87%-ს, არაკათოლიკეებსა და ათეისტებს შორის — 65%-ს.

რესპონდენტებმა განსაკუთრებულად გამოარჩიეს პაპის უბრალო ქცევები, მისი სპონტანურობა, თავმდაბლობა, ადამიანებთან სიახლოვე, უბრალო საუბრის მანერა და უძლურთადმი ყურადღება.

ზოგადად, კვლევის თანახმად, პაპს იტალიელთა 87% ენდობა, ხოლო კათოლიკურ ეკლესიას — 63%.

ავსტრიაში უძველესი ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინეს

ავსტრიის ქალაქ ლანდეკაში სამრევლო ტაძრის ტერიტორიაზე სარესტავრაციო სამუშაოების დროს არქეოლოგებმა უძველესი ეკლესიის კვალი აღმოაჩინეს. პირველი დათვალიერებით ის V საუკუნეს მიეკუთვნება. „ეს გასაკვირი სულაც არ არის. თანამედროვე ტაძრის ქვეშ ხშირად პოულობენ უფრო ძველი ტაძრის ნაშთებს, — განაცხადა არქეოლოგმა თამარ ზენფრეტმა, — თუმცა ტიროლში (ავსტრია) ძალიან იშვიათად შეიძლება მიაკვლიო ასეთ ეკლესიას."

ამ ტერიტორიაზე სამუშაოების დაწყება ძლიერმა წვიმამ გამოიწვია. „ჩვენ აღმოვაჩინეთ 5-ზე მეტი ძველი ტაძარი. მათ შორის ყველაზე ძველი შუა საუკუნეებში აიგო. შეგვიძლია ამ შენობის სრული გეგმაც კი აღვადგინოთ", — ამბობენ მეცნიერები. ტაძრის გვერდით ასევე მიაკვლიეს ძველ სამარხებს, რომლებიც, სავარაუდოდ, შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

არქიმანდრიტი მირიანი (ბექაური) 1869-1919

არქიმანდრიტი მირიანი, ერისკაცობაში — დავით ბექაური, დუშეთის მაზრაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. პატარა დავითმა წერა-კითხვა და პირველდაწყებითი განათლება სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო. იგი სიყრმიდანვე აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცხოვრების ფერხულში. არ აცდენდა წირვა-ლოცვებს, ეხმარებოდა ტაძრის მნათეს ეკლესიის დალაგება-დასუფთავებაში და სხვა თანატოლებისგან გამოირჩეოდა ღვთისმსახურებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. მას დიდი სურვილი ჰქონდა მონასტერში წასულიყო და ძველი მამების მსგავსად ასკეტური ცხოვრებით ეცხოვრა. როგორც კი სრულწლოვანი შეიქნა, მშობლებისაგან ლოცვა-კურთხევა აიღო და 1888 წლის 14 იანვარს გორის მაზრაში, ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერს მიაშურა, სადაც დიდი სიხარულით მიიღო მაშინდელმა წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა (სიმონიშვილი). იმ პერიოდში მამა ნიკოლოზს მონასტერთან ახალი გახსნილი ჰქონდა მედავითნეობის შემსწავლელი სკოლა, რაც მედავითნეობის შესწავლის მსურველი ახალგაზრდისათვის დიდად გასახარი ამბავი იყო. მორჩილი დავითიც ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მოწაფე გახდა. მან მონასტერში მოღვაწე ძველი და გამოცდილი მამების დახმარებით საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. იქვე გაიარა სამწლიანი საბერო მორჩილებაც.

1890 წლის 15 მაისს, მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელმა მორჩილმა ურთულესი მისია იტვირთა. იგი მცხეთის მახლობლად, ყველასგან მიტოვებულ და გავერანებულ არმაზის მონასტერში დასახლდა და რამდენიმე წლის დაუღალავი მუშაობის შედეგად აღადგინა და გაამშვენა იქაურობა. ამ საქმეში მას დიდი სულიერი თანადგომა აღმოუჩინა ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი), რომელმაც მარტომყოფ მამა მირიანს დახმარების ხელი გაუწოდა, ხოლო მატერიალური და ფინანსური თანადგომა ვაჭარმა ჩხარტიშვილმა გაიღო. აღდგენილი სავანე შუამთის მონასტერს მიაწერეს, რადგან სინოდალურმა კანტორამ არ ინება მისი ცალკე შტატის მონასტრად დამტკიცება. 1900 წლის 5 ივ-

არმაზის ღვთის მშობლის ეკლესია ნანგრევებით და მირიან ბერი.

ნონო ქმედებებსა და დარღვევებზე.

„დიპლომატიური ურთიერთთანამშრომლობა — ეს არის მთავარი საფუძველი კომპონენტისა, რომელიც მიმართულია რწმენის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ საერთაშორისო თვალსაზრისით.", — განაცხადა ამერიკის საგანგებო დავალებათა ელჩმა სიუზენ ჯონსონ კუკმა. აღმსარებლობის საერთაშორისო თავისუფლების საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობა კონგრესმა აშშ-ში 15 წლის წინ, 1998 წელს შექმნა.

ანგარიში, რომელიც 2012 წელს მსოფლიოში აღმსარებლობის თავისუფლების მდგომარეობას აღწერს, მრავლისმომცველი ხასიათისაა: იგი შედგება 200 დამოუკიდებელი ანგარიშისაგან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანასა და ტერიტორიას მოიცავს, თითოეული მათგანი განიხილავს საკუთარ ქვეყანაში რელიგიასთან დაკავშირებულ კანონებს, პოლიტიკასა და პრაქტიკას. აღწერს სოციალურ დამოკიდებულებას რელიგიური თავისუფლებისადმი, გამოკვეთს განსაკუთრებულ ძალისხმევას, რომელიც გამოიჩინა აშშ-ის ხელისუფლებამ თითოეულ ქვეყანაში რწმენის თავისუფლების პატივსაცემად.

კონსტანტინე დიდისადმი მიძღვნილი გამოფენა სერბეთში

ბელგრადში გაიხსნა გამოფენა „კონსტანტინე დიდი და მილანის ედიქტი: ქრისტიანობის გავრცელება რომის პროვინციებში, თანამედროვე სერბეთის ტერიტორიაზე", — იუწყება სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ვებგვერდი.

გამოფენა მილანის ედიქტის 1700 წლისთავს ეძღვნება და ბელგრადის სახალხო მუზეუმში 2 ივლისს გაიხსნა და 8 ივლისამდე გასტანს. ის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო მილანის ედიქტის წლისადმი მიძღვნილ სხვა ღონისძიებათა შორის.

ექსპოზიცია რამდენიმე ნაწილად იყოფოდა (წინა ქრისტიანული პერიოდი, ტეტრარქია, კონსტანტინე დიდისა და მისი მემკვიდრეების პერიოდი). მასზე წარმოდგენილი იყო 180 სხვადასხვა ნივთი სერბეთის მუზეუმებიდან. ყველაზე ძველი მათ შორის II საუკუნეს მიეკუთვნება. გამოფენილი იყო კონსტანტინე იმპერატორის პორტრეტები, სამეფო სამკაულები და საბრძოლო აღჭურვილობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ექსპონატებს, რომლებიც ქრისტიანული ხატწერის ცვლილებებს ასახავდნენ.

გამოფენის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ სერბეთის პატრიარქი ირინეოსი, სერბეთის კულტურის მინისტრი ბ. პეტკოვიჩი, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურისა და საზოგადოების ცნობილი მოღვაწეები.

კათოლიკური ეკლესია იოანე-პავლე II-ს წმინდანად შერაცხავს

რომის პაპმა ფრანცისკმა მიიღო გადაწყვეტილება წმინდანთა დასში ჩარიცხოს კათოლიკური ეკლესიის პაპი იოანე-პავლე II, რომელიც პაპის საყდარზე 1978 წელს ავიდა და 2005 წელს აღესრულა. წმინდანთა კანონიზაციის კონგრეგაციამ, რომლის სხდომაც 2 ივლისს პაპ ფრანცისკის თავმჯდომარეობით წარიმართა, დაადასტურა პაპ იოანე-პავლე II-ის მეორე სასწაულის უტყუარობა, რომელიც მორწმუნეთა შორის მისდამი ლოცვის დროს, მისი ბეატიფიკაციის შემდეგ, 2011 წლის 1 მაისს აღსრულდა.

სხდომის მსვლელობისას ასევე გადაწყდა, რომ პაპის კანონიზაციისათვის ამჯერად აუცილებელია პაპ ფრანცისკის თანხმობა. კანონიზაციის ცერემონიის სრული თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ იოანე-პავლე II-ის ბეატიფიკაციის პროცესი მისი მემკვიდრის — ბენედიქტე XVI-ის დროს, 2005 წლის ივნისში დაიწყო.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ორბელიანი) 1672-1732

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ღირსეული მოღვაწე და ღვთისმსახური, თბილელ-მროველი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ერისკაცობის სახელი უცნობია) 1672 წელს ქვემო ქართლში, სოფელ ტანძიაში, გავლენიანი ფეოდალის, ვახტანგ ორბელიან-ყაფლანიშვილის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. იგი იყო უმცროსი ძმა სულხან-საბა-ორბელიანისა. ნიკოლოზის მამა, მეფე ვახტანგ V-ის (შაჰნავაზი) ცოლისძმა, იწოდებოდა, როგორც **„საქართველოს მოსამართლე, ქართლისა და კახეთისა, ხელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმაი"**. მას ცოლად ჰყავდა ბახტრიონის აჯანყების მეთაურის, ზაალ არაგვის ერისთავის ასული თამარი.

ყრმა ნიკოლოზი სწავლა-განათლების მისაღებად ოჯახმა თბილისში, კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ IX-ის (ამილახვარი-ურდუბეგაშვილი) სასახლეში გააგზავნა, სადაც მას საფუძვლიანად შეუსწავლია წერა-კითხვა, სხვადასხვა საეკლესიო საგნები, წმინდაწერილი, გალობა, საეკლესიო ტიპიკონი, სამეცნიერო და საფილოსოფოსო დარგები. იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის" ნიკოლოზ ორბელიანზე წერს; **„მამა და მწყემსთმთავარი ნიკოლაოზ ორბელიანი, საფილოსოფოსთა ხელოვნებათა შინა მიწევნილი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. ამან მრავალნი იამბიკონნი შეაწყო ქართველთა წმინდათათვის და სხვა-**

ნიცა კიდურწერილნი, ფრიად შვენიერნი, რომელნიცა ანცა ფრიად საქებელ არიან. და კეთილადცა დამწყსო სამწყსონი თვისნი და მერე უფლისად დაიძინა".

1688 წელს ორბელიანების ოჯახის მფარველი, ქართლის მეფე გიორგი XI ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების გამო ქართლიდან გააძევეს და მის მაგივრად კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე I დაინიშნა. იგივე ბედი გაიზიარეს მეფის მომხრე დიდგვაროვნებმა. სავარაუდოა, რომ უკვე მოზრდილი ნიკოლოზი ამ დროს თავის ძმას — სულხან-საბა ორბელიანს წაჰყვა გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში, სადაც ბერად აღიკვეცა ნიკოლოზის სახელით და ხელდასხმაც იქვე მიიღო. 1703 წელს

თბილისის სტამბაში დაბეჭდილი საღვთისმსახურო წიგნი „ჟამი"

იგი უკვე მღვდელ-მონაზვნად იხსენიება. ამავე წელს ქართლის სამეფო ტახტი კვლავ გიორგი XI-მ დაიკავა. აქედან იწყება მამა ნიკოლოზის დაწინაურებაც საეკლესიო ასპარეზზე.

1703-1714 წლებში, გიორგი XI-ს ირანში ყოფნის გამო, ქართლის სამეფოს მისი ძმისშვილი, ვახტანგ ლევანის ძე (შემდგომში — ვახტანგ VI) განაგებდა. ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი ვახტანგ ბატონიშვილის გვერდით დგას და მისი ერთგული თანაშემწეა. მან დიდად იღვაწა თბილისში სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმისთვის. სტამბაში დაბეჭდილი სახარებისა და სამოციქულოს ტექსტების გამოცემის რედაქტორი მამა ნიკოლოზი გახლდათ. სახარების წინასიტყვაობაში იგი გვაუწყებს, რომ ვახტანგის სტამბის დაარსებამდე საღვთო წიგნები ხელით წერაში გარყვნილიყო ამიტომ მას უბრძანეს გასწორება და **„ვერ ურჩვექმენო"**. იგი განაგრძობს: **„და ეს წმინდა სახარება დიდის ჭირითა, ბერძენთა დაბეჭდილ სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართეო".**

მიტროპოლიტი ნიკოლოზი ნაყოფიერი მწერალიც ყოფილა. მას უმთავრესად ლიტურგიკულ დარგში უმუშავია. კათოლიკოს ანტონ I-ის ცნობით, მღვდელმონაზვნობისას მას აღუწერია ტროპარნი და კონდაკნი ქართველი წმინდანებისა და როდესაც პირველად საღვთისმსახურო წიგნ „ჟამნს" ბეჭდავდნენ, თავისი შეხედულებით შიგ შეუტანია ქართველ წმიდათა ხსენების დღე. გარდა ამისა, მას დაუწერია „აქებდითსა **ზედა დასდებელნი"** აბო თბილელისა, ესტატე მცხეთელისა და არჩილ და ლუარსაბისა და მოკლე, ხუთსტრიქონიან იამბიკოებად ცისკრის **„აქებდითსა ზედა დასდებელთა"** უკანასკნელი ბუხლი, რომელსაც **„დიდებაი"** ეწოდება, შემდეგი წმიდანებისა: ნინოსი, რაჟდენ პირველმოწამისა, ესტატე მცხეთელისა, შუშანიკ დედოფლისა, იოანე ზედაზნელისა, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა, ისე ნილკნელისა, აბიბოს ნეკრესელისა, ანტონ მარტყოფელისა, არჩილ მეფისა, აბო თბილელისა, დავით და კონსტანტინესი, ილარიონ ქართველისა, გობრონისა, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, დავით აღმაშენებლისა, ერისთავთა — შალვა და ელიზბარისა, მეფე ლუარსაბისა და ქეთევან დედოფლისა. ამ იამბიკოთაგან ჩანს, რომ მეუფე ნიკოლოზი პოეტიც ყოფილა და ალბათ მას სხვა ლექსებიც ექნებოდა დაწერილი.

ისტორიკოს თ. ჟორდანიას პირველი უბის წიგნაკის 65-ე გვერდზე ვკითხულობთ: **„ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული... მეფისა არჩილისა და დიდად სახელოვანის მეფისა გიორგისა და ძე პატრონისა ლევანისა და ძმა... მეფისა ქაიხოსროსი განათლებული ვახტანგ, ფრიადითა ჭირითა და მრავლითა საფასე-წარგებითა მოიღო სტამბა, რომელი არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა და მე დედისწულსა ამა ხელმწიფეთასა... მღვდელ-მონაზონსა საქართველოს მსაჯულ-უხუცესის ორბელის ძეს ნიკოლოზს მიბრძანა წიგნების გამართვა და ვერ ურჩ ვექმენ და მე წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არა-ვისი ენა ვიცოდი, რომელსაც ბერძულის მცოდნე მეტყოდა ღმერთმან უწყის მე დიდის ჭირით გაწყობასა და სიმართლესა ვსცდილობდი. უამნობა და თთვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირა-ძლების ზატიკისა და სამზგეფსოს ოხითა იბიკო ისევ ჩვენი ძველი გამოურიეთ... ნუ მწყევლით"** (წარწერა 1710 წელს დაბეჭდილი ხუცური ლოცვანის ბოლოშია, ეს ლოცვანი უნახავს ტირძნისის ეკლესიაში თ. ჟორდანიას და იქიდან გადმოუწერია).

გარდა ამისა, მიტროპოლიტ ნიკოლოზს ვახტანგთან ერთად დიდი მონაწილეობა მიუღია ქართული კანონების შედგენაში. ამ კანონების შედგენის დროს მეუფე ნიკოლოზს ზოგიერთი ისეთი ცნობა წარუდგენია მეფისათვის და ისეთი აზრები წარმოუთქვამს, რომ ვახტანგის **„სამართლის წიგნის"** გარკვეული მუხლები გაუუქმებიათ, მისი განხილვა თვით მოსამართლეთა სინდისზე დაუმყარებიათ, რათა „თვითონ მოსამართლენი განარჩევდნენ საქმეს თავიანთი პატიოსნებისა და სინდისის ქვეშო".

სასულიერო და საერო საქმეებში გამობრძმედილი, პატიოსანი, მეფის ერთგული და დამსახურებული მღვდელ-მონაზონი ვახტანგის წარდგინებით აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა დომენტი IV-მ (ბაგრატიონი) მღვდელმთავრად გამოარჩია და მროველ ეპისკოპოსად აკურთხა. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1710-1712 წლებში, რადგან 1713 წელს იგი უკვე მროველად იხსენიება. ეს მტკიცდება რუისის

მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის ნაქონ ოქროსარშებიან კონდაკზე არსებული წარწერით: **„მე დედაზარდლისა ქსელის უსუსტე... ნიკოლოზ (მროველი ორბელიანი). ფრიად კრძალვით მშრომელი და აღმწერელი წიგნისა ამისა სიონის დეკანოზისშვილი გაბრიელ მთავარდიაკონი გევედრები ყოველთა... შენდობას ბრძანებდეთ, ქეს აქეთ ჩღიგ (1713 წელი)“.** მერე მხედრულად იქვე წერია: **„1728 წ. მე მროველმა ნიკოლოზ ორბელიშვილმა ღვთაების რუისის ტაძარს შევსწირე ეს კონდაკი და ერთი კარგი სახარება ყდა-მოჭედილი“.**

1715 წელს მროველ მიტროპოლიტ ნიკოლოზს შეუდგენია თავისი ეპარქიის **„სამწყსოს დავთარი“**, რომელიც შეიცავს საინტერესო მასალებს საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის და გვაცნობს რუისის ეპარქიის მაშინდელ მდგომარეობას.

1716 წელს რუისის ტაძრის საწინამძღვრო ჯვარზე, რომელიც ერუშეთიდან არის გადმოტანილი, იკითხება ფრიად დაზიანებული წარწერა; მოგვყავს ბოლო ციტატა: **„განხრწნილ იყო ან მე ორბელისშვილმა: ნიკოლაოზ: ხელახლად გავაკეთებინე, ვეცხლიც მოუმატეთ, ვინც იხილევდეთ, პირველად დიონოსე მროველს მოიხსენიებდეთ და შემდეგ მეცა შენდობით მომიხსენებდეთ, ღვთისათ — გევედრები ქრისტეს აქეთ ჩღივ (1716) ქკს უე. მეფობასა ბაქარ“.**

1717 წელს კათოლიკოსმა დომენტიმ მროველ ნიკოლოზს დროებით ურბნისის ეპარქიის მართვაც დაავალა.

1719 წლის აგვისტოში ირანიდან საქართველოში დაბრუნდა ვახტანგ VI, რომელიც ენერგიულად შეუდგა ქართლის სამეფოს მართვა-გამგეობას. მეუფე ნიკოლოზი კვლავ მის გვერდითაა და ერთგულად ემსახურება ქვეყნის აღშენებასა და კულტურულ განვითარებას.

1720 წლის 28 იანვარს თბილისის სტამბაში ხუცურად გამოიცა **„პარაკლიტონი“**, იგივე რვახმათა, რომლის დაბეჭდვაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს მეუფე ნიკოლოზი.

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ძლიერ დაიძაბა პოლიტიკური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში. ოდესღაც ძლევამოსილი ირანის იმპერია დანგრევის პირას იყო მისული. მას აღმოსავლეთიდან გაშმაგებით უტევდნენ ავღანელები. ამ დროს ვახტანგ მეფის მხრიდან საჭირო იყო გამჭრიახობა და წინდახედულობა, გონივრული ნაბიჯის გადადგმა, რაც საქართველოს დიდ სარგებლობას მოუტანდა საგარეო პოლიტიკაში. თუმცა, ეს ასე არ მოხდა. 1722 წელს ავღანელებმა ირანის დედაქალაქი ისპაჰანი აიღეს და ქვეყნის აღმოსავლეთი მთლიანად დაიპყრეს. მაშინდელ მდგომარეობას ზედმინევნით გადმოგვცემს თავის პოემაში **„ქართლის ჭირი“** ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე დავით გურამიშვილი, რომელიც უშუალო მომსწრე გახლდათ ამ ამბებისა.

ვახტანგ მეფემ ქვეყნის სასიკეთოდ ვერ გამოიყენა ასეთი საუკეთესო საგარეო მდგომარეობა. მან ორიენტაცია მართლმორწმუნე რუსეთზე შეაჩერა, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდგომოდა კავკასიას. ვახტანგმა შესთავაზა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ს, ერთად გაელაშქრათ სპარსეთის წინააღმდეგ და გაეყოთ მისი სამფლობელოები. მთელი სამეფო კარი წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა, თუმცა მეფემ არავის უსმინა, რის გამოც დიდებულები ძრახავდნენ და იტყოდნენ: **„სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა! ყაენის სპასალარია, რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა! ჩვენ ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი. რა სამთავ ცემა შეემქნასთ, ჩვენზედ მათ შექმნან ონარი, გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი და ვიქმნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!“**

რუისის საკათედრო ტაძარი

ეს წინასწარმეტყველება მალევე აღსრულდა. 1723 წელს ჯერ ირანის შაჰისგან წაქეზებულმა კახეთის მეფე კონსტანტინე II-მ (მაჰმად-ყული ხანი) თბილისი აიღო ლეკების დახმარებით, ხოლო 1724 წელს ოსმალეთის დიდი ჯარი შემოვიდა ქართლში და მთელი აღმოსავლეთ საქართველო დაიკავა. ვახტანგ VI ცხინვალში გაიხიზნა ოჯახითა და თავისი მომხრე დიდებულებით. მალე აქედანაც აიყარა დედაწულითა და დიდკაცობით (1 200-ზე მეტი ადამიანი) და რუსეთს წავიდა. მან თან წაიყოლა თითქმის ნახევარი სამეფო კარი, სამღვდელოება (მათ შორის, ექვსი მღვდელმთავარი, შემდეგ მათ რიცხვს კიდევ სამი შეუერთდა) და თავადაზნაურობის საუკეთესო წარმომადგენელნი.

ამ ნაკადში მოჰყვა მროველი ეპისკოპოსი ნიკოლოზიც, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, თან გაიყოლა თავისი თვალსაჩინო სწავლულებაცა და ნიჭიც.

სამეფო კარი ქ. მოსკოვში დაბინავდა. აქ მეუფე ნიკოლოზი კვლავ აგრძელებს თავის უწინდელ სამუშაოს და ძველებური შემართებით მოღვაწეობს კულტურულ და საზოგადო საქმიანობაში. 1726

ვახტანგ IV და სულხან-საბა ორბელიანი

წელს მოსკოვში გარდაიცვალა თბილელი მიტროპოლიტი პავლე (გამსახურდია) და ვახტანგ მეფის ბრძანებით, მროველი ეპისკოპოსი ნიკოლოზი თბილელის კათედრაზე აირჩიეს (ეს დადგინება სიმბოლური გახლდათ).

რუსეთში ყოფნის პერიოდში მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა შეადგინა ხუცური და მხედრული ასოების ანბანი: **„მე, ქართველთა, იმერელთა და კახთა მეფეთ დედის ძმისწულმან და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძემან მროველ ეპისკოპოსმან და აწ თბილელ მიტროპოლიტმან უღირსმან ნიკოლაოზ ანბანი ესრეთ დავწერე... თუ ვინმე ძალ-იდვას სხვა თვით მოიგონოს და ჩვენსა პირველ მყოფსა შლად არ ჯერ არს... მე თხოვებულის თვალით (ე. ი. სათვალეებით) დავწერე, რამეთუ ვიყავ ორმეოცდაათექვსმეტისა წლისა ამის წერაშია... ქალაქსა მოსკოვს 1728 წ. აგვ. ა“.**

დოგმატიკურ დარგში მეუფე ნიკოლოზს რედაქცია გაუკეთებია თავისი ძმის, სულხან-საბას ნაშრომისთვის **„სამოთხის კარი“** და ასევე დაუწერია კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება **„სარწმუნოება შემოკლებითი“**. ამ თხზულებაში უბრალოდ და მარტივადაა წარმოდგენილი საფუძველნი საქრისტიანო დოგმატიკისა და მორალისა. მას აგრეთვე რედაქცია გაუკეთებია არჩილ მეფის მიერ რუსულიდან თარგმნილი პეტრე მოგილას კატეხიზმოსათვის და დასაბეჭდად გაუმზადებია. ტექსტის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: **„ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის ქართულ ენაზე გამწყობი ტფილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიშვილი“.**

საინტერესოა მეუფე ნიკოლოზის მინაწერი ერთ-ერთ წიგნზე, რომელიც მას 1730 წლის 21 აგვისტოს გაუკეთებია: **„გევედრები ყოველთა მხილველთა მომქმედი ამის მცირისა შრომისა მროევლ ეპისკოპოსი და აწ ტფილელ მიტროპოლიტად სახელდებული და ორისავე დიდად შორს მყოფი ნიკოლაოზ ორბელიშვილი, შენდობას მიბრძანებდეთ ქრისტეს სიყვარულისათვის, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად; და თუ ვინმემ გადასწერდეთ ან ღმერთმან ინებოს და სტამბა გაჩნდეს და იმაში გამოიღოთ ვინმე, ქრისტეს ჯვარცმის გულისათვის და წმ. ღვთისმშობლის სიყვარულის გულისათვის ჩემს სახელსა და ამაზედ ჭირნახულს ნუ დააგდებთ, ეგების შენდობა მითხრას ვინმემ.**

„ნაშრომი საშრომ, მშრომელი უშრომ“.

აღვსწერე დიდსა სამეუფოსა ქალაქსა შინა მოსკოვს, მეფობასა კურთხევით ხსენებულისა მეფეთ მეფისა ანნა იოვანეს ასულისასა. უფალმან განაგრძოს დღე მისი სვე-სვიანობით.

„მეფეთ გამცნობი, აწ ვერ საცნობი, ვიშევ ვისადმე, შევედ მისადვე“.

მიტროპოლიტ ნიკოლოზს შეუდგენია კრებული, სადაც ბრძნული გამონათქვამებია შესული. ამ გამონათქვამების ნაწილი XIX საუკუნის მიწურულს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. თბილელ-მროველი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ორბელიანი) 1732 წლის 22 აგვისტოს ქ. მოსკოვში აღესრულა. დაკრძალულია იქვე.

წყარო: გაზეთი „ივერია“, 1898წ. 127 და 128.

ლიტ: კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თბლისი, 1960წ.; თ. ჟორდანია „ქრონიკები“, ტ. III; ლ. მენაბდე „ძველი ქართული მწერლობის კერები“, ტ. I; ივ. ლოლაშვილი „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), თბილისი, 1982წ.; ავთ. იოსელიანი „ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1990წ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

მღვდელ-მონაზონი ილარიონი (ოზიაშვილი) 1869-1932

მღვდელ-მონაზონი ილარიონი, ერისკაცობაში — ილია ოზიაშვილი სიღნაღის მაზრაში, სოფელ ოზაანში 1869 წელს კეთილმორწმუნე გლეხის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება პატარა ილიამ სოფელ ოზაანის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო. უკვე დავაჟკაცებულმა უარი თქვა ოჯახის შექმნაზე და ამა სოფელში ცხოვრებაზე. მას დიდი სურვილი ჰქონდა გაცნობოდა ბერმონაზონთა ცხოვრებას, მიეძღვნა თავი ქრისტესთვის და სადმე უდაბნოში განმარტოებულიყო. 1890 წლის 9 ნოემბერს, 20 წლის ყმაწვილი, თხოვნით მიმართავს მაშინდელ გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომელიც იმჟამად შიომღვიმის მონასტერსაც განაგებდა: **„მაქვს სურვილი შევიდე ბერის წოდებაში, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მიმიღოთ მორჩილად შიომღვიმის მონასტრის საძმოში. ჩემი სოფლის მმართველობისაგან ამაზე მაქვს ოფიციალური თანხმობა“.** ეპისკოპოსი ალექსანდრე დიდად გაახარა ენერგიული და ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მორჩილის გამოჩენამ. წმინდა მღვდელმთავარი კარგად ერკვეოდა ადამიანებში. მცირედი გასაუბრების შემდეგ მან ილიაში დაინახა რა კეთილი ზრახვები და საბერო მსახურებისადმი სიყვარული, დაუყოვნებლივ მიიღო მონასტერში, სადაც იმჟამად აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

მცხეთის წმ. ჯვრის მონასტერი. 19-ე ს. ფოტო

1891 წლის 15 ნოემბერს ილია შტატის მორჩილად დაამტკიცეს. 1895 წლის 15 თებერვალს ბერად აღკვეცეს და სახელად ილარიონი უწოდეს. 1898 წლის 8 ნოემბერს დიაკვნად აკურთხეს. 1899 წლის 30 ივლისს მღვდლად დაასხეს ხელი და შიომღვიმის მონასტრის მღვდელმსახურად დაადგინეს. 1904 წლის 22 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა.

1908 წლიდან ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით, მამა ილარიონი მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მონასტრის მმართველად დაინიშნა. 1915 წლის 31 იანვრიდან მაისის თვემდე ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში წინამძღვრის არყოფნის პერიოდში დროებით დაევალა წირვა-ლოცვის ჩატარება.

1919 წლის ზაფხულში მამა ილარიონს დიდი უსიამოვნება გადახდა, კერძოდ, 7 ივნისს პოლიციამ ჯვრის მონასტერთან მოკლა ცნობილი ყაჩაღი ზანდუკელი, რომელსაც ბრალი ედებოდა მილიციელებისა და გვარდიელების მკვლელობებში, ასევე ცნობილი სომეხი მილიონერის, არამიანცის გატაცებაში და სხვ. აი, რას წერდა გაზეთი „საქართველო“ თავის ფურცლებზე: **„თბილისის მილიციის უფროსმა მიიღო ცნობა, რომ ცნობილი ყაჩაღი ზანდუკელი მცხეთის ჯვრის მონასტერში იმალებაო. მის დასაჭერად ნაშუაღამევს, თბილისიდან წავიდა 2 ავტომობილი, მილიციელებით და საგანგებო რაზმელებით, მილიციის უფროს სულაქველიძის, სისხლის სამართლის მილიციის უფროს ფაჩულიასა და საგანგებო რაზმის უფროსის კედიას მეთაურობით. რაზმმა ალყა შემოარტყა ჯვრის მონასტერს, გაჩხრიკეს ბერთა ოთახები და ზანდუკელი იქ არ აღმოჩნდა. ამ დროს ბ. ფაჩულიამ რევოლვერი ესროლა ყვავს. სროლაზე ასტყდა საიდანღაციდან სროლა. გამოირკვა, რომ ისროდა ზანდუკელი მივარდნილი ადგილიდან ტყვიამფრქვევით, ყრიდა ყუმბარებს და სხვ. რაზმმა ყოველი მხრიდან აუტეხა სროლა და ზანდუკელი მოკლეს. სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა მონასტრის ბერი ილარიონი, რომელსაც ბრალდება ზანდუკელის დამალვა“.**

მამა ილარიონმა მცირედი ხანი გაატარა ციხეში. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ იგი უბრალო იყო ამ საქმეში და საპყრობილიდან გაათავისუფლეს.

XX საუკუნის 20-იან წლებში, კომუნისტების მიერ ეკლესია-მონასტრების დარბევის დროს, მამა ილარიონს არ მიუტოვებია აქაურობა და დიდი გულმოდგინებით იცავდა მონასტერს.

1932 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაუდგენელმა პირებმა დაარბიეს ჯვრის მონასტერი და მოხუცებული მღვდელ-მონაზონი სიცოცხლეს გამოასალმეს. მის

აღსასრულზე, 1932 წლის 6 ოქტომბერს, წილკნელი ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) წერდა: **„დღეს, დილით 8 საათზე, ზედაზნის მონასტრის არქიმანდრიტმა მიქაელმა (მანდარია) შემატყობინა, რომ ჯვრის მონასტრის ბერი ილარიონი მოუკლავთო, დაუყონებლივ ვაცნობე მილიციას და მათთან ერთად გავეშურე ჯვრის მონასტრისაკენ. როცა მივედით საშინელი სურათი წარმოგვიდგა. ტაძრის აღმოსავლეთით რამდენიმე საჟენით კედლისაგან გდია გვამი პირაღმა, გასივებული, ტვინი უჩანს. მკვლელებს როგორც ჩანს, თავი გაუტეხიათ რაიმე მძიმე იარაღით. როცა ექიმმა გასინჯა, აღმოჩნდა, რომ დაკლულიც არის, ყელი აქვს გამოჭრილი. მკვლელობა ჩადენილი 4-5 დღის წინ. მილიციამ ოქმი შეადგინა. მე განკარგულება გავეცი, ამაღამვე დასაფლავდეს, შაბათს უწირავ და წესსაც აუგებთ. მისი ოთახი გადმობრუნებულია, სჩანს ეძებდენ რაღაცას. მკვლელთ დარჩენიათ გუდა მწყემსისა, ნაარყალი ბოთლი და ტყავის ქამარი. ეკლესია დაკეტილია, განსვენებულს საიდუმლო გასაღები ჰქონდა გაკეთებული და ჩვენ ჯერ ვერ ვაღებთ. ეკლესიაზე არ არიან შეხებულნი, ვის ჩავაბარო ტაძარი, ვინ იკისრებს მის მოვლას, არ ვიცი“.**

თავის მხრივ, 1932 წლის 20 დეკემბერს უწმინდესი კალისტრატე საქართველოს სსრ ცაკს წერდა: **„ჟამთა ვითარებისაგან მიტოვებული მონასტრების ისტორიულ და ხელოვნების ძეგლებს მომვლელად შერჩათ თითო-ოროლა სამღვდელო პირი, რომელთაც თავს უდვიათ მათი პატრონობა-მეთვალყურეობა სრულიად უანგაროდ და უწევენ რესპუბლიკის კულტურულ დაწესებულებათ თვალსაჩინო სამსახურს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების შენახვა-დაცვაში.**

ასეთებია, სხვათა შორის, მცხეთის „ჯვრის“, შიომღვიმის მონასტრის ძველი ტაძარი — ყველა შენობებით და ქვაბთახევის მონასტრის ეკლესია — თავის გალავნით.

ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში თავი იჩინა ჯერ უცნობ ბოროტმოქმედთა ავმა მოქმედებამ, რომლის მსხვერპლად გახდნენ ხსენებულ ძეგლების დამცველნი: ოქტომბრის 4-ს, ჯვრის ეკლესიის მეთვალყურეს, 65 წლის მღვდელმონაზონ ილარიონ ოზაშვილს ყელი გამოსჭრეს და თავი გაუჭეჭყეს...

მღვდელ-მონაზონი ილარიონი

საფიქრალია, ამ უჩინარ, მაგრამ სასარგებლო მუშაკთადმი ბოროტმოქმედებას თითქოს სისტემატიური ხასიათი მიეღოს. ამისთვის, თუ ეს გარემოება გაგრძელდა, უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენი ისტორიის ტაძარ-ძეგლები დარჩება მოუვლელად და უპატრონობის გამო მიეცემა რღვევა-განადგურებას“.

როგორც ამ საბუთებიდან ირკვევა, მღვდელ-მონაზონმა ილარიონმა თავისი ცხოვრება მოწამეობრივად დაასრულა. გვეწეოდეს მისი ლოცვა ჩვენ და სრულიად საქართველოს, ამინ.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 57648; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 2042, გვ. 4; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ფონდი 54, საქმე 159; ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი“ 1910-1917წწ..

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

ერთი ეკლესიის ისტორია

სოფელ ბარალეთის ისტორია და იქ მოღვაწე მოძღვარნი

სოფელი ბარალეთი მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბარალეთის ნაპირებზე, ზღვის დონიდან 1680 მეტრზე, ახალქალაქიდან 16 კილომეტრში. ბარალეთი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს სწორს, ვაკე ადგილს. ვახუშტის სიტყვით — „ბარალეთი გაშენებულია ჯავახეთის უმშვენიერეს და უნაყოფიერეს ველზე, რომელიც ირწყვის ბარალეთის წყლითა". ვახუშტი მას მცირე ქალაქს უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი დასახლებულია მესხებით, სომხებითა და ურიებითო. XIX საუკუნეში აქ მხოლოდ ქართველები და სომხებიღა ცხოვრობდნენ, ხოლო ებრაელები აღარ იხსენიებიან.

XIX საუკუნეში ბარალეთში იყო ორი ეკლესია, ერთი — ქართველების და მეორე — სომხების. ქართული ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შენახულია ძველი წარწერა, სადაც ვკითხულობთ: **„აღშენდა ეკლესიაი ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა. ადიდენ ღმერთმან ორთავ ცხოვრებასა შინა".**

ისტორიული წყაროების მიხედვით, ლაშა-გიორგი 1213 წელს გამეფდა და აღნიშნული ტაძარიც სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება. ტაძრის აღმოსავლეთი კედლის გვერდით არის საფლავი აქ მოღვაწე მღვდლის — პეტრე ხმალაძისა. საფლავზე მშვენიერი მხედრული ასოებით იკითხება წარწერა, რომელზეც ასახულია ქრისტიანობის მაშინდელი ყოფა ჯავახეთის შემოერთებამდე, ე. ი. 1828 წლამდე. აი, წარწერაც: **„ლოდსა ქვეშე ამისა მდებარე არს გვამი მღვდლის პეტრე ხმალაძისა, რომელიც ჟამთა მაჰმედიანთაგან ქრისტიანეთა დევნულებისა, იყო შეძლებისამებრ შემვლელი და რუსეთის მთავრობის მოსვლასა, ძველთა ქრისტიანეთა ეკლესიის შეწყნარებისა ერთგული წინამძღვარი. აღმკითხველთაგან შენდობისა არს მოქენე, რათა თქვენცა დღესა განკითხვისასა მიემთხვინეთ შენდობასა. გარდაიცვალა წლისა 90-ისა. სახსოვარი ესე აღაგეს მისთა მმადლობელთა შვილთა".**

მღვდელი პეტრე დაახლოებით 1765 წელს იყო დაბადებული, მას კარგად ახსოვდა ერეკლე II და ძველი ეპოქის შესანიშნავი მცოდნე გახლდათ.

XIX საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაიხსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლები. გამონაკლისი არც სოფელი ბარალეთი გახლდათ, სადაც ასევე ამოქმედდა ეკლესიასთან არსებული სკოლა. სკოლაში საღვთო სჯულს ძირითადად ადგილობრივი ტაძრის წინამძღვრები ასწავლიდნენ, ხოლო დანარჩენ საგნებს — საერო პირები.

1893 წელს ბარალეთში აშენდა სამრევლო-საეკლესიო სკოლის ახალი შენობა. ეს შენობა ქვითკირისაგან იყო ნაშენები და მასში თავისუფლად ეტეოდა 200-ზე მეტი მოსწავლე. იქვე იყო მასწავლებელთა საცხოვრებელი ოთახები. იმ პერიოდში ჯავახეთში მომხდარი მინისძვრის შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილმა ახლომახლო სოფლის მოსახლეობამ სწორედ ამ შენობაში ჰპოვა თავშესაფარი.

სოფელ ბარალეთის ისტორიულ სიძველეებში უნდა ვახსენოთ ქვის მაღალი სვეტი, რომელიც სოფლიდან ჩრდილოეთით ორ კილომეტრშია აღმართული და ხალხი მას ამაღლების სვეტს ეძახის.

ამ სვეტის შესახებ შემორჩენილია ერთი ასეთი ძველი გადმოცემა. **„ადრე იგი სოფელ კოთელიაში (სოფელი ჯავახეთში) მდგარა და თავზე ოქროს ჯვარი ედგა. XVIII საუკუნეში მტაცებელმა ლეკებმა ერთ ღამეს გაძარცვეს იგი, მოხსნეს ჯვარი და წაიღეს. ღამის გასათევად მძარცველები დაბანაკდნენ იქ, სადაც ეხლა ეს ჯვარია აღმართული. დილით, გაღვიძებულმა ლეკებმა დაინახეს, რომ გაძარცვული სვეტი მათ წინაშე იყო აღმართული. თავზარდაცემულებმა დაუყოვნებლივ დასდეს ჯვარი სვეტის ძირას და უკან აღარ მოუხედიათ, ისე გაიქცნენ იქიდან. მას აქეთ ეს სვეტი აქ სდგასო, მაგრამ რა იქნა ის ოქროს ჯვარი, გარდამოცემა არაფერს ამბობსო.**

სახელი „ამაღლების სვეტი" კი მას შემდეგი მიზეზის გამო მიუღია. ამოვარდნილა ერთხელ ძლიერი ქარი, რომ სვეტი წაუქცევია და ეხლაც ისე ეგდებოდა, ხალხის შემდეგ უბედურებას რომ არ აღემართაო. იმჟამად ისეთი გვალვა დადგა, რომ არც ერთი დათესილი მარცვალი არ ამოვიდაო. ხალხი დრტვინავდა და არ იცოდა, რა ეღონა, რით მოელბო ცის რისხვა. გამოეცხადა სვეტი ერთ გლეხს და უთხრა: „წადი და განუცხადე ხალხს: სანამ არ ამწევენ და თავისს ადგილზე არ დამდგავენ, ცა ერთ წვეთ წვიმასაც არ მოიცემაო!" გლეხმა, რასაკვირველია, არ დააყოვნა ამ ამბის მოფენა ხალხში. მოიყარა თავი მთელი ჯავახეთის გლეხობამ და დიდი წვალების შემდეგ სვეტი კვლავ აღმართეს. აღმართვა და დადგმა სვეტისა მოხდა სწორედ მაცხოვრის ამაღლების დღესასწაულზე და მისგან მიიღო მან თავისი ახლანდელი სახელიო, ხოლო იმავ საღამოს, ისეთი მადლიანი წვიმა მოვიდა, რომ ნათესი ყველგან გამობრუნდა და მშვენიერი მოსავალიც მოვიდა იმ წელსაო".

ბარალეთის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარს სხვადასხვა წლებში წინამძღვრობდნენ შემდეგი სასულიერო პირები: XIX საუკუნის დასაწყისიდან 1855 წლამდე ზემოთ ნახსენები **მღვდელი პეტრე ხმალაძე**, რომელიც სარწმუნოების დევნის პერიოდში უშიშრად და თავდადებით ემსახურებოდა სოფელსა და ეკლესიას. მან დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა იმ მხარეში და გარდაცვალების შემდეგაც

ხალხი მას განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მოიხსენიებდა. 1871-1874 წლებში ტაძარს **მღვდელი ევსტათი სიმონის ძე აგლაძე,** ხოლო 1875-1879 წლებში მღვდელი **მიხეილ ილარიონის ძე ჟამუთაშვილი** წინამძღვრობდნენ, ეს უკანასკნელი შემდეგ ახალციხის ეკლესიაში გადაიყვანეს და ახალციხე-ახალაქალაქის ოლქის მთავარხუცესიც გახდა. 1889 წლიდან ბარალეთის ეკლესიაში მოღვაწეობდა **მღვდელი გრიგოლ გაბრიელის ძე ჯინჭველაძე,** რომელმაც თავისი ხუთწლიანი მოღვაწეობის პერიოდში მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. პირადი ასკეტური ცხოვრებითა და ღვთისადმი ერთგული სამსახურით იგი კეთილ მაგალითს აძლევდა და სულიერად განამტკიცებდა მრევლს. უმოკლეს დროში მან პატიოსანი და თავდადებული მოძღვრის სახელი მოიპოვა მთელ ჯავახეთში და 1894 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც იგი აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში გადაიყვანეს, ბარალეთის მორწმუნენი ფრიად დააღონა ენერგიული და პატივცემული მოძღვრის სხვა სამრევლოში გადაყვანამ. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი გაზეთ „ივერიაში" 1894 წლის 23 დეკემბერს მამა გრიგოლის ღვაწლის შესახებ წერდა: **„წელს, შემოდგომაზე, ახალი საეკლესიო შტატები გაიხსნა მესხეთსა და ჯავახეთში. მესხეთში: სოფელ ზედა თმოგვში, რომელზედაც სოფელი აგარაა მიწერილი და სოფელ აწყურში, სადაც გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა მაგიერ რამდენიმე კომლი (13-20) მართლმადიდებელნი ქართველნი დასახლდნენ. ჯავახეთში დანიშნეს ახალი შტატი სოფელ გოგაშენში, რომელზედაც სოფელი აფნია არის მიწერილი, მღვდლებს თითქმის 500 მანეთი ჯამაგირები ექნებათ წელიწადში და თანაც მოვალენიც არიან სამრევლო სკოლები იქონიონ. რაღა თქმა უნდა, ყველასათვის ძალიან სასიამოვნო ამბავია. ჯერ კი არავინ მოსულან მღვდლები, მაგრამ უეჭველია ამ ბედნიერ დღეებისთვის გამოჩნდებიან. მეტადრე სადიდმარხვოთაა მღვდლები საჭირო, თორემ ზაფხულში, ხომ მოგეხსენებათ, გლეხი კაცი მინდვრად გადის და მღვდლებს იმდენი საქმეები აღარა აქვთ.**

ძრიელ ცუდი საქმე მოუვიდათ ბარალეთის საზოგადოებას. მღვდელმა გრიგოლ ჯინჭველაძემ აწყური ითხოვა და კიდეც გადაიყვანეს და ბარალეთი ამ ბედნიერ დღეებში უმღვდლოთ დარჩა. საზოგადოებამ სთხოვა ეგზარქოსს და ეხლა დეპეშით ნება მოუვიდათ, მღვდელს სთხოვეთ და თუ ისურვა, ისევ თქვენთან ბარალეთში დარჩეს ამ დღესასწაულებშიო.

ბარალეთის ამაღლების ძვის სვეტი

ამ უკაცობის დროს, როცა ყველა გადატაცებულია მხოლოდ ეგოისტური იდეალებით, მამა გრიგოლი, როგორც მღვდელი და როგორც კაცი სწორედ სამაგალითო ადამიანია. წარსულ წერილშიაც მოგახსენეთ, რომ ბარალეთი ეს მიყრუებული გადმოვარდნილი ადგილი ლამის ქალაქად გადაიქცეს — მეთქი, რადგან სოფელში რამდენიმე კაცი ფხიზლობს — მეთქი. ამ გულშემატკივართა შორის მამა გიორგიც სამაგალითოდ ირჯებოდა საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებში.

სანატრელია, რომ ახალმა მოძღვარმაც, რომელიც ბარალეთშია დანიშნული, მამა გრიგოლის მოქმედებით იხელმძღვანელოს, როგორც ამბობს ძველი თქმულება: წინა კაცი უკანისა ხიდიაო". ყველა საზოგადო საქმე მშვენივრად არის ბარალეთში დაყენებული და ახლად მოსულ მღვდელს მხოლოდ დასჭირდება მხნედ განაგრძოს კეთილი საქმე საზოგადოებისა".

ტაძრის შემდეგი წინამძღვარი გახლდათ **მღვდელი გიორგი მოსეს ძე ბერიძე,** რომელიც აქ 1894-1902 წლებში მსახურობდა. 1902 წლის 18 თებერვალს 70 წლის მოხუცებული მამა გიორგი პენსიაზე გავიდა და ტაძრის წინამძღვრობა ენერგიულ ახალგაზრდას, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულ **ბენიამენ ანტონის ძე კანდელაკს** გადააბარა, რომელიც ბარალეთში ჯერ კიდევ 1900 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი ადგილობრივ სამრევლო-საეკლესიო სკოლაში ასწავლიდა და მოსახლეობაშიც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი შემდგომი ცხოვრება ასე წარემართა. 1904-1923 წლებში იგი ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის ტაძარს წინამძღვრობდა. 1923 წელს თბილისის კალოუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1925 წლის 21 იანვარს თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1927 წლიდან იგი საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრია. 1933 წლის 16 აპრილს მიტრით დაჯილდოვდა. დეკანოზი ბენიამენი მონაწილეობდა 1917 წლის პირველ, 1927 წლის მეოთხე, 1932 წლის მეხუთე და 1934 წლის მეექვსე საეკლესიო კრებებზე. 1938 წლის 5 ოქტომბერს დეკანოზი ბენიამენი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, სადაც 1944 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა.

1904 წელს ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი გიორგი ნიკოლოზის ძე შატბერაშვილი** დაინიშნა. მისი

შთამომავალი გახლდათ პოეტი გიორგი შატბერაშვილი.

1907 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებამდე, ბარალეთის ეკლესიის წინამძღვარი **მღვდელი ფილიპე დავითის ძე მეტრეველი** გახლდათ, რომელიც წარმოშობით ჯავახეთიდან, სოფელ ქილდადან იყო და კარგად იცნობდა იქაურ ადათ-წესებსა და ტრადიციებს. მღვდელი ფილიპე დაიბადა 1859 წელს მედავითნის ოჯახში. 1880-1886 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1886 წლის 24 ოქტომბერს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 2 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი და შიბლიანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1888 წელს მშობლიურ მხარეში ქილდის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1896 წლის აღდგომას საგვერდულით, ხოლო 1902 წელს სკუფიით დაჯილდოვდა. 1907 წელს ბარალეთის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. 1915 წელს კამილავკა ეწყალობა. 1923 წლიდან მამა ფილიპე ნორიოს მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის წინამძღვარია. 1929 წლის 7 მარტს მამ ფილიპემ ითხოვა ჯავახეთში დაბრუნება, რასაც დაეთანხმა ურბნისის ეპარქიის მაშინდელი ეპისკოპოსი სვიმონი (ჭელიძე), მაგრამ ხელისუფლებამ არ მისცა თანხმობა. ამის გამო, 1929 წლის 17 აპრილს იგი წილკნის ეპარქიაში, ბულაჩაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

ბარალეთის ეკლესია

1922 წლის ივნისში, ახალქალაქის სამაზრო კომიტეტის ბრძანებით, აღწერეს ჯავახეთის მხარეში მოქმედი ტაძრების ქონება. 3 ივნისს მიაკითხეს ბარალეთის ეკლესიასაც, მაგრამ საეკლესიო ნივთები ტაძარში არ აღმოჩნდა. ტაძრის წინამძღვრის, მამა ფილიპეს არ ყოფნის გამო, ტაძრის **მამასახლისს ნიკო ხმალაძეს** შიშის გამო საეკლესიო ქონება მიწაში ჩაეფლა. იგი დააპატიმრეს. შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ შედგენილ დოკუმენტში ეწერა, რომ მან ნივთებთან ერთად ჩამარხა რევოლვერი 22 ვაზნით, 43 რუსული წარმოების პატრონტაჟი, 150 ბერდენკის ტყვია და ერთი წყვილი ინგლისური სამხედრო ჩანთა და ჩექმები, ხოლო მისი სახლის ჩხრეკისას აღმოჩნდა გადამალული ე. წ. „ვინტოვკა" და „ბერდენკა".

ეკლესიის ძვირფასეულობის სია კი ასე გამოიყურებოდა: ერთი ვერცხლის ჯვარი, ერთი ვერცხლის ჭიქა (მხოლოდ სანახევროდ მოვერცხლილი), ვერცხლის თეფში, ვერცხლის კოვზი, ვერცხლის ვარსკვლავი და ვერცხლის პატარა თეფში.

ბარალეთის ეკლესიის უკანასკნელი წინამძღვარი გახლდათ **დეკანოზი ვასილ სოლომონის ძე კოპტონაშვილი (იხ. მასზე სტატია „საპატრიარქოს უწყებანი" 2009წ. №11),** რომელსაც 1923 წელს, ურბნისის საეპარქიო საბჭოს დავალებით დაევალა მოძღვრის გარეშე დარჩენილი სამრევლოს მოვლა-პატრონობა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე ; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 47, გვ. 32-33; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 1571; გაზეთი „ივერია" 1894 წლის 23 დეკემბრის ნომერი; ჟურნალი „მოგზაური" 1901წ. №1, გვ. 26-31.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

მამა დავითის ტაძრის წინამძღვრები (არასრული სია)

1810-1823 მღვდელი თომა გრიგოლის ძე ფირალოვი-გრიგორიევი (+03.02.1859)

1824-1880 დეკანოზი იოსებ თომას ძე გრიგორიევი (+29.02.1880)

1880-1891 მღვდელი ზაქარია იოსების ძე გრიგორიევი (+14.11.1891)

1891-1930 დეკანოზი ნესტორ სვიმონის ძე მაჭარაშვილი (+1930)

1931 ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე)

1931-1943 დეკანოზი ნიკიფორე სვიმონის ძე კანდელაკი

1943-1953 დეკანოზი ხარლამპი ნიკოლოზის ძე ხუციშვილი (+22.01.1956)

1953-1957 დეკანოზი იოანე ესტატეს ძე საყვარელიძე

1957-1959 დეკანოზი ლევან ალექსის ძე ტლაშაძე

1959-1961 დეკანოზი ვალერიან ალექსანდრეს ძე ტაბლიაშვილი

1961-1971 დეკანოზი პანტელეიმონ იესეს ძე ბარნაბიშვილი

1974-1975 არქიმანდრიტი სოკრატე (ჭულუხაძე)

1976-1978 დეკანოზი ამირან აკაკის ძე შენგელია

1978-1980 დეკანოზი ანტონ გიორგის ძე შიოშვილი

1980-1981 მღვდელი რევაზ ტომარაძე

1981-1982 იღუმენი გიორგი (ოდიშვილი)

1982-1992 დეკანოზი არჩილ გიორგის ძე ლაფერაშვილი (+15.05.1992)

1992-2000 დეკანოზი თომა გერვასის ძე ჯაჯანიძე (+02.03.2000)

2000-2002 არქიმანდრიტი ზენონი (იარაჯული)

2002-2010 არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე)

2010-2012 არქიმანდრიტი სამუელი (ზედგენიძე)

2012 წლიდან არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე)

დამხმარე მღვდლები, დიაკვნები და მედავითნეები

1812-1824 დიაკონი იოსებ თომას ძე გრიგორიევი

183-1839 დეკანოზი პეტრე გიორგის ძე ეგაძე (+03.05.1839)

1845-185 მედავითნე თომა გრიგორიევი

185-1855 მღვდელი დავით გრიგორიევი (+21.03.1855)

1855-1865 მღვდელი მიხეილ იოანეს ძე ბერიძე (+18.01.1865)

1865-1879 მღვდელი გრიგოლ ნერგაძე (+14.07.1879)

1877-1880 მღვდელი ზაქარია იოსების ძე გრიგორიევი

1888 დიაკონი იოანე ზაქარიას ძე ჩიტაძე



მამა დავითის ეკლესია

188-1896 დიაკონი გრიგოლ უზნაძე (+11.01.1896)

1896-1900 მედავითნე იოანე კიკნაძე

1900-1902 დიაკონი გრიგოლ თომას ძე სონღულაშვილი

1902-1905 დიაკონი ალექსანდრე კირილეს ძე მექანარიშვილი

1905-1908 მღვდელი ქრისტესია ნიკოლოზის ძე თხინვალელი

1908-1914 მღვდელი ვასილ იოანეს ძე ხახიშვილი

1916-1929 მღვდელი ალექსანდრე სოლომონის ძე ელისაბედაშვილი (+08.05.1942)

1929-1933 დეკანოზი ილია იოანეს ძე კოტეტიშვილი (+11.02.1933)

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 62080; 62535; გაზეთი „ივერია" 1897წ.; ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" 1906წ. 8, გვ. 16; გაზეთი „სახალხო ფურცელი" 1916წ.

ლიტ: „მთაწმინდის მამა დავითის ეკლესია და მისი ისტორია" ს. პეტერბურგი 1886წ.; მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილი, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება და მთაწმინდის წმ. დავითის ეკლესია ტფილისში", ტფილისი 1904წ.; ცინცაძე კ. „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" თბ. 1994წ. გვ. 120.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 272 13 50; 5(99) 54 82 29; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კეკენანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

„არაბულმა გაზაფხულმა“ მრავალი ისტორიული ნივთი გაანადგურა

2010 წლის დეკემბერში, „არაბული გაზაფხულის“ დაწყებისა და ხალხის მასობრივი გამოსვლების დროს ეგვიპტის მუზეუმიდან დაახლოებით 2000 უძველესი ნივთი დაიკარგა. არეულობის დროს, რომელსაც 2011 წელს მუბარაქის რეჟიმის დამხობა მოჰყვა, კაიროს მუზეუმის მრავალი ექსპონატი დაზიანდა, მათ შორის – ერთი მუმია. კაიროს მუზეუმს ასევე დაეკლდა 29 უძვირფასესი ექსპონატი.

გაიძარცვა ბევრი ფასეული კოლექცია ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმში. 2013 წლის აგვისტოში მალავის მუზეუმიდან 600-სზე მეტი ექსპონატი დაიკარგა. ისინი 1800-იანი ნივთების კოლექციის ნაწილი იყო. დღემდე ვერ მიაკვლიეს ამ მოპარული არტეფაქტების კვალს.

ეგვიპტის ხელისუფლებამ ამის შესახებ იუნესკოსაც აცნობა და დაკარგული ექსპონატების გრძელი სია გაუგზავნა. გამოძიებაში ჩართულია ინტერპოლიც. საგულისხმოა, რომ ამ ნივთებს შორის ბევრი ქრისტიანული სიწმინდეცაა.

უნიკალური აღმოჩენა ხარკოვში

ხარკოველმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მღვიმესავანე, რომელიც XVIII—XIX საუკუნეებით თარიღდება. „ჩვენთან იმდენად ბევრი მღვიმეა, რომ არაფერია გასაკვირი, მაგრამ ეს სავანე თიხის გორაში მდებარეობს. მსგავსი ნაგებობის აღმოჩენა საკმაოდ რთულია. სავარაუდოდ, მის შიგნით მიწისქვეშა ეკლესიაც მდებარეობს, მაგრამ რაიმე ჩანაწერი ამ სავანის შესახებ არსად მოგვეპოვება“, — განაცხადა ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორმა ელენე გელამ.

აღმოჩენა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სავანე არატიპურადაა მოწყობილი; მის შიგნით არქეოლოგებმა მიაკვლიეს სამრეკლოს, კოლონებს, ფრესკებს, ასევე რამდენიმე ბარელიეფს, რომლებზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. სავარაუდოდ, ეს ყველაფერი სავანის მცხოვრებლებმა თავად ამოკვეთეს.

სავანის დაახლოებით 70% მიწითაა დაფარული, რამაც გამოიწვია მისი „დაკონსერვება“ და დაიცვა ჩამოშლისაგან. არქეოლოგები არ გამორიცხავენ, რომ იქ შესაძლოა ბერმონაზონთა საფლავებიც აღმოჩნდეს.

„ჯერჯერობით ჩვენ აღმოვაჩინეთ ადამიანის სიმაღლის მხოლოდ ორი დერეფანი და გარეთ გამომავალი შესასვლელი. სავარაუდოდ, ობიექტი სულ ცოტა ორია რუსიანია. აქ ისე იქნებიან ბერები დაკრძალულნი, როგორც კიევო-პეჩორის ლავრაში“, — აცხადებენ არქეოლოგები.

ამ რაიონში სავანის არსებობის შესახებ არქეოლოგებმა ადგილობრივებისგან შეიტყვეს, რომლებმაც მღვიმეს დაახლოებით 30 წლის წინ მიაკვლიეს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აღმოჩენა უნიკალურია ხარკოვის რეგიონისათვის.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

თბილისის მამა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესია

თბილისის მამა დავითის ტაძარი ერთ-ერთი გამორჩეული და წმინდა ადგილი ყველა ქართველისათვის. თავისი ადგილმდებარეობით, სილამაზითა და საუცხოო ხედებით იგი თავისკენ იზიდავს უამრავ ადამიანს, როგორც ადგილობრივებს, ისე უცხოელ ტურისტებს.

ყოველ წელს, წმინდა დავით გარეჯელის გარდაცვალების დღეს, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, თბილისში მამადავითობა აღინიშნება. იგი თბილისელთა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია. დილაადრიან იწყება მთაწმინდისაკენ ხალხის საზეიმო სვლა. ტრადიციაა მლოცველების მამადავითის ეკლესიის გარშემო ფეხშიშველი სამჯერ შემოვლა. დღესასწაულზე ქალაქის ახლომახლო სოფლებიდანაც ჩამოდიან ღამისმთევლები.

ტაძრის ისტორია უკავშირდება VI ს-ში საქართველოში ანტიოქიიდან ჩამოსულ ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს — დავით გარეჯელს. გადმოცემის თანახმად, VI ს-ში ამ მიდამოებში ცხოვრობდა წმინდა მამა დავით გარეჯელი. მას შემდეგ, რაც მამა დავითმა თბილისი დატოვა და გარეჯში დაემკვიდრა, ამ ადგილზე დარჩა სალოცავი. მამადავითის პირველი ეკლესიის შესახებ მატიანეს ზუსტი ცნობები არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ IX საუკუნეში აქ ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია იდგა, რომელიც ათონის ივერთა მონასტერს ექვემდებარებოდა. ამიტომაც, ათონის მთის მსგავსად, მამადავითის მთას მეორე სახელი — მთაწმინდა დაერქვა.

სავარაუდოდ, X საუკუნეში აქ დაარსდა მონასტერი, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში უკვე აღარ არსებობდა, თუმცა 1826 წელს შედგენილ ტაძრის აღწერილობაში დეკანოზი იოსებ გრიგორიევი მიუთითებს, რომ ტაძარი 1318 წელსაა აშენებულიო. მოგვიანებით კი, 1542 წელს ძმებ ნიკოლოზ და დავით გაბაშვილების თაოსნობით ღვთისმშობლის სახელობის სავანე აღდგა.

მამა დავითის მთაწმინდის სავანე ხშირად გამხდარა თბილისის მოსახლეობისთვის თავშესაფარი. 1795 წელს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა ქალაქი აიღო და სასტიკად აოხრა, 50-მდე თბილისელმა მოქალაქემ ვერ მოასწრო დედაქალაქის დატოვება და თავი მამა დავითის ტაძარს

შეაფარა. სპარსელები თხუთმეტი დღის განმავლობაში არბევდნენ თბილისს და ღვთისა და წმინდა დავით გარეჯელის მეოხებით ისინი, ამ ხნის განმავლობაში არც კი გაკარებიან იქაურობას..

ქართველი მეფეები ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდნენ მამა დავითის ტაძარს. სამეფო ტახტიდან გადამდგარი ქართლის მეფე დავით X (1505-1525) ბერად აღკვეცის შემდეგ დამიანეს სახელით ცნობილი მამადავითის ტაძარში მოღვაწეობდა. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II მცირეწლოვანი შვილის სოლომონის გარდაცვალების შემდეგ მამა დავითის ტაძარში განმარტოვდა და აქ ევედრებოდა უფალს ცოდვების მიტევებას. აქვე აკითხავდა მას კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ერთად აღავლენდნენ ლოცვებს საქართველოს ერთიანობისა და მშვიდობისათვის. ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფე გიორგი XII-ს ჰქონდა ასეთი ტრადიცია: ყოველ წელს, მამა დავითობას, იგი აქ თავისი ამალით ადიოდა და მიტოვებულ და ნახევრად დანგრეულ ტაძარში სადღესასწაულო წირვა-ლოცვა სრულდებოდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ტაძრის აღდგენა, თუმცა მისმა ნაადრევმა სიკვდილმა ამ კეთილ წამოწყებას ხელი შეუშალა.

როგორც ავღნიშნეთ, XVIII საუკუნეში მონასტერი უმოქმედო იყო, დაზიანებული ნაგებობები თანდათან ინგრეოდა. 1810 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ ქაშვეთის ეკლესიის მოძღვარს, მამა თომა გრიგორიევს, მამა დავითის ტაძრის აღდგენა დაავალა. თბილისელ მოქალაქეთა და მრევლის შემოწირულობებით აიგო ტაძარი, რომელიც აგურით იყო ნაშენი და უგუმბათო ხის სახურავი ჰქონდა. კათოლიკოს ანტონ II-ის რჩევით, ტაძარი მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე აკურთხა მცხეთის წმ. ჯვრის მამის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ტრიფილემ (ჯორაშვილი), ვინაიდან გარეჯის უდაბნოში ღირსი მამა დავითი სნორედ ფერისცვალების მონასტერშია დაკრძალული.

ტაძრისკენ მიმავალი ფართო და ხვეული გზა საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ერმოლოვის ხელმძღვანელობით გაიჭრა 1817 წელს. ასეთი სახით ეკლესია 1861 წლამდე იარსება. ამ წელს გადაწყდა ძველი ტაძრის მაგივრად უფრო დიდი ზომის ტაძარი აეშენებინათ და მღვდელ თომა გრიგორიევის ვაჟმა, დეკანოზმა იოსებმა მრევლში მშენებლობისთვის ფულის შეგროვება დაიწყო. ძველი ეკლესია დაშალეს და ჩაყარეს ახალი ტაძრის ბალავარი. ტაძრის მშენებლობა უსახსრობის გამო ძალზე გაჭიანურდა, ამის გამო ახალი ტაძრისათვის ანჩისხატის ეკლესიის კანკელის დადგმა გადაწყდა. ათწლიანი შრომის შედეგად, 1871 წლის 22 სექტემბერს, საქართველოს ეგზარხოსმა ევსევიმ (ილინსკი) საზეიმოდ აკურთხა ახლად აშენებული ტაძარი. 1877 წელს დეკანოზმა იოსებ გრიგორიევმა ტაძარს გუმბათიც დაადგა. მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში, ძველი სამრეკლოს ადგილას მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის პატარა ტაძარიც აიგო. ტაძრის მახლობლად მდებარეობს წმ. მამა დავით გარეჯელის სენაკი, აგრეთვე საკურნებელი თვისებების მქონე წყარო. 1889 წელს ტაძარი მოიხატა დეკანოზ იოსების ვაჟის, მღვდელ ზაქარია გრიგორიევის წინამძღვრობის პერიოდში. 1891 წელს ტაძართან დაარსდა სამრევლო-საეკლესიო საქალებო სკოლა.

მამა დავითის ტაძართან არსებულ სენაკებში ნლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ მონაზვნებიც, რომელთა დაუღალავი შრომით აშენდა ეკლესიის გალავანში ორსართულიანი შენობა, ოთხი ოთახით, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მათ ტაძართან გახსნეს სკოლა, სადაც ბავშვებს ხელსაქმესა და კითხვას ასწავლიდნენ. მათი გარდაცვალების შემდეგ ეს სახლი ეკლესიის საკუთრებაში გადმოვიდა, თუმცა იქ შემდგომშიც ცხოვრობდნენ სხვა მონაზვნები. 1831 წელს აქ ცხოვრობდა ოთხი ადამიანი. მათ შესახებ საეკლესიო საბუთები მოწმობს:

„მონაზონი სალომე (ფორაქიშვილი), 29 წლის, ქართველი, სახელმწიფო მოქალაქის ბეჟან ფორაქიშვილის ასული, იცის წერა-კითხვა. 1810 წელს კათოლიკოზ-პატრიარქ ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით დასახლდა მთაწმინდის ტაძართან. 1816 წელს არქიმანდრიტმა ელეფთერმა (ზურაბიშვილი) მონაზვნად აღკვეცა. გარდაიცვალა 1864 წლის 19 იანვარს, დასაფლავებულია იქვე."

„მონაზონი ანასტასია (კობიაშვილი), 30 წლის, ქართველი, აზნაურ ფარსადან კობიაშვილის ასული, 1816 წელს მოვიდა მთაწმინდის ტაძარში დუშეთიდან. 1816 წელს არქიმანდრიტმა ათანასემ (ბიბილური) მონაზვნად აღკვეცა. გარდაიცვალა 1872 წლის 10 ნოემბერს, დასაფლავებულია იქვე."

„მორჩილი ანა, 88 წლის, ქართველი, გლეხთაგანი, 1814 წელს მოვიდა მარტყოფიდან."

„მორჩილი ელისაბედი, 46 წლის, ქართველი, სასულიერო წოდების, მისი ქმარი მღვდელი გრიგოლი მოკლეს ოსმალებმა, მოვიდა 1818 წელს ახალციხიდან და დაბინავდა აქვე."

შემდგომში აქვე მოღვაწეობდნენ მათი აღზრდილები და მონაფენი, რომლებიც სხვადასხვა წლებში აღიკვეცნენ მონაზვნებად. ესენი იყვნენ: ნინო (ასათიანი-ახვლედიანისა), ბარბარე (შალამბერიძე), ოლიმპიადა (ანა გრიგორიევი) და სიდონია (სალომე ნათაძე-ყანჩაველისა).

მონაზონი ნინო 1795 წელს აზნაურის ოჯახში იყო დაბადებული. იგი 60 წელზე მეტხანს მოღვაწეობდა მამა დავითის ტა-

თბილისის ფერისცვალების მონასტერი

ძართან არსებულ სენაკში. მოხუცებულობის მიუხედავად, ყოველთვის მხნედ გამოიყურებოდა და სიკვდილამდე კარგად ჰქონდა შერჩენილი თვალის სინათლე, სმენის სიმახვილე და სულის სიმტკიცე. დედა ნინოს ბევრი იცნობდა თბილისში და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. იგი საკუთარი ხელსაქმით ირჩენდა თავს. მხოლოდ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ახლობელნი ხელს უმართავდნენ და ეხმარებოდნენ. დედა ნინოს სენაკის კარი ყოველთვის ღია იყო გაჭირვებულ ქვრივთა და ობოლთა საშველად. ასე მან მრავალი ობოლი გამოზარდა და კეთილ გზაზე დააყენა. „როგორც დიდად მორწმუნე ქრისტიანი, ზრუნავდა რა სულისა თვისისათვის, თავისის გვამის საუკუნო სამკვიდრებელისათვისაც იზრუნა განსვენებულმა სიკვდილის წინ". სასულიერო მთავრობის ნებართვით მან ადრევე განამზადა სამარე წმინდა მამა დავითის ეკლესიის ეზოში. მონაზონი ნინო 1897 წლის 30 აპრილს გარდაიცვალა.

წმ. დავით გარეჯელი — XVIII ს. მინიატურა

მონაზონი ბარბარე გარდაიცვალა 1900 წლის 25 დეკემბერს.

მამა დავითის ეკლესიის უკანასკნელი მონაზონი იყო დედა სიდონია. იგი 1916 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა და 24 ივლისს დაკრძალეს ტაძრის ეზოში.

მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიის პირველი წინამძღვარი გახლდათ მღვდელი თომა გრიგოლის ძე ფირალოვი-გრიგორიევი. დაიბადა 1761 წლის 21 მარტს, ქ. თბილისში. წარმოშობით ყოფილა სომეხი, გვარად ფირალოვი. მამამისი გრიგოლი ეჩმიაძინის მონასტრის არქიმანდრიტი იყო. სამღვდელო ხარისხის ახდის შემდეგ ჩამოსულა თბილისში, დაუგმია მონოფიზიტური ერესი და შეურთავს ქართველი ქალი, მასთან შეეძინა შვილი, სახელად თომა. ყმაწვილმა თომამ ადრეული ასაკიდან ქაშვეთის ეკლესიაში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კალოუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. ამ პერიოდში ჯვარი დაიწერა ბარბარეზე. ეყოლა ორი ასული და ოთხი ვაჟი. 1793 წლის 25 მარტს დიაკვნად აკურთხეს. 1797 წლის 23 აპრილს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა (ბაგრატიონი) მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ეკლესიის მესამე მღვდლად დაინიშნა. 1804 წლის 25 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით რუსეთში გაემგზავრა, სადაც იულონ ბატონიშვილისა და მისი ოჯახის სულიერ მოძღვრად და კარის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1808 წლის 25 თებერვალს (1802 წლის 5 თებერვალს) ერთგული სამსახურისათვის რუსეთის წმინდა სინოდმა იასამნისფერი ხავერდის კამილავკით დააჯილდოვა. კათოლიკოს-პატრიარქ კალისტარტეს (ცინცაძე) ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ მამა თომას რუსეთში წაუღია რაღაც „სიგელი" (მიტროპოლიტ არსენისა) „ხელმწიფესთან დასაბეჭდავად" ქვაშვეთელების „წინააღმდეგობით". თუმცა ფილიპე დეკანოზს უთხოვია პავლე ციციანოვისათვის, მეუფე არსენის სიგელი არ გაატანო თომას პეტერბურგშიო (ალბათ ეხებოდა შუამდგომლობას ქვაშვეთის კრებულის „შტატის" გადიდების შესახებ), მაგრამ მთავარმმართებელი ამ საქმეში არ ჩარეულა. 1809 წელს მამა თომა საქართველოში დაბრუნდა. იგი ყოფილა იმ დროის საქართველოს სამღვდელოებაში ცნობილი და დამსახურებული მოძღვარი. გამოირჩეოდა ენერგიულობითა და სამართლიანობით.

1810 წლის 24 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონს მისთვის დაუვალებია, — შეუდექი მთაწმინდის მონასტრის ტაძრის განახლებასო. მამა თომაც გულმოდგინედ შედგომია საქმეს და 1810 წელს ახლად აგებული ტაძარი, კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, არქიმანდრიტმა ტრიფილემ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფერისცვალების სახელზე აკურთხა. მამა თომას თხოვნით, მთავარმართებელმა ერმოლოვმა მესანგრეებს გააკეთებინებნა ის გზა, რომლითაც დღეს ავდივართ ტაძარში. ამავე წლის 10 მაისს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა. 1812 წელს ბრინჯაოს ჯვარი უბოძეს. 1823 წლის 23 დეკემბერს, თავისი თხოვნის საფუძველზე, მამა თომა გადადგა ტაძრის წინამძღვრობიდან და უშტატო მსახურად დარჩა. მის ადგილზე მისი უფროსი ვაჟი, მღვდელი იოსები დაინიშნა. 1841 წლის 5 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოს ევგენის (ბაჟენოვი) ლოცვა-კურთხევით იგი დროებით კვლავ დაინიშნა შტატის მღვდელმსახურად. 1843 წლის 5 ნოემბრიდან კი ისევ შტატგარეშეა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მამა თომამ ბერად აღკვეცა გადაწყვიტა. მან თავისი მრევლი თავის შვილს გადააბარა და 1843 წლიდან თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადავიდა. 1845 წლის 1 აპრილს ამავე მონასტერში არქიმანდრიტმა ფლაბიანემ (ოსტროუმოვი) ბერად აღკვეცა და სახელად ფილოთეოსი უწოდა.

მამა ფილოთეოსი შიომღვიმის მონასტერში განამწესეს, თუმცა ასაკის გამო უმეტესად ფერისცვალების მონასტერში ცხოვრობდა, სადაც აღესრულა 1859 წლის 3 თებერვალს. დაკრძალულია ამავე მონასტრის ეზოში.

მამა თომას ქაშვეთის ტაძრის ეზოში ჰქონდა საკუთარი სახლი, რომელიც შემდგომში ქაშვეთის ეკლესიისათვის შეუწირავს.

ისტორიის ფურცელი

თბილისის მამა დავით გარეჯელის ეკლესია

II ნაწილი

მამა დავითის ტაძრის წინამძღვრებს შორის გამორჩეული და საპატიო ადგილი უკავია **დეკანოზ იოსებ თომას ძე გრიგორიევს.** იგი 1795 წლის 3 ნოემბერს ქ. თბილისში დაიბადა. 1805 წელს მამამ ათი წლის იოსები თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარა. სასწავლებელში მას დადებითად ახასიათებდნენ. კარგად სწავლობდა და კლასიდან კლასში მადლობის ფურცლითა და ზოგჯერ ჯილდოთიც გადაჰყავდათ. ასეთი წარმატებები და გამორჩეული ნიჭიერება იოსებს თავმოყვარეობასა და თავდაჯერებულობას ჰმატებდა. იგი ჩაკეტილი იყო საკუთარ თავში, სასწავლებელში არ ჰყავდა ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი, სამაგიეროდ, მთელი გულით უყვარდა კითხვა, რაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც კი არ მიუტოვებია. კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს, განსაკუთრებით გატაცებული იყო ხატვით. მის მიერ შესრულებული სურათები და ხატები მრავლად იყო მთელ თბილისში, მისი ნათესავების ოჯახებსა და ეკლესია-მონასტრებში. ხატვა მან ჯერ კიდევ დიაკვნობის პერიოდში დაიწყო.

1812 წლის 29 მარტს ჩვიდმეტი წლის იოსები თბილისის მამა დავითის ეკლესიის მედავითნედ ინიშნება. 1815 წლის 3 აპრილს საქართველოს ეგზარქოსმა ვარლაამმა (ერისთავი) იგი დიაკვნად აკურთხა. 1824 წლის 6 იანვარს საქართველოს ეგზარქოსმა იონამ (ვასილევსკი) მღვდლად დაასხა ხელი და მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1827 წლის 20 დეკემბერს მამა იოსებს დაევალა თბილისის სამედიცინო პუნქტებში ყვავილით აცრაზე კონტროლი. 1834 წლის 15 მაისს სკუფიით დაჯილდოვდა. 1835 წლის დიდ მარხვაში მამა იოსებმა 30 ფიცარზე დახატა ჯვრები და საჩუქრად გაგზავნა ოსეთის ეკლესიებისთვის, რის გამოც 1835 წლის 6 ივლისს საქართველოს ეგზარქოსმა ევგენიმ (ბაჟენოვი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1837 წლის 20 დეკემბერს საეკლესიო გუჯართა და ძველი საბუთების გამრჩევ კომისიაში დაინიშნა. დეკანოზი იოსები წლების მანძილზე იყო ზნეობითი სასამართლოს ნევრი. 1842 წლის 23 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 1844 წლის 8 აპრილს კამილავკა ეწყალობა. წლების განმავლობაში ერთგული და თავდადებული სამსახურისთვის და მამა დავითის ტაძრის გამშვენება-განახლებისათვის საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1850 წლის 7 ივლისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1861 წლის 22 აპრილს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა, 1866 წლის 26 მარტს წმინდა ანას II ხარისხის ორდენი საიმპერატორო გვირგვინის გარეშე მიიღო. 1872 წლის 20 აპრილს ენქერით დაჯილდოვდა, ხოლო 1875 წლის 22 თებერვალს დედაეკლესიაში ორმოცდაათწლიანი უმწიკვლო სამსახურისათვის წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს. მიღებული ჰქონდა ჯილდო ბრინჯაოს ჯვარი, ვლადიმერის ლენტით, 1853-1856 წლების ყირიმის ომის სამახსოვროდ.

ცხრამეტი წლის ასაკში იოსებმა ჯვარი დაიწერა კავთისხეველ ანასტასია კანდელაკზე. მათ შესანიშნავი ქართული სულისა და ტრადიციებით სავსე ოჯახი შექმნეს. დეკანოზი იოსები გამოირჩეოდა უბრალო ხასიათითა და ქცევით. ყოველდღიურად მზის ამოსვლისას დგებოდა, პირდაპირ ტაძარს მიაშურებდა და ლოცვას იწყებდა. ზამთარ-ზაფხულ ყველას ასწრებდა დილით ადგომას, თავად დარეკავდა ზარებს და დიაკვანსა და მედავითნეს მოუხმობდა. მის სახლში ყოველთვის ცხოვრობდა რამდენიმე მოჯამაგირე, რომლებიც მის ოჯახს ემსახურებოდნენ. ასევე, ისინი მონაწილეობდნენ სატაძრო მსახურებაში. კითხულობდნენ ფსალმუნებს და სწავლობდნენ გალობას. მამა იოსების დახმარებით ეცნობოდნენ საღვთო სჯულსა და ღვთისმსახურებას. შემდგომში რამდენიმე მათგანი სასულიერო პირიც გახდა და საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა ტაძრებში გააგრძელეს მოღვაწეობა. ეს ყველაფერი კი დეკანოზ იოსების დამსახურება იყო.

დეკანოზი იოსები ბევრს მოგზაურობდა. უყვარდა ძველი ტაძრებისა და სიწმინდეების მოლოცვა. რამდენჯერმე ეწვია კახეთს, მოილოცა ალავერდის უძველესი ტაძარი, გადავიდა საინგილოში, სადაც ერთი პერიოდი მსახურობდა მისი ვაჟი, დეკანოზი სოლომონი, რომელიც ზაქათალაში მდგარი სამხედრო პოლკის კაპელანი და საინგილოს ოლქის მთავარხუცესი გახლდათ. 1879 წლის ზაფხულში, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, დასავლეთ საქართველოში არსებული საეკლესიო სიწმინდეები მოილოცა. აღსანიშნავია, რომ დეკანოზი იოსები თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზის გახსნამდე, მცხეთაში, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე აუცილებლად ფეხით მიემგზავრებოდა. იგი დილაადრიან გაუდგებოდა ხოლმე გზას და რამდენიმე კილომეტრს ფეხით გადიოდა. ნავთლუღში მას ჰქონდა პატარა ბაღი, სადაც თავისი ხელით ამუშავებდა მიწას და იქაც ფეხით მიდიოდა.

დეკანოზი იოსები ქ. თბილისის სამღვდელოებაში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. მის სიტყვას ენდობოდნენ ეპისკოპოსები და ქალაქის წარჩინებულნი. განსაკუთრებით უყვარდა

იგი რიგით მრევლს, რომელიც მასში მზრუნველ მამასა და კეთილ მწყემსს ხედავდა.

მთელი ცხოვრების განმავლობაში მას არაერთ კეთილ და სასარგებლო საქმეში აქვს მონაწილეობა მიღებული და ყველგან პატიოსანი და კეთილსინდისიერი სახელი დატოვა. იცოდნენ რა მისი წმინდა ცხოვრებისა და ასკეტური მოღვაწეობის შესახებ, თბილისის სამღვდელოებამ იგი თავის სულიერ მოძღვრად გამოარჩია.

საქართველოს ეგზარქოსი
იოანიკე (რუდნევი)

დიდია დეკანოზ იოსების დამსახურება მამა დავითის ტაძრის აღდგენისა და გამშვენების საქმეში. ზოგადად, ეს არ ხერხდება მხოლოდ მრევლის უხვი შემოწირულობებით, დიდი შრომა და განსაკუთრებელი ღვაწლი მართებს ტაძრის მაშენებელსაც. წარმატების მისაღწევად და საქმის ბოლომდე მისაყვანად აუცილებელია რამდენიმე პირობაა: 1) განუწყვეტელი ფიქრი ტაძრის კეთილად მოწყობაზე, გულმოდგინება და სიფხიზელე, გულის სიღრმიდან მომდინარე მუდმივი ფიქრი. ეს კი შეუძლებელია, თუ პიროვნება შინაგანად არ არის მოწოდებული ამისთვის; 2) საჭიროა, არსებობდეს სრული ნდობა და ურთიერთგაგება მღვდელსა და მრევლს შორის, რისი მიღწევაც ადვილი საქმე არ არის. მხოლოდ მრავალწლიანი ერთგული და პატიოსანი შრომის შედეგად ახერხებს მოძღვარი ამგვარი სიყვარულის მოპოვებას. მამა იოსების შემთხვევაში გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება და ენერგია ქრისტეს ეკლესიის შენებას მიუძღვნა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი წინამძღვრობდა იგი მამა დავითის ტაძარს. ამ ხნის განმავლობაში მან დაკარგა ძვირფასი მეუღლე (გარდ. 1870 წლის 22 მაისს) და ორი ვაჟი: ნიკოლოზი (გარდ. 1874 წლის 15 დეკემბერს) და იაკობი. სიბერეს ავადმყოფობაც დაერთო, რაც ბოლო წლებში უფრო დამძიმდა.

1880 წლის 17 თებერვალს დილით, მამა იოსებმა თავი შეუძლოდ იგრძნო. მან განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია ამას და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო. საღამოს უარესად შეიქმნა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. 27 თებერვალს, სამშაბათს, სიკვდილის მოახლოება იგრძნო, უხმო სამღვდელოებას, რათა შესრულებულიყო შვიდგზის ზეთისცხება. თბილისის ფერისცვალების მონასტრიდან ბერებთან ერთად მოვიდა არქიმანდრიტი კესარიოსი (ჩეკურიშვილი). დაუძლურებულმა მოძღვარმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ლოგინიდან წამოდგა, თვითონ მოამზადა ყველაფერი ზეთისცხებისთვის. საოცარი და გულისამაჩუყებელი ყოფილა მოხუცის უკანასკნელი მსახურება. მეორე დღეს, წირვაზე, აღსარება ჩააბარა თავის მოძღვარს, ფერისცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზს (მიქელაძე) და ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. წირვის შემდეგ მან თავისთან მოიხმო თავისი ვაჟი, მღვდელი ზაქარია და უთხრა: „შვილო ჩემო, მე უკვე ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებას. გთხოვ, დამასაფლავო ტაძრის ეზოში, ჩემი მეუღლის გვერდით და ამის შემდეგ აღასრულე, როგორც წესია, ის სამღვდელო მოვალეობა, რაც ღვთისაგან დაკისრებული გაქვს". იმავე საღამოს ზაქათალიდან ჩამოვიდა მისი უფროსი ვაჟი, სამხედრო დეკანოზი სოლომონი, რამაც დიდად გაახარა მომაკვდავი. შვილის დანახვაზე მისი პირველი სიტყვები იყო:

— შვილო ჩემო, ჩემი სული მხოლოდ შენ გელოდებოდა.

— ნუ გეშინია, მამა, მალე გამოკეთდები.

— არა, შვილო, დადგა ჟამი ჩემი ამქვეყნიდან გასვლისა...

მართლაც, შუაღამისას, 2 საათსა და 25 წუთზე დეკანოზი იოსები გარდაიცვალა. სიკვდილის წინ გამუდმებით ლოცულობდა, უკანასკნელად მიაპყრო მზერა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებს, ოთახს მოავლო დაშრეტილი თვალები, თქვა: „მშვიდობით" და განუტევა სული.

1 მარტს, შაბათს, დასაფლავების დღეს, უამრავი ხალხი მოაწყდა მამა დავითის ეკლესიას. ყველა დაამწუხრა დამსახურებული და პატივცემული მოძღვრის გარდაცვალებამ. წირვა აღასრულა საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ (რუდნევი), გორის ეპისკოპოს ალექსანდრესა (ოქროპირიძე) და უამრავი სამღვდელოების თანდასწრებით. განსაკუთრებით დიდხანს გაგრძელდა გამომშვიდობება. ყველას უნდოდა უკანასკნელად შეევლო თვალი მისი სათნო და სანდომიანი სახისათვის, სათითაოდ მიდიოდნენ მოძღვრები და მრევლის წევრები და ასე ემშვიდობებოდნენ მას. მისი ცხედარი მამა დავითის ეკლესიაში დაკრძალეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო მოვლენა, რომელიც დეკანოზ იოსების სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. როდესაც მამა იოსებმა თავი ცუდად იგრძნო და ლოგინად ჩავარდა, მასთან უამრავი ხალხი მიდიოდა სანახავად და მოსაკითხად. ისინი

ანუგეშებდნენ მოხუც მოძღვარს და ეუბნებოდნენ, რომ ის აუცილებლად გამოკეთდებოდა და სააღდგომო ლიტანიობას თავად შეასრულებდა. ამაზე მამაო მიუგებდა: „რას ამბობთ, მე ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებას და გეუბნებით თქვენ, რომ ჩემი დასაფლავება ჩაივლის არა მგლოვიარედ, არამედ სიცილი-კისკისით". ეს ნათქვამი ყველას უკვირდა და ვერ ხვდებოდნენ, რას გულისხმობდა მოძღვარი. მართლაც, მისი დაკრძალვის დღეს, თბილისში, დილიდან თოვა დაიწყო. შუადღისას ისე გაყინა და რომ მამა დავითის ციცაბო აღმართი სულ მოილიპა. წირვისა და წესის აგების დასრულების შემდეგ ტაძრიდან გამოსული ხალხი ფრთხილად კი ეშვებოდა ქვევით, მაგრამ უმეტესობა მოყინულ დაღმართზე იქცეოდა. ერთი რომ დგებოდა, მეორე იქცეოდა, მეორეს მესამე მიჰყვებოდა და ხალხის მთელი ეს მასა სულ ცურვა-გორაობით ჩამოვიდა ტაძრიდან, რასაც თან სიცილი და მხიარულება ახლდა.

დეკანოზი იოსები XIX საუკუნის საქართველოს ეკლესიის გამოჩენილი და ავტორიტეტული პიროვნება იყო. მან თითქმის სამოცდაათი წელი იმსახურა მის წიაღში და მისი ცხოვრებით კიდევ ერთი ისტორიული ფურცელი დაიწერა მრავალსაუკუნოვან ქართულ ეკლესიაში.

საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად დეკანოზ იოსების უმცროსი ვაჟი **მღვდელი ზაქარია** დაადგინა. იგი 1822 წელს დაიბადა. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიის ქვედა განყოფილებაზე. 1846 წლის 5 დეკემბერს იგი ნავთლუღის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1856 წლის 12 ოქტომბერს მამა დავითის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1864 წლის 3 აპრილს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1869 წლის 14 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) მღვდლად დაასხა ხელი და თელოვანის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1875 წლის 19 მაისს, მოხუცებული მამის თხოვნის საფუძველზე, მამა დავითის ტაძარში გადმოიყვანეს და მედავითნის შტატში დაინიშნა. 1877 წლის 12 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა.

მამა ზაქარია დაოჯახებული იყო ეფემია ლუარსაბის ასულ ხატიაშვილზე და ჰყავდა ოთხი შვილი: ბარბარე, გაბრიელი, მარიამი და გიორგი.

მამა დავითის ეკლესია

მღვდელ ზაქარიას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის მამა დავითის ტაძრის აღდგენაში. ჯერ კიდევ ყმაწვილობაში იგი გვერდით ედგა მამასა და ბაბუას და მონაწილეობდა ტაძრის აღმშენებლობისა და გამშვენების საქმეში. მედავითნეობისა და დიაკვნობის პერიოდში იგი საეკლესიო მსახურებებშიც დაუზარელად მოღვაწეობდა, ხოლო როდესაც მღვდლად დაასხეს ხელი და მამა დავითის ტაძარში დაინიშნა, მამის ავადმყოფობისა და უძლურების ჟამს თითქმის მარტო უწევდა მრავალრიცხოვანი მრევლის დამწყემსვა და საეკლესიო წესების შესრულება. იგი ხელმძღვანელობდა ტაძრის მშენებლობას და მანვე დაასრულა სამრეკლოს შენებაც, ხოლო 1889 წელს, მისი წინამძღვრობის დროს, მოიხატა მამა დავითის ტაძარი.

მღვდელი ზაქარია 1891 წლის 14 ნოემბერს აღესრულა. დაკრძალულია მამა დავითის ტაძარში. მისი გარდაცვალებით დასრულდა გრიგორიევების ისტორიული და საეკლესიო ოჯახის მოღვაწეობა მამადავითის ეკლესიაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №33877; ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო უწყებანი" 1891წ.№20.

ლიტ: „მთაწმინდის მამა დავითის ეკლესია და მისი ისტორია" ს. პეტერბურგი 1886წ. გვ. 54-56.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 2 32 48 66; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვება გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ეარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ლიც თავად დაამთავრა. იქ მას „კონსტანტინე ფილოსოფოსს“ უწოდებდნენ.

ერთ-ერთ საღვთისმეტყველო დისპუტში კონსტანტინემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა გამოცდილ ხატმებრძოლთან, ყოფილ პატრიარქ ანიესთან, კამათში, რამაც კონსტანტინოპოლში მას დიდი სახელი მოუპოვა.

850 წელს იმპერატორ მიხეილ III-ისა და პატრიარქ ფოტიუსის ლოცვა-კურთხევით, კონსტანტინე ბულგარეთში ქრისტიანობის საქადაგებლად წარიგზავნა.

856 წელს კონსტანტინე, თავის მოწაფეებთან ერთად იმ მონასტერში მივიდა, სადაც წინამძღვარად იყო დადგენილი მისი უფროსი ძმა მეთოდე. სწორედ აქ დაიწყეს მათ ერთობლივად ზრუნვა სლავური ანბანის შექმნაზე.

868 წლის მიწურულს კონსტანტინე რომში ყოფნისას მძიმედ დასნეულდა. იგი ბერად აღკეცეს და სახელად კირილე უწოდეს. ზუსტად 50 დღის შემდეგ, 869 წლის 14 თებერვალს, იგი გარდაიცვალა; დაკრძალეს რომში, წმინდა კლიმენტის სახელობის ტაძარში.

გარდაცვალების წინ მან თავისი ძმას, წმინდა მეთოდეს უხმო და უთხრა: „მე და შენ ერთ უღელში შებმული ორი ხარი ვართ; ერთ-ერთმა მძიმე ტვირთს ვერ გაუძლო და დაეცა, ამიტომ გზა მეორემ უნდა გააგრძელოს.“

ძმის გარდაცვალების შემდეგ წმინდა მეთოდემ მოწაფეებთან ერთად განაგრძო მოციქულებრივი ღვაწლი. მტრები დიდ წინააღმდეგობებს უქმნიდნენ მას და ერთი პერიოდი ღვთისმსახურებიდანაც კი განაყენეს.

874 წელს წმინდა მეთოდე აღადგინეს მთავარეპისკოპოსის ხარისხში, თუმცა მას სლავურად მსახურება აუკრძალეს. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ განაგრძობდა ღვთისმსახურებას სლავურ ენაზე; ჩეხეთში იქადაგა და თავადი ბორივი და მისი მეუღლე ლუდმილა მონათლა.

879 წელს წმინდა მეთოდემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მის წინააღმდეგ გამართულ სასამართლოზე რომში და პაპის ბულა მოიპოვა, რომელიც მას ნებას რთავდა სლავურად აღესრულებინა ღვთისმსახურება.

ამის შემდეგ თავის სამ მოწაფესთან ერთად წმინდა მეთოდემ თარგმნა ძველი აღთქმა სლავურ ენაზე.

885 წელს წმინდა მეთოდე მძიმედ დაავადდა; მემკვიდრედ თავისი მოსწავლე გორაზდი დაასახელა.

19 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, მან ითხოვა, ტაძარში მიეყვანათ, სადაც ქადაგება წარმოთქვა. ეს მისი უკანასკნელი ქადაგება იყო; იგი იმავე დღეს გარდაიცვალა.

წმინდა მეთოდეს წესის აგების მსახურება სამ ენაზე მიმდინარეობდა: ბერძნულად, ლათინურად და სლავურად.

წმინდა კირილეს და წმინდა მეთოდეს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ სლავურ ქვეყნებში

(გაგრძელება იქნება)

(საზოგადოება „მომლოცველის“ მარშრუტების კვალდაკვალ)

მარიამ გაგუა

ისტორიის ფურცელი

მამა დავითის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესია

III ნაწილი

მღვდელ ზაქარია გრიგორიევის გარდაცვალების შემდეგ, 1891 წლის 14 ნოემბერს, მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილი დაინიშნა. მისი წინამძღვრობის პერიოდში მრავალი სასიკეთო რამ გაკეთდა მამა დავითის ტაძარში. (მისი მოღვაწეობის შესახებ იხილეთ ვრცელი მასალა — „საპატრიარქოს უწყებანი“ 2011წ. №18.)

1921 წელს საქართველო კომუნისტებმა დაიპყრეს და ქვეყანაში განუკითხაობა დაიწყო. უღმერთო ხელისუფლება განსაკუთრებით ეკლესიებსა და მის მსახურებს ემტერებოდა. მრავალი ეკლესია-მონასტერი დაიხურა პირველივე წლებში. მამა დავითის ტაძარს, როგორც ისტორიულ და გამორჩეულ ძეგლს, ფრთხილად ექცეოდნენ. თუმცა ვერც იმას ურიგდებოდნენ, რომ სამღვდელოება კვლავინდებურად აგრძელებდა ტაძარში მსახურებას და თანაც იქვე ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში ტაძარი სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილებამ აღრიცხვაზე აიყვანა და კულტურის ძეგლად გამოაცხადა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დადგა ხელსაყრელი ჟამი სამღვდელოების იქიდან გამოსახლებისათვის. საბინაო მუშათა კოოპერატივი სასწრაფოდ ამოქმედდა და უძრავ ქონებათა სამმართველოს მიმართა, იქიდან მღვდლები გამოესახლებინა. მათ აქტიური ქმედებები დაიწყეს, ოფიციალური წერილებით და განცხადებებით აავსეს თბილისის აღმასკომი და უძრავ ქონებათა სამმართველო.

ქართულ ინტელიგენციასა და მეცნიერებს კარგად ესმოდათ, თუ რა საფრთხე ელოდა მამა დავითის ტაძარს ამ შემთხვევაში. ამის გამო, 1924 წლის 23 ოქტომბერს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავჯდომარე, პროფესორი სარგის კაკაბაძე თხოვნით მიმართავს თბილისის აღმასკომს:

„მიღებული ცნობით, განზრახულია მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიის ბინაზე მცხოვრებ სასულიერო პირთა გადასახლება და მათ მაგიერ ამ ბინაზე კერძო პირების ჩასახლება. მთაწმინდის მამა დავითის ეკლესია აყვანილია აღრიცხვაზე, როგორც ღირსად ცნობილი შენობა. ამის გარდა, ეკლესიის გალავანში დაკრძალულია ცნობილი რუსი პოეტი გრიბოედოვი, ჩვენი პოეტები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ. ყველა ამის

გამო მამა დავითის ეკლესია და მისი მიდამო, თავისი ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროებს მუდმივ თვალყურისდევნებას.

განათლების სახალხო კომისარიატს ამჟამად საშუალება არა აქვს საგანგებოდ მიუჩინოს ეკლესიას საკმაოდ მცოდნე და შეგნებული მეთვალყურე, და ამიტომ ეს ვალდებულება, მათივე სურვილით, დაკისრებული აქვთ აქვე მცხოვრებ სასულიერო პირებს უსასყიდლოდ. ეკლესიის შენობისა და მასთან მდებარე ძეგლების უკეთ დაცვისათვის საჭიროა, რომ მათი მეთვალყურე და მცველი მუდმივად ეკლესიის ახლოს სცხოვრობდეს.

დეკანოზი იოანე საყვარელიძე

გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ყველა ზემოაღნიშნული გარემოებანი და მოახდინოთ განკარგულება, რათა მამა დავითის ეკლესიის ბინიდან არ იქნენ გადასახლებულნი ხსენებული სასულიერო პირები".

თავის მხრივ, მამა დავითის ტაძრის მღვდელმსახურმა, მღვდელმა ალექსი სოლომონის ძე ელისაბედაშვილმა, წერილი გაუგზავნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარეს:

„მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიას აქვს თავის დასაწყისი მეექვსე საუკუნის ნახევარში. იმ დროიდან ეს ძველთაძველი ნაშთი ბევრჯელ იყო აოხრებული. ბევრჯელ აღდგენილი და აყვავებული. ამ ადგილს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის ძველათ და ახლაც არ არის ყურადღებას მოკლებული, არამცთუ ქართველთაგან და სხვა კავკასიის ეროვნებათაგან, არამედ მით დაინტერესებულნი არიან ყველა თბილისში საზღვარგარეთიდან ჩამოსულნი ევროპელნი...

ამ ადგილს თავის ძველთა ნაშთებით და უკვდავ ძეგლებით, ინახავდა და დარაჯობდა მამა დავითის ეკლესიის რელიგიური კულტის მოსამსახურენი, რომელნიც ჰსცხოვრობდენ და ჰსცხოვრობენ იქვე ეკლესიის სახლში, რომელიც ეკლესიასთან ერთად განიცდის მის ბედს. ამისდა მიხედვით, მამა დავითის ეკლესია და მისი მიდამო აღებულია აღირცხვაზე ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ. მისი დაცვა და მეთვალყურეობა კი დაკისრებული მაქვს მე, როგორც იქვე მცხოვრებს...

მამა დავითის ეკლესია არ არის დახურული მთავრობის მიერ და დღემდე სრულდება რელიგიური წესები მორწმუნეთა საზოგადოების წევრებისათვის, და იგიც არ შეიძლება დახურულ იქმნეს თანახმად ცეკას პლენუმის რეზოლუციისა, მანამდის არსებობს მამა დავითის ეკლესიის მორწმუნეთა საზოგადოება. ზემოხსენებული განკარგულება „ეკლესიებიკოპისა" რელიგიურ კულტთა მოსამსახურეთა გადასახლების შესახებ, ზემოხსენებული მიზეზების გამო ფაქტიურად ჰკეტამს მამა დავითის ეკლესიას.

მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ყველა ზემო აღნიშნული გარემოებანი და მოახდინოთ ჯეროვანი განკარგულება, რათა მამა დავითის ეკლესიის ბინიდან არ იქნენ გადასახლებულნი რელიგიურ კულტის მოსამსახურენი".

მღვდელი ალექსი სოლომონის ძე ელისაბედაშვილი 1877 წელს გორის მაზრაში, სოფელ ერთაწმინდაში გლეხის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1894 წლის 20 ოქტომბერს ალექსი მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტერში მორჩილად მიიღეს. 1896 წლის 4 სექტემბერს ქ. ნუხის სამი მღვდელმთავრის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1899 წლის 26 მარტს ელიზავეტოპოლის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1900 წლის 2 იანვარს დიაკვნად აკურთხეს და მედავითნის შტატში დატოვეს. 1901 წლის 20 აპრილს დიაკვნის შტატში დაამტკიცეს. 1902 წლის 12 მაისს მღვდლად დაასხეს ხელი და დოესის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1910 წლის 23 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1916 წლის 7 სექტემბერს თბილისში, მამა დავითის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიაში მედავითნის შტატში დაინიშნა. 1928 წლის 4 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან აღარ მსახურობდა. გარდაიცვალა 1942 წლის 8 მაისს. დასაფლავებულია კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე. ჰყავდა მეუღლე — სოფიო სიმონის ასული (1878წ.) და შვილები: თამარი (1902წ.), მარიამი (1903წ.), ნინო (1905წ.) და მარგალიტა (1906წ.).

პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანებისა და ძეგლთა დაცვის კომიტეტის ჩარევის შედეგად სასულიერო პირები იმჟამად გადაურჩნენ ტაძრის ეზოდან გამოსახლებას, თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1929 წელს მამა დავითის ეკლესიის ირგვლივ არსებული ტერასა ოფიციალურად გამოცხადდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად და იქაურობას ხელისუფლებისაგან დადგენილი პიროვნებები იცავდნენ.

1930 წლის ბოლოს დააპატიმრეს და დახრიტეს დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი, რის შემდეგაც მამა ალექსიმაც დატოვა იქაურობა.

1931 წლის 3 აპრილს მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე, შემდგომში

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) დაინიშნა. მეუფე ეფრემი იქ ამავე წლის 6 აგვისტომდე მსახურობდა. იგი დეკანოზმა ნიკიფორე სვიმონის ძე კანდელაკმა შეცვალა. მისი წინამძღვრობის პერიოდში ბოროტმოქმედებმა რამდენჯერმე გატეხეს მამა დავითის ეკლესია. აი, რას წერდა შეშფოთებული მამა ნიკიფორე 1934 წლის 11 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე): **„უმდაბლესად მოვახსენებ თქვენს უწმინდესობას, რომ ამა სეკდემბრის 4-ს, ღამით, კიდევ დაეცნენ ჩემდამო რწმუნებულ წმ. მამა დავითის ეკლესიას გაძარცვის მიზნით. ჩრდილოეთის მხრივ ფანჯრიდან გადასულა მძარცველი და საკურთხევლის კარები გაუღია ამხანაგებისათვის და გაძარცვის შემდეგ იმავე კარებით გასულან. არის წაღებული ნივთები და ფულიც ნაღდად, რომელთა სიას ამასთანავე წარმოგიგზავნით. ამის შესახებ ყოველივე ეცნობა თავის დროზე მილიციას“.**

დეკანოზი ნიკიფორე 1864 წელს რაჭის მაზრაში, სოფელ ველევში მედავითნის ოჯახში დაიბადა. 1881-1887 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. 1889 წლის 24 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, 1889 წლის 1 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და ველევის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1901 წელს 1 თებერვალს მამა ნიკიფორე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და სტეფანწმინდის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და დუშეთის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1903 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1904 წლის 12 აპრილს ბაზალეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1904 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1905 წლის 7 თებერვალს ყვავილას წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში დაადგინეს. 1905-1906 წლებში იყო დუშეთის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე. 1915 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1916 წლის 31 მარტს ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დეკანოზის წოდება მიენიჭა. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მამა ნიკიფორე ავჭალის ეკლესიის დაკეტვის გამო ერთი პერიოდი უადგილოდ იყო. 1931 წელს თბილისის მამა დავითის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1943 წელს თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად გადაიყვანეს. 1946 წლის დასაწყისში თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში დაინიშნა. დეკანოზი ნიკიფორე 1948 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მეუღლესთან, ზინობია (ზინაიდა) დავითის ასულ ბერიძესთან ერთად.

დეკანოზი ვალერიან ტაბლიაშვილი მეუღლესთან ერთად

1943-1953 წლებში მამა დავითის ტაძარს დეკანოზი ხარლამპი ნიკოლოზის ძე ხუციშვილი წინამძღვრობდა. მასზე ვრცლად იხილეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ 2012წ. 36-ე ნომერში.

1953 წელს ტაძრის წინამძღვრად დეკანოზი იოანე ესტატეს ძე საყვარელიძე დაინიშნა, რომელიც ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის, გორის ეპისკოპოს პეტრეს (კონჭოშვილი) დისშვილი გახლდათ. იგი 1891 წელს ქ. თელავში დაიბადა. 1914 წელს თბილისის ვაჟთა I გიმნაზია, ხოლო 1917 წელს დემიდოვის იურიდიული ლიცეუმი დაამთავრა. 1917 წელს გაიწვიეს I მსოფლიო ომში. იბრძოდა დასავლეთ ფრონტზე, გრენადერთა მე-15, შემდეგ კი მე-6 მსროლელთა პოლკში. 1918-1919 წლებში თელავის ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა. 1919-1922 წლებში თიანეთში მოსამართლეა. 1922-1924 წლებში თელავში ადვოკატთა კოლეგიაშია. 1924-1926 წლებში იმყოფება ხორხელში, ხოლო 1926-1928 წლებში ალავერდში — სახალხო მასწავლებლად. 1928-1929 წლებში ქუთაისში, 1929-1930 წლებში ხონში, 1930-1931 წლებში თბილისში ბუღალტრის თანამდებობაზეა. 1931-1947 წლებში თბილისში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

1947 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) დიაკვნად და მღვდლად დაასხა ხელი და ჯერ სიონის საპატრიარქო ტაძარში, შემდეგ კი აწყურის თეთრი გიორგისა და წითელწყაროს ეკლესიებში განამწესა. 1949-1951 წლებში თბილისის კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურია. 1951-1953 წლებში ისევ სიონის საპატრიარქო ტაძარში მსახურობდა. 1953 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1955 წელს ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1957 წლის 3 მარტს საეკლესიო წესების დარღვევისათვის დროებით აეკრძალა მღვდელმსახურება. 1960 წელს დაუბრუნეს სასულიერო ხარისხი და 1961 წელს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

1957-1959 წლებში მამა დავითის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ლევან ალექსის ძე ტლაშაძე იყო. იხილეთ მასზე „საპატრიარქოს უწყებანი“.

1959 წელს მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად ცნობილი ქართველი რეჟისორის ვახტანგ ტაბლიაშვილის მამა — დეკანოზი ვალერიან ალექსანდრეს ძე ტაბლიაშვილი დაინიშნა. იგი 1883 წელს დუშეთის მაზრაში, სოფელ მუხრანში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1897-1901 წლებში თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1902-

კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) სტუმრად მამა დავითზე. ცენტრში დგას დეკანოზი პანტელეიმონ ბარნაბიშვილი. ქუდით ხელში ყოფილი წინამძღვარი დეკანოზი იოანე საყვარელიძე.

1904 წლებში წინანდლის ერთკლასიან სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. 1905-1907 წლებში სევასტოპოლში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1908 წელს დიაკვნად აკურთხეს და ყვარლის ეკლესიაში განამწესეს. 1910 წლის 2 აპრილს მღვდლად დაასხეს ხელი და ელენოვსკის სამრევლოში დაინიშნა, სადაც ერთი წელი იმსახურა. 1912 წლის 11 იანვარს ყვარელის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1914 წლის 30 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1922 წლიდან შეწყვიტა მღვდელმსახურება და ჯერ ყვარელის შემნახველ სალაროში, შემდეგ კი — თბილისში, კოოპერატივ „კახეთის" საწყობში მუშაობს. 1929-1942 წლებში თბილისში, სხვადასხვა კოოპერატივის არტელის თანამშრომელია. 1943-1944 წლებში ყვარლის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. 1944 წლის 14 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მღვდლის ხარისხში აღადგინდა და გურჯაანის რაიონში, ველისციხე-მუკუზანის სამრევლოები ჩააბარა. 1946 წლის 3 ივნისს წითელწყაროსა და მის მიმდებარე სოფლებში განამწესეს. 1947 წლის 3 აპრილს მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს. 1848 წელს თბილისში გადმოიყვანეს და დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად განამწესეს. 1951 წლის 14 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1952 წლის 1 ივლისს თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად დაინიშნა. 1955 წლის 23 მარტს ენქერით დაჯილდოვდა. 1959 წლის 1 სექტემბერს მამა დავითის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1966 წლის საქართველოს ეკლესიის აღწერილობაში უკვე აღარ მოიხსენიება მოქმედ სასულიერო პირებში. დეკანოზი ვალერიანი 1968 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის საბურთალოს სასაფლაოზე.

1961-1971 წლებში ტაძარს დეკანოზი პანტელეიმონ იესეს ძე ბარნაბიშვილი წინამძღვრობს. იგი 1891 წელს მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა მანგლისის ოთხკლასიანი გიმნაზია. 1911 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლში ჩააბარა, სადაც სამი კლასი ისწავლა. 1914-1917 წლებში პირველ მსოფლიო ომის დროს მსახურობდა 23-ე საინჟინრო პოლკში უნტერ-ოფიცრად. 1917-1943 წლებში თბილისში და სხვა რაიონებში ფოსტა-ტელეგრაფში მუშაობდა. 1943-1950 წლებში თბილისში მილიციის ინსპექტორია. 1950-1952 წლებში თბილისის ფოსტის თანამშრომელია. 1952 წლის აპრილში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) დიაკვნად აკურთხა და ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად განამწესა. 1957/58 წლებში კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) მღვდლად დაასხა ხელი და ქაშვეთის ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნა. 1961 წელს ვაკის სასაფლაოზე წესების შესრულება დაევალა. ამავე წელს მამა დავითის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. დეკანოზი პანტელეიმონი 1971 წელს გარდაიცვალა.

(დასასრული)

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №123; ფ. 1879, აღწერა 1, საქმე №3; ფ. 1880, აღწერა 4, საქმე №25; ფ. 1880, აღწერა 1, საქმე №17; საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №53080; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №42054; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე №1790.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 2 32 48 66; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვება გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაგალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

გახსენება

„ღვთის საჩუქარი ჩვენი ერისთვის“

თითქმის წელიწადი გავიდა მანანა ანდრიაძე-დოლიძის გარდაცვალებიდან. ამაგდარმა დედამ და მასწავლებელმა, დამსახურებულმა პროფესორმა და მორწმუნე ქალბატონმა დიდი სიყვარული დათესა თავის აღსაზრდელებში, რომელთაგან მრავალი მათგანი დღესაც ილწვის დედაეკლესიის წინსვლისთვის, ემსახურება ქართული გალობის დაცვისა და განვითარების საქმეს.

ქალბატონი მანანა იმ დროის მრევლია, როცა ქაშუეთის ტაძარში წირვაზე მისული თითო-ოროლა მორწმუნე თავისი მოძღვრის, მამა ელიზბარის კურთხევით, გალობით განაშვენებდა საზოგადო ღვთისმსახურებებს.

მის სახელს უკავშირდება ქართული გალობის პოპულარიზაციისათვის გაწეული მრავალმხრივი საქმიანობა. ქალბატონ მანანას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შეიქმნა ქართული გალობის მიმართულება და ახალ საფეხურზე ავიდა ჩვენი საეკლესიო მუსიკის კვლევა.

იმ რთულ დროში, საზოგადო მოღვაწეობის გარდა, შესანიშნავი დედა და მეულლე ქრისტიანულ ღირებულებებს აზიარებდა არა მარტო საკუთარ ოჯახსა და შვილებს, არამედ გარშემომყოფთაც, ამიტომაც განსაკუთრებულად აფასებდა მას საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქი ილია II და დიდი გულისტკივილი გამოხატა მისი გარდაცვალების გამო: „იგი ჩვენი საყვარელი სულიერი შვილი იყო; დახვეწილი, სულიერი არისტოკრატიზმითა და, ამავე დროს, ქართული სისადავით გამორჩეული ადამიანი. ასეთი პიროვნებები იცავდნენ და ქმნიდნენ ქართულ კულტურას, ისინი ღვთის საჩუქარნი არიან ჩვენი ერისთვის.“

ასეთი ადამიანები ამქვეყნიდან გასვლის შემდეგაც არ წყვეტენ ზრუნვას ქვეყნის, ერის და ოჯახისათვის.

ისტორიის ფურცელი

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია და სარწმუნოებრივი მდგომარეობა ფშავში XIX ს-ის დასაწყისში

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. იგი მოიცავს არაგვისა და ივრის ხეობების ისტორიულ კუთხეებს: ერწო-თიანეთსა და ძველი ფხოვის ტერიტორიას. ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თუშეთი, რომელიც ალავერდის ეპარქიის შემადგენლობაშია, დასავლეთიდან — სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან — გუდამაყარ-მთიულეთი, რომელიც ნილკნის ეპარქიას მიეკუთვნება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — მცხეთა-თბილისის ეპარქიას, ჩრდილოეთის საზღვარი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა, ძველი ქისტეთის, იგივე ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან.

თანამედროვე თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში შემავალ კუთხეთა საერთო ქართული წარმომავლობისა და აქაური მოსახლეობის უმჭიდროესი გენეტიკური სიახლოვის მიუხედავად, IV ს-ში წმ. მეფე მირიანის რელიგიურ რეფორმას ყველა ერთნაირი განწყობით არ შეხვედრია. მემატიანის უწყებით, წმ. ნინომ და ეპისკოპოსმა იოანემ **„მოუწოდეს მთიულთა, ჭართალელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხორებად საუკუნოდ; ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება; ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“**, ხოლო ერწო-თიანელებზე უწყებულია, რომ **„მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღესო“**. ფშავ-ხევსურთა გაქრისტიანება მიეწერება მირიანის ძეს მეფე ბაქარს: **„ესე არს მორწმუნე, ვითარცა მამამისი მირიან, და ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა“** და ცოტა მოგვიანებით, წმ. მღვდელმთავარ აბიბოს ნეკრესელს: **„რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა წმიდამან აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოზმან“**. აქაური მოსახლეობის საბოლოო გაქრისტიანება და საქართველოს საპატრიარქოსადმი მათი სრული საეპარქიო-ორგანიზაციული დაქვემდებარება წმ. დავით აღმაშენებლისა და წმ. თამარის ეპოქებს უკავშირდება. თუმცა ეპარქიას საფუძველი ჯერ კიდევ V ს-ში ჩაეყარა, ოღონდ თავდაპირველად მას სხვა სახელით მოიხსენიებდნენ. დაახლოებით 466-468 წლებში წმ. მეფე ვახტანგ გორგასალმა თორმეტ სხვა საეპისკოპოსოსთან ერთად დააარსა ჩელეთის (იგივე ჟალეთის) საეპისკოპოსო, სადაც შედიოდა ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი და ხერკი: **„გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილშუენიერი, გუმბათიანი, და და-**

სუა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურისა და ხერკისა". დროთა განმავლობაში მტრის დამარბეველი ლაშქრობების დროს ჩელეთის საეპისკოპოსო რეზიდენცია მოიშალა. ამის შემდეგ კათედრა ხარჭიშოს ეკლესიაში გადაუტანიათ.

ხარჭიშოს ტაძარი მდ. ფშავის არაგვის მარცხენა მხარეს, სოფელ თვალივში, მწვერვალ გორმაღლის დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 900 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირის ტყიან ზეგანზე, შემონახულია ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომლის მთავარი ნაგებობაა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. იგი ხარჭაშნელ ეპისკოპოსთა მთავარი ტაძარი ყოფილა. დარბაზული ეკლესიის უძველესი სამშენებლო ფენა ადრინდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, რომელიც XV ს-ში გადაუკეთებიათ და განუახლებიათ. ტაძარი ნაგებია კლდის დამუშავებული ქვითა და შირიმის გათლილი კვადრებით. ინტერიერში, საკურთხევლის წინ, აღმართულია აგურის კანკელი, რომლის არქიტრავის ფრესკაზე გამოსახულია 15 წმინდანი. ეკლესიას გარს არტყია წვრილი გალავანი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ოთხსართულიანი შესასვლელი კოშკია ჩაშენებული. გალავნის შიგნით შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა და მომცრო დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

ცნობილია 14 ხარჭაშნელი ეპისკოპოსი. როგორც ვარაუდობენ, პირველი მათგანი იყო მეფე ლაშა-გიორგის ღრმად მოხუცებული მოძღვარი, ეპისკოპოსი გიორგი, ხოლო ბოლო მღვდელმთავარი — ნიკოლოზი: „რომელსაცა მიუბოძა მღვდელმთავრობა მეფემან გიორგი და ესე იყო უკანასკნელი ხარჭაშნელი, გარდაცვლილი რუსეთისა მმართებლობასა. გარდა ამისა, მეფისა გიორგისა მეფობაში არვინ კურთხეულა ეპისკოპოსად, რადგან იყვნენ ყოველივე ცოცხალნი".

ხარჭიშოს წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესია უკანასკნელად 1749 წელს, ერეკლე II-ის მზრუნველობით შეკეთებულა.

ხარჭაშნელი მღვდელმთავრები (არასრული სია)

1. ეპისკოპოსი გიორგი	XIIIს.
2. ეპისკოპოსი კლიმენტი	1556-1560
3. ეპისკოპოსი ელისე	1562-1590
4. ეპისკოპოსი კლიმენტი	1599-1603
5. უცნობი ეპისკოპოსი (დაეცა მარაბდის ბრძოლაში)	1625
6. ეპისკოპოსი მათე	1650
7. ეპისკოპოსი გრიგოლი (ერისთავი)	1690-1701
8. ეპისკოპოსი პართენი	1701-1713
9. ეპისკოპოსი ფილიპე (ჩოლოყაშვილი)	1713-1722
10. ეპისკოპოსი ზოსიმე (ჩოლოყაშვილი)	1722-1752
11. მიტროპოლიტი იოსები	
12. (ჯანდიერი)	1764-1770
13. ეპისკოპოსი გრიგოლი (სეფაშვილი)	1783-1784
14. ეპისკოპოსი ვიქტორი	1784-1797
15. ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ჩოლოყაშვილი)	1798-1812

XIX ს-ის დასაწყისიდან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ კახეთში არსებული ეპარქიები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საეკლესიო ცხოვრება ერთ, კახეთ-ალავერდის, ეპარქიას დაექვემდებარა.

1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისას შეიქმნა 13 ეპარქია. ფშავ-ხევსურეთი და ერწო-თიანეთი თავდაპირველად ალავერდიის ეპარქიაში შედიოდა, ხოლო 1926 წლის 17 ნოემბრიდან იგი წილკნის ეპარქიას დაექვემდებარა.

2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრებაზე წილკნისა და ალავერდის ეპარქიათა ტერიტორიების საფუძველზე დაარსდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია. ეპარქიის ამგვარი სახელწოდება — „თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის" — არ გვხვდება საქართველოს საეკლესიო წარსულში, თუმცა იგი არსით საუკუნეთა წინათ გაუქმებული „ჟალეთის", შემდეგ კი ძველი „ხარჭაშოს" ეპარქიის განახლებას ნიშნავს (ხარჭაშოს ეპისკოპოსი „ხარჭაშნელად" იწოდებოდა).

წმინდა სინოდის განჩინებით, ახლად დაარსებული ეპარქიის მღვდელმთავარად კრებამ გამოარჩია სტეფანწმიდისა და ხევის ეპარქიის, აჩხოტის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იეგუდიელი (ტაბატაძე). 2005 წლის 27 ივნისს ეპისკოპოსი იეგუდიელი ბოლნისის ეპარქიაში გადაიყვანეს, ხოლო ბოლნელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი) — თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის კათედრაზე დაადგინეს.

2013 წლის 11 ოქტომბერს წმინდა სინოდის განჩინებით, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მმართველად შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მიქაელი (გაბრიჭიძე) დადგინდა, რომლის ეპისკოპოსად ქიროტონია 2013 წლის 20 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა.

გთავაზობთ ერთ საინტერესო ისტორიულ ცნობას, სადაც აღწერილია, თუ რა სულიერი მდგომარეობა იყო ზუსტად 200 წლის წინ თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში. დოკუმენტი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში.

„1819 წელს ნოემბრის 8 დღესა ფშავის ერთ მღუდელნი: მახარობელი ბურდული და მახარობელი წოწკორაული, კანცელარიასა შინა მათის მაღალყოვლადუსამღვდლოესობის საქართველოს ექსარხოსის და კავალერისასა კითხულ იქმნენ და აჩუენეს.

ფშაველნი არიან ერთისა ნათესავნი. სამფლობელო მათი განიყოფების ფშავის მდინარით, რომელიცა გამომდინარებს სოფლის უკანა ფშავთაგან და ერთვის არაგვსა სოფელს ჟინვანთან, ერთის საათის სავალზედ

თიანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგები და მოსწავლენი.
ცენტრში ზის — დეკანოზი გრიგოლ ჯინჭველაძე (შემდგომში — არქიმანდრიტი გიორგი). XXს. დასაწყისის ფოტო.

ანანურითგან ტფილისისაკენ.

ჰსცხოვრობენ ზამთრით მთაში, ზაფხულით სხვა და სხვათა ადგილთა შინა თელავის უეზდისათა, ხოლო უმეტეს ერწოს ხეობასა შინა რიცხვით არიან მაგალითებრ სამას კომლამდინ. ძველთაგან უპყრიესთ ქრისტიანებრი სარწმუნოება, ბერძენთ ქართულისა აღსარებისა და ყოველთავე იციან ქართული, ყოველნივე არიან თავისუფალნი. არა არს აზნაურობა მათ შორის. განეგებიან უფროს უფროსთა კაცთა მიერ, შუათგან მათთა აღრჩეულთა თანხმობითა მოურავისათა.

მათ აქვსთ მთაში თერთმეტნი სოფელნი, რომელნიცა არიან: უკანა ფშავი, წითელაური, ოხადა, გაბიდაური, მატურა, მუქო, წირჩო, გოგოლაური, ცაბაური, შუაფხო და ჩარგალი.

საზრდო აქვსთ ხვნა და თესვისაგან და პირუტყვთაგან, სახნავნი მიწანი აქვსთ მცირედ და ხვნენ უმეტეს ერწოს ხეობაში, პირუტყვ ჰყავსთ ფრიად საშუალად. არა აქუსთ ვენახნი. ოტკასა ხდიან ქერისასა და ხარშვენ ლუდსა.

მთაში აქუსთ ოთხნი ეკლესიანი და ოთხნი მღუდელნი ჰყვანან.

ეკლესია სოფელსა შინა ახადსა სახელსა ზედა ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის მიძინებისა, ქვისა ძუელი; სხვებრ მას შინ წირვა-ლოცვა არს დროებითად; არა არს მღუდელი მას შინა.

სოფელსა შინა მუქოს სახელსა ზედა ღვთისმშობლის მიძინებისასა ქვისა ძუელი; მაგრამ წირვა-ლოცვა აღსრულებულ იქმნების, მას შინა არს მღუდელი მახარებელი წინკორაული წლისა ოცდაათისა, ფშაველთ ნათესავი. მღუდლად ხელდასხმულ არს ყოვლად სამღვდელოს ნიკოლოს ხარჭაშნელ ეპისკოპოსისგან წინარე ათისა წლისა, კუთხევისა ღრამოტა არა აქვს, არ იცის წერა. მას ჰყავს შვილები: ივანე, ხუთისა წლისა და ბეჟან, სამისა წლისა (გარდ. 1858 წლის 14 ოქტომბერს — გ. მ.).

სოფელსა შინა შუაფხოს ეკლესია სახელსა ზედა წმინდის გიორგისა, ქვისა ძუელი, რომელსა შინა არს მღუდელი იოანე მამუკას ძე ხუცურაული წლისა ორმოცდარვისა; არს ნათესავით ფშაველი. ხელდასხმულ არს ყოვლადსამღვდელო ხარჭაშნელ ეპისკოპოსის ნიკოლოსის მიერ; შვილები არ ჰყავს; არ იცის წერა (გარდ. 1837 წლის 1 ივნისს — გ. მ.).

სოფელსა შინა ჩარგალს ეკლესია წმინდის გიორგისა ქვისა ძუელი; რომელსა შინა მსახურება წარმართებულ იქმნების. მას შინა არს მღუდელი დავით ბაშარაძე — არს განწესებულ ხევსურის ერისა შორის.

მეოთხე მღუდელი ჰსცხოვრობს სოფელსა შინა წირჩოს, რომესაცა შინა არა არს ეკლესია; მას ჰქვიან მახარებელი ბურდული, არის წლისა ორმოცისა; ხელდასხმულ არს ხარჭაშნელ ეპისკოპოსის ნიკოლაოზისაგან, წინარე თუთხმეტისა წლისა. შვილები არა ჰყავს.

მღუდელთა მათ არა ჰყავსთ მრევლნი განყოფილნი,

XIX ს-ის 60-70-იან წლებში ფშავში გადაღებული ფოტო. უცნობი მოძღვარი ფშაველებთან ერთად

საზრდო აქვსთ მიწითგან და ფრიად მცირედ სარგებლობენ მრევლთაგან.

ფშაველთა გულსმოდგინება აქუსთ მცირედ; იშვიათად მათგანნი იტყვიან აღსარებასა და ეზიარებიან; მარხვას ინახვენ წმიდათა ორმეოცთა დღეთა, მარიამობასა და შობისას ორსა კვირასა. გარდა ჰსჯულიერთა ცოლთა, რომელთამე ჰყავსთ არაჰსჯულიერნიცა. გაყრანი ცოლ-ქმრობისაგან იქმნებიან არაიშვიათად. და გაყრილთა მღუდელნი დააგვირგვინებენ სხვათა თანა.

სამღუდელონი წინარე იყვნენ დამოკიდებულნი სახარჭაშნელოს ეპარხიასა ზედა, განქარვებამდე მისსა; ხოლო შემდგომად მისსა არა იყვნენ არავისა ხელ ქვეშე. ხოშორას ადგილთან იმყოფება ერთი სალოცველი ადგილი, წოდებული (ლაშარი), რომლისადმიცა სრულიადსა ხალხსა ფშავისასა აქვს დიდის გულსმოდგინება და შევრდომებაი. ერთ ესე ძუელთაგან მყოფს მათ შორის ჩუელებისამებრ 29 დღესა ივნისისა თვითოეულისა წლისასა შეკრბების და ჰყოფს შეწირვასა მისდამი სანთლითა, საკმლითა, პირუტყვთა და სხვათა ვეცხლეულის ნივთებითა, ვითარნიცა შემოსავალნი შედიან განმგებლობასა შინა აღრცეულისა მათგან უფროსის კაცის სახელად წოდებულის ხახა ხევისბერისა, რომელსაცა აქვს ჯვარი დიდი მსგავსი დროშისა, წოდებული — ლაშარის ჯვრად და მით ხელმძღვანელობს ხალხსა, და თვით ერიცა ფრიად უსმენს და მორჩილებს მას. ესე ვითარი შეკრებილება ერისა განგრძელდების ორს დღეს და შემდგომად ამისა უკმოიქცევიან სახლთა შინა.

მრევლის მღუდელნი ზემორე თქმულთა შემოსავალთაგან არა მიიღებენ არარაიმესა და თვით იქმნებიან მხოლოდ მაყურებელად; მსახურება არავითარიმე იქმნების, ე. ი. კითხვა წიგნისა და გალობა; ხოლო ხახა ხევისბერი დგას დროშითურთ და ილოცავს ხალხსა თანა. ლოცვა იქმნების დილით და საღამოთი, პირჯვრისწერითა და მუხლის მოყრითა. ნაშენობა ტაძრისა არს ქვისა დაწყობილი ფილაქნის ქვით უკიროდ. გარეთგან არის მსგავსი სახლისა, დახურვილი არის მითვე ფილაქნის ქვითა, უთაღოდ. სიდიდით არის მცირე, რომ დაეტევა ოცდახუთი კაცი; ზარი არის მომცრო, შიგნითგან არა არს არავითარიმე შემკულება და არცა ხატი. დიდი ხანია რაც არის აშენებული და როგორც ამბობენ, იქმნება ათასის წლისა".

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №430; №4964; №17788.

ლიტ: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. II, გვ. 94; ტ. IV, გვ. 672; იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" გვ. 130, თბ. 1978წ.; მაჩურიშვილი გ. „ალავერდის ეპარქია 1917-2007წწ". გვ. 29. თბ. 2009წ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 2 32 48 66; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვება გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ბით გახდა შესაძლებელი. იგი პირადად შუამდგომლობდა მუსლიმი მუფთის ვიზიტს კვირპოსის ხელისუფლებასთან.

იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებს შორის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია

ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა კვლავ წამოჭრა კატარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი იურისდიქციის საკითხი. ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა იოანე X-მ მოუწოდა იერუსალიმის ეკლესიას, ორი თვის განმავლობაში გადადგას ქმედითი ნაბიჯი აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანტიოქიის ეკლესია შეწყვეტს მასთან ურთიერთობას.

ორივე ეკლესია მიიჩნევს, რომ კატარის ტერიტორიაზე მათი იურისდიქცია ვრცელდება. აღნიშნული კონფლიქტი მას შემდეგ გამწვავდა, რაც იერუსლიმის პატრიარქმა კატარში თავისი მიტროპოლიტი დანიშნა. პრობლემის მოგვარებას ვერც კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოს I-ისა და საბერძნეთის ხელისუფლების შუამდგომლობამ უშველა.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

არქიმანდრიტი გერასიმე (გაბუნია)

არქიმანდრიტი გერასიმე, ერისკაცობაში — გიორგი გაბუნია, 1852 წელს ქუთაისის გუბერნიაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტრებში ისწავლა, ხოლო რუსულ ენაზე მსახურება აფხაზეთში — ახალი ათონის მონასტერში. 1879 წლის 15 მაისს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტრის მორჩილად განამწესეს. 1880 წლის 13 ივნისს ახალი ათონის მონასტერში გადაიყვანეს. 1881 წლის 6 მარტს ისევ ფერისცვალების მონასტერში დაინიშნა. 1881 წლის 15 ივნისს დავით გარეჯის მონასტრის უშტატო მორჩილად გადაიყვანეს და ამავე წლის 28 სექტემბერს სასულიერო უწყებაში მიიღეს. 1881 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ფერისცვალების სახელობის მონასტერში არქიმანდრიტმა კესარიოსმა (ჩეკურიშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად გერასიმე უწოდა. ამავე წლის 1 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ (რუდნევი) დიაკვნად აკურთხა და დავით გარეჯის მონასტერში მორჩილის შტატში განამწესეს. 1882 წლის 29 აგვისტოს ვლადიკავკაზის ეპისკოპოსმა იოსებმა (ჩეპიგოვი) მღვდლად დაასხა ხელი. ამავე წლის 21 დეკემბერს ბერდიაკვნის შტატში დაინიშნა. 1883 წლის 26 იანვარს მღვდელ-მონაზვნის შტატში დაამტკიცეს. ამავე წლის 2 აპრილს ხაზინადრად დაინიშნა. 1893 წელს მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ გრიგოლის (დადიანი) ლოცვა-კურთხევით, მამა გერასიმემ იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და მონასტრის სასარგებლოდ შეაგროვა 620 მან. და 48 კაპ. და 18 ივნისს ტაძრის კეთილმოწყობისთვის შესწირა. ამ დამსახურების გამო, 1884 წლის 8 იანვარს იგი საგვერდულით დააჯილდოვეს. 1884 წლის 5 მარტს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს და ბერდიაკვნის შტატში დაინიშნა. 1886 წლის 3 თებერვალს შიომღვიმის მონასტერში გადაიყვანეს. 1886 წლის 6 დეკემბრიდან ეგზარქოსების წმინდა ჯვრის სახელობის კარის ეკლესიაში განამწესეს. 1887 წელს მარტყოფში,



ზედაზნის მონასტერი
ფოტო გადაღებულია XXს. დასაწყისში

ეგზარქოსების რეზიდენციის წმინდა ანტონ მარტყოფელის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს და ხაზინადრობა ჩააბარეს. 1890 წელს წმინდა სინოდმა მადლობა გამოუცხადა. 1891 წლის 25 აპრილს მამა გერასიმეს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1894 წლის ივნისში გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. აქ მოღვაწეობის პერიოდში მღვდელ-მონაზონმა გერასიმემ მონასტრის კუთვნილ ხელნაწერ წიგნებზე რამდენიმე წარწერა გააკეთა:

XIX საუკუნეში მღვდელ-მონაზონ იოანეს მიერ გადაწერილ „მარგალიტზე“ არის მისი მინაწერი: **„ღმერთო, მოიხსენე ამ მამა იოვანეს უჩენიკი, აწ მღვდელ-მონაზონი გერასიმე გაბუნია, რამეთუ გულმოდგინეთ გარდაკითხულ იქმნა ეს წმიდა წერილი ჩემ მიერა. 1896 წლის 3 იანვარი“.**

XVI-XVIII საუკუნის კრებულზე მინაწერი: **„1895 წ. თვესა მარტსა, 5 დღესა მე, ცოდვილმან და ფრიად საწყალობელმანა ხუცეს-მონაზონმანა გერასიმემ, გვარათ გაბუნიამა, იმერეთისამან, ამა წმინდა მონასტერსა შინა აღზრდილმანა, გარდავიკითხე ესე წმინდა ცხოვრება ქალწულთა მონამეთა. მათითა მეოხებითა შემიწყალე, ტკბილო მაცხოვარო ჩემო იესო, და ახოცე მრავალი ცოდვა ჩემთა ხელით წერილი და შემიწყალე ხუცეს-მონაზონი გერასიმე“.**

არქიმანდრიტი გერასიმე

მაქსიმე აღმსარებელის კრებული XVIII საუკუნე — **„ღმერთო, შაიწყალე მდაბალი მღვდელ-მონაზონი გერასიმე გაბუნია, რამეთუ სრულიად გარდავიკითხე სასოებითა 1895 წ.“**

1897 წლის 25 სექტემბერს ნათლისმცემლის მონასტრის ხაზინადრად აირჩიეს. 1899 წლის 30 მარტს თბილისის ფერისცვალების მონასტერში გადაიყვანეს და იმავე წლის 29 ივნისს მონასტრის ეკონომოსად დაინიშნა. 1899 წელს წმინდა სინოდმა მადლობა გამოუცხადა. 1900 წლის 6 ივნისს ზედაზნის წმინდა იოანე ზედაზნელისა და მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მონასტრების წინამძღვრად დაინიშნა.

ზედაზნის მონასტერში ასულ მღვდელ-მონაზონ გერასიმეს მძიმე მდგომარეობა დახვდა. სავანეს ყურადღება და მზრუნველობა მოკლებოდა. სამონასტრო ცხოვრების ასაღორძინებლად და გამოსაცოცხლებლად მონასტერში მნიშვნელოვანი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. მამა გერასიმე ენერგიულად შეუდგა საქმიანობას. მისი შრომისმოყვარეობითა და მუყაითობით გაპარტახებული სავანე მალე დაადგა აღმავლობის გზას. გაჩაღდა აღმშენებლობითი მუშაობა. მღვდელ-მონაზონმა გერასიმემ 1900 წელს საგანგებო განცხადებაც კი გააკეთა გაზეთ „ივერიაში“, სადაც ის დახმარებასა და შეწევნას სთხოვდა ქართულ საზოგადოებას:

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“.

ღვთისმოყვარენო ქველისმოქმედნო! მშვიდობა თქვენდა უფლისა მიერ და ცხოვნება!

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის ბრძანებისა და მისის მაღალყოვლადუსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს კურთხევის თანახმად, მე, უმდაბლესი და უღირსი მონა ქრისტესი, დანიშნულ ვიქმენ ყოველესისა და უღარიბესის წმ. იოანე ზედაზნელის მონასტრის წინამძღვრად. მონასტერი ესე იმყოფება 17 ვერსტის მანძილზედ ქ. ტფილისიდამ და 8 ვერსტით ს. მცხეთიდამ. ამ მონასტრის აღშენებაში წმ. ი. ზედაზნელსა ჰშველოდნენ 12 მისნი მოწაფენი. ეს მოხდა ქართველთა მეფის ფარსმან VI და კათოლიკოზის ევლავიოსის დროს VI ს-ის ნახევარში. ამ მონასტერს ხშირად დაეცემოდნენ ხოლმე სპარსელები და მიწასთან ასწორებდნენ. უკანასკნელ დროს მთელი 500 წელიწადი გაოხრებული იყო. მაგრამ ზოგიერთთა ქველმოქმედთა და კეთილისმყოფელთა შუამდგომლობითა და შრომით მაღალყოვლადუსამღვდელოესის პავლეს დროს, როდესაც იგი საქართველოში ექსარხოსობდა, ამ მონასტერს კვლავ სიცოცხლის ნიშნები დაეტყო, მაგრამ ფრიად დაძაბუნებულმა, ძირეულად შერყეულმა და მინგრეულ-მონგრეულმა, სრულიად ვერ შეძლო წელში გასწორება. ქონებრივად შეუძლებლობისა გამო ჯერ კარგა მანძილზედა ჰშორავს ის დრო, როდესაც წმ. იოანე ზედაზნელის მონასტერს უწინდელებრ აღყვავებულსა და სასურველ მდგომარეობაში დავინახავთ...

დღეს ჩვენი მონასტერი უბედურს მდგომარეობაშია და ამიტომ უმდაბლესად ევედრება შემწეობას წმ. ეკლესიის მოყვარეთა და გულშემატკივართა.

ღვთივსაყვარელნო ქველმოქმედნო! უმორჩილესად მოგმართავთ და გევედრებით, მოაქციოთ ყოვლადმოწყალე ყურადღება ჩვენს უბადრუკს მონასტერს. გულთამხილავი ზეციერი გამჩენი თავისს სასუფეველში მოგაქცევთ ყურადღებას — სიტყვისაებრ თვისისა: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“. თქვენგნით შემოწირულებას ისე მიიღებს უფალი, როგორც უმანკო მსხვერპლსა. ჩვენც, ძმანი წმიდისა ამის ადგილისა, უღრმესად მადლობელნი დაგრჩებით. შემოწირულება და დახმარება ყოველმხრივ საჭიროა ჩვენის მონასტრისათვის: სამწირველო ეკლესიას სრულიად არა აქვს რა ნივთები, სამოსელი, ფული თუ სხვ. ამასთან, ყოვლად შეუძლებელი ხდება არ გავაახლოთ შიგნით და გარეთ წმ. იოანე წინამორბედის სახელობაზედ აშენებული საკრებულო ტაძარი, რომელშიაც კანკელი — ხატებითურთ ხელახლა დასაცვლელია. შესაკეთებელია სამრეკლო. ზარიც კი არა გვაქვს.

წმ. იოანე ზედაზნელის მონასტერზედ მიწერილია წმ. პატიოსნისა და ცხოველმყოფელის ჯვრის სახელობაზედ აღშენებული მონასტერი, რომელიც პირველსა ჰშორავს 5 ვერსტით. წმ. ჯვრის მონასტერი ქართველთა მეფე მირიანმა აღაშენა მეოთხე საუკუნეში. ამ მონასტერში დღესაც იმყოფება სასწაულთმომქმედი ჯვარი, რომელიც წმ. ნინომ დაასვენა იქ. ეს მონასტერიც ძრიელ ჰსაჭიროებს კეთილისმყოფელთა დახმარებას. ჩვენს მონასტრებს, საზოგადოდ, ძლიერ ცოტა მოეპოვებათ ამისთანა საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი წყაროები. თუ მოგვეშველებით ამისთანა უკიდურესს მდგომარეობაში, ისევ თქვენ, კეთილმორწმუნენო ძმანო, ქრისტიანენო-ქველმოქმედნო!

დავშთებით უმდაბლესად, მლოცველნი თქვენთვის და სრულიად საქრისტეანესათვის უღირსნი მონანი ქრისტესნი.

წინამძღვარი წმ. იოანე ზედაზნელისა და წმ. ჯვრის მონასტერთა მღვდელ-მონაზონი გერასიმე და ძმანი ამა მონასტრებისანი“.

მარცხნიდან სხედან: წითელმთის ეკლესიის მღვდელი დიომიდე შილაკაძე, არქიმანდრიტი გერასიმე (გაგუნია) და მღვდელ-მონაზონი გიორგი (მოლარიშვილი) შემოქმედის მონასტერთან არსებული სკოლის მონაფეებთან ერთად. 1906წ. ფოტო

1902 წლის 2 ივნისს მამა გერასიმეს იღუმენის წოდება მიენიჭა და ენქერით დაჯილდოვდა. ამავე წლიდან იღუმენ გერასიმეს დაევალა დროდადრო წირვა-ლოცვის ჩატარება ეგზარქოსების წმინდა ჯვრის სახელობის კარის ეკლესიაში. 1903 წლის 9 სექტემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ იღუმენ გერასიმეს მზრუნველობას მოკლებულ ყრუ-მუნჯ ბავშვებზე ყურადღების გამოჩენისთვის მადლობა გამოუცხადა და ამავე წელს გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა. 1904 წლის 14 ოქტომბერს წითელი ჯვრის საზოგადოების სამახსოვრო ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. ამასთანავე, წმინდა სინოდმა წმინდა ნინოს IV ხარისხის ორდენითა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III სამახსოვრო მედლით დააჯილდოვა. 1905 წლის 6 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი უბოძეს. 1906 წლის 13 ოქტომბერს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანეს და შემოქმედის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამავე წლის 29 ოქტომბერს იღუმენ გერასიმეს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1907 წლის 14 აპრილს ოზურგეთის მაზრაში არსებული მონასტრების მთავარხუცესად აირჩიეს. 1907 წლის 27 სექტემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) შემოქმედის მონასტერში ჩატარებული სამშენებლო სამუშაობის კეთილად დასრულებისათვის მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1909 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1910 წლის 13 სექტემბერს ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, სადაც ამავე წლის 16 დეკემბრიდან მოვალეობის შესრულებას შეუდგა. 1912 წლის 11 დეკემბრიდან არქიმანდრიტი გერასიმე პენსიაზე გავიდა. 1913 წლის 11 იანვრიდან გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის საძმოში განამწესეს. 1918 წელს ბერ გობრონის (წკრიალაშვილი, შემდგომში — წილკნელი ეპისკოპოსი) პირად მოსახსენებელში არქიმანდრიტი გერასიმე ცოცხალთა შორის მოიხსენიება. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №49305, საქმე №57648; საქმე №56337; მონასტრების ფ. 500, აღწერა 4, თბილისის ფერისცვალების მონასტერი, საქმე №16; გაზეთი „ივერია“ 1900წ.

ქართული კულტურის ძეგლები ქალდია-გიუმეშხანეში

ქალდია-გიუმეშხანეში წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციის (7-11 ოქტომბერი) შედეგად დადგინდა უძველესი ქალდეურ-ჭანური ციხეების ლოკალიზაცია და აქ არსებულ ტაძარში მიკვლეულ იქნა ქართული წარწერის კვალი.

ტაძარი ჭანიკაც ციხეში

ჭანეთის აღწერისას ("გეორგიკაში"ტ.2) პროკოფი კესარიელი წერს, რომ ჭანეთის შესასვლელში არის ძველად ნაშენი ციხე სახელად ხარტონი. სქოლიოში ს. ყაუხჩიშვილი ამ ტოპონიმს კითხულობს, როგორც - ქარტონი. იქვე მოცემულ ნ. მარის განმარტებით "ონი" ჭანური სუფიქსია. მაშასადამე ტოპონიმის ძირად რჩება ტერმინი "ქარტ", რაც იდენტურია ტერმინ "ქართის". ამდენად ქალდიის (გიუმეშხანეს) უძველეს და ცენტრალურ ციხედ "ქართი-ციხის" არსებობა, *(რომელიც პროკოფი კესარიელის მოწმობით იუნისტინიანდელ ანუ ანტიკურ პერიოდს უკავშირდება)* კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს ეთნონიმ "ქართის" ჭანურ-ქალდეური წარმოშობის შესახებ.

ქვემოთ, ჭანეთის აღწერილობაში, პროკოფი კესარიელი იუსტინიანეს მიერ აშენებული ახალი ციხეების გვერდით ჩამოთვლის ძველ ციხეებს: სქამალირიხონს, სისილონს და ჯანზაკონს. ამ უკანასკნელს ს. ყაუხჩიშვილი კითხულობს როგორც ჭანჭაკონს და ბრძანებს, რომ მისი ლოკალიზაციის განსაზღვრა შემდგომი კვლევების საგანიაო.

ჩვენს დიდ მეცნიერებს, კომუნისტურ პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო არ ჰქონდათ საშუალება ამ რეგიონის შესწავლისა. ხოლო უცხოელ ბიზანტინისტებს, რომელთაც კარგად ჰქონდათ პონტოს რეგიონი შესწავლილი ხელი არ მიუწვდებოდათ ქართულ წყაროებზე

ქართული წარწერის ფრაგმენტი ტაძრის შიდა თაღზე

და, ალბათ, ამიტომაც მათი დასკვნები არაობიექტურ და ტენდენციურ ხასიათს ატარებდა. ჩვენ შევეცადეთ მცირედი, ახალი ინფორმაციით შეგვევსო ის ვაკუუმი, რომელიც ამ უძველესი ქართული კუთხის მიმართ არსებობს ჩვენს საზოგადოებაში.

„ჭანჭაკონის" ციხე სხვა არაფერია თუ არა დღევანდელი ესკი (ძველ) გიუმეშხანეში მდებარე ანტიკური ციხე "ჭანიკა", რომელსაც თავის ნაშრომში დაწვრილებით აღწერს ცნობილი ბიზანტინისტი ა. ბრაიერი. სამწუხაროდ მის ავტორიტეტულ გამოცემაში სრულიად გაურკველად არის წარმოჩენილი აქ მოსახლე ქალდეველების და ჭანების ეთნიკური წარმომვალობა. მაშინ როდესაც ჩვენი სასიქადულო მეცნიერები გარკვევით წერენ, რომ "ქალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენენ. რიგი ძველი სომხური წყაროები მოწმობენ, რომ ქალდები იგივე ჭანებია. ხალიბ-ხალდებს ანტიკურ ხანაში ჯერ კიდევ მოსდგავდა ისეთი ეროვნულ-კულტურული თვისებანი რომელნიც უაღრესად მჭიდროდ ანათესავებენ მათ ურარტუსთან". *(ივ. ჯავახიშვილი,... ისტორიის სახელმძღვანელო, 1948 წ.)*

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიცია მიზნად ისახავდა ქართველი ისტორიკოსების თეორიული ნააზრევისა და ევროპელი მეცნიერების პრაქტიკული კვლევების შეჯერებას. სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში მიკვლეულ იქნა ანტიკური პერიოდის ქართული ციხეები და ადრეული პერიოდის ქართული ეკლესიის ნაშთები, რითიც დადასტურდა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის ცნობა აღნიშნული რეგიონის შესახებ. თავისი მოგზაურობის აღწერისას იგი მოგვითხრობს: „მივიწიენით ქალდიას აწ უხმობენ გუმიშხანას... და მიერითგან განვიხილენით ეკლესიანი და იყო აღშენებული ქართველთაგან. და ვიკითხავდი რა, იგინი მეტყოდენ, ვითარმედ: ... გუმიშხანა საქართველოსა მეფეთი არისო, რამეთუ ვერცხლი გამოსავალი აქაური საქართველოთი ყოფილაო."

გიორგი ანდრიაძე
სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი
თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 2 32 48 66; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვება გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

კოალიცია ურჩევს საზოგადოებას, ქორწინების ცნებაზე საუბრისას პატივი სცენ როგორც მოსწავლეთა მშობლებს, ასევე სკოლის თანამშრომლებს. მასწავლებლებს, რომლებიც არ აპირებენ ისაუბრონ „ერთსქესიან ოჯახებზე" მოსწავლეებთან, დისკრიმინაციის შემთხვევაში კოალიცია ურჩევს, საკუთრი შრომის უფლება სასამართლოში დაიცვა.

მშობლებმა, თავის მხრივ, უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა, მათი შვილები ესწრებოდნენ იმ გაკვეთილებს, სადაც საუბარია მსგავს ქორწინებებზე.

კოალიცია ასევე აღნიშნავს, რომ საეკლესიო სკოლებს ოფიციალურად აქვთ უფლება ქორწინებასა და ოჯახზე საკუთარი შეხედულებების მიხედვით ისაუბრონ.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

„მწყემსი გონიერთა ცხოვართა"

მღვდელი ნიკოლოზ ციბაძე

1835-1903

მღვდელი ნიკოლოზ იესეს ძე ციბაძე 1835 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ფარცხანაყანევში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა. ოჯახს მატერიალურად უჭირდა, რის გამოც პატარა ნიკოლოზი სასწავლებელში ვერ მიაბარეს. იგი მამის ოჯახში ცხოვრობდა და მშობლებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ეხმარებოდა. ხანდახან მინდორში ცხვრებსა და ძროხებს მწყემსავდა. შემდგომში იგი ხშირად იხსენებდა, რომ სწორედ მწყემსობის პერიოდში დაებადა აზრი, გამხდარიყო **„მწყემსად გონიერთა ცხოვართა"**. მართლაც, ოცდაორი წლის ასაკში, მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობის, ნიკოლოზმა დატოვა ოჯახი და ადგილობრივ მღვდელთან მივიდა, რომელთანაც მოჯამაგირედ მსახურება იმ პირობით დაიწყო, რომ მოძღვარი მას წერა-კითხვას ასწავლიდა და საეკლესიო მსახურებისთვის მოამზადებდა. მშობლებმა ნიკოლოზი არ მოასვენეს, ხშირად აკითხავდნენ და სახლში დაბრუნებას სთხოვდნენ. ამის გამო მან მშობლიური სოფელი დატოვა და გელათის მონასტერში მივიდა, სადაც დიდი მონდომებითა და სიყვარულით დაეწაფა სწავლას. რამდენიმე წელმა განვლო შრომასა და მორჩილებაში. მონასტრის ბერებმა გულით შეიყვარეს ახალგაზრდა და მონადინებული მორჩილი, რომელიც ყველა დავალებასა და მორჩილებას დაუზარლად ასრულებდა. სამწუხაროდ, მშობლებმა აქაც არ მოასვენეს სწავლას მოწყურებული შვილი, რის შემდეგაც ნიკოლოზი იძულებული გახდა, საერთოდ წასულიყო დასავლეთ საქართველოდან. იგი ქართლ-კახეთის ეპარქიაში გადავიდა და სხვადასხვა მოძღვრებთან რამდენიმეწლიანი მომზადების შემდეგ ზედმიწევნით განისწავლა სასულიერო საგნებში.

როდესაც ნიკოლოზმა თავი მომზადებულად ჩათვალა, მან თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოს ევსევის (ილინსკი), სადმე თავისუფალი მედავითნის ადგილზე დაენიშნათ. ეგზარქოსის ლოცვა-კურთხევით, ნიკოლოზი ანანურისა და ფასანაურის სამრევლოებში განამწესეს. იწვნია რა თავის თავზე გაჭირვება და უსახსრობა, მან მიზნად დაისახა, აღეზარდა პატარა ბავშვები და მათთვის განათლება მიეცა. ნიკოლოზმა ეკლესიასთან გახსნა სკოლა, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდა პატარებს წერა-კითხვას, ლოცვებს, საღმრთო ისტორიას. უმაღლეს საეკლესიო მმართველობას მისი ერთგული სამსახური უყურადღებოდ არ დარჩენია. 1867 წელს ეგზარქოსმა ევსევიმ ნიკოლოზი დიაკვნად აკურთხა და ხევში, სოფელ სტეფანწმინდის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში განამწესა. დიაკონმა ნიკოლოზმა სტეფანწმინდაშიც გახსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა და დაუზარლად და უსასყიდლოდ ამეცადინებდა ბავშვებს. აი, რას წერდა 1880 წელს გაზეთი

სტეფანწმინდის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

„დროება“ მისი მოღვაწეობის შესახებ: **„სტეფანწმინდის საზოგადოებაში იპოება ორმოციოდე მოსახლე, რომელთაც იციან წერა-კითხვა. ამათთვისაც უსწავლებია ერთს უბრალო მთავარდიაკონს, რომელსაც შინაურულად მოუკიდნია ხელი ამ კეთილი საქმისათვის 1867 წელს. ამ წელს დაუნიშნავთ სტეფანწმინდაში მიხაილ მთავარანგელოზის ეკლესიაში მთავარდიაკვნად ნიკოლოზ ციბაძე, რომელმაც თავი გამოიჩინა საკვირველის ნიჭიერებით ბავშვების სწავლებაში. ამ პატიოსანმა პირმა შესანიშნავის ზრუნვით და მეცადინეობით მიიზიდა აქაური გლეხის შვილები და შეძლებისამებრ ცდილობდა იმათ აღზრდას. მაგრამ ბოლოს ის მსხვერპლი გახდა უსვინდისო პირების მოქმედებისა: რაღაცა მიზეზებით სოფელმა მისცა საჩივარი, ზოგიერთი პირების ჩაგონებით ამ ციბაძეზე, და ეს სასარგებლო პირი გადაიყვანეს ხევიდგან და ამდენი ბავშვები მოაკლეს ამისთანა ბეჯით მასწავლებელს“.**

მღვდელი
ნიკოლოზ ციბაძე

XIX საუკუნის 70-იან წლებში დიაკონი ნიკოლოზი იმერეთის ეპარქიაში დაბრუნდა და ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ლოცვა-კურთხევით გეგუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დაინიშნა. 1882 წელს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მღვდლად დაასხა ხელი და ბაში-ეწერის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა.

მღვდელი ნიკოლოზი იყო სამაგალითო მლოცველი და მშრომელი მოძღვარი, გაჭირვებულთა გულშემატკივარი და შემწეობის აღმომჩენი. მიუხედავად იმისა, რომ სემინარიაში არ ჰქონდა მიღებული განათლება, თითქმის ყოველი წირვის შემდეგ შესაფერისი ქადაგებით მიმართავდა მრევლს. მისი წარმოთქმული სიტყვა ადვილი გასაგები იყო უბრალო ადამიანებისთვის. საეკლესიო მსახურების შემდეგ მამა ნიკოლოზი დაუზარლად მუშაობდა თავის მამულში. ამუშავებდა ყანას, ვენახს, ბაღს, ტყიდან თავად მოჰქონდა შეშა და ამით შრომის სიყვარულის ცოცხალ მაგალითს აძლევდა მრევლს. იგი ასე მიმართავდა ხალხს: **„უშრომელად ცხოვრება სირცხვილი და თანაც ცოდვა არის; ღმერთმა გვიბრძანა პატიოსნად ვიშრომოთ და მას კი ვეევედროთო ლოცვითო და სხვ...“**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამა ნიკოლოზს სულითა და გულით უყვარდა ბავშვებთან ურთიერთობა. ეკლესიის გალავანში არსებულ თავის სენაკში იგი ხშირად შეკრებდა ხოლმე სოფლის პატარებს და ასწავლიდა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას, ლოცვებს, შემოკლებულ კატეხიზმოს, საზოგადოდ — ქრისტიანული ცხოვრების ანბანს.

განსაკუთრებით უყვარდა მოძღვარს საეკლესიო მსახურება და წირვა-ლოცვა. იგი ყოველ დილა-საღამოს, სადილ-ვახშმობის დაწყებამდე ხანგრძლივად და სასოებით ლოცულობდა. თითქმის ყოველ ალიონზე ასრულებდა სრულად ცისკრის ლოცვებს. მის საყვარელ ლოცვებს შეადგენდა საღმრთო წერილიდან ამორჩეულ-ამოკრებილი სიტყვები: **„შეგიყვარო შენ, უფალო, ღმერთო ჩემო“, „უფალო, დამამტკიცებელო ჩემო და შესავედრებელო ჩემო“.** იგი მტკიცედ იდგა სარწმუნეობაზე და შეუდრეკელად იცავდა ეკლესიის ავტორიტეტს. მოძღვარი გვერდით ედგა ყოველ კეთილ წამოწყებას, იქნებოდა ეს სკოლების გახსნა, ეკლესია-მონასტერთა აშენება-რესტავრაცია, გზების შეკეთება და სხვ.

არ უყვარდა პირში მომფერებელი და ფარისეველი ადამიანები და მათ მაშინვე ამხელდა ცუდ მიდრეკილებებზე. საეკლესიო ჯილდოებზე მამა ნიკოლოზს თავისი შეხედულება ჰქონდა. იგი თვლიდა, რომ: **„ჯილდო“ მისებურად „სვინდისი“, ყოველ ადამიანს ღვთისაგან ეძლევა და ვინც მას უმანკოდ შეინახავს და გონივრულად გაუძღვება, ის არის ნამდვილი ადამიანი“.** მოძღვარი ცდილობდა სარწმუნოება, შრომა და ცხოვრება ერთმანეთთან დაეკავშირებინა. თავისი გულწრფელი ხასიათითა და მოღვაწეობით მან სამღვდელოებასა და მრევლში დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა.

წლების განმავლობაში დაუზარელმა შრომამ, ასკეტურად ცხოვრებამ და მოღვაწეობამ გამოფიტა მისი სხეული. 68 წლის ასაკში, 1903 წლის შობის მარხვაში მოძღვარი მძიმედ დასნეულდა. ორი კვირა ებრძოდა სიკვდილს და ამ ხნის განმავლობაში ერთი აუგი არ დასცდენია პირიდან. გამუდმებით ლოცულობდა და უფალს სამშობლოს კეთილდღეობასა და ცოდვათა მიტევებას ევედრებოდა. ვალმოხდილი აღესრულა 1903 წლის დეკემბერში.

მღვდელ ნიკოლოზის დაკრძალვაზე მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), თავისი კრებულით და პატივი მიაგო განსვენებული მოძღვრის ხსოვნას. მან ჯერ ოჯახში გადაიხადა პანაშვიდი, ანუგეშა მამა ნიკოლოზის ქალ-ვაჟი და დიდი სიყვარულით გაიხსენა მისი ერთგული და თავდადებული სამსახური დედაეკლესიის წინაშე. ამის შემდეგ ეკლესიაში აღასრულა წირვა და წესის აგებაც მეუფე ლეონიდემ თავად შეასრულა ურიცხვი სამღვდელოების თანამწირველობით. გულდამწვარმა მრევლმა მამა ნიკოლოზის ცხედარი დიდი მოკრძალებით მიაბარა მიწას.

საუკუნოდ იყოს ხსენება ნეტარხსენებული და პატიოსანი მოძღვრისა ნიკოლოზ ციბაძისა, ამინ.

წყარო: გაზეთი „დროება“ 1880წ. 14, გვ. 2; ჟურნალი „მწყემსი“ 1904წ. 2, გვ. 3-5.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქუთაისი 2008წ. გვ. 48.

უცხოეთის ქრონიკა

სერბეთი და კოსოვო განუყოფელია

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა ირინეოსმა კვლავ აღნიშნა, რომ სერბეთი არ უნდა განცალკევდეს კოსოვოსაგან. პატრიარქის აზრით, თუ გამოყოფა ევროპაში შესვლის სანაცვლოდ მოხდება, მაშინ სერბეთს ურჩევნია ევროპის გარეშე დარჩეს.

„თუ ევროპაში შესვლის საფასური კოსოვოს მოწყვეტაა, მაშინ ჩვენ „მადლობელნი ვართ" ევროპის. უმჯობესია მარტო დავრჩეთ ევროპის გარეშე, ვიდრე კოსოვოს გარეშე ვიარსებოთ", — განაცხადა პატრიარქმა ირინეოსმა საპატრიარქო რეზიდენციაში პანევროპული კონფერენციის მასპინძლობისას. აღნიშნული ღონისძიება ადამიანის უფლებებისა და რელიგიური თავისუფლების დაცვას მიეძღვნა.

პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა ნახოს გამოსავალი და უზრუნველყოს სერბი დევნილების შესაძლო დაბრუნება კოსოვოსა და მეტოქიაში.

სირიაში ქრისტიანული ტაძარი გაანადგურეს

ალეპოდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებულით მდებარე წმინდა სვიმეონ მესვეტის სახელობის ტაძარი სირიელი ისლამისტების მორიგი სამიზნე გახდა. 5 ნოემბერს ოპოზიციის ძალებმა აიღეს მონასტერი, რომელიც მსოფლიო ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უძველეს ტაძრად ითვლება.

სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში საომარი კონფლიქტის დაწყების დღიდან 40-ზე მეტი მუზეუმი და 10 ათასზე მეტი ძეგლი განადგურდა.

წმინდა სვიმეონ მესვეტის (კალატ-სამანი) მონასტერი მეხუთე საუკუნის ბოლოს წმინდა სვიმეონ და წმინდა დანიელ მესვეტეების ინიციატივით აიგო. მშენებლობა იმპერატორ ზენონის (474-491 წწ.) დროს დაიწყო და 476 წლიდან 490 წლამდე მიმდინარეობდა. თავდაპირველად მთის მწვერვალზე აღმართეს სამლოცველო, საყოფაცხოვრებო სათავსოები და მოსასვენებელი. სამლოცველო აგებულია წმინდანთა მოღვაწეობის ადგილას, სადაც მათ მესვეტეობის 47 წლიდან 33 წელი გაატარეს.

ტრაპზონის აია სოფია კვლავ მუზეუმად რჩება

როგორც საინფორმაციო სააგენტო Fides-ი იუწყება, ტრაპზონის ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარყოფითი განაჩენი გამოიტანა წმინდა სოფიას ტაძრის მუზეუმად გადაკეთების საჩივართან დაკავშირებით და არ დააკმაყოფილა მისი მეჩეთად ქცევის თხოვნა. ადმინისტრაციული სასამართლოს მოულოდნელი გადაწყვეტილება აფერხებს ადგილობრივი ხელისუფლების პროექტის განხორციელებას, რომელიც ტაძრის სტრუქტურის ერთგვარი ცვლილებისკენ — შენობის ისლამური კულტურის ნაწილად ქცევისკენაა მიმართული.

მიმდინარე წლის აპრილში ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ ტრაპზონის მუზეუმის შენობა — XIII საუკუნის ბიზანტიური კულტურის ძეგლი, წმინდა სოფიას ტაძარი, რომელიც 1461 წლიდან მეჩეთად იყო ქცეული სულთან მეჰმედ II-ის მიერ, ხოლო მუზეუმად 1961 წელს გადააკეთეს, თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ისლამური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად გამოაცხადეს და მეჰმედ სულთანის სახელი უწოდეს. ამასთან დაკავშირებით მეჰმედის ფონდის რეგიონულმა დირექტორმა განაცხადა, რომ „მეჩეთად აღიარებული ტაძარი არ შეიძლება სხვა მიზნებისათვის გამოიყენონ".

შენობა, რომელიც ადრე არსენალის შესანახ საწყობად და საავადმყოფოდ გამოიყენებოდა, 1958-1962 წწ.-ში აღადგინეს ედინბურგის უნივერსიტეტის ექსპერტების დახმარებით. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, იგი კვლავ რჩება გვიან-ბიზანტიური ეპოქის ქრისტიანული ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშად. ტაძრის მთავარი საგანძურია მის გუმბათზე გამოსახული ქრისტე პანტოკრატორის ფრესკა.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი გიორგი მაჭავარიანი 1872-1944

დეკანოზი გიორგი ილიას ძე მაჭავარიანი 1872 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ მელაანში მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1884-1888 წლებში იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1888 წელს ოცდაორი წლის ყმაწვილმა ახლადგახსნილ ზედაზნის მონასტერს მიაშურა, სადაც ერთ წელზე მეტი დაჰყო. იმჟამად მონასტრის აღდგენა მიმდინარეობდა და ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე გიორგის მისვლით დიდად გაიხარა სავანის წინამძღვარმა, მღვდელ-მონაზონმა ათანასემ (ზურაბაშვილი). მამა ათანასეც წარმოშობით სიღნაღის მაზრიდან იყო და განსაკუთრებული სითბოთი ეპყრობოდა ყმაწვილს. მისი დახმარებით გიორგიმ საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა, საეკლესიო ტიპიკონი და მედავითნის თანამდებობაზე მუშაობის უფლება მიიღო. 1889 წლის 20 ივლისს იგი მოხისის წმინდა გიორგის სახე-

ლობის ეკლესიის მედავითნეა, 1890 წლის 20 მარტს ზემო ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს, 1891 წლის 24 მაისს ჩალაუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაადგინეს, 1897 წლის 26 ივლისიდან მელაანის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაშია, ხოლო 1900 წლის 10 მარტს კი — ბიყარის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში.

1901 წლის 25 მარტიდან ისევ მელაანის სამრევლოში დააბრუნეს. ამავე პერიოდში გიორგიმ ჯვარი დაიწერა სოფელ ჯიმითში მცხოვრებ მარიამ ევგენის ასულზე (დაბ. 1886წ.), რომელთანაც ოთხი შვილი ეყოლა: ნინო (დაბ. 1905წ.), ქეთევანი (დაბ. 1907წ. ორივემ თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი დაამთავრა), ნიკოლოზი (დაბ. 1909წ.) და ანა (დაბ. 1912წ.).

1906 წლის 6 სექტემბერს გიორგი თბილისში, ვერის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წიგნის მკითხველად დაადგინეს. 1907 წლის 22 მაისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში განამწესეს. ამავე წელს ამტნისხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1908 წლის 28 იანვარს ალავერდელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 30 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და ჯიმითის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. მასვე დაევალა ჯიმითის ძველი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრობაც. მამა გიორგიმ 1908 წლის 7 სექტემბერს ჯიმითის ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო სჯულის პედაგოგად დაიწყო მუშაობა. 1914 წლის 30 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა.

გიორგი მაჭავარიანი ოჯახის წევრებთან ერთად

1921 წლის გასაბჭოების შემდეგ სამღვდელოება დიდი განსაცდელის წინაშე დადგა. უღვთო ხელისუფლებისგან დევნილი მოძღვრები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ ოჯახის სარჩენად სახსრები აღარ ჰქონდათ. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში იყვნენ მცირეწლოვანი შვილების პატრონები. მამა გიორგი მათ შორის იყო, ვისაც ყველაფერი უნდა ეღონა, რათა ოჯახი ლუკმა-პურის გარეშე არ დარჩენილიყო და მშივრები არ დახოცილიყვნენ. მამა გიორგი რამდენჯერმე ჩავიდა თხოვნით თბილისში და საეკლესიო მმართველობას მისი ქალაქის ნებისმიერ ტაძარში დანიშვნა სთხოვა. პასუხის მოლოდინში იგი კუკიის წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოზე საეკლესიო წესებს ასრულებდა, რასაც ადგილობრივ სამღვდელოებასთან დაპირისპირება მოჰყვა. მათ მოძღვარს საკათალიკოსო სინოდში უჩივლეს. მამა გიორგის მკაცრი გაფრთხილება მიეცა: თუ იგი უკანონო ქმედებებს არ შეწყვეტდა, მღვდელმსახურება საერთოდ აეკრძალებოდა.

მღვდელი გიორგი თავის სამრევლოს დაუბრუნდა და იქ განაგრძო მოღვაწეობა. 1925 წლის მიწურულს ბოდბის ეპარქიის აღწერის დროს, იგი სოფელ ჯიმითის ორივე ეკლესიის წინამძღვრად მოიხსენიება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მამა გიორგის დაშინება. ვერ ააღებინეს ხელი ღვთისმსახურებაზე. არ გაჭრა არც მუქარამ და არც დაშინების სხვა ხერხებმა. ამის შემდეგ ისინი პირდაპირ იერიშზე გადავიდნენ და მოძღვარი საკუთარი სახლიდან გამოაძევეს. ეს მოხდა 1926 წლის 27 ივნისს. გამოსახლების ფაქტი სამაზრო აღმასკომმა დაადასტურა. მათი გადაწყვეტილებით შენობა უნდა დანგრეულიყო და სოფელ გადრეკილში სკოლის შენობის ასაგებად გადაეტანათ.

გაჭირვებაში და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მოძღვარი რამდენიმე წელიწადი ეძებდა სამართალს. თუმცა არავინ უსმენდა. ბოლოს როგორც იქნა, საქართველოს ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) თავჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მიაწვდინა ხმა. წერილი 1928 წლის 21 სექტემბრითაა დათარიღებული: **„გთხოვთ უმორჩილესად, მიიღოთ მხედველობაში ჩემი უკიდურესი გაჭირვება და გამომიყვანოთ ამ უფრსკულიდგან, რომელშიც მე ვიმყოფები. მყავს სარჩენელი ოთხი მცირეწლოვანი შვილები, ესე რომ, ოჯახობით სულ 6 სული შევსდგებით. არავითარი საქონელი არ მყავს, არც მაქვს სახნავი და არც ვენახი რაიმე, არც მიწა, არც სახლ-კარი. ჩემს სიყმაწვილის დროს გვქონია ჩვენს მშობლებს სოფელ მელაანში ვენახი და სახნავი მიწა და სახლი, რომლებიც ეხლა სხვათა ხელშია. ოც წელიწადზე მეტია ვცხოვრობ სოფელ ჯიმითში ერთ კუხნიან ფიცრულ ოთახში, რომელსაც აქვს 400 კვ. საჟენი ეზო და ბაღჩა - ცოტა ხეხილით. სხვა არაფერი, არც სახლი გამაჩნია და არც ერთი საჟენი მიწა რაიმე. ოთახიდან გამოუბარგებიათ ჩემი ოჯახობა და ყმაწვილები ადგილობრივ აღმასკომის თავჯდომარის**

თანაშემწეს და მილიციის უფროსს. ახლაც ჩემი ცოლი და ბავშვები იმყოფებიან ბარგით გარეთ ბალკონ საჩუხში და ღია უჭერო კუხნაში. კარები გაულაქიათ ბეჭდით ჩემს ბინაში არ ყოფნის დროს. ეს მეორე წელიწადია ვიტანჯებით, არც ოთახი მოიხმარეს რათმე და არც გამოდგება, ძველი რაიმე შენობაა. მე ვარ ძლიერ უღარიბესი პირი, მასთან, ჯანით ავადმყოფი, წლოვანებით 57 წლის, სახლში ჩემს მეტი მომმარაგებელი არა მყავს, მყავს მარტო უწლოვანი შვილები. სიღარიბის გამო არც რაიმე სამეურნეო ხარჯი არ მაწერია, და რომ ისევ გარეთ დავრჩე, რადგან აცივდა და ზამთარი მომავალია გარეთ ყოფნა ბავშვებისა და ჩემისთანა ავადმყოფი მოხუცისა ვერ ძალგვიძს და რაიც შეუძლებელია, ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძეთ, გავხსნათ და ისევ მოგვათავსონ იმავე ჩვენ კუთვნილ ოთახში. იმედი გვაქვს, კეთილ ინებებთ და არ დაგვტოვებთ გარეთ ეზოში.

მღვდელი
გიორგი მაჭავარიანი

მოგახსენებთ მასთან, საკვირველი და გასაოცარია, განა რისთვის სჭირდებათ ასეთი მსხვერპლი და ბავშვების აწიოკება. ეს ყოველივე კი ვისი ინტერესებით არის მოქმედებული, მაშ და, რისთვის არის აქნობამდის სახლი დაკეტილი და დაბეჭდილი. ამასთან, დაურთავ ადგილობრივი აღმასკომის მოწმობას, საიდანაც სჩანს, რომ მე არავითარი სახლკარი და ქონება არ გამაჩნია და ამ მიზნით კი გამოუტანიათ ბარგი, ვითომც მე მქონდეს მელაანში რაიმე ბინა, აგრეთვე ინახულებთ ჩემს ავადმყოფობის მედიცინის მოწმობას და დამიბრუნებთ. მასთან, მოგახსენებთ, მე გახლდით გაწვეული ქუთაისის საეკლესიო კრებაზედ დელეგატად, როდესაც მილიცია და თემის თავჯდომარის თანაშემწე მოსულიყვნენ და დაჭერა ეპირებინათ ჩემი ცოლის და მცირეწლოვან ვაჟის, თუ არ დასცლით ოთახსაო".

თავის მხრივ, ფილიპე მახარაძე ამავე წლის 25 სექტემბერს კახეთის მაზრის აღმასკომის თავჯდომარეს, გრიგოლ ხელაშვილს წერდა: **„გიგზავნით რა ამასთანავე სოფ. ჯიმითის მცხ. მღვდლის გიორგი მაჭავარიანის განცხადებას. გავალებთ გამოარკვიოთ, როდის, ვისი განკარგულებით, რა მიზეზით და რა პირობებში ჩამოერთვა ხსენებულ მაჭავარიანს და მის წვრილშვილიან ოჯახს ერთადერთი თავშესაფარი სახლი, რომელიც შესდგება ერთი საცხოვრებელის ოთახიდან და სამზარეულოდან. მთხოვნელის განცხადებით, ჩამორთმეული ოთახი დღემდე დალუქულია და მისი ოჯახი კი მოთავსებულია საცხოვრებლად გამოუსადეგარ სამზარეულოში. საქმის ვითარების გამორკვევის შემდეგ გავალებთ, მოიმოქმედოთ შეკრებილი მასალისდა მიხედვით და მიიღოთ სათანადო ზომები, რათა მოქ. მაჭავარიანის თხოვნა ჩამორთმეული ოთახის დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნეს შესაძლებელ ფარგლებში და შედეგი აცნობეთ ს. ს. ცაკს".**

ფილიპე მახარაძის სიტყვები მხოლოდ ფურცელზე დარჩა, თავი არავინ შეინუხა მის შესრულებაზე. უმძიმესი დრო იდგა. სამღვდელოება თითქმის კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და ამიტომ მათ თხოვნებსა და საჩივრებს არავინ აქცევდა ყურადღებას.

XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში მღვდელი გიორგი იძულებული გახდა თბილისში გადმოსულიყო და დახმარება კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესათვის (ცინცაძე) ეთხოვა. უწმინდესმა კალისტრატემ გაითვალისწინა მამა გიორგის გაჭირვებული მდგომარეობა და იგი ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დანიშნა. გარდა ამისა, მამა გიორგის დაევალა საეკლესიო წესების შესრულება ვერის ახალ სასაფლაოზე, სადაც ის უნდა დახმარებოდა თბილისის ყოვლადწმინდა სამებისა და სოლოლაკის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრების მღვდელმსახურებს.

1937 წლის აღდგომას დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1940 წლის 23 დეკემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ მამა გიორგი სისხლის სამართლის 58-10 მუხლის საფუძველზე დააპატიმრა და გასამართლების შემდეგ ხელისუფლების დამხობასა და აგიტაცია-პროპაგანდაში დასდეს ბრალი. დეკანოზ გიორგის 6 წლით გადასახლება მიუსაჯეს.

1945 წლის 22 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატიდან მიიღო ცნობები 1937-1941 წლებში რეპრესირებული სამღვდლოების შესახებ. გადასახლებულთა სიაში, რიგით პირველ გრაფაში, დეკანოზ გიორგი ილიას ძე მაჭავარიანის შესახებ ეწერა, რომ იგი გარდაიცვალა საპატიმროში. ეს მოხდა დაახლოებით 1944 წელს.

სხვაგვარად წარიმართა მისი უფროსი ძმის, მღვდელი იოსებ მაჭავარიანის ცხოვრება. იგი 1870 წელს დაიბადა. 1884-1888 წლებში იოსები გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში საბერო მორჩილებას გადიოდა, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. რუსულ ენაზე მსახურება მან

სიღნაღის მაზრის სამღვდელოების ჯგუფი. XX ს. 10-იანი წლები
მარცხნიდან I რიგში მეორე — მღვდელი პეტრე დავითაშვილი. II რიგში მეორე — მღვდელი გერასიმე ჭანტურიძე.
III რიგში მეხუთე — მღვდელი გიორგი მაჭავარიანი.
ფოტოზე აღბეჭდილი დანარჩენი სასულიერო პირების ვინაობა უცნობია, შთამომავლებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

ეგზარქოსების კარის წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესიაში ისწავლა. 1889 წლის 26 იანვარს პანკისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1895 წლის 15 ოქტომბერს კალაურის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესეს. კალაურის ეკლესიაში მსახურების პერიოდში მამა იოსები პედაგოგიური საქმიანობით იყო დაკავებული. უსასყიდლოდ ასწავლიდა ბავშვებს ადგილობრივ სკოლაში. 1905 წლის 18 ოქტომბერს თბილისის ვერის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1907 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა (სოფისკი) დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელი და ვეჯინის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. 1910 წელს ვეჯინის სამინისტრო სკოლის საღვთის სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1916 წლის აღდგომას საგვერდულით დაჯილდოვდა. 1922 წლის 2 თებერვალს ზეწოლის შედეგად მან გაიხადა ანაფორა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ჰყავდა მეუღლე — ანა დავითის ასული (დაბ. 1877წ.) და შვილები: თამარი (დაბ. 1897წ.), მარიამი (დაბ. 1900წ.), ქსენია (დაბ. 1901წ.), ეკატერინე (1908წ.) და ელენე (1912წ.). პირველმა სამმა დაამთავრა ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №57627; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №739; ფ. 1879, აღწერა 1, საქმე №5; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე №2088.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 298 95 41; 2 32 48 66; 5(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვება გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: sunewpress@gmail.com; sunewpress@yahoo.com
მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.
ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ყველაფერი უამბო. მერეზმა ურჩია, რომ ამ ხილვის ამბავი საიდუმლოდ შეენახა. მაგრამ სასწაული განმეორდა. ეს ზეთი იცხეს აშაფის ახლობლებმა — სირიელებმა, ლიბანელებმა, მრავალი მათგანი განიკურნა. მხოლოდ ამ განკურნებების შემდეგ უამბო მერეზმა სასწაულის შესახებ საფრანგეთის მიტროპოლიტ იერემიას და ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელს, ეპისკოპოს გაბრიელს.

აშაფის ხელები ღვთისმშობელმა დედამ მის მიერ ბოძებული სამკურნალო ზეთის ჭურჭლად აქცია. ეს სასწაული ახლა უკვე მარტო სამლოცველოში კი არა, სხვა ადგილებშიც ხდებოდა, — ყველგან, სადაც აშაფი ლოცულობდა. როგორც კი იგი უფალი იესო ქრისტესა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელს ახსენებდა, მისი ხელი ამ სასწაულთმოქმედი ზეთით ივსებოდა.

1988 წ. 17 სექტემბერს წმ. სეტაფანეს სახელობის პარიზის ბერძნულ ტაძარში (ჟორჟ ბიზეს ქუჩაზე), ზეთი უწყვეტად მოედინებოდა 1 საათის განმავლობაში. ამის მოწმე მრავალი მორწმუნე ადამიანი გახდა.

30 წლის აშაფი უბრალო, სუფთა გულის ადამიანი იყო. იგი ამბობდა, რომ ამ სასწაულის წინ მისი გული ყოველთვის ენითაღუწერელი სიხარულით ივსება.

როდესაც აღნიშნული სასწაულის ამბავი ძალიან გახმაურდა, ამ ფენომენის შესწავლით მეცნიერები დაინტერესდნენ. მოიწვიეს საგანგებო კომისია. კომისიის წევრები სამჯერ გახდნენ ამ სასწაულის თვითმხილველები.

პარიზის პიტიე-სალპეტრიერის საავადმყოფოს ბიო-ქიმიურ ლაბორატორიაში ზეთს ბიო-ქიმიური ანალიზი გაუკეთა პროფესორმა ზ. დე ჟანმა.

კომისიის დასკვნა მიტროპოლიტ იერემიას წარუდგინეს. ანალიზმა დაადგინა, რომ სითხის შემადგენლობა შეიცავს: მცენარეული ზეთის შემადგენელ ნივთიერებებს, ასევე ცხიმებს და მათ შორის, ძირითადად, ფიტოსტეროლს, რომელსაც სისხლი არ შეიცავს; ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია ასეთი ცხიმების გამომუშავება. სითხე ასევე შეიცავს ქოლესტერინს, რომელიც წარმოადგენს ცხოველური წარმოშობის ელემენტს. ამ შედეგების საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ „მოცემულ სითხე ბუნებრივად მიღებული ზეთი არ არის". კომისიამ ასევე დაადასტურა ამ ზეთის ცხებით ორი ადამიანის განკურნება.

კომისიის დასკვნა ასეთი სიტყვებით ბოლოვდებოდა: „ეს მოვლენა არ ექვემდებარება არანაირ მეცნიერულ და ლოგიკურ ახსნას. იგი მიეკუთვნება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უთვალავ სასწაულს, რომელსაც კარგად იცნობს ეკლესიის ისტორია და წმინდა მამათა გარდამოცემა."

მოამზადა მარიამ გაგუამ

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი გიორგი ბიბილური
1866-1962

ფეხზე დგას გიორგი ბიბილური

დეკანოზი გიორგი ბართლომეს ძე ბიბილური 1866 წელს გორის მაზრაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მამამისი, მღვდელი ბართლომე იოსების ძე ბიბილური, 1836 წელს დაიბადა. დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1851 წლის 24 ოქტომბერს გორის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1861 წლის 3 ივლისს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1863 წლის 11 ივლისს დიაკვნად აკურთხეს და იმავე სამრევლოში დატოვეს. 1868 წლის 13 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) მღვდლად დაასხა ხელი და ბობნევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნინამძღვრად დანიშნა. 1869 წლის 12 თებერვალს სვენეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1880 წლის 22 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1884 წლის 20 მარტს წმინდა სინოდმა მადლობის ფურცელი უბოძა. 1887 წლის 17 მარტს სკუფია ეწყალობა. გარდაიცვალა უეცრად, 1890 წელს. მამა ბართლომე ადრე დაქვრივდა. ჰყავდა სამი შვილი: გიორგი, ალექსანდრე (რომელიც ასევე მღვდელი გახდა) და ნინო.

გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა გორის ოთხწლიანი სასულიერო სასწავლებელი. 1889 წელს ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1890 წლის 3 მაისს პირველი კურსიდან სწავლა მიატოვა და გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკ-

ლესიის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. ამავე წლის 27 ოქტომბერს შტატში დაამტკიცეს. გორში მსახურების დროს მან ჯვარი დაიწერა სოფიო დავითის ასულ ყიფშიძეზე, რომელიც წარმოშობით გორის მაზრის, სოფელ ბრეთადან იყო. მამა გიორგისა და სოფიოს შვილი არ ეყოლათ, რის გამოც იშვილეს სოფიოს ძმის ვაჟი — ირაკლი ყიფშიძე. იგი ღირსეულად აღზარდეს და გზაზე დააყენეს.

დეკანოზი გიორგი

1899 წლის 7 მარტს გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) გიორგი დიაკვნად აკურთხა. 1899 წლის 10 ივლისს იგი ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1902 წლის 26 ოქტომბერს დიაკონი გიორგი თელავის მაზრის, სოფელ არტაანის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გამოარჩიეს და ამავე წლის 15 ნოემბერს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) მღვდლად დაასხა ხელი. 1904 წლის 29 აგვისტოს მამა გიორგი წალკის მხარეში, სოფელ სანამერის (ყოფილი კოხთა) წმინდა იოაკიმ და ანას სახელობის ბერძნულ სამრევლოში განამწესეს. 1907 წლის აღდგომას საგვერდულით დაჯილდოვდა. 1908 წელს ხელთუბნის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1915 წლის 23 ივლისს სკუფია უბოძეს. 1916 წლის 26 მარტს ბორჯომის ხეობაში, სოფელ ჭობისხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1918 წლის ნოემბერში ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) კამილავკა უწყალობა. ამავე პერიოდშივე მიიღო მან ჯილდო — სამკერდე ოქროს ჯვარი.

XX ს-ის 10-იანი წლების ბოლოს მღვდელი გიორგი საღოლაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1921 წლის გასაბჭოებიდან ქვეყანაში დაწყებული რეპრესიების მიუხედავად, მამა გიორგის ანაფორა არ გაუხდია და მღვდელმსახურება არ მიუტოვებია. მრავალი დევნა და შევიწროება გადაიტანა იმ წლებში. ურბნისის ეპარქიის საქმეებში დაცულია ერთი ასეთი ცნობა: **„1923 წლის 22 აგვისტოს საღოლაშენის მღვდელი გიორგი ბიბილური დააკავეს დირბის თემის აღმასკომის თავჯდომარის მიხეილ ჭყოიძეს ბრძანებით. წაართვეს მას 158 ჩანახი ჭირნახული, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყობა, დაამწყვდიეს ბოსელში, შემდეგ ღამე გადაიყვანეს დირბში. აიძულეს, წერილობით უარი ეთქვა სამრევლოზე, მღვდელმოქმედების შესრულებაზე, სამრევლოდან სრულიად წასვლაზე და მღვდლის ხარისხის დატოვებაზე. სანამ ყველაფერს ხელი არ მოაწერა, იქამდე არ გამოუშვეს. მეუფეო, გთხოვთ მისი გათელილი პრესტიჟის გამო დასჯილ იქნას კანონისამებრ თავჯდომარე მიხეილ ჭყოიძე, რადგან მას არ ჰქონდა საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული ცირკულარი, რომლის თანახმად მღვდელთა შეურაცხყოფის მიყენება დასაშვებია“.**

იმ პერიოდში მსგავსი ქმედებები ხშირი მოვლენა გახლდათ სასულიერო პირთა ცხოვრებაში. უმეტესობამ ვერ გაუძლო ასეთ დამცირებებსა და ზეწოლას და მიატოვა ღვთისმსახურება, მაგრამ, მამა გიორგის არც უფიქრია დანებება, მან კვლავ განაგრძო მსახურება. 1926 წლის ბოლოს ურბნისის ეპარქიის სამღვდელო დასში იგი კვლავ მოიხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებსა და საღოლაშენის ეკლესიის წინამძღვრად.

1929 წლის 17 მარტს გორელ მორწმუნეთა აქტიური ქმედებების შედეგად ახლიდან დაიწყო დალუქული ოქონის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა და, საბოლოოდ, 1931 წლის ბოლოსთვის დასრულდა. სწორედ ამ ტაძრის მშენებლობის პერიოდში გადმოვიდა მამა გიორგი ქ. გორში და აღნიშნული ტაძრის წინამძღვრად გააგრძელა თავისი საეკლესიო მოღვაწეობა. ამავე პერიოდში მიენიჭა მას დეკანოზის წოდება და ურბნისის ეპარქიის, გორი-მეჯვრისხევის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა.

1931 წლის 23 მარტს დეკანოზი გიორგი ურბნისის ეპარქიის დროებით მმართველს, ეპისკოპოს ეფრემს (სიდამონიძე, შემდგომში — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) წერდა: **„მეუფეო! ამ თვის 16-ში შესდგა გორის ოქონის ეკლესიის სამრევლო საბჭოს კრება ვანო საურის თავჯდომარეობით. კრებას წაუკითხე თქვენ მიერ მონერილობა 72 მან. სანთლის ვალისა. სჯა-ბაასის შემდეგ კრებამ გამოიტანა ამნაირი დადგენილება: რადგან ოქონის ეკლესია ჯერ არ არის სრულიად დამთავრებული და აგრეთვე, კერძო პირების ვალიც მართებს, ამიტომ ეთხოვოს ყოვლადუსამღვდელოესს ეპისკოპოს ეფრემს, რათა შუამდგომლობა გაგვიწიოს წინაშე სინოდისა ზემოხსენებული 72 მანეთის პატიობისა, რომელიც ეპისკოპოს სიმეონის დროს ნისიად წამოღებული სანთლის ვალია. ამასთანავე საბჭომ დაადგინა, გადაეგზავნოს 10 მან. ეპისკოპოს პავლეს ძეგლის ასაგებად. კრებული კიდევ თავის მხრივ წარმოგიდგენთ 5 მან.“.**

დეკანოზი გიორგი ბევრს ზრუნავდა გორის ოქონის ტაძრის გამშვენებასა და განახლებაზე. იმ ურთულეს წლებში, როცა ღვთისმსახურება გმირობის ტოლფასად ითვლებოდა იგი შეძლებისდაგვარად ახერხებდა და პოულობდა სახსრებს ეკლესიის კეთილმოსაწყობად. მან დეკანოზ კონსტანტინე დათაძისაგან შემთხვევით გაიგო, რომ ქვათახევის მონასტრის მღვდელმონაზონ ნეოფიტეს თავის დროზე დროებით შესანახად მიბარებული ჰქონდა შვიდი ცალი კანკელის ხატი. 1935 წლის 23 ივლისს მან თხოვნით მიმართა მის უწმინდესობა კალისტრატეს (ცინცაძე), ნება დაერთო აღნიშნული ხატების გორის ოქონის ეკლესიაში გადმოტანაზე, რაზედაც თანხმობა მიიღო.

1937 წლის 25 მაისს დეკანოზი გიორგი, როგორც ურბნისის ოლქის დელეგატი ესწრებოდა საქართვე-

ლოს საკათალიკოსო სინოდის გაძლიერებულ სხდომას.

განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამდა დეკანოზი გიორგი ურბნისის უძველესი ეპარქიის უმღვდელმთავროდ დარჩენის გამო, თუმცა თავს ზევით ძალა არ იყო. 1933 წლის 8 მარტს ეპისკოპოსმა ეფრემმა (სიდამონიძე) უარი თქვა ეპარქიის მართვაზე. ამის შემდეგ საკათალიკოსო სინოდის გადაწყვეტილებით ეპარქიის მართვა დროებით წილკნელ ეპისკოპოს ალექსის (გერსამია) მიენდო. იგი თავდაპირველად ახერხებდა დროგამოშვებით ურბნისის სამწყსოს მონახულებას, თუმცა შემდგომ წლებში ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ უთმობდა აქაურობას. მამა გიორგის მრევლი თხოვდა, მიემართა უწმინდესი კალისტრატესათვის ეპისკოპოსის დანიშვნის თაობაზე, რაზედაც მამა გიორგი შეგნებულად თავს იკავებდა. მან კარგად უწყოდა, რომ იმდროინდელი ეკლესიის გაჭირვებული მდგომარეობა ამის საშუალებასა და ფუფუნებას არ იძლეოდა. შემცირებული სამღვდელოება და მრევლი ვერ შეძლებდა ადგილობრივი ეპისკოპოსის შენახვას. საბოლოოდ, ქ. გორის მართლმადიდებელმა რელიგიურმა საზოგადოებამ და მრევლმა 1937 წლის 2 ივნისს თავად მიმართა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს თხოვნით: **„როგორც თქვენს უწმინდესობას მოეხსენება, ურბნისის ეპარქია არის მიტოვებული უმღვდელმთავროდ, რის გამოც დიდი მითქმა-მოთქმა და საყვედური ისმის მორწმუნეთა შორის. არაერთხელ მივმართეთ გორის საკრებულო ტაძრის წინამძღვარ ბიბილურს, ეშუამდგომლა თქვენს წინაშე, რომ დანიშნულ ყოფილიყო მღვდელმთავარი, მაგრამ დღემდის არავითარ ზომებს არ ღებულობს. ახლა პირდაპირ მოგმართავთ თქვენს უწმინდესობას, რომ დაგვინიშნოთ ეპისკოპოსი ვარლაამი (მახარაძე) ან სხვა ვინმე, რომელიც იქნება დაკმაყოფილებული ეკლესიის შემოსავლიდან“** — წერილს ხელს აწერდა ამავე ტაძრის საბჭოს თავჯდომარე ვანო საური, წევრები: ნ. სალუკაშვილი და ბ. გელდიაშვილი, დეკანოზი გიორგი დავითაშვილი, მედავითნე ნიკოლოზ გეტმანი და მრევლის 16 სხვა წევრი. სამწუხაროდ, გამართლდა მამა გიორგის ვარაუდი. 1937 წლის 17 ივლისს საკათალიკოსო სინოდმა იმსჯელა ამ საკითხზე და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: **„ვინაიდან მოხსენებაში არ არის აღნიშნული ადგილობრივი წყაროების მდგომარეობა, საიდანაც შესაძლებელი იქნება მღვდელმთავრის ჯამაგირის დანიშვნა, არც ბინა იმექონება, — საკათ. სინოდი განაჩინებს: საკითხი საკუთარი მღვდელმთავრის დანიშვნისათვის გადადებულ იქმნას“.**

დეკანოზი გიორგი შვილიშვილთან ერთად. ფოტო გადაღებულია 1945 წლის 16 მაისს

1938 წლის 19 მაისს დეკანოზი გიორგი უწმინდესსა და უნეტარესს კალისტრატეს ატყობინებდა გორის ოქონის ეკლესიის რემონტის შესახებ: **„გორის ოქონის ეკლესიას სჭირდებოდა სახურავის შეღება. ამისთვის მოვიწვიეთ საბჭოს წევრი ალექსი ხარატიშვილი და ჩვენ კრებულის თანა დასწრებით მოვიწვიეთ მალიარი ივანე გალავაცკი, რომელსაც გაურიგდით ეკლესიის სახურავის, სამლოცველო ოთახის, დეკანოზ გიორგი დავითაშვილის ოთახისა და საკუჭნაოს შეღებაზე. ამ ზემო ხსენებული სახურავების შესაღები იმათი მასალით და ოსტატებით ეკლესიამ გაიღო საფასური 1200 მანეთი, რისაც პატივი მაქვს მოგახსენოთ“.** ამ წერილზე უწმინდესმა კალისტრატემ 1938 წლის 20 მაისს პატარა მინაწერი გააკეთა: **„გაიწეროს დავთარში. მშრომელთ მიუძღვნით ლოცვა-კურთხევას“.**

სავარაუდოდ, 1939-1940 წლებში გორის ოქონის ეკლესია კვლად დაიხურა და მამა გიორგი უეკლესიოდ დარჩა. 1944 წლიდან დეკანოზი გიორგი ხაშურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარზე მიაწერეს, როგორც უშტატო მღვდელმსახური. იგი ქ. გორში ცხოვრობდა და იქვე აღასრულებდა საეკლესიო წესებს. 1956 წელს კვლავ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო ვეღარ ახერხებდა მსახურებას. დეკანოზი გიორგი 1962 წლის მაისში გარდაიცვალა. დასაფლავებულია გორის საერო სასაფლაოზე.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №48000; საქმე №42100; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. №1879, აღწერა 1, საქმე №3; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ურბნისის ეპარქიის ფონდი, საქმე №1734; ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო უწყებანი“ 1899წ. №15; 1902წ. №21-21; 1904წ. №19; ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანი“ 1915წ. №16; 1916წ. №8-9.